114
1943/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ბანერი"

114/2
56

8

თბილისი
1943

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეოცე

39894

8

ბიბლიოთეკა

ბაკურიანის სახ. საჯ. საბჭოთა
საჯარო
ბიბლიოთეკა
ბაგრატიონ

19 აგვისტო — სახელგამი 43

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

აბაშიძე ირაკლი
გამსახურდია კონსტანტინე
დონაძე სერგო
კალაძე კარლო
მაშაშვილი ალიო (პ/მგ. რედაქტორი)
მოსაშვილი ილო
შენგელაია დემნა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XI — 43 წ. ნაბეჭდ ფორმ. რაოდენობა 10.5.
უე 9988. შეკვეთა № 3084. ტირაჟი 4.200.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, ჟორესის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: ჟორესის ქ. № 5. სახელგამი, ტელეფ. 3 — 04 — 64.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. გრიშაშვილი

აცრემლებული თვალი

აკაკის ხსოვნას

„აკაკი წერეთელს თვალის ქუთუთოს სიდამბლე მოუვიდა“ (1904 წ. გაზეთებიდან).

მე მახსოვს შენი ქუჩებში გავლა,
ხალხი ღიმილით შემოგცქეროდა,
თავაწეული, ქცეული ნავლად,
გადმოგვყურებდი წამწამთ ჩეროდან.
როს ცალი თვალი ღიმილს აფრქვევდა,
გეცრემლებოდა მეორე თვალი,
ალბათ, გსერავდა მამულის სევდა,
აწმყო, წარსული და მომავალი.
შენ არ გხიბლავდა თვალსატყუარი
მარგალიტები მწკრივად, წყობისად,
შენ დადიოდი, როგორც უარი
თვითმპყრობელობის ბატონობისა.
ეს ის დრო იყო, როცა აშლილმა
ძალამ შეიპყრო ერი ჩაგრული,
როცა ჩუდეცკის ლაღიაშვილმა
ოსური ხანჯლით გაუპო გული.
ჩემო ძვირფასო! დღეს სულ სხვა არის
ჩვენი სამშობლო ქვეყნის დიდება,
ჩვენთვის უცხოა დღეს ცრემლის ცვარი
თუნდ დაიწინწკლოს მარგალიტებად!
დღეს შენმა ცრემლმა, წარღვნად ნადენმა,
ძველი ქვეყანა დაასამარა,
შენგნით აფრენილ მძლე შევარდენმა
ცაში ირაოთ შეჰკრა კამარა.
გმირებს დაეძებ? ერთი კი არა,
ის ხალხის გულში ასობით ბუდობს;
ის დააშუშებს ქართლის იარას —
შენს აცრემლებულ თვალის ქუთუთოს.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ჟუჩიშვილი

ცხრანი

ისინი იყვნენ მცირენი:
ცხრანი,
მტკიცენი,
როგორც სამშობლოს გული;
ბრძოლის წინ ფიცით
შეკრულნი ძმანი,
სავსენი ქვეყნის
ღრმა სიყვარულით.
და როცა მგელთა
ავ ხროვასავით
წააწყდათ შავი
ტანკები მტერთა, —
სთქვეს:
„არ გავუშვათ
ცოცხალი თავით!“
და ყუმბარებით
ეკვეთნენ ერთად.
გაისმა გრგვინვა
აფეთქებათა
და ყოველივე
ცას შეეხეთქა;
ასე, დასრულდა
შეფიცულ ცხრათა
საქმე საგმირო
და გულის ფეთქვა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიოლეტა კაჭახიძე

ტყეში

ხევში ნელ-ნელა ეშვება მწუხრი,
მალე ტყე ღამეს მოისხამს ნაბდად.
უცხრება, გზნება ქვემეხთა ქუხილს —
ცისა და მიწის მრისხანე ავდარს.
ქუხილი იგი დუმდება ბოლოს,
დაუბრუნდება სიმშვიდე ხესაც.
შეწყდება ბრძოლა და ისმის მხოლოდ
ტყეში გაფანტულ დაჭრილთა კვნესა.
ძილი ფრთას დაჰკრავს მებრძოლთა თვალებს,
მაგრამ ძილს მაინც ვერავინ ბედავს,
ტყეში შემოდის თმათეთრი მთვარე,
ვით ფრონტზე შვილის მძებნელი დედა.
შემბრალე თვალით მომაკვდავთ უცქერს,
მწუხრდება სახე თანდათან მისი,
დაეკიდება ხეებზეც ფურცლებს
მოზარე ქალის თმებივით ნისლი.
გააბამს კივილს ხშირ ტყეში მწყრალად
რაღაც პატარა ფრინველი გვიან,
თითქოს ფიქრისთვის იკრებსო ძალას,
ხევს გადახედავს ჩუმსა და ქვიანს.
დახედავს მტერზე მახვილის მლესავთ,
გახედავს გმირთა გმირობის ქვალსაც,
ხმას დაიდაბლებს და შეწყვეტს კვნესას
ტკივილებდამცხრალ დაჭრილის მსგავსად.
განთიადისას გორაკის იქით,
თვალს რომ ნელ-ნელა ცისკარი ახელს,
სადღაც გაქრება ფრინველი იგი
და თან წაიღებს დაჭრილთა ნაღველს.
აგუგუნდება ლაჟვარდში მყისვე
ცეცხლის მფრქვეველი ფრინველი რუხი,
დასწივლებს მტერს და ქვემეხნიც ისევ
მტრის შესამუსრად იწყებენ ქუხილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲡᲚᲐᲕᲣᲠᲘ ᲡᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘ

ᲘᲐᲜᲙᲐ ᲙᲣᲞᲐᲚᲐᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

აი, წინ მიდევს აღგზნებული შენი ლექსები,
მზრუნველი ხელით მოგზავნილი შორი მინსკიდან.
გრძნობდი, სამშობლოს მოგირწყავდნენ მებრძოლთ სისხლითა,
და წინ უსწრობდი, დაუნდობლად მტერს თავს ესხმები.

შენ დღესაც სცოცხლობ, პოეტო, და კვლავაც ეცდები
დათრგუნო მხდალი, ვინც ლაჩრულად ბნელში იცდიდა.
სამშობლოს ზეცა, დაბინდული მტრული ნისლითა,
გადაიწმინდა — და ამ ამბებს დღეს შენც ესწრები.

აღარ დარჩება დამპყრობელი, გაიქლიტება,
ეყო, წარსულში რაც სლავების სისხლი უსვია.
საფლავი ჰპოვოს თვითონ მან და მისმა მითებმა.

მომხდურთა პოლკებს ბევრჯერ თხრილი ამოუვსია.
მოსკოვთან იყო და მარადის მასთან იქნება
გმირული სულით ანთებული-ბელორუსია.

ᲙᲔᲠᲔᲘᲐᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲐ

მტერი, მრავალჯერ სიავეში ცხადად ნამხელი,
უკრაინელის ტკბილ მომავალს ძალით ბორკავდა.
მხარე, იმედებდაკარგული, ძლეულს მოგავდა,
რომ დაეგუბა კაეშანი და ზღვა ნაღველი.

მაგრამ სიმბოლოდ სულ ღვიოდა წითლად ძახველი,
გმირული მხარე ბობოქრობდა, რისხვით ბორგავდა,
და მთელი თავის სასოებით წარსდგა ბოგდანთან,
ცად აღემაღლა საყვარელი მისი სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოგდან სარდლობდა და მებრძოლნი მამულს იცავდნენ.
არ დაივიწყებს ერი იმათ ნაამაგარსა,
ვინც დამპყრობელი არ მოუშვა მშობელ მიწამდე, —
პერეიასლავში შემოკრებილ რჩეულთ რადასა.
მოიხსენებს საუკუნით უკუნისამდე,
ვინც ხალხის ბედი სანდო ხელებს მტკიცედ გადასცა.

ბოგდან ხმელნიცკის

მტერს მოესურვა უკრაინის შებმა უღელში,
მაგრამ აღუდგნენ მამაცები, მძლავრნი, მხნეები.
მათთან შენ თვითონ იმ მომხდურებს მედგრად შეები
და ლაშქრობაში ჰპოვე ქვეყნის ხსნა და ნუგეში.

დამარცხდა, ბოლოს, მოძალადე უცხო, უხეში,
ერმა წარმოშვა გოლიათნი, მძლეთამძლეები,
რომ შეუტიეს, შეუმოკლეს მტარვალს დღეები.
შენ შეაფარე ხალხი სანდო ნავთსაყუდელში.

პერეიასლავმა ჩააგდო ის მტერი ძრწოლაში.
აწ ბარბაროსთა მრისხანების ჟამიც ილევა.
გეთქმის — გასჭრაო ისევ ბასრმა ხმალმა მოლაშქრის,

მშობელი ხალხი სამშვიდობოს მივაცილეო.
დღესაც დამპყრობთან საბჭოების ცხარე ბრძოლაში,
დიდო სარდალო, ჩვენთან ერთად მონაწილეობ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

დაბრუნება

მატარებელმა ტყისკენ გაუხვია. ვაგონის საფეხურზე ჩამომჯდარ გვაჩის ახლა თბილი ნიავი ეგებებოდა, გახსნილ საყელოში უძვრებოდა, ტანზე ეკვროდა, სხეულს უთენთავდა. ჭაობისა და ტროპიკული ტყის სუნს უტოვებდა ზედა.

გვაჩი ხუთი დღის წინად ფრონტისპირა ჰოსპიტალიდან გამოეწერა. ხანგრძლივმა მგზავრობამ დიდი ხნის ლოგინში წოლით მოტეხილი სხეული უფრო დაუსუსტა. ვაგონის შეხუთულმა ჰაერმა, მგზავრთა განუწყვეტელმა ფუსფუსმა და მატარებლის ჯაგჯაგმა თავი დაუმძიმა, გრძნობა და გონება როგორღაც მოუთენთა და მოუჩლუნგა.

მატარებელი ახლა მშობლიურ მიწაზე მიჰქროდა და გვაჩი დიდი ხნის ძილის შემდეგ ახლად გამოღვიძებულს ჰგავდა. მისი დიდრონი თვალები ზე აწეული ქალური წამწამებით კეთილი და რაღაც თბილი იმედის შუქით იყო განათებული. ფერდაკარგული, მკვრივი ტუჩები შეუკავებელი სიხარულისაგან ეკუმებოდნენ.

ორი წელიწადია, ასე არ აჩქროლებია სისხლი. გულიც სხვანაირად უცემდა. გარკვევით ესმოდა მისი ხმა. ეს ხმა ბავშვობისას გაგონილ შორეულ მონასტრის დიდი ზარის რეკვის ხმას აგონებდა. მთელი მკერდით სუნთქავდა, მთვარეს და ვარსკვლავებს უღიმოდა და ისე ეჩვენებოდა, თითქოს ისინი ახლა ჩვეულებრივზე უფრო ციმციმებდნენ.

ყველაფერი ირგვლივ სადღესასწაულო და სამხიარულო იერით ეხატებოდა, მაგრამ ყველაფერზე უმშვენიერესად დედა ედგა თვალწინ, თავისი გახუნებული ჩითის კაბით, შავი თავსაფარით და სევდიანი, სიყვარულით გასხივოსნებული მოგრძო, შავი თვალებით.

— დედა,—უნებურად შეირხნენ მოკუმული ტუჩები. საამოდ მოსწყდა მის ბაგეს ეს სიტყვა, მაგრამ ნიავმა არ აცალა მისი შესმენა. ტუჩიდან მოგლიჯა, როგორც წმინდა და რაღაც ძვირფასი განძი. სწრაფად გაიტაცა. თითქოს დედას უნდა გააგონოსო შვილის ხმა.

მართლაც, გვაჩის სახლისაკენ უბერავდა ნიავი. მის ეზოშიაც ეს ნიავი ჰქრის ახლა. აივანზე გასულ ვაზის ფოთლებს აშრიალებს. ფარღიატებში იჭრება და იქნებ თაფლის სანთლით განათებულ პატარა ოთახის კუთხეში, ხატის წინ დაჩოქილ დედას ჭაღარა თმას ურხევს.

ყოველთვის უყვარდა დედას ხატი. ჭირში და ლხინში. თუ გვაჩი ავად გაუხდებოდა, მის წინ მოიყრიდა მუხლს და შველას სთხოვდა. ასევე დაჩოქილი მადლობას უხდიდა. ხატმა დამიბრუნაო ჩემი გვაჩი, იტყვის ახლა დედა უსათუოდ, — გაიფიქრა გვაჩიმ ღიმილით.

ორთქლმავალმა მიაწივლა. გვაჩი წამოდგა, მაგრამ მატარებელი ბაქანთან არ შედგა. ორთქლმავალმა კვლავ მიაწივლა, ახლა უფრო გაბმულად. ... შეიჭრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვანედ ალივლივდა დაუსრულებელი ჭაობი. ლაქაშებში ჩაჩოქილებივით მდგარ, ტანჯმუხ ხეებს ორთქლმავლის თეთრი კვამლი დაეფინა. ბოლქვებად დაეშვა ძირს. გაიშალა, ჭაობს გაეკრა და სიმწვანეში გაქრა.

გვაჩის ახლა-ღა გაახსენდა, რომ ჩქარი მატარებელი ბაქანზე არ ჩერდებოდა, სადგურამდე ათი კილომეტრი იქნებოდა და ეს მანძილი ფეხით უნდა გამოეცალა უკან. მისი სოფელი კი აქვე, ტყის გადაღმა იყო.

სამგზავრო ჩანთა მხრიდან მოიხსნა, ცალ ხელში დაიჭირა. მთელი ტანით წინ გადაიხარა, მარჯვენა ფეხი საფეხურიდან ძირს დაუშვა და გადახტა.

მუხლზე დაეცა. ვაგონების ცისფრად განათებულ ფანჯრების შუქზე მისი მოტეხილი და ფერმკრთალი სახე უფრო გამხდარი სჩანდა. როცა ვაგონებმა ჯაჯგურით და ხრიალით ჩაიარეს, მუხლზე მიკრული სილა შეიწმინდა და რკინიგზის ყრილზე ავიდა.

ბოლოს ვაგონის ოდნავ მბჟუტავი, სანიშნო წითელი შუქი მოსახვევს მიეფარა და მატარებლის ხმაურიც უცებ მისწყდა.

გვაჩი ალმა აჰყვა ყრილს, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, მხარში ტკივილი იგრძნო. შედგა. უბეში ხელი ჩაიყო და შეხვეულ ჭრილობას შეეხო. თითქოს ცეცხლი მოეკიდაო ბეჭზე, ისე აეწვა მხარი. გაბრუვდა. მთელს ტანში რაღაც საამო სისუსტემ დაუარა და მუხლები მოეკვეთა. ხეები, მთები, მინდვრები, ტყე და ყველაფერი ირგვლივ ათამაშდა და დატრიალდა მის წინ. თვალები დახუჭა. შეეშინდა, არ წავიქცეო. ლიანდაგზე ჩამოჯდა.

ღამის სიწყნარეს ბაყაყების ყიყინი და ჭაობის ყრუ თუხთუხი არღვევდა, შორს ტყე აშრიალდა. ქარმა ხის მწვერვალებს გადაურბინა, ყრილთან მიიჭრა, სილა ახვეტა, შხრიალით აიტაცა ჰაერში და გვაჩის ეძგერა.

გვაჩიმ სახეზე ხელი ჩამოისვა. თითქოს მდუღარე შეასხესო, ისე აუწვა კანი. თვალი რომ გაახილა, გრძელ წამწამებზე შეყრილი სილა ლოყაზე ჩამოსცვივდა, საყელოში ჩაეშვა და გაოფლიანებულ კისერზე გაეკრა.

პირით ჭაობისკენ იჯდა და ხედავდა, თუ როგორ შუილით დააფინა მის ზედაპირს ქარმა სილა და როგორ აიშხეფა მწვანე წყალი. ეს არ აკმარა. ახლა სხვა პირიდან დააფრინდა, მწვანე სვეტად აღმართა ჭაობი. ოდნავ გაშალა, ტოტებ-დახრილ ხეს დაამსგავსა, მერე ეს ხე უცებ მოგლიჯა და ურთას მთისკენ გააქანა.

თითქოს ამ სურათის დასანახავად გამოვიდაო მთვარე ღრუბლებიდან. მისმა ნათელმა შუქმა მთელი თავისი სილამაზით გამოაჩინა ურთას მოლურჯო მთები.

გვაჩი წამოდგა, მაგრამ ნაბიჯი არ გადაუდგამს. იდგა და გრძნობდა, თუ როგორ აუმოძრავდა ძარღვებში სისხლი. მუხლები ძალას იკრებდნენ. აღარ ირწეოდნენ ხეები. აღარ ტრიალებდნენ მთები და ტყეები. თანდათან ნათლად ესახებოდა ირგვლივ ყველაფერი.

ზღვიდან დაძრული ქარვისფერი ღრუბლების ქარავნები სწრაფად მიეშურებოდნენ ურთისაკენ, თითქოს გვაჩის ჩამოსვლა უნდა ახარონო სოფელს.

უკვე საკმაოდ მომაგრდა და სიარული შეეძლო, მაგრამ ბუნების საოცარი სილამაზით მოჯადოებული გარინდებული იდგა ერთ ადგილას.

აქ დაიბადა და გაიზარდა გვაჩი, მაგრამ კოლხიდის ბუნებას არასოდეს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუქცევია მისი ყურადღება. პირველად ხომ არ ხედავდა ამ ჭაობებს, ედა-ბურსა და მედიდურ ტყეს. ჰაეროვანსა და ლურჯ ცას. მშობლიურ ურთას. არა, ახლა რაღაც სხვანაირად შეიცნო გვაჩიმ ყველაფერი — ახალი თვალით ხედავდა ნაცნობ მხარეს.

ქარი ურთაზე აიჭრა, ღრუბლების გვირგვინი შეადგა მთას და სიწყნარე მოჰფინა ჭაობსა და ტყეს.

— რა სიმშვიდეა, რა სიწყნარეა! ბედნიერია ირგვლივ ყველაფერი. რა ალერსიანად ლივლივებს ჭაობი, როგორ საიდუმლოდ განაბულა ტყე!

არასოდეს არ ენახა ურთა ასეთი მედიდური და წარმტაცი. არა სჯეროდა, მშობლიურ მიწაზე რომ იდგა, მშობლიური ჰაერით რომ სუნთქავდა.

დედა სულ ახლოს ეგულებოდა ახლა. მისი ლოცვებიც-კი ესმოდა და მის გულის ცემასაც გრძნობდა. ასე უცემდა დედას გული, ფრონტზე რომ აცილებდა. ბაქანზე იდგა ტანმორჩილი და სუსტი. ჩამოქნილი, ოდნავ მოყვითალო სახე გაფითრებული ჰქონდა. შიშითა და სიყვარულით შეჰყურებდა შვილს ცრემლმომდგარი თვალებით. რა სიხარულით აენთებიან ახლა ეს თვალები. როგორ აფორიაქდება პატარა დედის პატარა გული.

ვახშმობის დრო იქნებოდა, გვაჩი სოფელს რომ მიუახლოვდა. სადღაც ძაღლი ჰყეფდა. მახლობლად ჭიშკარმა გაიჭრიალა. ვიღაც შეშას ჩეხდა. მეზობელი მეზობელს ეძახდა. გვაჩიმ ხმაზე იცნო. იმასაც იცნობდა, ვისაც ეძახდნენ.

სოფელში იყო უკვე. ფეხს აუჩქარა. ისეთ სიხალისესა და სიხარულს გრძნობდა, მზად იყო მეზობლისთვის დაეძახნა, რომ ჩამოვიდა, რომ აქ არის. მათი ხმა ესმის. ხედავს მათ. რატომ არ იღება კარები და ჭიშკრები, რატომ არ ეგებებიან მახლობლები და ნათესავები?

გვაჩი უსათუოდ დაიყვირებდა, უკოჩობა ნარმანიას სახლს რომ არ მიექცია მისი ყურადღება.

უკოჩობას ისლით დახურული, ორთვალიანი პიტაფიცარა სახლი მის გვერდით მდგარ კაკლის ხის ვეება, ბოჯოჯღა ტოტების ჩრდილში, დაყუჟულ, ზღაპრულ ფრინველს ჰგავდა. სახურავიდან ასული შუაცეცხლის კვამლი ცისფერ ბოლქვებად ეკიდა კაკლის ტოტებზე და ტოტებთან ერთად ნელა ირწეოდა.

სახლი ჩვეულებრივზე უფრო გაჩირაღდნებული მოეჩვენა გვაჩის. უკოჩობას ლამფა ენთო უთუოდ. ლამფას მარტო სტუმართან ან რაიმე დღესასწაულისას ანთებდა ხოლმე უკოჩობა. სახლიდან გიტარის ხმაც მოისმოდა. უკოჩობას გოგონა უკრავდა. ნაცნობ სიმღერას დამღერდა ფუცა. მისი პატარა და ტკბილი ხმა თითქოს უფრო შორიდან ისმოდა, თითქოს ნიავს მოქონდა ლურჯი ურთიდან.

გვაჩი და უკოჩობას ვაჟი ხუტა ერთად წავიდნენ ფრონტზე. ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ, შრომასა და ჯაფაში ერთად იყვნენ, ერთად უჭირდათ და ულხენდათ. ერთად დაამთავრეს სკოლა. ფრონტზედაც ერთ ნაწილში მოხვდნენ. ორი წელიწადი ერთად იბრძოდნენ. უკანასკნელ იერიშზე ხუტა თავში დაიჭრა. სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე არ დაუკარგავს ხუტას გონება. დედ-მამაზე სწუხდა: „ისე ვკვდები, მამის ოცნება ვერ ავასრულე. სულ იმას ამბობდა მამა,—ღმერთო, ისლიან გადახურულ ჯარგვალში ნუ მომკლავო. რაც მუშაობა დავიწყე, დედ-მამის ჩუმად სახლის ასაშენებელ ფულს ვაგროვებდი. ოცი ათასს მოვუყარე თავი“. შემნახველ სალაროს წიგნაკი გადასცა გვაჩის: სახლი მაინც ექნებათ ჩემს მოსაგონადო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაჩის გული შეეკუმშა. უნებლიედ გადადგა ფეხი დაღუპულ მეგობრის სახლისაკენ. რატომღაც ისე ფრთხილად და უხმოდ შეაღო ჭიშკარი, ძაღლსაც არ გაუგია მისი ეზოში შესვლა.

აივნის წინ შედგა. კედელზე ჩამოკიდებული ნაცნობი, პატარა დაფა დაინახა. გვაჩი და ხუტა ჯარში გაწვევის წინ საალმშენებლო ინსტიტუტში შესასვლელად ემზადებოდნენ და ამ დაფაზე მეცადინეობდნენ. აი მათი უკანასკნელი მეცადინეობის დროს ხუტას მიერ დაწერილი ალგებრის მაგალითი. მთვარის შუქზე გარკვევით და ნათლად მოსჩანს ცარცით ნაწერი მსხვილი ასოები. ცარცი იქვე იდო ძელებს შუა. მაგალითი ამოუხსნელი დარჩათ და ახლა გვაჩის ისე მოეჩვენა, თითქოს ორი წლის განმავლობაში დაფაზე შერჩენილი ეს ასოები ხუტას დაბრუნებას ელოდნენ.

დიდხანს იდგა გვაჩი დაფის წინ. არც გიტარის ხმა ესმოდა იმ წუთში და არც ხუტას მშობლების ლაპარაკი. მთელი მისი არსება ხუტაზე ფიქრით იყო მოცული. მძიმე მოგონება ტანჯვის ნაოჭებად დაეყარა სახეზე. უიმედო სევდით შეჰყურებდნენ მისი კეთილი თვალები დაფას. უცებ ხელი ასწია, დაფა უნდოდა ჩამოეწმინდა. უნდოდა წაეშალა მაგალითი, მაგრამ ხელი არ დაემორჩილა. ასე ეგონა, ხუტა ჩამოეკიდა მკლავზე და არ ანებებსო. აწეული ხელი ლოყაზე ჩამოგორებულ ცრემლის წვეთს შეეხო. ფრთხილად მოიწმინდა. ხუტასთვის ჩამოვარდნილი ცრემლიც კი ძვირფასი იყო მისთვის.

შიშით შეხედა დაფას. ეს რა აზრი დაებადა. განა შეიძლება ამ მაგალითის წაშლით ხუტას მოგონებით გამოწვეული ტანჯვის წაშლა? განა აქ ყველაფერი — დაფა, აივანი, ეზო, სახლი — ხუტას არ აგონებს ადამიანს?

გვაჩიმ მწარედ გაიღიმა. გიტარის ხმა მის სმენას მისწვდა. ხუტას საყვარელ სიმღერას უკრავდა ფუცა. რამდენჯერ დაუმღერიათ ხუტას და გვაჩის ამ მოტივზე. აქ, აივანზე, ამ გრძელ და დაბალ სკამზე, რამდენი მთვარიანი ღამე გაუტარებიათ სწავლაზე, ქალაქზე, სიყვარულზე, მომავალ ცხოვრებაზე ოცნებით.

აი სკამზე ჯიბის დანით ამოჭრილი მათი სახელები. შუაში ისარგარჭობილი გული, ხოლო მის თავზე ხუტას ხელით ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს ამოჭრილი სახელი — ნაია.

როგორ ეცილებოდნენ ისინი ერთმანეთს. რამდენჯერ დაუმტვრევიათ ნაიას გამო ერთმანეთისათვის ცხვირპირი. რამდენი ტანჯვა და სიხარული განუცდიათ ამ გოგონასათვის. რამდენ კარგ და საამაყო საქმისათვის წაუქეზებია გვაჩი და ხუტა ნაიას უფაქიზეს ღიმილს. ეს ღიმილი პირველ ხანებში ორივესათვის ერთნაირი სითბოთი და სიყვარულით იყო გასხივოსნებული. მერე უცებ, მოულოდნელად ხუტამ დაისაკუთრა. ო, ნაია, განა შეგეძლო შენი წმინდა და კეთილი გული სხვისთვის დაგეთმო?! რა სულელი და უგულო ვიყავი მე მაშინ: ჯერ შენ გიპირებდი მოკვლას, მერე ხუტას, და ვერც ერთს რომ ვერ შეგელიეთ, თავი უნდა მომეკლა. მაგრამ თქვენ ორივენი ისე ძვირფასნი იყავით ჩემთვის, რომ ვერც ეს შევძელი.

გვაჩი თვალს არ აშორებდა სკამს. ამოჭრილი ასოები და გული მიწას და მტვერს ამოევსო. მათი გამოსახულება მაინც სჩანდა.

სიწყნარე იყო ირგვლივ. კაკლის ხის ყვითელი ფოთლები უხმოდ ეცემოდნენ მდელოზე და აივნის მტვრიან იატაკზე.

კარმა გაიჭრიალა. შუაცეცხლის შუქმა გაანათა გვაჩის სახე. კარებში ეკა იდგა. მაღალი, სავსე. ჭრელი წინსაფრით. თავსაფრიდან გამოცვივნული ჭაღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაშერეული თმა მხრებზე ეწყო. ნაწილი სახეზე ჩამოსცურებოდა. ყოველთვის მშვიდად მომღიმარი თვალები გაოცებით შესცქეროდნენ გვაჩის. ეკა დაინახა, ეს თვალები ხუტას ეძებდნენ და ის რომ ვერ ნახეს, გვაჩიზე მეჩერდნენ შიშით.

— ეკა! — დაარღვია სიჩუმე გვაჩიმ.

— ნანაია, გვაჩი ხარ, შვილო? — შესძახა ეკამ და ხელიდან დოქი გაუვარდა. ზღურბლზე დაეცა, ჭურჭელი დაიმსხვრა. წყლის წინწკლები სახეზე მოხვდა გვაჩის.

დაღვრილი წყალი ერთ ადგილას გაიშალა. ზედაპირზე მიწური იატაკის მტვერი მოიგდო და გვაჩისკენ წავიდა ზოლებად. მთვარის შუქზე მტვერმოგდებული წყლის ზოლები მოლურჯოდ ბზინავდნენ. ამ ზოლებმა ხუტას თავიდან დადენილი შედედებული სისხლის ზოლები მოაგონა გვაჩის. მიწის ფერი ედო მომაკვდავ ხუტას. დენთით გარუჯულ სახეზე სისხლი ასევე ბზინავდა ჩამავალი მზის ალისფერ სხივებზე.

როცა გვაჩიმ კვლავ ეკას შეხედა, მის უკან ეკასავით გაშტერებული უკოჩობა და ფუცა იდგნენ.

— მარტო ხარ, გვაჩი? — ჰკითხა ეკამ.

გვაჩის სახეზე ჯერ გაკვირვება ალიბეჭდა, მერე მწუხარე. თანაგრძნობით გაუღიმა დედას:

— მარტო ვარ, ეკა.

— სამი თვეა არაფერი მოუწერია ხუტას, სამი დღე არ გაუთენდეს დედა მისს! ვაიმე, რავა გამოვშტერდი მე უბედური, რას უდგეხარ, მუთარე? [1]) არიქა, ფუცა, სკამი მოართვი...

— ბიძია გვაჩი! — შეეღურტულა ფუცამ და აივანზე გამოსხლტა. კისერზე ჩამოეკიდა გვაჩის. — ჩამოხვედი, გვაჩი? — ტირილი წასკდა. მკერდზე მიეკრა სახით. — ხუტა, ხუტა რატომ არ ჩამოვიდა? — აზლუქუნდა უფრო.

ხელი შეუშვა გვაჩის. ერთხანს თავდახრილი იდგა მის წინ. ტიროდა, თვალებს ისრესდა, ცრემლიან ლოყას იმშრალებდა მკლავებით. მერე თავი აიჭნია, თმა უკან გადაიყარა. გაუცინა, მკლავზე წაეტანა და აივანზე გრძელ სკამისკენ წაიყვანა.

— არა, აქ არა, — უკან შემოაბრუნა, ისევ ატირდა. თვითონაც არ იცოდა, რას სჩადიოდა, ან რას ლაპარაკობდა. ოდაში შეიყვანა. იმ კველაზე დასვა, სადაც თვითონ იჯდა. შეხედა, გაღიმება სცადა, მაგრამ ისევ ატირდა.

უკოჩობა შეაცეცხლის მეორე მხარეს დაჯდა. ხვნეშოდა, გაფითრებულ სახეზე წამის-წამ მზემოკიდებულ, ტლანქ და ღონიერ ხელს ისვამდა. ახალოხის საყელო შეხსნილი და წვერგაბურძგნული იმ კაცს ჰგავდა, რომელსაც რაღაც უჭირს, შველას თხოულობს, სათქმელი აქვს, მაგრამ ენა არ ემორჩილება. ისე იჯდა გალურსული. რაზე ფიქრობდა ამ წუთში, ან რისი ეშინოდა და რამ წაახდინა ასე, თვითონაც არ იცოდა, უაზროდ მისჩერებოდა გვაჩის და მორჩილად ელოდა რაღაცას.

ასევე უძრავად იდგა კარებთან გვაჩისკენ მიბრუნებული ეკა, გულზე ხელებდაკრეფილი და სახე ოდნავ გაფითრებული.

---

[1]) წინათ სამეგრელოში ცოლ-ქმარი ერთმანეთს ნამდვილ სახელს არ უწოდებდნენ და პირობით სახელს არქმევდნენ. ეს ჩვეულება ახლაც არის შემონახული.

ფუცამ თვალები მოიმშრალა, თავი შეაქანა, კულულები შეარხია და ბმობლებს შეხედა გაჯავრებით.

— რამ დაგამუნჯათ? — შეუწყრა მათ. — რატომ არაფერს ამბობთ ტაზე? ხომ ახდა ჩემი სიზმარი, ხუტაც ხომ მალე ჩამოვა, გვაჩი? მე ყოველთვის მიხდება სიზმარი. უთხარი დედას... სამი თვეა სულ ტირის. მეც ვტირიდი, მაგრამ წუხანდელი სიზმრის აქეთ არ მიტირია. აწი აღარ ვიტირებ, ხუტას ვფიცავარ, აღარ... — და ფუცა ისევ ატირდა.

— ფუცა! — დაუტია უკოჩობამ შვილს. მისი ხმა იმდენად არაბუნებრივი და გაუბედავი იყო, რომ შეეშინდა, მეც არ წამსკდეს ტირილი. რომ გაჩუმებულიყო და არ დაელაპარაკა, ასედაც მოუვიდოდა. — წადი, ახალი წყალი მოიტანე! — უთხრა რამდენადაც შეეძლო მშვიდად.

ფუცა წამოხტა. გვაჩის წინ გაურბინა. კუთხეში კოკას დასწვდა და სწრაფად გავარდა.

ხუტას სიკვდილის მეორე დღეს გვაჩიმ წერილი გამოუგზავნა უკოჩობას. დაწვრილებით სწერდა შვილის დაღუპვის ამბავს. იმასაც კი ატყობინებდა, თუ სად დამარხა. მაგრამ გვაჩი ხედავდა, რომ წერილი არ მიეღოთ, რომ არაფერი იცოდნენ ხუტას შესახებ. თავზარი დასცა იმის გაფიქრებამაც კი, რომ ახლა მან უნდა უთხრას მათ ხუტას დაღუპვის ამბავი.

განაბული იჯდა გვაჩი. ცეცხლს შეჰყურებდა გაშტერებული, რომ ეკასა და უკოჩობასთვის თვალი მოერიდებია. მაგრამ გრძნობდა, როგორ შესცქეროდნენ ისინი. უცებ წამოდგა.

— წავალ, თორემ დედა დაიძინებს, — წაიდუდუნა დაბნევით და კარებისკენ დაიძრა.

— დედა? — გაიკვირვა ეკამ და ქმარს გადახედა შიშით.

— სახლში არ ავსულვარ ჯერ, — მიბრუნდა გვაჩი ეკასკენ. არ შეუხედავს მისთვის, არ დაუნახავს ეკას გაფითრებული სახე და შეშინებული თვალები. — უკვე გვიანაა, დედა დაწვება.

— დედა... — დაიწყო ეკამ, ენის ბორძიკით და აღელვებით: — ცაბუს... ერთი პირი გამოძინებული ექნება უკვე.

ეკას აღელვებული ხმა არ მოეწონა გვაჩის.

— დედა ავად ხომ არ არის, ბიცო?

— არა, არა, შვილო... მაგიდა გადმოდგი, მუთარე. უვახშმოდ რავა გაგიშვებ, შვილო. დღეს ხუტას დაბადების დღეა. მის ამბავს მაინც არ მოგვიყვები? დაჯექი, გენაცვალე.

ჩანთა ჩამოხსნა. ქუდი მოხადა, შუბლზე ხელი მოუსვა და ცივი ოფლი მოსწმინდა.

— უიმე, ცუდი ფერი გადევს, ნანა. აქ დაჯექი ცეცხლთან, შემოგევლე. — სკამი დაუდგა კერის პირას. — აბა ჩქარა, — მიუბრუნდა ქმარს და განჯინისაკენ წავიდა. — ისეთი თიკანი დავკალი, ჭყინტი ყველივით ხორცი აქვს.

უკოჩობამ კუთხიდან სუფრა-გადაფარებული მაგიდა გამოსწია და კერის პირას დადგა. შეანჯღრია, კარგად დგას თუ არაო. ერთ მხარეს, საითაც მაგიდის ფეხი მიწას არა სწვდებოდა, ნაფოტი შეუდვა. კვლავ შეანჯღრია. მაგიდა აღარ ქანაობდა, სწორედ იდგა. უკოჩობა მაინც ეჭვობდა.

— ვოსი, — მიმართა ცოლს: — ნახე, კარგად დგას მაგიდა? — კედელზე მიჭედილ თაროდან თავისი საყვარელი ლამფა გადმოიღო და როცა ეკამაც შეამოწმა მაგიდა, დიდის სიფრთხილით წამოვიდა კერისაკენ.

ლამფა ორივე ხელში ეჭირა. არ დამეჯახოთო, ისე შესძახა ეკას და გვაჩის, თითქოს ასი აჩოჩქოლებული ადამიანი ხვეოდა გარშემო. მოკლე [illegible] დიოდა. მიწას შიშით ადგამდა ფეხს. მის სიმაგრეშიც კი ეპარებოდა ეჭვი კველასა და სკამებს შორიდან შემოუარა.

ფუცა და ეკა ერთ ადგილას იდგნენ, სანამ უკოჩობა მაგიდასთან არ მივიდა, ხელით არ მოსინჯა ლამფისათვის მიჩნეული ადგილი და ლამფა არ დადგა.

ფუცას კოკა ხელში ეჭირა. ჭაზე პირი დაებანა და შეუმშრალებელ ლოყაზე წყლის წვეთები უციმციმებდნენ. როგორც კი უკოჩობამ ლამფა დადგა, ეკასა და ფუცას მოძრაობის უნარი დაუბრუნდათ.

— რა ამბავია სოფელში, უკოჩობა? როგორ ცხოვრობთ, როგორ მუშაობთ?

— არა, გვაჩი, ჯერ ხუტას ამბავი მოგვიყევი, — პირში ეცა გვაჩის ფუცა.—სოფლისა და კოლმეურნეობის ამბავს მთელ კვირას ვერ მოგიყვება მამა, მარტო მისი ბრიგადის ქებას მოუნდება ერთი დღე. აქ დაჯექი. — მაგიდის თავში დასვა ძალით. — მეც შენთან დავჯდები, მაგრამ შვიდ წელიწადს ვერ გავთხოვდები. — სთქვა სიცილით, რომ უხერხული სიჩუმე და დედამის სახეზე აღბეჭდილი ფარული შიში გაეფანტა.

ყველანი ჩუმად შემოუსხდნენ მაგიდას.

ფუცა მაინც არ ისვენებდა. ტყემლის წვენი დაუსხა გვაჩის. სულგუნი ჩაუხარშა ღომში.

— ძალიან გენატრებოდა სულგუნი? ხუტასაც ასეთი უყვარდა, ჩვილი, ცოტა მარილიანი. შეხედე ამათ, როგორ ჩამოუშვეს ცხვირპირი, — უჩვენა მშობლებზე: — ხუტაც ხომ ჩამოვა მალე? როგორც ამელამ: გაიღება კარი და ზღურბლზე ხუტა გამოჩნდება. გამოიცვალა ხუტა? პაგონები ძალიან უხდება?

უკოჩობამ ჭიქა აივსო, ფუცა გაჩუმდა. მამამ რომ სუფრა დალოცა, ერთხანს ყველანი ხმაამოუღებლივ სჭამდნენ. ფუცა ხან რას გადმოუღებდა და ხან რას გვაჩის. თან მოუთმენლად ელოდა, როდის დაიწყებსო გვაჩი ხუტას ამბავს.

უკოჩობამ ახლა ჩაის ჭიქა გაავსო ღვინით.

გვაჩის არ შეუხედავს. ხუტას სადღეგრძელოს იტყოდა ეგონა და თვალი მოარიდა. მაგრამ უკოჩობას ჩვეულება გაახსენდა:

უკოჩობა სადღეგრძელოს თქმის დროს არავის არ უყურებდა. ჭიქა თუ ყანწი ყოველთვის მხარის სიმაღლეზე ეჭირა. ბეჭებში გაშლილს თავი ოდნავ უკან ჰქონდა გადაწეული, თითქოს დაუსრულებელ სივრცეს უწვდენსო თვალს. მაშინ მის თვალებში რაღაც იდუმალი, გამოუცნობი შუქი ელავდა. ასეთსავე მდგომარეობაში იყო უკოჩობა მაშინაც, როცა მის სადღეგრძელოს სვამდნენ. მხოლოდ ამ დროს სიამაყის იერი და ბავშვური სიხარულის ღიმილი ემატებოდა. არაფერი ისე არ უყვარდა და ისე არ მოსწონდა უკოჩობას, ვერაფრით ისე ვერ ასიამოვნებდი და გაახარებდი, როგორც მისი სადღეგრძელოს შესმით. ოღონდ მისი სადღეგრძელო დაგელია და ქვეყანა თავისი ეგონა. ამიტომ რაც გინდ პატარა სუფრა არ ყოფილიყო, უკოჩობას სადღეგრძელო რამდენჯერმე შეისმოდა და მას ერთი წვეთი ღვინოც რომ არ დაელია, მარტო ეს სიამოვნება დაეთრობდა.

გვაჩის არც მაშინ შეუხედავს უკოჩობასათვის, ხუტას სადღეგრძელოს ნაცვლად მასზე რომ დაიწყო ლაპარაკი. სხვა დროს გვაჩი უსათუოდ შეაწყვეტინებდა და დაუშლიდა. ახლა თავდახრილი იჯდა, ყურსაც არ უგდებდა. ქონდრის სუნელით შემზადებულ გოჭის შიგნეულს სჭამდა და ისიც იმიტომ,

რომ მოწმესავით არ მჯდარიყო, რაიმე გაეკეთებინა. როცა უკოჩობას შემდეგ ფუცამ ჭიქა მიუჯახუნა, გვაჩი უცებ გამოერკვა: მისი სადღეგრძელოს სმის დროს დედა არავის უხსენებია. ამას ინსტიქტიურად მიხვდა. [illegible] ღანაც ეკა როგორღაც დაიბნა, დედა რომ ახსენა. ხმაც გაებზარა [illegible] არა, რაღაც ფარსაგია დედას თავს.

სწრაფად შესვა სამადლობელო და მისი გონება კვლავ ხუტას დაუბრუნდა. სახლში ესწრაფებოდა. როგორმე უნდა ეთქვა ხუტას ამბავი და წასულიყო. თეფში განზე გადადგა, ხელი შეიწმინდა და თავი ასწია. სახეში შეხედა ეკას და უკოჩობას, თითქოს აფრთხილებს, აბა მოემზადეთ და გამაგრდითო. მაგრამ დედა-მამის შემოხედვამ და ხუტას ამბის მოლოდინით გამთბარმა მათმა სახეებმა ერთბაშად წაახდინეს.

— ცუდად ხომ არა ხარ, გვაჩი? — ჰკითხა ეკამ.

— ჰა, არა, არა. დავიღალე. ხუთი დღეა გზაში ვარ.

— ხუტა როდის ნახე უკანასკნელად?

გვაჩი უფრო დააბნია ასეთმა მოულოდნელმა კითხვამ.

— სამი თვის უკან... — დაიწყო და მეტი ვეღარაფერი სთქვა. ისე გაშტერდა, თითქოს დანაშაულზე წაუსწრესო. თუთუნი სთხოვა უკოჩობას.

— პაპიროსს მოგიტან,—წამოხტა ფუცა.—მთელი კოლოფი დარჩა ხუტას.

სანამ ფუცა დაბრუნდებოდა, გვაჩიმ თავისი ჭიქა თვითონ გაავსო ღვინით და დალია. მერე უკოჩობას ჩაის ჭიქა გადაიდგა, ისიც გაავსო და დალევდა, ალბათ, ფუცა რომ არ დაბრუნებულიყო: ყველაფერ ამას მექანიკურად, უაზროდ სჩადიოდა.

— აი „არსენაა“, — გაუწოდა გახსნილი პაპიროსის ყუთი, რომელზედაც კინოფილმიდან გადმოღებული არსენას სურათი ეხატა. გვაჩის რატომღაც გაახსენდა მსახიობი, რომელიც არსენას როლს თამაშობდა. მას იგი ფრონტზე ენახა, ახალ კინოფილმში.

— შენ რომ არ ეწეოდი, გვაჩი? — ჰკითხა ფუცამ.

— ფრონტზე დავიწყე, — იცრუა, პაპიროსი თითის ძირში დაიჭირა უხერხულად, ხუთივე თითი გაფშიკა. ორ-სამჯერ მოსწია მოუკიდებლად და მაგიდაზე დასდო. გადასწყვიტა, დაემალა მშობლებისათვის ხუტას დაღუპვა.

დაე, ხუტა ცოცხლობდეს მათში, ასე ლამაზად, ასე ცოცხლად, ასეთი სიყვარულით და სიხარულით, როგორც ახლა. მუდამ მოელოდნენ მას, როგორც ახლა ელიან. „გაიღება კარი და ზღურბლზე ხუტა გამოჩნდება“-ო. ახლაც ესმის გვაჩის ფუცას იმედიანი ხმა.

ჭიქა აიღო. თვალი გაუსწორა ეკას და უკოჩობას. ეს თვალები პატიებას ითხოვდნენ დედ-მამისაგან. რცხვენოდა გვაჩის და თან თავს იმართლებდა. შეყოყმანდა, პირდაპირ კედელს მიაჩერდა.

ეკასა და უკოჩობას უზარმაზარი ლანდები დაღოღავდნენ კედელზე. ერთმანეთს ფარავდნენ, შორდებოდნენ. სხვადასხვა გამოსახულებას ღებულობდნენ და გვაჩის აფორიაქებულ გონებაში იჭრებოდნენ. იქაც ირეოდნენ ათასგვარად. ხოლო ამ ბნელ და მძიმე ლანდებს იქით ხუტას სახე კრთოდა, ლანდივით უფერული და უსულო.

კედლისათვის თვალი არ მოუშორებია, ისე დაიწყო ლაპარაკი. სწრაფად და აღელვებით ლაპარაკობდა, თითქოს ეშინოდა, დიდის გაჭირვებით თავმოყრილი აზრები არ გაჰფანტოდა. ხუტას უკანასკნელი ბრძოლის ამბავს ყვებოდა.

უკოჩობა და ეკა სულგანაბულნი უსმენდნენ. ფუცას შიშველი იდაყვები მაგიდაზე დაედო და ნიკაპით დაყრდნობოდა დამუშტულ ხელებს. სახე ხან ღიმილით ეშლებოდა, ხან შუბლს კუშტად შეიკრავდა. პატარა ბუბუ ხვით მოკუმავდა. სუნთქვაშეკრულს სახე უფითრდებოდა. მაშინ ნიკაპით მაგრა დააწვებოდა დამუშტულ ხელებს, კბილებს ერთმანეთს აჭერდა და ამით იკავებდა ქვითინსაც და თვალებში მომდგარ ცრემლებსაც.

გვაჩი თანდათან დამშვიდდა. იმაზე, რაც ხუტას არ ეხებოდა, დალაგებით და ნელა ლაპარაკობდა. როგორც კი ხუტაზე გადავიდოდა, ურევდა, ენა არ ემორჩილებოდა. ხუტას დაჭრამდე რომ მივიდა, გაჩუმდა. წყალი შესვა, აგვისტოს ცვარივით წმინდა და ციმციმა.

თვალწინ ედგა მომაკვდავი ხუტა. მისი ხმაც კი ესმოდა. არა სჯეროდა ხუტას, თუ მოკვდებოდა. გვაჩის გამხნევებასაც კი ცდილობდა. ულიმოდა. სახეზე ჩამოდენილ სისხლს ხელის გულით იწმენდდა. „ასეთი პატარა ჭრილობა რავა მომკლავს, ბიჭო? ტყუილა ვარ ზორყან ნარმანიას სისხლისა. შეხედე, — უჩვენებდა შედედებულ სისხლზე: — შინდისფრად ბზინავს ეს ოხერი“, — დასძენდა მწარედ. გვაჩის სახეზე კითხულობდა, რომ მის სიცოცხლეს დიდი დრო არ ეწერა. თანდათან ჰკარგავდა ღონეს.

უმთვარო და ცხელი ღამე იდგა. ტყის პირას ჭაობთან ესვენა ხუტა. გარშემო ადამიანის ჭაჭანება არ იყო. გადარუჯული მიწა ყუმბარებით, ნაღმებით და მძიმე ტანკების მუხლუხებით იყო დაღარული. აქა-იქ დალეწილი საბარგულები და ავტომანქანები ეყარა, ზოგი ყალხზე შემდგარი, ზოგი ცხვირით მიწაში ჩაფლული. ზოგნიც ერთმანეთს დასტაკებიან და ისე შედუღებულან, რომ ცეცხლისაგან შეჭმულ ერთი მანქანის ჩონჩხს ჰგვანან.

ადამიანის ძვლებისთვის ვერა ევნო-რა ცეცხლს. ერთ ადგილას მოსჩანდა ზეწამომდგარი და ხელებ-გაშლილი დამწვარი კაცი. მისი ჩონჩხი ისევე დარჩენილიყო შავ ღამეში შავად გარუჯულ მანქანაზე, ცისაკენ ხელებ-აპყრობით, თითქოს ცას უჩვენებს მიწაზე მომხდარ უბედურებასო.

აფეთქებული ტანკები ზღაპრული გველეშაპებივით იდგნენ სიბნელეში. ზოგი, ცეცხლმოდებული, ჯერ კიდევ ვარვარებდა. ზოგს თხელი კვამლი ეხვია შავ ნისლად.

ყველგან მკვდრები ეყარნენ. შეტევა ისე სწრაფი იყო და მტერმა ისე უცებ დაიხია უკან, რომ მათ დასამარხავად ჯერ ვერ მოეცალათ.

გვაჩი შვმთხვევით წააწყდა ხუტას. თავის მიერ აფეთქებული ტანკის წინ თავდაღმა ეგდო ხელებ-გაშლილი და სახით მიწაში ჩაფლული. ერთი შეხედვით მკვდარს ჰგავდა და სანიტრებსაც ამიტომ გამორჩენოდათ.

სამგან დაჭრილი გვაჩი წინ გაჭრილ მებრძოლებს მისდევდა. მოკლულ ჯარისკაცებს განს უვლიდა. მკვდრებს ფეხს არ ადგამდა. ბავშვობიდან ცხედრის შიში და მორიდება ჰქონდა ჩანერგილი. ხუტა რომ დაინახა, ავტომატი მხარზე გადაიკიდა და მეგობრის წინ ჩაიმუხლა შეშინებულმა. სწრაფად გადმოაბრუნა. პირთან მიუტანა ყური. სუნთქავსო, სიხარულით გაეხმიანა თავის თავს. სახე, თვალები, პირი შედედებული სისხლით, მიწით და დენთით ჰქონდა შეგლესილი. როცა გრძნობაზე მოვიდა და გვაჩი იცნო, ულონო ხელებით საყელოში სწვდა და პირველი სიტყვა, რომელიც დიდის გაჭირვებით წარმოსთქვა, ძლივს მისწვდა გვაჩის ყურს: „არ მიმატოვო, ჯიმა“, — შესთხოვა ვედრებით.

გვაჩის თვითონაც ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული და ამხანაგებს ველარ

ერეკლეულ ბიბლიოთეკა

დაეწეოდა. არც სიარული შეეძლო. ესეც რომ არ ყოფილიყო, ხუტას ვერ მიატოვებდა.

ხუტას რომ ჭრილობა შეუხვია, ახლა თავის თავს მიხედა. არ ვიცოდა, ან თუ იყო დაჭრილი. ფეხის და მკლავის ჭრილობა არაფრად ჩააგდო. მკერდისამ-კი ცოტა ჩააფიქრა. ბეჭი და ნახევარი მკერდი სტკიოდა.

ხუტას არ შეამჩნევინა, დედასავით დატრიალებდა. მათარაში ცოტა არაყი აღმოაჩინა. რამდენიმე წვეთი ჩააყლაპა.

ხუტა ნელა ალაპარაკდა:

— თუ ცოცხალი გადარჩი, ნაიას მოუყევი, რა უცნაურად დავიღუპე, — მწარე ღიმილით შეხედა გვაჩის. ერთხანს მოგონების ბურანში გაეხვია: — შავებს ჩაიცვამს ჩემზე ნაია. როგორ მოუხდება! ლოყებსაც დაიკაწრავს, ალბათ, და თმას გაიშლის... გახსოვს, ბჟოლის ხიდან რომ ჩამოვარდა. ძლივს ამოვიყვანეთ კურკანტელას ბარდებიდან კაბა-შემოხეული. მკლავები და სახე ერთავად დაკაწრული ჰქონდა.

შეისვენა. ჩაფიქრებული სდუმდა პირალმა მწოლარე. ღრუბლებს შეჰყურებდა, შავად დაშვებულთ:

— რა ბედნიერი იქნება, ვინც ცოცხალი გადურჩება ამ ომს. რა კარგია თურმე სიცოცხლე, გვაჩი! შენ არ იცი მისი ფასი. არავინ არ იცის მისი ფასი, თუ აი ასე ჩემსავით...

3984

გაჩუმდა. ხელი ჩაიქნია.

— ჩვენ დავწინაურდით და მარცხენა მხრიდან მომავალ ტანკებს გადავუღობეთ გზა. კუპრიანოვი ჩემს თვალწინ გადათელა ტანკმა. ბლისტინოვს ორივე ფეხი მოგლიჯა. ექვსი მანქანიდან ეს ერთი გამოგვექცა. — მის წინ მდგარ აფეთქებულ ტანკის მოტორს ცეცხლი ეკიდა ისევ. — ცამეტი კაციდან მე დავრჩი. ეს ოხერი ყველაფერს აფუჭებდა. ფეხდაფეხ გამოვუდექი მინდორზე გაჭრილს. ჭაობთან გადავუჭერი გზა. ერთი გრანატის კონა მქონდა. ალბათ, ჭკუაზე არ ვიყავი. წინ აღვუდექი მთელი სისწრაფით მიმავალს. ახლაც ვერ მივმხვდარვარ, რატომ შედგა ტანკი. ოციოდე ნაბიჯზე რომ მომიახლოვდა, ერთბაშად დაამუხრუჭა. უმალვე კოშკის სახურავი აიხადა ხრიალით. ქერათმიანმა ყმაწვილმა ამოჰყო თავი. მერე ზედატანით აიწია. ჯმუხი იყო, ძვალმსხვილი. თვალები თხას მიუგავდა. გაკვირვებით შემომაჩერდა, ორივე ხელით კოშკის ყელს დაებჯინა. საძაგელი ხარხარი წასკდა. ხელებს მუცელზე იკიდებდა, როხროხებდა. ჩემი არ იყოს, არც ის უნდა ყოფილიყო სრულს ჭკუაზე. მე გაოგნებული ვიდექი, ის კი სიცილისაგან იფხრიწებოდა. არ ვიცი, რამდენმა ხანმა გასტანა ასე. ბოლოს ტყვიამფრქვევის მთელმა ჯერმა ჯადამიწვა თმა. უკანასკნელმა ტყვიამ კი თითქოს თავის ქალა გადამაძროო. მუხლებზე დავეცი. ხარხარი ისევ მესმოდა, მხოლოდ უფრო შორიდან მოდიოდა თითქოს. სახეზე სისხლის ღვარი ჩამომედინა და თვალები ამომივსო. ირგვლივ ყველაფერი დაბნელდა. არ ვიცი, როგორ ვისროლე გრანატი. ჯერ ჯავშანზე დანარცხების, მერე საშინელი აფეთქების ხმა შემომესმა. თავში ახლა რაღაც უფრო მძიმე და მწვავე მეძგერა. ასე მეგონა, შუბლი შემინგრიაო. ამის გაფიქრება-ღა მოვასწარი, მაშინვე სმენაც დავკარგე და გრძნობაც. რა მოხდა მერე, აღარაფერი მახსოვს.

ხუტა შუაღამემდე მხნედ იყო. წაიძინა კიდეც, მაგრამ წარა-მარა ახელდა თვალებს. აქა ხარო, გვაჩი? — კითხულობდა შიშით. გამშრალ და გაფითრებულ ტუჩებზე ხელს მოისვამდა და ყრუდ ამოიკვნესებდა. ღრმად სუნთქავ-

ბიბლიოთეკა

და: ჭრილობაზე შემოხვეული ბინტი სისხლით გაიღენთა. სისხლი ბინტში
რომ ვერ დაეტია, ენთვა დაიწყო. ცივი და წებოვანი, სახესა და კისერზე ჩა-
მოედინა. მკერდთან პერანგმა შეაკავა. იქ შედედდა, შეაცივდა [illegible]
შემოეკრა. სუნთქვა შეეკრა, ჰაერი აღარ ყოფნიდა.

— გვაჩი, — მხარზე წაეპოტინა, ცრემლიანი თვალებით შეხედა. მეგობრის
თვალებშიაც რომ ცრემლი დაინახა, ნუგეში მოეცა, ცრემლდაუცემელი მა-
ინც არა ვკვდებიო. — არ მეგონა, თუ მოვკვდებოდი: წელიწადნახევარი გან-
ზე გამირბოდა ტყვია. სუუ! გესმის, გვაჩი? ის წყეული ქერა ტანკისტი ისევ
ხარხარებს. არ გესმის? აი აგერ როგორ ეხეთქება კოშკურას. შენ ვერ ხედავ,
არ გესმის? მე მეჩვენება, ალბათ.

გაჩუმდა, არაყი მოსვა მათარიდან. ერთხანს ხმა არ ამოუღია. მერე წამო-
იწია. გვაჩი მიეშველა. აი ასეო, სთქვა და მკერდზე მიესვენა. თავი გვაჩის
მხარს მიადო.

— გახსოვს, როგორ ვემზადებოდით უმაღლესისათვის. ალგებრაში რომ
უკანასკნელი მაგალითი ვერ ამოვხსენით. რამდენი იცინა ნაიამ... როგორ
გვარცხვენდა. მაგალითი მაინც ამოუხსნელი დაგვრჩა. არც წაგვიშლია, ის
დაფა ისევ აივანზე ეკიდება ახლა... შენ დაბრუნდები სახლში. ახლა ხომ ამო-
ხსნი, გვაჩი? მეც ამოვხსნიდი უსათუოდ, მაგრამ მე ვერასოდეს ველარ... გუ-
ლისჯიბეში შემნახველი სალაროს წიგნაკი მაქვს. ხუთი წელიწადია მამის
ჩუმად სახლის ასაშენებელ ფულს ვაგროვებ. მამას გადაეცი... ჭადრის მარ-
ცხნივ დადგან სახლი.

კიდევ რიღაცის თქმა უნდოდა, ვერ შესძლო, თავი გადაუვარდა გვაჩის მხა-
რიდან. ვკვდებიო, ანიშნა და სუნთქვა შესწყვიტა.

ყველაფერმა ამან ახლა ძალიან სწრაფად გაიარა გვაჩის თვალწინ. მაგრამ
ისე მოეჩვენა, თითქოს რამდენიმე საათი მჯდარიყოს გაშტერებული, უსიტ-
ყვოდ და უმოქმედოდ.

უკოჩობა, ეკა და ფუცა გაკვირვებული შეჰყურებდნენ. არავინ არა სჭამდა
და არა სვამდა. ხელუხლებელი იდვა საჭმელი სუფრაზე. კერაზე ცეცხლი
ბრიალებდა. ხმელი წიფლის წკაპუნი სიჩუმეს არღვევდა.

გვაჩიმ ჭიქა დასცალა. პაპიროსი აიღო, მაგრამ ისევ დასდო.

— ჰო, ფული გამომატანა ხუტამ, — უბის ჯიბისკენ წაიღო ხელი. გაახ-
სენდა, წიგნაკი ხუტას სხვა საბუთებთან ერთად ედო. ამ საბუთებს ველარ
გამოაჩენდა. თავი მარცხნივ გადასწია, ცალი თვალი ჯიბესთან მიიტანა. კარ-
გა ხანს ეძება წიგნაკი და ორივე ხელით ამოიღო ოფლისა და ჭუჭყისაგან
ყდებ-შემოცვეთილი და გახუნებული. წინ დაუდო უკოჩობას.

— სახლი ააშენეთო ამ ფულით, ჭადრის მარცხნივ, ჭიშკრის პირდაპირ
დადგითო.

რაღაც საზეიმო სიჩუმე ჩამოვარდა. ცეცხლმა ბრიალი მიატოვა. ალი თით-
ქოს გაირინდაო. წიფლის ხმელმა ფიჩხებმაც მიატოვეს წკაპუნი.

— ნანაია, შვილო! — წაიჩურჩულა დედამ. ტუჩი აუთრთოლდა. ღვინო
მოსვა.

ფუცამ გაკვირვებით შეხედა დედას.

ეკას არასოდეს არ დაულევია ღვინო. სუნსაც კი ვერ იტანდა. ტუჩი თავ-
საფრით მოიწმინდა. აღარ უთრთოდა ტუჩი. ვარდისფრად აუღაღადა, მერე
სახეს მოედო, თითქოს წითელმა ღვინომ მთელს სხეულში დაუარაო. წიგნა-
კი აიღო, სიყვარულით შეაბრუნ-შემოაბრუნა და როგორც ღვთაებრივი რამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთხილად დასდო ისევ. სიხარულის ცრემლმომდგარი თვალებით დაუცქეროდა სიყვარულით.

უკოჩობა წელში გამართული და მხრებგაშლილი იჯდა. ლამფა ახლოს ედგა, მაგრამ უფრო ახლო მიიჩოჩა. ფიტილს აუწია. ლამფა ყველაფერზე უფრო დიდ განძად მიაჩნდა. ასეთი არაფერი გამოუგონიაო ადამიანს. თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა. თვითონ სწმენდავდა. ნავთს თვითონ ასხამდა. თავის ხელით უკიდებდა და აქრობდა. სტუმართან აანთებდა მხოლოდ. სოფელში ყველამ იცოდა ეს და უკოჩობას სახლში ლამფის შუქს რომ დაინახავდნენ, იტყოდნენ: უკოჩობისას რაღაც ამბავიაო.

გვაჩის უკოჩობისათვის არ შეუხედნია, მაგრამ ლამფის აწევაზე მიხვდა, თუ როგორ გაახარა მამა შვილის საჩუქარმა.

ოცი წლით გაახალგაზრდავებულს ჰგავდა უკოჩობა. ლამაზი არასოდეს არა ყოფილა, მაგრამ რატომღაც ლამაზ მამაკაცად სთვლიდნენ. არც ისეთი მოსული იყო ტანად, მაგრამ კამეჩის ღონე აქვსო, ამბობდნენ.

გვაჩი ახლა-ღა დარწმუნდა ამაში და გაუკვირდა, რატომ ამდენი წლის განმავლობაში არ ამჩნევდა ამას.

პატარა წვერი, მაღალი შუბლი და მელოტი თავი ლომურ იერს აძლევდა უკოჩობას სახეს. ახლა ეს სახე, ბედნიერებით და სიხარულით გამთბარი, უმწეოდ და დაბნევით კრთოდა ლამფის შუქზე.

— ფუცა, პლანი! — იყვირა უცებ. თავის წინ მაგიდაზე მდგარი თეფშები და ჭიქა განზე გადადგა. ხელი გადაუსვა სუფრას. წიგნაკს არ შეხებია, ერთგვარი რიდით და სიამაყით დაჰყურებდა მხოლოდ.

ფუცა სწრაფად გავარდა სახლის მეორე თვალში და ოთხად-გაკეცილი გახუნებული და კვამლისაგან გაჭვარტლული ქაღალდი გამოარბენინა. უკოჩობამ ქაღალდი ჩამოართვა და ისეთი კრძალვით და მოწიწებით დაუწყო გაშლა, სალოცავად ემზადებაო, გეგონებოდათ.

ფუცა დაკვირვებით ადევნებდა გვაჩის თვალს, მაგრამ როცა გაშლილ ქაღალდზე გამოსახულმა სურათმა მასზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა, კუშტად შეიკრა ტუჩები.

— თორმეტი წლის იყო ხუტა, ეს ოდა რომ დახატა, — დაიწყო უკოჩობამ. — როგორი პლანია? — სიტყვა „პლანს“ განსაკუთრებული რიხით ამბობდა.. — რომ გავიზრდები, ასეთ ოდას აგიშენებო, ბაბა. ოდა კი არა, დადიას დოხორეა, [1]) ხუთი თვალია. აივანს შეხედე, ცხენი გაჭენდება ზედ. აი ჭადარი, — თითქო უჩვენა ქაღალდზე ფანქრით დახატულ სახლის წინ. — ეს ის ჭადარია, ეზოში რომ დგას. ხუტამ დარგა თავისი ხელით. არა, თქვი თუ გიყვარდე, ასეთი ოდა ვინმეს აქვს რაიონში?

— დიდებული სახლია, უკოჩობა ნარმანია კი არა, დადია არ დაიწუნებდა ასეთ დოხორეს, — უთხრა ღიმილით გვაჩიმ. თვალს ვერ აშორებდა ბავშვივით გახარებულ უკოჩობას. სახლი იმიტომ შეუქო, რომ ესიამოვნებია, თორემ ასეთ სახლს, ხუტა რომ ცოცხალი იყოს, არაფრის გულისათვის არ ააშენებდაო, გაიფიქრა.

— ორ თვეში ნახავ ამ სახლს ჩემს ეზოში, — რიხით სთქვა უკოჩობამ და წიგნაკი აიღო.

---

[1]) დადიას დოხორე — დადიანის სასახლე.

— რავა, ორ თვეში ჩამოვა ვითომ ხუტა? — წამოიძახა ფუცამ და თვითონვე შერცხვა თავისი უაზრო კითხვის.

— თუ არ ჩამოვა, მე წავალ, — დაფიქრებით წარმოსთქვა ...,
ჩაის ჭიქა დასდგა თეფშზე და სამივე გაავსო ღვინით. გვაჩის შეხედა: — სხვებიც წავლენ. სხვებსაც ჰყავთ მამები. რას ველოდოთ? მხარში უნდა ამოვუდგეთ შვილებს. — ხმას აუწია. — მარტო მე ხომ არ ველი შვილს, რამდენია ჩემისთანა მამა! — ცოლს შეხედა: — ამისთანა დედა, და, ძმა. სანამდე უნდა ვუცადოთ? უნდა გათავდეს თუ არა ომი? მტერმა ზურგი გვიჩვენა. ღმერთმა მისი პირი ნუ დაგვანახვოს აწი. ჰო-და მივსდიოთ ზურგში, შემობრუნება არ ვაცალოთ.

გაღალანებულმა ლამფას გადახედა. სახე ეწოდა მისი სიმხურვალით, მაგრამ არა გრძნობდა.

— ნიკოლოზის დროს ერთი გირვანქა დანაყული თუთუნი დავლიე, სალდათად რომ არ წავეყვანეთ. — სთქვა მოგონებაში წასულმა და თითქოს შერცხვაო, თვალი მოაშორა შუქს. — ამან რომ არ მიშველა, ტყეს მივაშურე. ხემწიფისათვის მომეკლა თავი? ყაზახის მათრახისათვის მეჩხუბა? — „პლანს“ დააცქერდა. — ცოცხალი თავით არავის დავანებებ ამ სახლს. ოცდაათი წელიწადი ვუცდიდი მას.

მისი ტანი როგორღაც მოიმართა. თავი ოდნავ განზე მიაბრუნა და მაღლა ასწია:

— ვერ დამინგრევენ სახლს! — წინ გადიხარა, მთელი მკერდიდ ვადაეფარა ქალალდს, თითქოს სახლს იფარავსო მტრისაგან. — სახლი ყველას აქვს ახლა, გვაჩი. ამიტომ ვერ მოგვერევა ჩვენ მტერი. ამიტომ ვართ ჩვენ სხვებზე ძლიერი.

გაჩუმდა, ღიმილი დაეფინა სახეზე. ჭიქა აიღო თეფშიდან.

— საფერავია. ახუთიდან ჩამოვიტანე. ათფუთიანი ქვევრი თავმოუხდელი მაქვს. ხუტას ვუნახავ. მისი ჭირი შეეყაროს მის ბაბას! წინად, შვილო, გლეხს რომ ვაჟი დაებადებოდა, თოხზე ან კავის ერქანზე მოაკიდებინებდნენ ხელს — კარგი მუშა გამოვაო. ნარმანიები კი იარაღს და ცხენის აღვირს აძლევდნენ ხელში ჩვილს. ჩვენი გვარის ვაჟი მეომარი უნდა დამდგარიყო. ასე მოდის მამა-პაპითგანვე. ბევრი მეჩხუბა ქალი, მაგრამ მაინც არ ვუღალატე ადათს. ჰო, რატომ მოვყევი ამას. ეკატერინე დედოფალს რომ ხალხი აღუდგა, აჯანყების პირველი მოთავე ბაბუა ჩემი იყო, ზორყან ნარმანია. — ცოლშვილს გადახედა. — ეს ის ზორყანი გახლდათ, 1855 წელს ინგირზე გადმოსულ ომერ-ფაშას ჯარს რომ ეკვეთა ორმოცდაათი ცხენოსნით. სწორედ სულზე მიუსწრო გენერალ მუხრან-ბატონს. მან თავისი ხუთ-ათასიანი ჯარის ნახევარზე მეტი შეაკლა ათჯერ უფრო მრავალრიცხოვან ურჯულოს. მტერმა შვიდჯერ უჩვენა მუხრან-ბატონის ჯარს ზურგი. ლომებივით იცავდნენ რუსები ჩვენს მიწას, მაგრამ კაჟიანი თოფებით შეიარაღებული ჯარი აბა რას გახდებოდა, როცა თურქებს „ზატვორიანი“ თოფები ჰქონდათ. ზორყანს ეს ორმოცდაათი კაცი მაშინ შეუკრებია, ბრძოლის წაგება რომ შეუმჩნევია. მხედრები ყველა თეთრი ტანისამოსით შეუმოსია. შავ ცხენებზე შეუსვამს. ნარმანიებს ხომ ოდითგანვე ნაქები ცხენები ყავდათ, ყაბარდოდან და აფხაზეთიდან მოყვანილი. ყოველ მხედარს უკან თავისი დედა, და, ან ცოლი ჯდომია. თმა-გაშლილებს, მათაც თეთრი სამოსი ცმიათ და ხელში მუგუზლები ჭერიათ. საარაკო ბნელი ღამე ყოფილა. ზორყანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის რაზმით მთაზე იცდიდა, კლდეს მოფარებული. როცა თურქების ჯარის სარდალი ისკანდერ-იბლაჰილი ათასი კაცით ინგირზე შემოვიდა, ზორყანის ნიშანზე ჯერ ადგილიდანვე საშინელი წივილ-კივილი აუტეხიათ ქალებს. ორმოცდაათი მეგრელი დედაკაცის ერთად აკივლება ცას წვდებოდა თურმე. ქალების წივილ-კივილს მამაკაცთა ყიჟინა შედგომია. მთელი ქვეყნის ჭინკები და ქაჯები ერთად რომ შეგეყარა, ასეთ საზარ ხმას ვერ გამოსცემდნენ თურმე. ამ თავზარდამცემი ხმის გაგონებაზე მდინარეშივე შემდგარან თურქები. ქარი გლეჯდა იმ ღამეს ცასა და მიწას და ამ ხმებს ყოველმხრიდან ახვევდა მტერს. ათასი კაცი მოჯადოებულივით შემდგარა მდინარეში. შესცქეროდნენ გარშემო უკუნეთსა და თვინიერად ელოდნენ სასწაულს. აი ახლა გამოჩნდებიან ამ ჯადოქრული ხმების გამომცემნიო. დიდხანს არ დასჭირებიათ ლოდინი. ზორყანი ისე უცებ გამოვარდნილა საფარიდან და ისე სწრაფად დაშვებულა მთიდან, ქარს უსწრებდნენ თურმე მისი მხედრები. წკვარამში შავ ცხენებზე მჯდარი თეთროსნები მომფრენალებს გვანდნენ, ჯერ არ ნახულს. ყოველი მომფრენავის თავზე ცეცხლის რკალის ტრიალი უფრო საზარელს ხდიდა ზორყანის რაზმს. ეს ნაძვის მუგუზლები იყო, ქალები რომ იქნევდნენ შეწივლების დაგვარად. მთა, საიდანაც ზორყანის რაზმი ქვევით მოჰქროდა, კარგა მაღალი ყოფილა. თურქები სიბნელეში შავ ცხენებს ვერ ხედავდნენ და ზევიდან შურდულივით მომქროლავი თეთრი „ავი სულები" ციდან ჩამოფრენილებად მოსჩვენებიათ, ხოლო მუგუზლების ბრდღვიალი — მათ პირებიდან მომდინარე ცეცხლად. ჯერ მარტო წივილ-ყიჟინით თავზარდაცემულთ, ეს საშინელი, ზეხორციელი სურათი რომ უხილავთ, მთლად დაუკარგავთ თავ-ტანი. ზოგნი, შიშისაგან გულგამსკდარნი, იქვე ჩაცვივნილან ინგირში, ზოგნი თვითონ ეგებებოდნენ ალლაჰ-ალლაჰის ძახილით სასწაულს. სხვანი ისე გარბოდნენ, ტერფებს იცემდნენ თურმე ზურგზე. ზორყანი შუა მდინარეში დასწევია გაქცეულთ. მამაკაცები წალდითა და სატევრებით ჩეხდნენ მტერს. ქალები კი მუგუზლებით უხეთქავდნენ თავებს. ისკანდერ-იბლაჰილსაც რგებია ერთი მუგუზალი და სამეგრელოში მერე ყველგან ცეცხლი ელანდებოდა თურმე. შემდეგ, როცა ომერ-ფაშამ სამეგრელო მიატოვა, ისკანდერ-იბლაჰილმა ზუგდიდში დადას დოხორე დასწვა. თვითონვე შეშინებია იმ ურჯულოს თავისი დანთებული ცეცხლის და თავგზააბნეულს ისე მოუსვამს სამეგრელოდან, რომ ძლივს აუწრებდნენო სარდალს თავისი კაცები.

უკოჩობას ჭიქა ამ ლაპარაკის დროს ხელში ეჭირა ჩვეულებისამებრ მხარის სიმაღლეზე, ისე, როგორც ლეკურის ცეკვის დროს მარჯვენა მკლავი მოკეცილი აქვთ ხოლმე. ფუცამ ანიშნა, ჭიქა მაინც დადგიო.

— ძალიან გავაგრძელე, — სთქვა და სასმისი სხვა ორ ჭიქას ამოუდგა ლამბაქზე. ახლა თავისდამეუმჩნევლად სხვა ჭიქა აიღო და ისევ ისე დაიჭირა. — იმის თქმა მინდოდა, ზორყანი იყო-მეთქი აჯანყებულთა პირველი მოთავე. მერე უტუ მიქავას მარჯვენა ხელი გახდა, მაგრამ მალე გადაუდგა მას. უტუმ და მისმა ჯარმა სოფელ შხეფთან მეფის გენერლის წინ მუხლი რომ მოიყარა და იარაღი ჩააბარა, ერთად-ერთი კაცი ზორყანი იყო, რომელსაც ქედი არ მოუხრია. ჩამუხლულ და თავშიშველ ზღვა ხალხში მარტო ერთი იდგა. ყორნისფერი ყაბარდოელი სადავით ეკავა. პირუტყვსაც პატრონივით ქედმაღლურად ეჭირა თავი და მუჭის სიმსხო თვალებს უბრიალებდა თურმე გენერალს. შერცხვენიათ ზორყანის მახლობლებს. წამომდგარა ერ-

თი, მუხლის თავები შეუფერთხია, ქუდი დაუხურავს და გვერდში ამოდგომია ზორყანს. წამომდგარა მეორე, მესამე და უცებ ასიოდე ადამიანი მეოჯარვია ირგვლივ. განრისხებულა გენერალი: თავს წასდგომია ზორყანს ცხენზე მჯდომი. ახლავე მოიხადე ქუდი და დაიჩოქეო. მაშინ ზორყანი წინ წამდგარა. თურქებისათვის ომში წართმეული იარაღით ყოფილა აღჭურვილი. თოფი მოუხსნია მხრიდან. ერთი ხელი კონდახში წაუვლია, მეორე ლულაში: წინ გაუშვერია გენერლისაკენ: ეს იარაღი იმიტომ ავიღეთ, ამიერიდან სხვის წინ არ დავიჩოქოთო. შენ თუ სასიკეთოდ მოსულხარ, ქედის მოხრას რად ითხოვ ჩვენგანო. დაჩოქება გამარჯვებულს სწადია. ასე იყო ოდითგანვე. ერთი ქვეყანა მეორეს იმიტომ ებრძოდა, რომ დაეჩოქებინა. ყოფილა ჩვენი ხალხი მტერთან დამარცხებული, მაგრამ დაჩოქებით არ დაუჩოქნია არასდროს და არც დაიჩოქებს. ეს უთქვამს და ცხენს მოფრენია. უტუსთან მიუგდია ულაყი. იმას ვწუხვარ, უტუ, ჩემთან ერთად ხალხიც მოსტყუვდაო შენში. მერე ხალხს მიბრუნებია. წინა რიგებში ჭაღარამოსილი ბერიკაცები მდგარან ჩამუხლულნი. უმწეოდ შეჰყურებდნენ ტანჯვით განაწამები თვალებით ზორყანს. ატირებულა ზორყანი ამის შემყურე. ეს შევფიცეთო ჩვენ ერთმანეთს! — შეუძახია ხალხისთვის. — ვის წინ იყრითო, მამებო, მუხლს? ამ ზიზილ-პიპილოებით დახუნძულ გენერლის წინ?.. აღარ უცალებიათ მეტი. ზორყანს და მის ხალხს გენერლის გატაცება უცდიათ, მაგრამ ყაზახებს დროზე უშველიათ მისთვის. ბევრი დაჩოქილი გაყოლია ზორყანს. ორი ოფიცერი წაუყვანიათ თან მძევლად. ჩვენ ცოლშვილს არ ავნოსო გენერალმა. სიკვდილამდე არ დაუყრია იარაღი ზორყანს. იბრძოდა, შვილო, სიმართლისათვის, გაჭირვებულთათვის. იცოდა, ადრე თუ გვიან გაიმარჯვებდა მათი საქმე. ასეა, გვაჩი. მამა-პაპითაგანვე მოსდევს ვაჟკაცური სული ჩვენს შვილებს. ეს სულია, ახლა მათ რომ ამოძრავებს გმირობაზე.

ჭიქას დახედა, ახლა-ღა დაინახა, რომ ჭიქა კვლავ ხელში ეჭირა. ფუცას გადახედა დარცხვენით. პურს ღვინის რამდენიმე წვეთი დააპკურა ჭიქიდან, წინაპართა სული მოიხსენია. ძირამდე დასცალა ჭიქა და ახლა მეორე აიღო. ამით ფრონტზე მყოფ შვილების სადღეგრძელო დალია. მესამით ჩვენს ქვეყანას გამარჯვება უსურვა. მერე სამივე კიდემდის გაავსო და გვაჩის გადაულოცა.

ხუთი წლის დამდგარი ღვინო უცებ მოერია გვაჩის დასუსტებულ სხეულს. წასასვლელად წამოიწია, მაგრამ საფერავმა იძალა, მუხლი მოჰკვეთა.

— ოღონდ გარეთ გამიყვანეთ და მერე ვერაფერი დამიდგება წინ,—ჭირვეულობდა გვაჩი, სანამ ეკა გახდიდა და დაწვენდა. სულ დედაზე სწუხდა:— ეს როგორ მომივიდა, საიდან სად ჩამოვედი და დედა ვერ ვნახე ამაღამ. დედის უნახავად რა დამაძინებს, რას იტყვის, რა თვალით შევხედო ხვალ?

ეკა და ფუცა დიდი ხანი უსხდნენ სასთუმალთან. თვალცრემლიანი დასცქეროდა ეკა მძინარეს. თეთრ ბალიშზე მისი სახე უფრო ფერდაკარგული სჩანდა. მშვიდად და თანაბრად სუნთქავდა.

— ვაი შენი დედის ცოდვა, შვილო, — ფიქრობდა ეკა. — სულ იმას ნატრულობდა უბედური, ღმერთო, გვაჩის უნახავად ნუ მომკლავ, ოღონდ ის მაჩვენე ომიდან დაბრუნებული და მერე ერთი დღის სიცოცხლე თუ მიწერია, იმასაც ნუ მომცემო. არ გაღირსა ღმერთმა გვაჩის ნახვა. გამწარებული ჩაგიყვანა სამარეში. ახალგაზრდობა ქვრივ-ობლობაში გაატარე და სამარეშიც ვერ ჩახვედი მოსვენებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაჩის ალიონზე გამოეღვიძა. სახლში არავინ იყო. რა ადრე გასულანო სამუშაოდ, — გაიფიქრა.

ხელპირის დასაბანი წყალი იქვე იდგა. სკამზე პირსახოცი ეკიდა. ნაქარგი შეიცნო. ათას ნაქარგში გამოარჩევდა ნაიას ნახელარს. გული აუჩქამდა ძრწოლვით. ვერასოდეს ვერ შეეხება ხუტას ხელი ამას. მე როგორ ვიხმარ ხუტასთვის მოძღვნილსო. პირი არ დაიბანა. კერის წინ გაშლილ საუზმესაც არ მიეკარა. კარი გაიკეტა.

ჰადარს ჩაუარა. მედიდურად იდგა ჯმუხი ხე ვრცელ ეზოში. რამდენჯერ უთამაშიათ ხუტას და გვაჩის ცინდაფა[1]) მის ჩეროში. ნაიას ცენჭაობას ეთამაშებოდნენ. ხელი მოეცარებოდათ უმალ. იცინოდა ნაია: ქალი ეშმაკიაო. ვაჟი ვერ მოუგებსო თამაშს.

მიისწრაფოდა ამ ფიქრებში გართული გვაჩი სახლისაკენ. სოფელში სიწყნარე იყო. გზაზე ფურკამეჩები და ძროხები ხვდებოდნენ. შედგებოდა კამეჩი, მაღლა ასწევდა თავ-კისერს, მიიხედავდა და ისე შეყროყინებდა ზაქს, თითქოს სამუდამოდ ეთხოვებაო.

მიკუნტრუშობდნენ მაღალრქიანი და გრძელწვერა თხები, ჩაჩხურს ცეკავენო, გეგონებოდათ.

გამოვარდებოდა შუკიდან კუროაკიდებული ფური, ერთად შეყრილ ჯოგში შერგავდა თავს (თავის დამალვა არ შველოდა პირუტყვს).

საქონლის პატივის სუნი მწიფე ხეხილის სურნელებაში იჭრებოდა. შუკის პირას ლობეში თავგამოყოფილმა ხბომ შებღავლა გვაჩის. შუბლ-თეთრა იყო ჩვილი. დრუნჩი რძისაგან გათეთრებოდა. გვაჩი მივიდა, მიუალერსა. ხორკლიანი ენა მოუსვა ხბომ ხელზე.

გვაჩის გაახსენდა, ძროხის მოწველაში(რომ შველოდა დედას. ხბოს დაუკავებდა. დედა ხშირად ნათვალავს შეულოცავდა ძროხას. გარშემო უვლიდა. ხელს უსვამდა მუცელზე და გვაზე. ამთქნარებდა ერთავად. თვალები ცრემლით ევსებოდა და ტკბილად დუდუნებდა თავისი პატარა და დაბალი ხმით: „ძახელითა ხვთისა, მამისა და სულისა წმინდისა, ლოცვანი ნათოლესი: თვალს ნაცარი, გულს ლახვარი, სამოცდასამი წმინდა გიორგის შუბი და ბორძალი დაეცეს ამის მოარმეს“...

გვაჩისაც ულოცავდა დედა. ხშირად გვაჩი თავათ ეხვეწებოდა, შემილოცეო. შელოცვის შემდეგ როგორღაც უფრო მხნედ გრძნობდა თავს. აი ახლა რომ მივა, უსათუოდ შეალოცვინებს. უფრო კი იმისთვის,—ასიამოვნოს დედას, ისევ გაიგონოს მისი იდუმალი ჩიფჩიფი.

გვაჩი ისე მივიდა სახლში, გზაზე არავინ შეხვედრია. მთელი სოფელი მინდვრად გაკრეფილიყო უთენია.

მწიფე ნაყოფს დაეხუნძლა ხე და მიწა. ოქროსფრად ბრწყინავდა სიმინდის ყანა. ტანმსხვილი ღეროები ძლივს იკავებდნენ ხაშარდაყრილ ორ-ორ და სამ-სამ ტაროებს.

ვაშლსა და ბიას დაეზნიქათ ტოტები. ზიმზიმებდნენ პირღია, ცვარნაპკური ლეღვები.

ვენახსაც მისძალებია ცვარი. მრავალფერად ბზინავდა ყურძნით გათქვირული ვაზი.

არასდროს არ ენახა გვაჩის ნაყოფის ასეთი სიუხვე. ერთიმეორეს ამშვე-

[1]) ცინდაფა — დანით თამაშობაა.

ნებდნენ: კაჭიჭი და საფერავი, ჩეჭიფეში და ცოლიკაური, ოჯალეში და ადესა, ფრანგული და ციცკა. ნაყოფისა და ცვრის სუნს შეეკრა ბალი.

ეზოს მიეახლა გვაჩი. ჭიშკრის წინ ძროხა და თხები იდგნენ. დედას საჭონელი მოუწველია უკვე. სამზადის სახურავიდან კვამლი ასდის. ადრე უყვარდა დედას საუზმის მომზადება.

ფეხს აუჩქარა. ჭიშკრიდან არ შევიდა. მივეპარებიო დედას. ღობეზე გადახტა, მაგრამ ფეხი არ გადაუდგამს, იქვე შედგა სახტად დარჩენილი.

ჭიშკართან რომ ბეოლის ხე იდგა, ძირიანად მოეთხარათ. შავი მიწა ისე იყო მოფანტული მწვანეზე, როგორც გლოვის მაუწყებელი ძაძა.

— ვაიმე, დედა! — ამოიკვნესა გვაჩიმ. ახლოს მივიდა. ღრმა ორმო დაეტოვებინა ხეს. წაგლეჯილი ფესვის თავები მოსჩანდნენ მიწიდან, სულდგმულს ძარღვებიაო თითქოს. ეს ხე ჰქონდა დედას ამორჩეული, ჭირვეულობდა — დიდიაო ხე. ძნელი დასარგავი იქნებაო საფლავზე.

გაშტერებული დასცქეროდა გვაჩი ორმოს.

სახლის უკან ლაფარედან ძაღლი გამოვიდა. პირს ილოკავდა თავისი გრძელი და წითელი ენით. ეტყობოდა, ესეცაა რაღაც ეჭამა. გვაჩი რომ დაინახა, შედგა, არ მიუყეფებია. გახევებული შესცქეროდა. მერე ერთბაშად იცნო პატრონი. წკმუტუნით გაქანდა მისკენ. ჯერ გარშემო შემოურბინა, აეტატა. თავით მკერდზე ეკვროდა, ტიროდა, სახეს ულოკავდა. ბოლოს მოშორდა. ორმოს მეორე მხარეს დაცუცქდა, თავი ასწია და მწარედ აყმუვლდა.

გვაჩი შეკრთა. პატარაობიდანვე ვერ იტანდა ძაღლის ყმუილს. ძაღლის ყმუილი ოჯახის უბედურებას ნიშნავსო, ასე ჰქონდა დედისაგან ჩაგონებული.

— გურუშია!

პირუტყვი გაჩუმდა. ნაღვლიანად შეხედა გვაჩის. ისეთი გონივრული და კეთილი თვალებით შესცქეროდა, აი ახლა აიდგამს ენას და დედის ამბავს შეუცხადებსო. ვერ გაუძლო პატრონის ვარამს, შეტრიალდა, სამზადისაკენ წავიდა თავდახრილი და კუდშეკეცილი.

ძაღლი აივანზე შევიდა და უკანვე გამობრუნდა. თითქოს დედის მაგიერად გამოეგებაო გვაჩის, წინ შემოხვდა და გვერდზე გაჰყვა მორჩილად.

სამზადის კარმა ყრუ სიწყნარეში ისე გაიჭრიალა, გეგონებოდათ გვაჩის მოსვლა შეიცხადაო. შეკრთა გვაჩი. ზღურბლზე შედგა, ხელი შეუშვა კარს, კარი ჭრიალით მიაწყდა კედელს და მთელი სამზადი შესძრა მისმა რაჯგუნმა.

ფანჯარა არა ჰქონდა ფიცრულს. კარიდან შესულ ალაონის სინათლეზე და შუაცეცხლის ორმაგ ბოუქზე საოცრად ბრწყინავდნენ კვამლისაგან კუპრისფრად ქცეული კედლები, კერის პირას მდგარი გრძელი კველები, კუთხეში მიკეთებული განჯინა, კოკები და დოქები.

ნელ ცეცხლზე სიმინდი და კვახი იხარშებოდა ლარჭაზე ჩამოკიდებულ კარდალში. ახლად გაპუნტული ვარია კედელზე ეკიდა გასაშრობად. აი კერის პირას საწველი ნიგა. აგერ კედელზე დედას საქსოვი. მისი განუყრელი ჯოხიც იქვე იდო კართან. სამზადში ყველაფერი დედასი იყო. ყველაფერი მისით სუნთქავდა. რისთვისაც არ გადაგევლო თვალი, დედას სიცოცხლის ნაწილი იყო. ახლაც თითქოს რამდენიმე წუთის წინად თვითონაც აქ ფუსფუსებდა. აქვე ტრიალებდა მისი გამრჯე ხელი, და გვაჩის ისე ეჩვენებოდა, გაიღება უკანა კარი და დედა შემოვაო.

გატრუნული ძაღლი ფეხებთან იწვა. თავი წინა თათებზე დაედო და თვალი მიეწკურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხანი იდგა გვაჩი დედის მოლოდინში. მერე კარი ფრთხილად მიხურა. არ გაიჭრიალოსო ისევ.

ოდისაკენ წავიდა. კარმიდამოს მრავლო თვალი.

არასოდეს ასე ლამაზად არა სჩვენებია ეზო. სამეგრელოში ეზო ხომ ყველას ლამაზი აქვს, მაგრამ დედას ისე სუფთად ჰქონდა მოვლილი, კაცი თვალს ვერ მოსწყვეტდა.

მთელი თავისი სიდიადით იდგა სახლის წინ ასწლოვანი რცხილა. ქვედა ტოტები ისე შორს გაეშალა ირგვლივ, თითქოს მთელ ეზოს უნდა გადააფაროს თავისი ლონიერი და მფარველი მკლავებიო. ზედა ტოტები ერთად შეერთებულან, ერთ მთლიან ტოტს დამსგავსებიან და ცამდე აჭრილნი მთელს კოლხიდას დასდგომიან დარაჯად.

ეზოს ყოველი კიდით მოსდებია რცხილას ჩრდილი. ნამით მოქარგული ყოინდარი ხის ჩეროში ალიონის შუქზე მოლურჯოდ ლივლივებდა.

აქაც დედის ხელი ემჩნეოდა ყველაფერს. ეზო მრავალფერა ვარიებით იყო მოფენილი. აღარ დაუძახებთ მათ ამიერიდან დედა... აღარ გაეშურებიან მისკენ ტკრციალით და პატარა ფრთების ტკაპუნით. თითქოს გრძნობენო ფრინველნი, არასდროს არ გაიგონებენ ცაბუს ხმას. როგორღაც უხმოდ და თავაუღებლად კენკენ უკაცრიელ სიწყნარეში.

ოდის წინა ფანჯრები და კარი ღია იყო. ქვიტკირის კიბე ესეცაა გაერეცხათ. აივანი და სასტუმრო ოთახი ისე გაიარა გვაჩიმ, არაფრისათვის არ შეუხედავს. დედის ოთახს მიაშურა.

იქაც კარი ღია დახვდა. ფანჯარა აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა ოთახს. მზის პირველ სხივებს დაეოქრა ლოგინი. ლოგინზე დედის ნიშანი იყო გაშლილი. სასთუმალთან მისი და გვაჩის სურათი ეკიდა კედელზე. ეს სურათი ფრონტზე წასვლის წინ გადაიღო დედასთან ერთად. ვინ იცის, ცოცხალი არ დაგხვდეო,—ეუბნებოდა დედა. იქვე სკამზე გვაჩის წერილები ეწყო, ფრონტიდან გამოგზავნილი. წერილების გვერდით ქილა იდგა თაიგულით, ხოლო მაგიდაზე ტაბლა გაეწყოთ მიცვალებულისათვის: დილის საუზმე და ახლად დაკრეფილი ლეღვი.

ხატის წინ ძირამდე დამწვარი თაფლის სანთელი ბოლავდა. საამო სუნს ჰფენდა მთელს ოთახს. ნაღვლიანი სიჩუმე იდგა და გარკვევით ისმოდა, როგორ ეცემოდნენ დამჭკნარი ყვავილების ფოთლები წერილებს.

გვაჩი მუხლზე დაეშვა დედის ნიშნის წინ. კაბის სახელოს აკოცა ფრთხილად. მლაშე გემო შეიგრძნო. გვაჩის გაცილებისას დედას ცხვირსახოცი რომ დაუსველდა, სახელოთი იწმენდდა თვალებს. ეს კაბა ეცვა მაშინ და ეს სიმლაშე ცრემლებისაგან შერჩენოდა კაბას. ახლა მასზე გვაჩის ცრემლები ეცემოდნენ.

ჯერ კიდევ მამლებს არ ეყივლათ. გვაჩი ტკბილ ძილში იყო. ეცამ ფრთხილად მიხურა კარი და გვაჩის სახლისკენ გაეშურა. ცაბუს სიკვდილის შემდეგ ეკა უვლიდა მის ოჯახს. უთენია დგებოდა. მიალაგებდა იქ სახლკარს და შინ გამორბოდა. ახლა აქ ტრიალებდა ჯარასავით. ქმარშვილის ადგომისათვის საუზმე მზად ჰქონდა. დანაყრდებოდნენ ერთად. არ აყოვნებდა, კოლმეურნეობაში მიიჩქაროდა. თავის რგოლის ქალებს ჩამოუვლიდა ძახილით. ზოგს სიცილით და ხუმრობით უხმობდა, ზოგს უჯავრდებოდა, არცხვენდა. ლოგინიდან წამოაგდებდა. პირის დაბანას არ აცლიდა დაგვიანებულს.

ამ დილით უფრო გვიანობამდე შერჩა ცაბუს სახლს. როგორც კი შეიდა, ყველა ოთახის კარ-ფანჯრები დააღო. ნივთებს და ტანისამოსს ... ყოველ კვირა ამზეურებდა. სახლის დალაგებას რომ მორჩა, ჯერ ... და ... მოწველა. ყველი ჩაკვეთა. ღომი გამორეცხა. მერე მეზობლის ბავშვს დაუძახა და ვარია დააკვლევინა. ეზოსაც დახედა. ბოსტანშიაც შეიარა. ამასობაში შემოათენდა კიდეც, მაგრამ მაინც ვერ შორდებოდა სახლს: უნდოდა ყველაფერი ისე დაესუფთავებინა და დაელაგებინა, როგორც ცაბუმ იცოდა. უდედობა არ დასტყობოდა ოჯახს.

მზე ურთაზე იდგა, ეკა რომ გვაჩის ეზოდან გავიდა. ოდისა და სამზადის კარი დაუკეტავი დასტოვა. გვაჩის მახლობლებისაკენ გაეშურა, სახლში დავუხვედრებო. მე ვერ შევუცხადებო დედის დაკარგვას. იქიდან სახლში დაბრუნდა და გვაჩი რომ არ დაუხვდა, ელდა ეცა. არაფრისათვის არ მიუხედავს, ისევ გვაჩის სახლისკენ გასწია მაშინვე. დედის ნიშნის წინ მუხლმოყრილს მიუსწრო.

გვაჩი წამოდგა, წინა ოთახში გაჰყვა ეკას.

— რა დაემართა დედას? — ჰკითხა ეკას, როდესაც დამშვიდდა.

— ჯავრს გადაჰყვა, შვილო. ვიღაც სოხუმელ წითელარმიელს სადგურზე უთქვამს: მე და გვაჩი ერთ ნაწილში ვიყავითო. ერთ-ერთი შეტევის დროს ჩემს გვერდით დაეცაო დაჭრილი. მერე არც ცოცხალი მინახავს და არც მკვდარიო. დიდიხანი ვუმალავდით საწყალ ცაბუს. ბოლოს ამ ამბავმა მაინც მიაღწია მის ყურამდე. მაშინვე ლოგინად ჩავარდა. ხატის ცვილივით ჩამოდნა ორ კვირაში. თუ დაბრუნდა გვაჩი, მაპატიოსო. ვერ აიტანაო ჩემმა უბედურმა გულმა.

გაჩუმდა ეკა, თავსაფრის ტოტი მოისვა სახეზე.

პირველმა ნაიამ გაიგო გვაჩის ჩამოსვლა. პირდაპირ ვენახიდან გამოიქცა, ყურძნით სავსე კალთით.

როგორც კი ნაიამ მიაკივლა, გვაჩი ჩამოსულაო, ვენახში გაფანტულმა გოგოებმა იხუვლეს. გზა და გზა აგდებდნენ ყურძნიან გოდრებს, კალათებს, ყურძნით სავსე კალთებს ერთმანეთს აჩეჩებდნენ. ზოგი ღობეზე ხტებოდა, კარებში და ოლაგეზე ერთმანეთს ეცილებოდნენ. ყველა ცდილობდა პირველი გასულიყო ჭიშკარში, პირველი გადამხტარიყო ოლაგეზე და პირველი მისულიყო გვაჩისთან. მაგრამ ყველაზე წინ ნაია მირბოდა შუკაში.

ტკრციალით, სიცილით და სიხარულით მირბოდნენ ნაიას უკან ტანწერწეტა მეგრელი გოგონები. მათი წკრიალა და ტკბილი ხმა მთელ სოფელს აცოცხლებდა და ახარებდა. მათ აშხვართულ ტანზე შემოსხეპილი ფერადი და ჭრელი კაბები, თავზე წაკრული ასევე მრავალფერა მეგრული თავსაფრები ფრესკის ქალებს მოგაგონებდნენ, ამოძრავებულთ.

ყველანი ერთმანეთზე უკეთესები, თითქოს დარჩეულანო სამეგრელოს ასულნი, ყველანი სიცოცხლით, ჟინით და სიმწიფით გათქვირულნი იყვნენ, მაგრამ ყველაზე უმშვენიერესი ნაია იყო, შინდისფერ კაბაში, ცისფერი თავსაფრით და აღტაცების გამომხატველი თვალებით. არა გრძნობდა, კალთა რომ სავსე ჰქონდა ქარვისფერი და შავი ყურძნით. ყურძენივით მწიფეს, ყურძენივით მკვრივს, მზე ოქროსფერ სხივებს აგებებდა მის სახეს, კულულებს.

ორივე ხელი ჰკრა ჭიშკარს. ეზოში ნამით მოქარგული კოინდარი ვერცხლისფერ წინწკლებს აყრის მზემოკიდებულ შიშველ წვივებზე.

— ნაია იქნება გადარეული, — სთქვა ღიმილით ეკამ, კიბეზე რომ ფეხის ხმა გაისმა. იმავე წუთში ნაია შევარდა ოთახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გვაჩი! — წამოიძახა სირბილისაგან გულამომჯდარმა და ახლა იგრძნო, რომ კაბის კალთა მუხლზევით აკეცილი ჰქონდა. სირცხვილისაგან ბავშვური სიწრფელით. ხელები ჩამოიკრა კალთაზე. მძიმედ დაცვივდნენ ხვავიანი მტევნები. მტევანს მოწყვეტილი მარცვლები ყოველი კიდით გაგორდნენ იატაკზე. მთლად დაიბნა ნაია. იმ ბავშვს დაემსგავსა, რომელმაც რაღაც ძვირფასი ნივთი გასტეხა და შეშინებული და დარცხვენილი დასცქერის თავის მსხვერპლს. ვინ იცის, როდემდის იქნებოდა ასეთს მდგომარეობაში, მაგრამ კიბეზე ამხანაგების თქრიალი გაისმა. ოთახში შემოიჭრნენ ყივილ-ხივილით. ნაიას დანახვაზე თვითონაც შედგნენ.

წამით დაძაბული დუმილი იდგა ოთახში. მერე ვიღაცას ფხუკუნი წასკდა. ვიღაცამ გაიცინა და ყველანი ერთად აყივლდნენ.

გვაჩი შესცქეროდა ნაიას თეთრს, ახლა ვარდისფრად აფაკლულ, შავი თვალებით მოელვარე სახეს და შინდისფერ კაბიდან ამოზიდულ მაღალ გულმკერდს. მკვრივი და ლამაზი ტუჩები სირცხვილისაგან ეკუმშებოდნენ. თავდახრილი დასცქეროდა იატაკზე გაფანტულ ნამნაპკურებ ყურძენს.

უნებლიე ღიმილი შეეფინა გვაჩის სახეს. წამოდგა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო.

ახლა შეამჩნიეს გოგონებმა სევდიანი ღიმილი. შერცხვათ, მწუხარე თანაგრძნობამ მოიცვა მათი სახე.

ყველაზე მეტი მწუხარება ნაიას სახეზე იხატებოდა. ასე შეიცნო გვაჩიმ. მას წუთით თავისი მწუხარება დაავიწყდა: გული შეეკუმშა მისდამი სიბრალულით—აღარა გყავს, ნაია, ხუტა. გონების თვალით უთხრა ნაიას. მაგრამ ნაიას ფიქრები შორს იყო ასეთი უბედურებისაგან. იდგა თავდახრილი და ყურს უგდებდა თავის გულის ფართხალს. მისი აფორიაქება გონებასაც მოედო. ვეღარ გაუძლო მისმა ყმაწვილურმა ნებისყოფამ გრძნობების ასეთ მოძალებას. თავი ასწია უცებ:

— გვაჩი... რა დაგაბარა ხუტამ?

გვაჩის მოაგონდა ხუტას ჯიბეში ნახული, ნაიასათვის მიწერილი წერილი. „აწი მალე გნახავო, — სწერდა ხუტა. — ჩამოვალ, ავაშენებ სახლს და“...

წერილი სიკვდილის წინა დღეს დაეწერა, მაგრამ არ დაემთავრებინა. გვაჩის ეს წერილი ახლა ჯიბეში ედო და სამუდამოდ უნდა დაემალა ნაიასათვის.

ეკა თვალს ვერ აშორებდა ნაიას და სხვებს. ახარებდა დედას, ამდენი ქალიშვილები ასე რომ შეჰყურებდნენ გვაჩის... აბა, რას იტყვისო ხუტაზე. ნაია უკვე თავისად მიაჩნდა და მშობლის სიამაყით შეჰყურებდა სხვებზე უკეთესს და ულამაზესს.

— ჩამოვა შენი ხუტა, მალე ჩამოვა, ნანა, — დაარღვია სიჩუმე ეკამ. წამოდგა: — დაჯექით, შვილებო, რავა ფეხზე დგეხართ. — დაფაცურდა. კიბეზე ამომავალ სხვა მნახველებს მიეგება.

მოსულები ჯერ მშვიდობით დაბრუნებას ულოცავდნენ გვაჩის. მერე როგორღაც შეუმჩნეველად შეაპარებდნენ დედაზე სამძიმარს და იმავე წუთს სხვა საგანზე გადაჰქონდათ საუბარი. ყველა გვაჩის მწუხარების შემსუბუქებას ცდილობდა. უყვებოდნენ სოფელზე, ნაცნობებსა და მეგობრებზე. ათასგვარ კითხვებს აძლევდნენ ომზე.

ეკა სადილითაც გაუმასპინძლდა სტუმრებს და ვახშმითაც. ნაია ეხმარებოდა. მეათეჯერ აყოლებდა გვაჩის ხუტაზე ნაამბობს. მასზე ოცნებით გაბრუებულს ხან რა უვარდებოდა ხელიდან და ხან რა. კაბაზე ნიგვზის წვენი

გადაისხა. ღომის ჩაზელისას ჩოგანი ცეცხლში ჩაუვარდა. რცხვენოდა ეკა, მაგრამ რაც უფრო ცდილობდა თავის აღელვების დამალვას, მით უფრო—მეტად შესამჩნევს ხდიდა. თვითონაც გრძნობდა ამას. ეკას მაინც ვერ მოერეოდ ბოდა. მის სახეზე შეფენილ ღიმილის რცხვენოდა და თან ახარებდა. ახარებ-და იმიტომ, იცოდა დედასაც ახარებდა ხუტაზე ფიქრით, ხუტაზე ოცნებით გამოწვეული მისი დაბნეულობა და აღელვება.

სუფრაზე გვაჩისთან დაჯდა. ოტიას და თათუშას ქორწილის ამბავს რომ გწერდით, ის ბარათი თუ მიიღეთო, — ეჩურჩულებოდა სხვის შეუმჩნევლად. ყურძენს აძალებდა. ბევრი უნდა ჭამოო. იმდენი სისხლი დაგიკარგავს და გა-ძლიერებული კვება გინდაო. მე გაგიკეთებ ხოლმე საჭმელს. არ გახსოვსო, როგორ მოგწონდათ შენ და ხუტას ჩემი გაკეთებული საცივი. ძოკიამ შენი ბადე შეაკეთა. ყოველდღე იჭერს კალმახს. კეცზე შემწვარი გიყვარდა შენ, ნიგვზის ფოთოლში გამოხვეული. წელს ისეთი ტყემლის წვენი გავაკეთე, მკუას დაკარგავო.

ნაიას შურით შეჰყურებდნენ ამხანაგები. მათაც უნდოდათ გვაჩისთან ახლოს ყოფნა, მასთან საუბარი. ბევრს უცემდა გვაჩიზე გული. უნდოდათ გაეგოთ, ხომ არავინ გაიჩინაო ფრონტზე.

უკრაინელი და ყუბანელი ქალიშვილების ქებას სწერდა ერთ ბარათში ნაიას. ნაიამ ყველას წააკითხა. ისეთ გოგოს ჩამოიყვანსო გვაჩი, თქვენ მისი ფეხის დამბანელადაც არ ივარგებთო.

— პიმპილი შენს კვიმატ ენას, — ეუბნებოდნენ ამხანაგები: — შენ რა გე-დარდება, ვარსკვლავივით ბიჭი ჩაიგდეო ხელში.

ვერაფრით ვერ მოაშორეს ნაია გვაჩის. ყველაზე დიდხანს ის დარჩა. ეკა უნდა გავაცილოვო, მოიმიზეზა.

შუაღამე გადასული იყო, გვაჩიმ ეკა და ნაია რომ გააცილა. არც ახლა ასვენებდა ვაუს. შვებულება როდის გითავდებაო. მე რომ წამიყვანდნენ ფრონტზე, ერთ დღეს არ გავჩერდებიო სახლში.

გვაჩიმ უნებლიედ გაიფიქრა: რატომ არ წაიყვანენ ნაიას ფრონტზე, რა უშლის ხელსო. არ კი ჰკითხა, არც აცადა ნაიამ. ისევ იმ ნაწილში დაბრუნ-დები, სადაც ხუტა არისო?

შებინდებიდანვე თხრილის [1]) ქარი ჰქროდა. ტყვიისფერ ღრუბლებს მოე-რეკებოდა ალმა. ღამე მოიქუშა და ცამ ძირს დაიწია. შუაღამე ჩამწკრივებულ-მა ალვის ხეებმა ღრუბლებში შერგეს თავები. წვიმის წვეთები წკაპუ-ნებდნენ ფოთლებზე.

— დაბრუნდი ახლა, თავსხმა იქნება, დასველდები, ნანა, — შეაჩერა ეკამ გვაჩი.

ქარმა მძლავრად დაჰბერა. თხრილიდან ფოთლები ახვეტა. ხიდზე შეა-ტრიალა ერთ გუნდად და ზევით გაშალა.

იდგა ხიდზე გვაჩი, შესცქეროდა აჩქარებით მიმავალ ეკას და ნაიას. ფოთ-ლები შრიალით ეცემოდნენ მხრებზე და თავზე. სახის წინ ჩაუქროდნენ ფარ-ფატით. ერთი ფოთოლი ხელში ჩაუვარდა. სიბნელეში არ სჩანდა მისი ფე-რი. ვერც ის გაიგო, თუ რა ხისა იყო. საკმაოდ დაესველებინა ფოთოლი წვიმას. ახლა იგრძნო გვაჩიმ, რომ თვითონაც სველდებოდა. წასაცვლელად შებრუნდა და სწორედ ამ დროს, ორღობის იქით, სიბნელიდან, ნაიას ხმა მოესმა:

---

[1]) გურიიდან მონაქროლ ქარს ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გვაჩი, უუუ! — გვაჩის პასუხს არ დაუცადა: — დილით უჩვეულოდ ადრე წახვიდე. რთველზე უნდა წაგიყვანო, — გაისმა მისი ხმა.

როცა ხიდს გასცდა, მაშინ-ღა დაინახა, ძაღლი გამოჰყოლოდა. ... თავდახრილი მიჰყვებოდა გურუშია გვერდით. წვიმდა, მაგრამ პატრონი და ძაღლი აუჩქარებლად და ჩუმად მიდიოდნენ სახლისკენ.

ძაღლმა აივანზე შეიცადა. ოთახის კართან გვაჩის შეხედა, შემოვიდე თუ არაო.

გვაჩის არ შეუმჩნევია. მას გზაშივე დაავიწყდა ძაღლი. ახლა, ოთახში რომ შემოვიდა, ისეთი სიმარტოვე და სიცარიელე იგრძნო, როგორც არასდროს არ უგრძვნია. კედლებიდან ლამპის მკრთალი შუქით განათებული წინაპართა სახეები ნაღვლიანად შესცქეროდნენ ნირდაკარგული, უფერული თვალებით. გახუნებული და გაცრეცილი უტყვი სახეები გლოვის სულს ჰფენდნენ ოთახში.

კარებში და ფანჯრებში ღამის პირქუში სიბნელე იდგა. სახურავზე მძიმედ ეცემოდნენ წვიმის წვეთები, თითქოს ბუნებაც დასტიროდა გვაჩის მარტოობას.

გვაჩი ბავშვობიდანვე ვერ იტანდა უკაცრიელობას. დედა რომ ღამე გზადაკარგული თხის ან ძროხის მოსაძებნად წავიდოდა, მარტო დარჩენილი გვაჩი ოთახში ვერ იცდიდა. აივანზე გავიდოდა. ძაღლს მოუხმობდა. ცალ ხელს კისერზე მოხვევდა, თვალს დახუჭავდა. სიმღერას შემოსძახებდა, რათა არ ეფიქრა. გადაბმით მღეროდა, სულმოუთქმელად.

საოცრად შველოდა ბავშვის შიშს სიმღერა, და დედა შუადამემდე რომ არ დაბრუნებულიყო, სიმღერას არ შესწყვეტდა, თვალს არ გაახელდა და მორჩილად გაყურსულ ძაღლს ხელს არ მოაშორებდა.

სოფელში ისე გვიან გვაჩის სიმღერას რომ გაიგონებდნენ, ყველამ იცოდა, ბავშვი მარტო იყო დარჩენილი და მაშინვე ცაბუს სახლს მიაშურებდნენ.

ახლაც ბავშვობაში განცდილი შიში შეიგრძნო გვაჩიმ. უნებურად შებრუნდა აივანზე გასასვლელად, მაგრამ კარებში ჩამდგარი ძაღლი დაინახა და ერთბაშად დამშვიდდა.

— შემოდი, გურუშია, — უთხრა პირუტყვს.

ძაღლმა არ დააყოვნა. უკანა ტანის ქნევით და იატაკზე კუდის ბაკუნით შევიდა ოთახში. ტახტის წინ მოიკალათა.

გვაჩიმ კარი მიკეტა და გაუხდელად მიწვა ტახტზე.

გარეთ ქარი წიოდა, წვიმის ღვარს ახეთქებდა კედლებს. ხოლო სახურავზე უფრო და უფრო ხმიანობდა თქეში.

გვაჩის უნდოდა დაეძინა. იწვა თვალდახუჭული პირაღმა და თავს ვერ ართმევდა ფიქრებს. მრავალი სურათი დაუდგა წინ. ბავშვობის, სიჭაბუკის. ხორცშესხმულად ეჩვენებოდნენ მოგონებით აღდგენილი სახეები. რანაირ ნახტომებს არ აკეთებდა მისი გონება. საიდან სად არ დაჭროდა და ბოლოს მაინც უკანასკნელ წელიწადნახევარში განცდილ და ნახულ ამბებს უბრუნდებოდა. მისი გრძნობები, აზრები, გონება, მთელი მისი არსება ომის ქარცეცხლის სულით ცხოვრობდა.

სხვა სამყაროდ მიაჩნდა ფრონტი. სხვა ცხოვრებაა იქ. ომის ადამიანები არ გვანანო აქაურებს.

ამიტომ თუ იყო, თავისიანებს ასე ცივად რომ ეჭცეოდა დღეს. უგულოდ უპასუხებდა მეზობლებს და მახლობლებს. უცხოებივით ეჩვენებოდნენ ისინი.

ბუდიდან ამოგდებულს ვგევარო, — ფიქრობდა გვაჩი. რაღაც უხილავი ძალა ეზიდებოდა თავისკენ. არა, გვაჩისთვის ეს უხილავი ძალა არ არის.

გვაჩის ესმის მისი ხმა, ხედავს მას: ცოცხლად დგებიან მის წინ ომის პირველი თვეები: კვამლით და დენთით გადარუჯული და დანგრეული ქალაქები. დამწვარი პურის ყანები. დაჭრილ-დახოცილი, ცეცხლმოდებული [illegible] ყუმბარებით ცოცხლად დამარხული საქონელი, შემზარავად რომ ბღაოდა, კაცთაგან მიტოვებული. აკვანში ბავშვები მისუსტებული ხმით რომ სხრიალებენ, უდედოდ დარჩენილნი. მამებისა და დედების სიმწარისაგან შეკრული და გაქვავებული სახეები.

გარბის უსახლკაროდ დარჩენილი ქალი და კაცი. რომელ ერთს გაარიდონ თავი — შიმშილს თუ სიცივეს, ტყვიას თუ ცეცხლს? უღონოდ ეცემიან ქანცგამოლეულნი თოვლში და ტალახში. არავის ეძახიან საშველად. იციან, ყველას თავისი თავი უჭირს ახლა და სამუდამოდ იძინებენ მშობლიურ მიწაზე.

მათ უკან ცა და მიწა ინგრევა. საშინელი ჭიდილია მანქანებისა და ადამიანების, ტყვიისა და ცეცხლის. თავს აკლავს ხალხი ერთმანეთს, ჰაერში და მიწაზე, წყალზე და წყალქვეშ. ერთნი თავდაუზოგავად იცავენ წმინდა მიწას. მეორენი ცდილობენ ყველაფერი მოსპონ ამ მიწაზე და თვითონაც ისპობიან ზედ.

ხედავს გვაჩი: აგერ მის ქვედანაყოფში, სადაც თვითონ იდგა დაჭრამდე, მისი ადგილი ჯერაც არავის დაუკავებია. მტერი სწორედ იქ შეიჭრა ახლა. წარღვნასავით წამოვიდა ურდო.

შეკრთა გვაჩი, თითქოს დარცხვენილმა თვალი მოარიდაო ვიღაცას. მაგრამ დენთისა და ყუმბარების მიერ ცამდე აზიდული შავი მიწისა და დაჭრილ-დახოცილთა ხროვის იქით ბუნდოვანად ძახტება რაღაც სახე. თანდათან იზრდება. წინ მოდის, სწრაფად უახლოვდება გვაჩის. ჯერ მისი ახოვანი ტანი გამოჩნდება, განიერი მხარ-ბეჭით აეფარაო თითქოს მთელ ფრონტს. თავი ძაღლა აქვს აწეული. ღვინით სავსე ჭიქა მხარის სიმაღლეზე უჭირავს. ეს ხომ უკოჩობაა. გვაჩიც მას მოელოდა. გაუკვირდა კიდეც, რომ აქამდე ვერ იცნო.

„უნდა გათავდეს თუ არა ომიო", — ახლა უფრო ხმამაღლა ესმის მისი ხმა. წინ წამოიწია უკოჩობამ. არწივივით გადაეფარა სახლს. — „არავის დავანებებო მე ამ ოდას". — უფრო და უფრო იზრდება მისი ტანი. ახლა უკოჩობას მხრები მთელ მხარეს ფარავენ, მთელ მიწას წამოადგნენ თავზე. — „ასეთი ოდა ყველას აქვს ახლა. ამიტომ ვერ მოგვერევა მტერი, ამიტომ ვართო სხვაზე ძლიერი".

ნაიას სიტყვებიც შეესმა გვაჩის: „შვებულება როდის გითავდებაო. მე რომ ფრონტზე გამიშვებდნენ, ერთ დღეს არ გავჩერდებოდიო სახლში".

გვაჩის არ უნდოდა შვებულება მიეღო. იუარა, კარგად ვარ, ფრონტზე გამიშვითო ისევ. არ დაუჯერეს, მერე მასაც დედის სიყვარულმა წასძლია.

დედა არ დაუხვდა. უკოჩობას გვერდით დგას ახლა დედა. სიყვარულის შუქით ციმციმებენ მისი თვალები, თითქოს ნათქვამს უმოწმებსო უკოჩობას: „უნდა გათავდესო თუ არა ომი". თავი ასწია დედამ. შვილს შეხედა: „აბა შენ რას იტყვიო, ნანა?" გვაჩი აჰყვა ამ ფიქრს. დედის ოთახში შევიდა.

სიბნელე იდგა სადგომში. ხატს გამოჭკრთოდა ოდნავი შუქი და მიცვალებულის ნიშანს ანათებდა მკრთალად. მუხლზე დაეშვა მის წინ გვაჩი. ისევ ისე შეჰყურებდა დედა. მის ფერმკრთალ სახეს მოწოდების ღიმილი ეფინა. პატარა, უსისხლო ტუჩები აღელვებისაგან უკრთოდნენ. ცრემლი უბრწყინავდა თვალთა უპეებში. „აბა შენ რას იტყვიო, შვილო", — ეუბნებოდნენ ეს თვალები.

გვაჩიმ ასევე უხმოდ უპასუხა დედას. კი არ უპასუხა, შეჰფიცა. შეჰფიცა ის, რისთვისაც მოუხმობდა მშობელი, რასაც უკოჩობა ესწრაფვოდა.

ფეხზე წამოდგა უკოჩობა. ცაბუს შეხედა კრძალვით, თითქოს [illegible] სცალ დედას. ჭიქა აღარ ეჭირა ხელში. უკოჩობას ზურგს უკან ზორაკანი იდგა, თეთრ სამოსში. შავი ულაყი ეკავა სადავით. ზორაკანის უკან ვიღაც წარმოსადეგი მოხუცი იყო. ასევე შავ ცხენზე იჯდა და მასაც თეთრი სამოსი ეცვა. „ზორაკანის მამა თუ არისო“, — გაიფიქრა გვაჩიმ. ცხენზე ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ასული ეჯდა ბერიკაცს. მუგუზალი ანათებდა მის სახეს. რა საოცრად ჰგავდა ნაიას. მასავით თავაწყვეტის და სიხარულის შუქით ენთებოდა სახე. მოხუცის უკან სხვა სახეები დგებოდნენ ბურუსში.

იდგა მუხლმოყრილი გვაჩი ნიშანთან და გარინდებული შეჰყურებდა მის წინ დაჯარულ წინაპართ.

მერე დედა შეეხო მხარზე თავისი გამხდარი, ცისფერძარღვიანი ხელებით. წამოაყენა შვილი, კარისკენ შეაბრუნა.

წარმოუდგენელი სიმხნევე შეიგრძნო უცებ გვაჩიმ. თითქოს მის უკან მდგარ წინაპართა მთელი ძალა მასში გადავიდაო.

წინა ოთახში გავიდა. კარ-ფანჯრები დააღო.

აღარა წვიმდა. ქარი სადღაც გადახვეწილიყო და ღრუბლებიც გადაერეკა.

მთვარე დანათოდა ეზოს. ვერცხლისფერ სხივების შუქზე მრავალფერად ბრწყინავდნენ ქარის დარხეული, წვიმით დაწინწკლული ვაშლები.

წვიმას დაეზნიქა ისედაც დახუნძული ხის ტოტები. ახლაც ცვიოდა თითოთითოდ ხან ერთი ტოტიდან და ხან მეორიდან მწიფე ნაყოფი. ყრუდ ეცემოდნენ წყლით გაჟღენთილ მიწას ქარვისფერი ვაშლები.

აივნის ბოძზე გასული ვაზის ფოთლების ჩრდილში იდგა გვაჩი. მისი უზარმაზარი ლანდი მთელ ეზოზე იყო გაწოლილი. არ მოეწონა ორეული. ოთახში შებრუნდა. ტანთ გაიხადა და დაწვა თუ არა, ტყვიასავით მძიმე ძილი მოერია.

ნაიამ დილით ორჯერ მოაკითხა. ღია კარებში ეძინა გვაჩის. ძაღლი ტახტის წინ იწვა ისევე. უხმოდ შეხედა ნაიას. არ გააღვიძოვო გვაჩი, ეუბნებოდნენ მისი ჭკვიანი თვალები.

შუადღე მოახლოვებული იყო, გვაჩი რომ ადგა. ხელპირი წყაროზე დაიბანა. მაშინვე საჭმელს მიაშურა. ეკას ახალი სიმინდის ფქვილის ჭადი გამოეცხო. ვარია ჩაეხოხბა პამიდორში. უზომოდ ბევრი ჭამა. არასოდეს არ ესაუზმა ასე მადიანად, აღარაფერი დასტოვა სუფრაზე. მერე ვენახში შევიდა. ჯერ თეთრი კაჭკაჭი ჭამა. მაყვალივით შავი კაბისონიც მოსწყვიტა რამდენიმე მტევანი. ლეღვებს დაუარა. თურქულ ლეღვს არჩევდა ყოველთვის. წითლად ბზინავდა თაკარა მზეზე სიმწიფისაგან პირდაღებული ნაყოფი.

მთელი ეზო მოიარა გვაჩიმ. ეთხოვებოდა სახლკარს, მაგრამ არ უმძიმდა. არ აღონებდა, ასე უცებ რომ ბრუნდებოდა უკან. პირიქით, ესწრაფვოდა წასვლა.

უკოჩობას ოჯახის მეტს არავის გამოსთხოვებია. სახლში მარტო ეკა დაუხვდა. ბევრი ეხვეწა, თავზე მოევლო: ორი-სამი დღე მაინც დაგეცადა, სულს მოითქვამდი, დაისვენებდი და მერე წახვიდოდიო. მაგრამ გვაჩის ერთი საათითაც არ უნდოდა დაყოვნება.

ეკა სადგურამდე გაჰყვა. ბაქანზე მათ მეტი არავინ იყო. მატარებლის ჩამოდგომისას მარტო სადგურის უფროსი გამოძვრა ლანდივით და მემანქანეს „კვერთხი“ ჩამოართვა თუ არა, სწრაფად შებრუნდა უკან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიწყნარე. იდგა ირგვლივ. ორთქლმავალი არ ქშინავდა. არც ვაგონებიდან ისმოდა ხმა. გვაჩის და ეკას ფეხებქვეშ ყრუდ ხრაშუნობდა ქვიშა. უხმოდ მიდიოდნენ ისინი ვაგონისკენ.

გაიწკრიალა ზარმა. მაშინვე სტვენაც გაისმა. ორთქლმავალმა მოკლედ მიაკივლა.

გვაჩი შედგა, ეკას მიუბრუნდა:

— ნაიაწ ნახვა მინდოდა. რთველზე უნდა წავეყვანე ამ დილით. უთხარი, დავბრუნდები-თქო, და მაშინ გვექნება-თქო დიდი რთველი.

გაჩუმდა, ეკას შეხედა.

ცრემლი ჩასდგომოდა თვალებში ეკას.

გული აუჩქროლდა გვაჩის. რა საოცრად ჰგვანდა ეს ცრემლები დედისას. ასე იდგა მაშინ დედაც. მწარე ღიმილი ეკრა სახეზე. სახე და ხელები უთრთოდა. სწორედ აქ იდგა დედაც; ასე მოშორებით ვაგონიდან. მარტო, უფრო პატარა, უფრო გულჩვილი და უმწეო.

მატარებელი დაიძრა.

საფეხურს შეახტა გვაჩი.

ნელა დასძრა ტვირთი ორთქლმავალმა. უხმოდ მისრიალებდნენ ვაგონები.

იდგა საფეხურზე გვაჩი და თვალს არ აშორებდა ეკას, ერთად-ერთ ადამიანს მთელს ბაქანზე. მთვარე ანათებდა მის სახეს, მის თავსაფარს, ჭალარაშერეულ თმას, მის ტანს.

ასე იდგა დედა იმ ღამეს, ბრინჯაოს ქანდაკებასავით უძრავი. ვინ იცის, სანამდე იყო დედა გაჩერებული და გაჰყურებდა მატარებელს, მერე რკინიგზას, რომელსაც ასე შორს, ასე სახიფათო მხარეს მიჰყავდა შვილი.

მატარებელი იმ ადგილს გასცდა, სადაც წუხელ ჩამოხტა გვაჩი. საფეხურზე იდგა ისევ. იგივე ტყე ჩაბნელებულიყო მის წინ. ჭაობი კვლავ ლივლივებდა თვალისმომჭრელად, მხოლოდ ურთის მოლურჯო მთები უფრო ზვიადად იდგნენ და მთვარე უფრო ნათლად ბრღვიალებდა სურათზე.

გვაჩის მოაგონდა, თუ როგორ ღელავდა, როცა პირველად მიდიოდა ფრონტზე და თავის ბავშვობის ასპარეზს სტოვებდა. ასე ეგონა, თითქოს სამუდამოდ ეთხოვებოდა მშობლიურ მხარეს, თითქოს მისტიროდა ირგვლივ ყველაფერი.

ახლა-კი რაღაც უხილავმა ძალამ შთაბერა მას სიახლე, სიცოცხლის სისრულე და სიმხნევე. ახალი აზრი. ახალი გრძნობა. მისი შეხედულება, მოძრაობა, ხმა, გამოხედვა სავსე იყო სიცოცხლით და სიხარულით.

მატარებელი ტყეს გასცდა. მთელი ცის თაღი დასცქეროდა გვაჩის. ლურჯი, დაუსრულებელი, მიუწვდომელი და წმინდა. ვარსკვლავები როგორღაც საზეიმოდ ენთნენ, თითქოს ბრწყინვალე გზას უნათებენო გვაჩის.

ხეთა. აგვისტო, 1943 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო დოლიძე

გაფრინდი, შავო მერცხალო!

მერცხლები მწყობრად მიფრინავდნენ. გადაივლიდა ერთი წყება, გამოჩნდებოდა ლაჟვარდი ცის ლარი და ისევ მოჰფენდნენ ბნელს მოისარე ფრთები, — კიდევ ცის კამარა და კიდევ ფრთოსანთა წყება...

გია მაგმაძე დასიცხული თვალებით შეჰყურებდა საყვარელ ფრინველთა ლტოლვას და სადღაც შორს, შორს, ნელ-ნელა ინთებოდა გონების მკრთალი შუქი.

„მერცხლები მოფრინდნენ... ადრე გაზაფხულია...“ და ყრმობის საყვარელი სიმღერა ჯერ ნელიად, მერე უფრო და უფრო მკაფიოდ აყღერდა სიცხით დაუძლურებულ ვაჟკაცის გულ-მკერდში.

გაფრინდი, შა-ვო მე-ერცხა-ლო,
გაფრინ-დი, შა-ვო მე-ერცხა-ალო,
ჩაჰყე ალაზნის პირსა-ა-აო...

რა საამო ფრინველია...

გაფრინდი, შა-ვო მე-ერცხა-ლო...

— დაიცა, სადა ვარ? ოჰ, მე ხომ დაჭრილი ვარ... მძიმედ დაჭრილი... ხელები? მარჯვენა?.. საღია, ჯერ იარაღიც შემრჩენია შიგ. მარცხენა? მარცხენაც საღია. მაშ რა? ო-ო, რადა მაქვს დამძიმებული ეგრე რიგად მთელი ქვედა ტანი? ფეხები? სადღაა ფეხები? ჩემი მაგარი მუხლები, ჩემი ამტანი წვივები?.. რა მაყრია ეს? ქვიშა, რკინის ნაფლეთები... უთუოდ მოწყვეტილი მაქვს ორთავე... აღარც კი ვგრძნობ... ეს სიკვდილია... მშვიდობით, სიცოცხლევ! მშვიდობით, დედავ! მშვიდობით, დაო!

და წუთით სასოწარკვეთილება იტანს ვაჟკაცს. სიკვდილი! ვის არ უმძიმს სიკვდილი? სიცოცხლის, სიყვარულის, სინათლის, მზის, ცარგვალის გამოსალმება?..

მშვიდობით, სიცოცხლევ, მშვიდობით, მერცხლებო, მშვიდობით, ცის კამარავ!..

მაგრამ არა! სიკვდილი?.. შეუძლებელია ასე იოლად დანებდე ამ საშინელ მტერს. არ მინდა, არ მინდა!

მიწაზე განართხული, სიცხით ანთებული, მაგრამ ჯერ კიდევ მებრძოლი ვაჟკაცი არ ნებდება, ის კიდევ იბრძვის.

დაიცა: ჩვენ ხომ გვიან ღამით დავესხით მტერს. ეხლა კი დილაა. თუ ფეხები მოწყვეტილი მაქვს, აქამდე სისხლით დავიცლებოდი. ო, არა, არა! მაშ შორს ჩემგან, სიკვდილო! მე კიდევ ვცოცხლობ! მე კიდევ ვიცოცხლებ შენს ჯიბრზე! მე კიდევ ვიბრძოლებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრინდი, შავო მერცხალო,
ჩაჰყე ალაზნის პირსაო,
ამბავი ჩამომიტანე, ამბავი ჩამომიტანე
რომში წასული ძმისაო...

ჰეი, — სადა ხარ, ბიჭო ნოდარ? სად არი შენი მადლიანი ხელი? ვიწვი, ვკვდები! არ გესმის? რამდენჯერ ვმჯდარვართ ერთად, რამდენჯერ გვიგალობია — ამბავი ჩამომიტა-ანე... რამდენჯერ გითქვამს შენის ტკბილი ხმით: ბიჭო გია, რომ დაიჭრა, იცოდე, მერცხალი მომიტანს ამბავს, წამსვე იქ გავჩნდები და გიშველიო. შენ ექიმი ხარ... მაგრამ შენ იქ, ჰოსპიტალში დგეხარ საოპერაციო მაგიდასთან და ვინ იცის, რამდენჯერ შეებრძოლები სიკვდილს, რამდენ ვაჟკაცს შეუნარჩუნებ სიცოცხლეს... ჰეი, სადა გცალიან ჩემთვის!.. გაფრინდი, შავო მერცხალო, გაფრინდი, აცნობე ჩემს მეგობარს, რომ საშინელ განსაცდელში ჩავვარდი. ულმობელი მტერი მებრძვის და მამარცხებს...

წელამდის მიწაში ჩაფლულ, წყლულებით დაუძლურებულ მეომარს სიცხე უფრო და უფრო ართმევს თავს. იგი მიწას აღარ ეკუთვნის, მის გონებაში ირევიან მეგობრები, მტრები, მზე, ფრინველები, ზღაპარი — ცხადი და სიზმარი.

...მშობლიური კერა. ბუხარი. მოგიზგიზე ცეცხლი. ბიძია დათა... საბრალო ბიძია დათა! რა უგერგილო, უხეირო რამ იყო, რაღაც მიუსაფარი, მუდამ დაავადებაზე მომჩივარი. ზაფხულში მკისას წელს იტკენდა, გაზაფხულზე, ხვნა-თესვისას მზისაგან თავბრუ ეხვეოდა... გაზაფხულის მზე მართლაც მწვავეა... მხოლოდ ზღაპრები ეხერხებოდა... ზის ბიძია დათა ცეცხლაპირა. სუსტი ფეხები ნაბდის წინდებით შეუფუთვნია, ფეხის ტერფები ცეცხლისთვის მიუშვერია. ქალამნებს ოხშივარი ასდის. პატარა გიას თავი მეზღაპრის მუხლებზე უდევს. იგი ალს გაჰყურებს, სითბოსა და ზღაპრის ბურანში ეხვევა. მერცხლის ფრთასავით შავი, პრიალა თმა შუბლზე ჩამობნევია.

— რა შოთი თმა აქვს ამ ბიჭს, — იტყვის ბიძია დათა და ბავშვს გამხდარ თითებს გადაავლებს თავზე. — ჩვენ ყველას ხუჭუჭა თმები გვქონდა... მე ისეთი ქოჩორი მიმშვენებდა შუბლს, რომა... მოედანს რომ გამოვიდოდი და ცხენს მოვახტებოდი ფარ-ხმალით...

გია ქვემოდან ახედავს ბიძიას ყოალო, უფერული თმის ბუწუწებს, უნდა წარმოიდგინოს ბიძია დათას ვაჟკაცური ქოჩორი, თავზე მუზარადი, მის სუსტ გულ-მკერდზე ჯაჭვ-ფარ-იარაღი და ვერ ახერხებს. ისევ ტკბილად გაუღიმებს მასავით მეოცნებე მოხუცს და შეეკითხება:

— მერე, ბიძია დათა? რა მოუვიდა პატარა ბიჭსა?

— ო-დე... მიიყვანა წიქარამ პატარა ბიჭი ერთ აყვავებულ მინდორზე, შესვა ალვის ხეზედა, მისცა ორი სალამური, ერთი საჭირო, ერთი სალხინო და უთხრა: იჯექ მანდ, არ ჩამოხვიდე. მოილხენ — დაუკარ სალხინო სალამური, მოიწყენ ან გასაჭირი გაგიჩნდეს რამე — დაუკარ საჭირო სალამური, წამსვე იქ გავჩნდები და გიშველიო. გამოეთხოვა და წავიდა... ზის პატარა ბიჭი ალვის ხეზედა, ზის და უკრავს სალხინო სალამურს. ირევიან ალვის ხესთან ჭრელ-ჭრელი პეპლები, ლამაზი ჩიტუნები, დაფრინავენ, გალობენ, ულხენენ პატარა ბიჭს...

ოღონდ დაინახა ერთმა ჯადო დედაბერმა, შეჰშურდა, შეჰშურდა და მოიფიქრა პატარა ბიჭის დალუპვა. მივიდა ბრიალა თვალებით, გრძელი კლანჭებით, შეჰყურებს ქვემოდან და ამბობს პატარა ბიჭს: უ-უ-უ!

...ცეცხლი უფრო და უფრო მძვინვარებს, ედება მაგარ კოერიანან კუნ-ძებს, ნთქავს მათ... ნაღვერდალი იშლება, იზრდება, ედება მთელ არე-მარეს... ო-ოჰ, როგორა ცხელა! ვიწვი, ვიწვი, მიშველეთ! წყალი... წყალი!

რაო? სადა ვარ? ჰო, ბიძია დათა... მაგრამ როგორ ცხელა... მართლაც ვიწვი... განგრენა, განგრენა ხომ არ-მეწყება? საშინელი მხეცია განგრენა, მედუზასავით მწვანე-თვალებიანი, ყელზე შემოგეჭდობა და გლრლნის, გახრ-ჩობს... გწოვს, გწოვს, ანთებულ, მდულარე სისხლს. სვავივით... სვავივით...

დაატყვევეს პატარა ბიჭი და ჩააგდეს ცხრაკლიტულში...

— არწივო, არწივო, მძლავრ-კვერიანო, ფრინველთ მეფეო, წადი, აცნობე ჩემს მეგობარს წიქარას...

— მე მაღლა კლდეში მივიჩქარი, ჩემს ბარტყებთან, მე შენთვის არა მცალიან!

— ო, უგულო არწივო...

— ყორანო, ყორანო, შავ-ფრთოსანო, წადი, ალვის ხეზე ჩემი სალამურე-ბი დამრჩა და მომიტანე, დაუკრავ და...

— მე რომ შენი მეგობრის წიქარის ლეში გთხოვე და არ მომეცი?

გადაფრინდა ყორანი და სულ დაუბნელდა ისედაც შავი და ბნელი დღე პატარა ტუსაღს...

— მერცხალო, მერცხალო! გაფრინდი, შავო მერცხალო...

მაგრამ რა არის ეს? ვინ აცლის ქამარს, ვინ უხსნის ღილებს დაკოდილ მეომარს?

— ა-ა, სვავებო, ყვავ-ყორნებო! თქვენ კიდევ ცოცხლობთ?! დაიცათ, მე ჯერ არ მოვმკვდარვარ, ჯერ იარაღიც ხელთა მაქვს!

ჩაბნელებულ ბლინდაჟში სროლა გაისმა. უსულო გვამი გაიშხლართა და-ჭრილის გვერდით.

— ა-ა, ძაღლებო, ტურებო!.. ლეშს დაეძებთ!..

აი კიდევ ერთი, ყვითელ-ჩექმებიანი. სვავებს, ვგონებ, ყვითელი კლანჭები აქვთ... როგორ ფრთხილად მოცოცავს... მობრძანდით, მობრძანდით, კარგად გაგიმასპინძლდებით...

ერთი!

ორი!

აგრე.

კიდევ? ინებეთ! ჩვენ სვავებს ლეშს არ ვაჭმევთ, ჩვენ სვავებს ვხოცავთ.

ცხადი და სიზმარი ირევა... ცოცხალი მტრებია თუ ბიძია დათას სვავები?

ოთხი!

ხუთი!

აგრე.

გათავდა! კიდევ ჩამობრძანდებით? ეი, ერთი ტყვიაც აღარ დამრჩა ჩემი თავისთვის... არაფერია, ეხლა, გინდ მოდით, გინდ ხელთ მიგდეთ... ბევრ ხეირს ნახავთ ჩემში...

მაგრამ ბლინდაჟში აღარავინ ჩადის. კიბის საფეხურები ყვითელ-ჩექმე-ბიანი გვამებით გაიჭედა.

დავხოცე, ხომ დავხოცე ყველანი, ეს კარგად მომივიდა... სადა ხართ, ეი? მეგობრებო, სადა ხართ, მოდით, ნახეთ, როგორ იბრძვის მომაკვდავი გია მაგმაძე!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ ბრძოლის ველი ჯერ იმათია... მაშ მშვიდობით სიცოცხლევ!.. მშვიდობით, მშვიდობით!..

გაფრინდი, შავო მე-ერცხალო...

ეს დღეც ილევა... ჩვენები არა სჩანან...

ზის პატარა გია და უკრავს საჭირო სალამურს, იხმობს თავის მეგობარს წიქარასა.. მაგრამ ალარა სჩანს წიქარა... უკრავს პატარა ბიჭი, უკრავს ისე, რომ მისი ცოდოთი ცა და ქვეყანა იწვის. ალარც პეპლები ფრენენ, ალარც ჩიტები გალობენ, ალარც წყარო ელურტულებს. ბალახი ცვარს აფრქვევს სიბრალულით, მაღალი ხეები ნამსა ჰყრიან, სალი კლდე იცრემლება. მერცხალო, მერცხალო... შენ მაინც აცნობე ჩემს მეგობარს... გაფრინდი, შავო მერცხალო...

აი კიდევ მოუფათურა ვიღაცამ ხელი მკერდზე... მაგრამ ეს სვავის ბრჭყალები არ არის. ეს მერცხლის ნაზი ფრთების შეხებას უფრო ჰგავს... ვისია ეს ნანატრი ხმა?..

— ბიჭო გია, ცოცხალი ხარ?

ცხადია თუ სიზმარი? სიზმარია, სიზმარი... მაგრამ ვინ დაჰყურებს ასეთი სიყვარულით?

— ნოდარ, ვიცოდი რომ მომძებნიდი...

და როცა მძიმედ დაჭრილი მებრძოლი გია მაგმაძე საკაცით საველე ჰოსპიტალში მიჰყავთ, მთელ მის სიცხით მოთენთილ, მაგრამ ვაჟკაცურ გულმკერდში მძლავრად გუგუნებს:

გაფრინდი, შავო მერცხალო,
გაფრინდი, შავო მერცხალო,
ჩაჰყევ ალაზნის პირსაო...

მზე მთებს ჩასწვდომია. უზარმაზარი მისი დისკო, უსწოროდ გადაღარული შორეული მთების ხერხემლით, თითქო ბავშვის მიამიტი ცალმით დახატული, სწორ, მომწვანო სხივებს ჰფენს კამკამა ცის კიდურს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

კავკასიონის კარებთან

რომანი[1])

IV

მშობლიური ჰანგი

განუწყვეტელ მეცადინეობასა და სამხედრო სამზადისში დრომ სწრაფად გაირბინა. კურსის დამთავრებამდე სამსონი და ეთერი მხოლოდ რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს, ისიც სულ მცირე ხნით.

ივნისში უკვე ერთ-ერთ ქართულ ნაწილში იყვნენ. სამსონი ასეულის მეთაური იყო, ხოლო ეთერი მედიკურ-სანიტარულ რაზმს ხელმძღვანელობდა.

ამ რაზმში უმთავრესად ახალგაზრდა ქალიშვილები იყვნენ. მათ ჯერ ფრონტი არ ენახათ. ამიტომ ეთერის დარიგებას გულმოდგინედ ისმენდნენ, ყველაფერში მას ბაძავდნენ. საერთო საცხოვრებელში საღამოობით გარს შემოუსხდებოდნენ ხოლმე ეთერს და აიძულებდნენ, ეამბნა მათთვის ფრონტის ამბები. ყოველი მათგანი ცდილობდა არ გამოემეღავნებინა ის შიში, რომელსაც ფრონტზე წასვლის მოლოდინი იწვევდა, ეგონათ, საკმაო იყო გაერღვიათ რაღაც იდუმალი ცეცხლის ფარდა, გადასულიყვნენ იქითა მხარეს და მერე გადაიშლებოდა საგმირო მოქმედების ასპარეზი, ისეთი ასპარეზი, სადაც სიკვდილი ჰკარგავს თავის ძალას.

ეთერი წლოვანებით მათზე უფროსი არ იყო, მაგრამ იგი უკვე ნამყოფი იყო ბრძოლის ქარ-ცეცხლში, მას შეეძლო გაეფანტა ამ გამოუცდელი ქალიშვილების გულში ფარულად მოფუსფუსე შიში.

თან კიდევ ეთერი მათზე უფრო ამტანი აღმოჩნდა. ფიზკულტურულ ვარჯიშობას, მთასვლელობასა და ცურვას ამაოდ არ ჩაევლო. ეს განსაკუთრებით მაშინ დაინახეს ქალიშვილებმა, როდესაც მთებში იყვნენ სალაშქროდ.

ბევრს გული საშინლად უცემდა, პირი უშრებოდა, ზოგს ტუჩებზედაც კი გამოთოშა, ხოლო ეთერი მშველივით მსუბუქად ადიოდა აღმართში, ჩამორჩენილებს ამხნევებდა, ვაჟკაცებს მაგალითს აძლევდა.

აგერ ფრიალო კლდეები უკან მოიტოვეს. მეთაურმა შესვენება გამოაცხადა. ფიჭვების ჩრდილში წამოწვნენ მდელოზე.

ეთერი კარგ გუნებაზე იყო. ეს ლაშქრობა ომამდელ გართობას ჰგავდა. გარდა ამისა, სამსონი ახლოს ეგულებოდა. ვიწრო ხევს გაღმა იყო თავის ასეულთან ერთად.

თავი გადიქნია, მოკლედ შეკრეჭილი თმის კულული უკან გადაისროლა, სახე მთის ნიავს შეუშვირა. მერე ღიმილით დამშვენებული თვალები მოავლო ირგვლივ და სიმღერა წამოიწყო.

---

[1]) გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 7.

ამხანაგები აჰყვნენ. სიცოცხლითა და იმედით სავსე სიმღერის გუგუნი ხეიდან ხევს გადაევლო, მდუმარე მთების მწვერვალებს მისწვდა.

ფერდობზე, მებრძოლთა გვერდით ჩამომჯდარმა სამსონმა ეთერის ხმა იცნო. სახე გაუნათლდა. სერს გაჰხედა. ახლა შეამჩნია ივლისის მზის სხივებით გაბრწყინებული ფიჭვნარის სილამაზე. ერთ მაღლობზე ძველი ციხის ნაშთი აღმოაჩინა. ისეთმა გრძნობამ გაუელვა, თითქო ხმლების კაშკაშით მოემართებოდნენ იქიდან სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლნი და საიერიშო სიმღერით ადიოდნენ ზევით, სულ ზევით.

ეთერიც მათთანაა, სამსონს უხმობს...

ერთ წამს გაგრძელდა ეს ხილვა. შემდეგ უცებ შუბლი შეიკრა.

საიდან შემოეპარა ეს გესლიანი გრძნობა?! რამდენჯერ დაიჭირა თავისი თავი ამ უკანასკნელ დღეებში ასეთი წარმოსახვის დროს! რა არის ეს, სრულიად მოულოდნელად რომ გაჰკრავს ბრჭყალს გულში და თავის თავს შეაჯავრებს?!

მღერის ახლა ეთერი და მის გვერდით სხვები სხედან... არა, სხვები კი არა, შალვა ყიფშიძეა იქ...

ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა სამსონი, თუ შალვას ოდესმე ასე გაჯანსაღებულს ნახავდა... მართალია, შალვა რომ ბრძოლის ველიდან გამოიყვანა, თვითონაც მძიმედ დაიჭრა, თავის გონებაზე აღარ იყო, მაგრამ კარგად ახსოვდა, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა შალვა, როდესაც ის ამხანაგებმა ჰოსპიტალში წაიყვანეს: სისხლისაგან იცლებოდა, გული მისდიოდა. ახლა კი...

ეს ერთი თვის წინათ მოხდა. სამსონმა იმ დღეს მეცადინეობა ადრე დააძთავრა. ასეულს ბანაკში მიუძღვა, ხელპირი დაიბანა, ხალათი გამოიცვალა და ეთერთან შესახვედრად გაეშურა.

ბაღში ჯერ ხალხი ცოტა იყო, აქა-იქ ისხდნენ მაღალი ხეების ჩრდილში.

სამსონმა მოწყურებული თვალით გაჰხედა ხეივანს, ეთერი ვერ დაინახა. კლუბის გვერდით ჩამოჯდა სკამზე.

მზის მცხუნვარე სხივებში მოელვარე ვერხვების ფოთლებს ნიავი გაბმულად აშრიალებდა. ოდნავ, სულ ოდნავ გასაგონად ერთვოდა ამ შრიალს ლიახვის დამცხრალი ზვირთების ჩქრიალი.

მოუსვენარი მოლოდინით გულდამძიმებული სამსონი ჭიშკარს თვალს არ აშორებდა.

რატომ დაიგვიანა ეთერმა? იქნება რაიმე შეემთხვა?

უცებ თვალები გაუფართოვდა, მერე შეკრთა, განზე მიიხედა.

რა არ მოეჩვენება კაცს? გულში შხამად აქვს ჩარჩენილი, დაუვიწყარი მეგობრის ამბავი რომ დღემდის ვერ გაიგო, და, ალბათ, ამიტომ ამსგავსა. საიდან სადაო? შალვას ასე რა მოარჩენდა? თუ ცოცხალი გადარჩა, სამუდამოდ დასახიჩრებული იქნება. ეს კი...

ისევ ჭიშკარში შემოსულ ჭაბუკს გაჰხედა.

რა საოცრად ჰგავს. ისეთივე ტანადი, მხრებ-გაშლილი; სუფთად, მოხდენილად გამოწყობილი. მაღალი ყელი და კეხიანი ცხვირი. თვალები? სიზმარში ხომ არა ვარ! მიხრა-მოხრაც რომ სწორედ ისეთი აქვს. განა შეიძლება კაცი კაცს ასე დაემსგავსოს?

შალვა აუჩქარებლად მოდიოდა. ვიწრო წელზე მაგრა შემოჭერილ ქამარში ხალათი ისე ჰქონდა გასწორებული, თითქო ჩამოსხმულიაო. შემართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკერდი შვენოდა. ფიქრში იყო გართული და ამიტომ ვერ შეამჩნია მისკენ თვალმიპყრობილი, გაოცებული სამსონი.

სკამს რომ მიუახლოვდა, სამსონს ერუანტელმა დაუარა, თითქოს ეშინოდეს ვიდან ამდგარს ხედავსო.

— ბიჭო, შალვა!

მეგობრის ხმა და თვალთა ელვა ერთად დაიჭირა შალვამ; შესდგა, უკან გადაიხარა, ხელი ასწია.

— ო, სამსონ!

ორივენი ერთად მოწყდნენ ადგილს. ჰკოცნიდნენ, თავს გადასწევდნენ და სახეზე შეაცქერდებოდნენ ურთიერთს, თითქო თვალებს არ უჯერებენო.

— შალვა, ნუთუ შენა ხარ, ბიჭო?

— მე ვარ, ძმაო, მე. აბა, რა გეგონა, შენი თავგანწირვა ამაოდ ხომ არ ჩაივლიდა?

— კი, მაგრამ ასე...

სამსონმა მეგობარს ახედ-დახედა, ტანზე ხელი შეავლო.

— გადავრჩი... ჩვენს ხალხს უკვდავების წყარო ტყვილა კი არ მოუგონია. ალბათ, ჩვენს მთებში დამილევია სადმე.

— შენ სულ ზღაპრები და ლექსები უნდა მოიშველიო... მართლა, როგორ... მე ისე მახსოვს, შენ რამდენიმე მძიმე ჭრილობა გქონდა...

— მერე, როგორი! სისხლის გადასხმამ მიშველა. ტატიანა პავლოვნა ხომ გახსოვს, იმის სისხლმა და მოვლამ დამაყენა ფეხზე. ეს ქვეყანა საზიზღარი იქნებოდა, ბუნებას რომ ქალი არ გაეჩინა. ქალებში კი, სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან ამომიჩნდება თითო მეგობარი. ამ მხრივ ბედს ვერ დავემდურები... შენ, შენ რასა იქ, ჩემო კარგო ყმაო?

— მე რა მიშავს...

— შენც ხომ დაგჭრეს. ლანდივით მახსოვს, ჩემთან რომ მოხოხდი. მერე გონება დავკარგე. მხოლოდ ის კი ვიგრძენი, შენც რომ დაიჭერი... ვაჟას არ იყოს, სწორედ მაშინ იყო ის ჟამი:

„დაგელაობდეს სიკვდილი,
სუდარაებსა ჰკერავდეს“...

ხელი ხელს გამოსდეს, ლიახვისაკენ გაემართნენ, კბოდესთან დასხდნენ ჩრდილში.

ივნისის პაპანებაში ქართლის მთები ახლად გაჩარხული ფოლადივით ელვარებდნენ. შეფორაჯებულ კლდეებზე ნაირნაირი ჩუქურთმები ბზინავდნენ. მდინარის გასწვრივ რიყე ისე გახურებულიყო, რომ ფრთებდამძიმებული ნიავიც გაეთბო.

მეგობრები საუბარში გაერთნენ, იგონებდნენ ამხანაგებს, უამბობდნენ ურთიერთს, რაც განშორების შემდეგ გადახდათ.

მზე ქედს მიეფარა. ველს საამო ჩრდილი გადმოეფინა.

შალვა წამოწვა, თავი იდაყვს დააყრდნო.

— ეჰ, რა ტკბილია, ბიჭო, ჩვენი ქვეყნის სიცხეც და სიგრილეც! სამი წელიწადი სამშობლოში არ ვყოფილვარ. შორიდან შევსტრფოდი, „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოს“ ვიმეორებდი. ახლა კი ჯერაც არ გავმძღარვარ მისი სილამაზით... რას იტყვი, ღირს ამ ქვეყნისათვის სიცოცხლეცა და სიკვდილიც, არა?... რამდენიმე დღით ვიყავი სოფელში. მამა მოხუცებულა, დები

გათხოვილან, მაგარმ მაინც იმდენი სიხარული ვიგრძენი იქ, რომ სულ დაშავიწყდა, თუ ოდესმე რაიმე გაჭირვება გამომივლია. სულ პირზე ეკერა — „სნეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო“.

სამსონს უყვარდა შალვას ლაპარაკი, ლექსებით შეზავებული თქმები. რამდენჯერ გაუმხნევებია მის სიტყვას, ახალი ენერგია აღუძრავს. მთავარი ის იყო, რომ შალვას სიტყვა და საქმე მუდამ ერთმანეთს ემთხვეოდა. სხვისაგან რომ სიმამაცესა და თავდადებას მოითხოვდა, თვითონ სხვებს წინ უსწრებდა, არავითარ საფრთხეს არ ერიდებოდა.

— ძმა ძმისთვის და შავი დღისთვისო, — განაგრძობდა შალვა, — შენ რომ არ გამოგეყვანე იმ ცეცხლიდან, ვეღარ ვნახავდი მშობლიურ მიდამოს, ვეღარ ვიტყოდი:

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა“...

შალვასთან შეხვედრის შემდეგ სამსონს ბუნდოვანად ახსოვდა, რომ ეთერს მოელოდა, მაგრამ გაიგონა თუ არა მისი ფეხის ხმა, გული შეუთრთოლდა, წამხვე წამოხტა, ეთერს მიეგება.

ეთერს ქეთო ასდევნებოდა. არ უნდოდა ეთერს ქეთოს წამოყვანა, მაგრამ განა ასე ადვილი იყო მისგან თავის დაღწევა? წინათაც გულითადი მეგობრები იყვნენ, ხოლო კურსებზე მეცადინეობისა და მედიკურ-სანიტარულ ნაწილში წამოსვლის შემდეგ ქეთო უეთეროდ ვერა სძლებდა, მუდამ მასთან იყო, ღამითაც მის გვერდით იძინებდა. ვინ იცის, იქნება ეს იმიტომ მოსდიოდა ქეთოს, რომ ფრონტზე წასვლის მოლოდინი აკრთობდა, ეთერის მახლობლად კი თავს მხნედ გრძნობდა, მკვირცხლად მუშაობდა, ხშირად გაისმოდა მისი წკრიალა სიცილი.

— რამდენი გეძებეთ, რისთვის დაგვემალე? — უსაყვედურა ეთერმა სამსონს.

— მე ერთი მეგობარი ვიპოვნე... აბა, თუ იცნობ!

ფიქრში გართული შალვა ქალის ხმამ გამოარკვია, სწრაფად წამოდგა, ხალათი გაისწორა.

— ნუთუ შალვაა, ის არის, ხომ? — წამოიძახა ეთერმა და სამსონს გაოცებული თვალები შეანათა. მერე ისევ შალვას მიაპყრო თვალი. — ღმერთო, რა ბედნიერებაა! — ჩაილაპარაკა და შალვასკენ გაემართა.

შალვა ქალთა წრეში თავს ყოველთვის კარგად გრძნობდა. ახლაც ძველი მეგობარივით გაუწოდა ხელი ქალიშვილებს, თუმცა ქეთოს პირველად ხედავდა, ხოლო ეთერი სულ ორჯერ ჰყავდა ნახული.

— ალბათ, უკვე გამომიგლოვეთ, არა, ძვირფასო ეთერ?

— რას ბრძანებთ! სამსონი თქვენი ჯავრით აღარ იყო!

— თქვენ, თქვენ აღარ მიგონებდით? — მოალერსე საყვედურით შეეკითხა შალვა, თან გულღიად შეაფრქვია ეთერს სახეზე თავისი ბასრი თვალების სხივი.

ეთერმა უნებლიედ თავი დაჰხარა.

— როგორ გეკადრებათ, განა ჩვენ ასე ადვილად ვივიწყებთ ჩვენს მებრძოლებს?

— არა, მე ეს ისე... მინდოდა თქვენი გულის პასუხი გამეგო. არ მიყვარს, როცა ყველაში გამრევენ. ჩვენ მთელი ქვეყანა გვიყვარს, ყველასთვის ბედ-

ნიერება გვინდა, მაგრამ ჩვენს მეგობარსა და ახლობელს მაინც გამოვიჩევთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთქვა ეს შალვამ და მეგობრულად შეახო ეთერს მკლავზე ხელი, ეთერმა
თოს მიუბრუნდა:

— ხომ მართალს ვამბობ, ქალიშვილო?

ქეთოს ვაჟებში თავი მუდამ თამამად ეჭირა, მაგრამ ახლა შალვას წინაშე
რატომღაც დაირცხვინა, ქერა სახე წამოეგზნო, მზისაგან დამწვარ ღაწვებზე
აქა-იქ ჭორფლმა გამოჟონა, ცისფერი თვალები კდემით დაჰხარა, შემკრთალი
ხმით უპასუხა:

— დიაღ, მართალს ბრძანებთ.

დედხანს ისაუბრეს ბაღში. მთელი საღამო ერთად გაატარეს.

სამსონი იმდენად აღტაცებული იყო მშვიდობით გადარჩენილი მეგობრის
ნახვით, რომ იმ საღამოს არ შეუმჩნევია შალვას თვალებში მოკიაფე ვნებიანი სხივი, ხოლო შემდეგ მრავალგზის დაიჭირა იგი, გულში შხამივით ჩაეწვეთა, ისეთი ძირმწარე ფიქრი აღუძრა, როგორიც არასოდეს არ განეცადა.

თავის თავს ტუქსავდა სამსონი. რა მოხდა, რამ შეაშფოთა? შალვას ასე
სჩვევია: ქალი თუ მოეწონა, უთუოდ გაუარშიყდება. რა ვუყოთ მერე,
ეთერს ხომ არ მიუცია სამსონისათვის რაიმე საბაბი... კი, მაგრამ შალვამ ხომ
იცის ეთერისა და სამსონის ურთიერთობა? იცის და მაინც... აჰ, რა მძაფრი
ცეცხლი შემოენთება ხოლმე სამსონს, როდესაც შალვა ეთერს მიელაციცება,
ვნებიანი თვალების შუქში გახვევს. მოეჩვენება, თითქო, რაღაც წარუხოცელი მწიკვლი შეეხო ეთერის უმანკოებას, თითქო გველივით საზარი უკუნი
ეუფლება სამსონის ყველაზე უწმინდესს გრძნობას...

აი ახლაც... მღერის იქ ეთერი. იქვე ახლოს, ალბათ, სულ ახლოს ზის შალვა და ვნებიან თვალებს არ აშორებს. იქნება კიდევაც დაიჭირონ ერთმანეთის მზერა და ფარულად გაამხილონ რაც სათქმელი აქვთ. ვინ იცის, ადამიანის გული უფსკრულია... შალვა მშვენიერი ვაჟკაცია, ადვილად შეუძლიან ქალის გულის მოგება. იქნებ მართლა უყვარს, მაშინ...

— ოჰ, არა! — წამოიძახა მზარავი ფიქრით შემკრთალმა სამსონმა და ხელი
გაიქნია, ბინდდაფენილი თვალები მოავლო თავის ასეულს.

ამ დროს სიმღერაც შესწყდა. მშობლიური ჰანგის უკანასკნელი აკორდი
ღრმა ხევში დაინთქა.

— რა კარგად მღეროდნენ! — დაარღვია დუმილი ერთმა მებრძოლმა. მას
სხვები გამოეხმაურნენ:

— ეთერის ხმა იცანით?

— იმ წამსვე. ეს იყო წამომწყები.

— აბა, ძმაო, ქალი ვარო, მაგან უნდა სთქვას.

— რას ამბობ, ქალი კი არა, ბევრ ვაჟკაცს სჯობია.

— ზოგს გული ამოუვარდა აღმართში, ეთერი კი მერცხალივით ადიოდა.

— შენ ისა სთქვი, რა გმირობა გამოუჩენია ფრონტზე!

— რა ვიცი, ძამია, წინათ ვფიქრობდი, ქალს მეომრებში რა უნდა მეთქი.
ახლა რომ ვუკვირდები, დიდი იმედი ყოფილა. ეთერისთანა ქალის გვერდით
კაცი, ლაჩარი რომ იყოს, მაინც წელში გაიმართება.

სამსონს ეამა, ამხანაგებმა რომ ეთერს ხოტბა შეასხეს, გული გაუმთელდა,
ფოლადიანი ხმით გასძახა ასეულს:

— აბა, ბიჭებო, დავიძრათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

აგვისტოში, როდესაც მტერი კავკასიონის კარებს უახლოვდებოდა, № ნაწილი დღითი დღე ფრონტზე წასვლას ელოდა. რამდენჯერმე მოაწყეს საცდელი გასვლა სადგურზე. მეთაურებს ერთი წამი მოცლა არა ჰქონდათ, ქვეგანაყოფებს აწყობილ მექანიზმივით რაზმავდნენ. მალე ყველაფერი მზად იყო. ბრძანების უმალვე ათასეულები ფეხზე დგებოდნენ.

მოლოდინში დღეები დამძიმდნენ, ძილფხიზელი ღამეები გაგრძელდნენ.

მებრძოლთა დიდი უმრავლესობა ფრონტზე პირველად მიდიოდა. ესენი იმედის თვალით უცქეროდნენ ბრძოლის ცეცხლში უკვე წრთობილ ვაჟკაცებს, მათ შორის ათასეულის კომისარს — შალვა ყიფშიძეს და ლეიტენანტ სამსონ ლომთაძეს. ამათ თითქო გადალახული ჰქონდათ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნა, ის ბუნდოვანი ნაპირი, რომლის იქით გამოუცდელ მებრძოლთ უცნაურად სახეცვლილი ქვეყნიერება ეჩვენებოდათ.

მართლაც და, საცაა უნდა დაიძრნენ, უნდა დასტოვონ ყველაფერი, რაც აკვნიდან დღემდის უხილავთ, რასაც შეეზარდნენ, რასაც შეესისხლხორცეს... უნდა დასტოვონ? არა! ეტყოდა მათ მეორე გრძნობა — მთელი ეს მიდამო, ეს ცა, ეს დედამიწა მათთან იქნება, მათთან ივლის, მათ ძვალსა და რბილშია გამჯდარი. მტერი ლამობს შემოლეწოს კავკასიონის კარები, მონობის უღელი დაადოს მშობელ ქვეყანას, რომელმაც მრავალ მტარვალს შეუნგრია გულის ფიცარი. ახლაც ასეთივე ბედი ეწვევა მომხდურს. ახალგაზრდა მებრძოლნი არ შებღალავენ წინაპართა სახელს, არ შეაბილწვინებენ მამა-პაპათა ნაამაგარს გულბილწ ავაზაკებს.

ეს გრძნობები, სამშობლოს სიყვარულით გამძაფრებული გრძნობები, აჩქროლებდა მათ გულს.

მაინც მძიმდებოდნენ დღეები მოლოდინში, უცნაურად იშმუშნებოდნენ დაუსრულებლად გაგრძელებული ღამეები.

„ოჰ, ნეტავი აღარ ვაყოვნებდეთ, — ინატრებდა ხოლმე ზოგი. — გავსწოთ ბარემ, მტერს პირისპირ შევხვდეთ!“

ეს ჟამიც მალე დადგა.

საღამოს მიიღეს ბრძანება. მწყობრად გამოეფინენ ქუჩებში რაზმეულები. დაიძრნენ საბარგულები. აგუგუნდნენ მანქანები. მრისხანედ გამწკრივდნენ გზატკეცილზე არტლეგიონის ქვემეხები, ზრიალით გაემართნენ სადგურისაკენ.

მეწინავეებმა სიმღერა შემოსძახეს. მზესავით ამობრწყინდა მშობლიური ჰანგი, ფრთა გაშალა, მტკვრისა და ლიახვის ზვირთებს ციმციმი მოსტაცა, ძველი ციხის ქონგურებს — გარდასულთა ძეგლივით აღმართულ კვარცხლბეკს მიუალერსა, გმირთაგმირის კერას ეამბორა, შორეულ მწვერვალებს გაეხმაურა, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას მისწვდა.

შემჭიდროვდა, შემკვრივდა, გაფოლადდა მებრძოლთა სხეული; ჯავშანივით შემოეგარსათ საუკუნეთა მანძილზე ნაჭედი ძალა. იდუმალად გრძნობდნენ, რომ მათთან ერთად ვიდოდა მარადის სხივჩაუქრობელი კავკასიონი.

მიწკრიალებდნენ ელმავლები, სწრაფად მიჰყავდათ მეომრები. უკან რჩებოდნენ სიყვარულის ცრემლით თვალდანამული გამცილებლები.

ის ქვეგანაყოფი, რომელშიაც შალვა და სამსონი იყვნენ, ადრე წავიდა, ხოლო მედიკურ-სანიტარული ნაწილი განთიადისას დაიძრა.

ეთერი ღია ფანჯარასთან იდგა გარინდული, ამომავალი მზის სხივებით შემკულ თრიალეთის ქედს გაჰყურებდა. ბროლივით გამსჭვირვალე ... დი გულს ალერსით ეფინებოდა; ისეთი წმინდა, ისეთი უმანკო ... ვარდი, თითქო უკვდავი სიყვარულის მადლით ბრწყინავსო მთელი ქვეყნიერება.

მიჰქროდა მატარებელი, გაბმულად რაწკუნობდნენ ბორბლები, და ფიქრში გართული ეთერიც იდუმლად იმეორებდა:

— იარე, გულო, მიჰყევი სამსონს, სძლიე სიკვდილი, გაიმარჯვე...

იმდენად მიმზიდველი იყო დილის ელვარებით მორთული მშობლიური გარემო, რომ ეთერმა მაშინაც ვერ მოსწყვიტა თვალი, როდესაც ქეთომ მხარზე ხელი დააყრდნო და მთელი ტანით მიეხუტა.

ქეთო ფეხის თითებზე შესდგა, ფანჯარაში გადაიხარა, ეთერს ლოყაზე აკოცა, მერე ყურში ჩასჩურჩულა:

— აბა, თუ მიხვდები, რაზე ვფიქრობდი ახლა?

— რაზე? სთქვი!

— არა, ეს ღამე და ეს დილა მე არასოდეს არ დამავიწყდება. არა მგონია, რომ ჩემ სიცოცხლეში ამაზე დიდი რაიმე მოხდეს.

— მაინც რა?

— მოიცა, ჯერ იმას გეტყვი, თუ რას ვფიქრობდი... გამიგონე... ვითომ სადღაც დიდი ბრძოლაა, შალვა მძიმედ დაიჭრა. ჩემს მეტი მის მახლობლად არავინაა. ტყვია ზუზუნით მოდის, მაგრამ შალვასთვის განა თავს დავზოგავ? შევდივარ ცეცხლში, დიდი გაჭირვებით გამომყავს... შემდეგ ჩემ სისხლს გადაუსხამენ. მორჩება...

ეთერს ღიმილი მოერია, ქეთოს თავზე ხელი გადაუსვა, თვალებში ჩაჰხედა:

—მერე, დაიკო, მერე?

— მერე... არა, შენ ეს მითხარი, შალვასთანა საყვარელი კაცი თუ იქნება კიდევ ვინმე? მოიცა, სამსონს არ ვადარებ, სამსონი სულ სხვაა, შენც კარგი ხარ და ისიც კარგია. მე მხოლოდ...

— შენ რა, ხომ არ...

ეთერმა სიტყვა აღარ დაამთავრა, დანარჩენი თვალებით ანიშნა.

ქეთოს სახე წამოეგზნო, თვალები დაჰხარა.

— ჰო...

ღაწვი ღაწვს მიაყრდნეს. ერთხანს სდუმდნენ გულგანდობილნი, მერე ქეთო თითქო შეკრთა, შიშჩამდგარი თვალები შეავლო ეთერს:

— შენ არავის უთხრა, ხომ გესმის!

თბილისს მიუახლოვდნენ. ეთერი მღელვარებამ შეიპყრო. გადასცა თუ არა ამხანაგმა ბარათი მამას? იქნება მატარებელი სადგურში მცირე ხანს შეჩერდეს და ეგნატეს ნახვა ვერ მოასწროს...

დიდუბეს გასცილდნენ. მატარებელი ისე მიჰქრის, თითქო სადგურში შეჩერებას არ აპირებსო.

ეთერმა დიდუბის ეკლესიის გუმბათს თვალი მოსწყვიტა, მთაწმინდისაკენ გაიხედა.

აგვისტოს მცხუნვარე მზის სხივებში ბრწყინავს დედა-ქალაქი, მიმზიდველი, მარადის დაუვიწყარი. მშობლიური ელფერით იცქირებიან ნაცნობი უბნები...

ისრებთან მატარებელმა სვლა შეანელა, სადგურის წინ, მესამე ლიანდაგზე გაჩერდა.

ბაქანზე ხალხი ირეოდა. ეთერმა მაინც მყისვე დაინახა ეგნატე — ბეგო ფანთა დულთან სდგას და თვალებს აცეცებს.

— მამა, აქა ვარ, მამა! — გასძახა ეთერმა და ვაგონიდან ჩახტა, მამას მიაშურა, მოეხვია.

— მიდიხართ, შვილო?

— ჰო, მამა, მივდივართ... შენ ხომ მხნედ იქნები, ხომ არ იდარდებ?

— მე არა, ჩემო კარგო! მხოლოდ, შენ იცი...

ეგნატეს ხმა გაებზარა, სახე შეეფაკლა. ძთრთოლვარე ხელი შეახო ეთერს ნიკაპზე, აცრემლებული თვალებით მიუალერსა.

— სამსონი სად არის?

— ის წინა მატარებლით წავიდა.

— ჰო...

რამდენი რამ აქვთ სათქმელი! ენა კი ვერ დაუძრავთ...

დამძიმდნენ განშორების წუთები. მახლობლად თითქო უჩინრად დგას გასაფრენად ფრთაგაშლილი ქამი და მამა-შვილს უთვალთვალებს. არც ერთი სიტყვა არ გამოეპარება გულთამხილავს.

მაინც მოულოდნელად გაისმა:

— დასხედით! მატარებელი მიდის!

ეგნატე ვაგონის საფეხურზე გადმომდგარ ეთერს შეჰყურებდა, წინდაუხედავად მიაბიჯებდა ბაქანზე.

სწრაფად არაწკუნდნენ ბორბლები. ეთერი თვალს მიეფარა.

ეგნატე შესდგა. რამდენსამე წამს იდგა გაოგნებული. მერე ისევ გაჰხედა ფრონტზე მიმავალ მებრძოლთა გზას.

„მიდიხარ, სულო!.. წადი, იარე, გაიმარჯვე!“ — სთქვა გუნებაში ეგნატემ და შინისაკენ გასწია.

მთელი მანძილი მთაწმინდისაკენ შესახვევამდის ისე გაიარა ფეხით, რომ ირგვლივ არაფერი არ შეუმჩნევია. ისეთი ფიქრით იყო შეპყრობილი, რომლისთვისაც ვერც თავი ეპოვნა და ვერც ბოლო. მხოლოდ გორაკზე რომ ავიდა და სახლების გვერდით გაშლილ ბექობზე გადადგა, მაშინ მიაგნო თავისი საგონებელის გასაღებს.

უმანკო ბრწყინვალებით დამშვენებულმა კავკასიონმა მოსტაცა მზერა. დიდხანს უცქეროდა თოვლისფერ გუმბათივით ლაჟვარდში აღმართულ მყინვარს, უცქეროდა და იდუმლად იმეორებდა დიდებული მოხუცის სიტყვებს:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული“...

წარმტაცად ელვარებდნენ სხივანთებული მწვერვალები, ამაყად გაჰყურებდნენ ცისიერს.

და ეგნატე თვალნათლივ ხედავდა, თუ როგორ მიიმართებოდნენ წინ თავხედი მტრის შესამუსრავად კავკასიონის მადლითა და სიმტკიცით გულგაკაჟებული მებრძოლნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI

მზვერავები

სამსონმა ოთხი მებრძოლი შეარჩია. ესენი ფრონტზე პირველად იყვნენ, ამიტომ თვითონ გაუძღვა მათ. წინა დღეებში ფეხით ოთხმოცდაათი კილომეტრი გაიარეს, მაგრამ ახლა, როცა ამ სახიფათო გზას დაადგნენ, დაღლილობა სავსებით დაავიწყდათ.

გარემოსთან შეხამებული ულტობი სამოსი ეცვათ. მწვანესა და რუხ ფერებში მოლისფერი სჭარბობდა. ჯამბაზებმა იციან ხოლმე ცირკში ამნაირად აჭრელებული სამოსით გამოსვლა.

განთიადისას თვალუწვდენელ ვაკეს ნისლი გადაეფარა, ვარსკვლავები ცის მღვრიე სივრცეში ჩაიძირნენ. მთებმაც თითქო თვალი დახუჭეს და მრავალკეც ფარდის მიღმა მიიძინეს.

ფრთხილად მიჰყვებიან ბილიკს სიმინდის ყანის პირად. სიმინდი საოცრად ხშირია, წვრილღეროიანი, მაღალი, უხვტაროებიანი.

ირგვლივ სამარისებური დუმილია, მხოლოდ ცვრიანი ბალახი შრიალებს ფეხ-ქვეშ, მეტი არა ისმის-რა.

მებრძოლთ, რომელნიც მტერს ჯერ პირისპირ არ შეხვედრიან, მძიმე ტვირთად აწევთ ეს გულის გამწყალებელი სიჩუმე. უნებლიედ გაჰხედავენ ხოლმე იმ მხარეს, საითაც მთები ეგულებათ, მაგრამ ათიოდე ნაბიჯს იქით არაფერი არა სჩანს. ხანდახან ისეთი გრძნობა დაებადებათ, თითქო საცაა იელვებს ეს გულჩახვეული, უხმოდ მეტყველი დუმილი და ზღვასავით შედედებულ ზესკნელს ტყვიები ზუზუნით დაცხრილავენ.

— უსვინდისო ვიყო, თუ რამე გამეგებოდეს, სადა ვართ, საით მივდივართ, — წასჩურჩულა დავით ჯანაიამ თავის გვერდით მიმავალ ძმებს მიხოსა და ირაკლის.

— სუ! ნუ ლაპარაკობ!

თვითონაც კარგად იცოდა დავითმა, რომ ხმა არ უნდა ამოეღო, მაგრამ თავისდაუნებლიედ წამოსცდა. ეწყინა. ეს ბიჭები მასზე უმცროსნი არიან. ამათ თუ ჰყოფნით მოთმინება, თვითონ რა მოუვიდა? ჰო, ესენი ფიზიკური შრომით არიან გამობრძმედილნი, თვითონ კი რამდენს ცდილობს, მაგრამ მაინც ვერ დააღწია თავი რაღაც ინტელიგენტურ სირბილეს. ჯარში გაწვევამდე მასწავლებლად მუშაობდა. უკვე ოცდათოთხმეტი წლის კაცია. ჭალარა იდრე გაერია, თუმცა ეს ვერა ჩრდილავს მისი სანდომიანი სახის მკვირცხლ გამომეტყველებას. ცისფერ თვალებში უფრო ხშირად ნათელი ღიმილის შუქი გამოკრთის.

„იყუჩე! მზვერავს ასი თვალი და ასი ყური უნდა ჰქონდეს“, — გაუმეორა დავითმა თავის თავს სამსონის სიტყვები. — „ნუ იქნები, თუ ბიჭი ხარ, ფხიზლად, ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი გითვალთვალებს“ — დასძინა თვითონ და მოჭუტული თვალებით ირგვლივ მიმოიხედა.

მაგრამ მალე ისევ ვერ აიტანა ეს დაძაბული მდგომარეობა. თუ ამხანაგებისათვის ხმის გაცემა არ შეიძლება, წარმოსახვას ხომ ვერავინ დაუშლის. მზის ამოსვლის დროა ახლა. დედა ამდგარი იქნება, მალე ძროხის წველას შეუდგება. ცოლი ახალგაღვიძებულ ბიჭიკოს ეალერსება. ნეტავი თუ მახსე-

ნებენ? ერთ წამს მაინც რომ შეიძლებოდეს, მივფრინდე და ფანჯარაში შევიჭვრიტო, ჩემი ბიჭის ღიმილი დავინახო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაწექით!

დავითი შეკრთა, უხერხულად ჩაემხო სქელ ბალახში. ქამარზე დაკიდებული ხელყუმბარები გაისწორა, თოფი მოიმარჯვა. მერე მიხოსა და ირაკლისთან მიხოხდა, გვერდით მიუწვა. უნდა გაიგოს, რა მოხდა, მაგრამ სამსონი წინ არის, არაფერს ამბობს. ეს ბიჭები კი ვეფხვებივით გალურსულნი არიან, გეგონება, საცაა უნდა ისკუპონ და მტერს ეცნენო. ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს: ორივე ჩასკვნილია, მკვრივი. მრგვალი სახე აქვთ, მზისაგან დამწვარი. მაყვალივით შავი თვალები და სქელი წარბები. მკაცრი, შეუპოვარი გამოხედვა აქვთ, მხოლოდ როდესაც კახურ სიმღერას წამოიწყებენ, მაშინ გაუნათდებათ სახეები, ისეთი მიმზიდველი იერით დამშვენდებიან, თითქო მათ ხმაში, მათი თვალების ელვარებაში გამოკრთისო ის წმინდა ქართული სული, რომელიც თაობებს საუკუნიდან საუკუნეში გამოუტანიათ.

— მომყევით! — გაისმა სამსონის ხმა.

დავითმა შვებით ამოისუნთქა, სწრაფად წამოდგა, თოფი მხარზე ჩამოიკიდა, დახვეულ მაზარაზე მიწებებული სველი ფოთლები გაიბერტყა. ერთხანს იარა მიხოსა და ირაკლის გვერდით, მერე, რაკი ისინი თვალებითაც არ გამოესაუბრნენ, დაწინაურდა, სამსონის მახლობლად მიმავალ ლადიმე გიორგაძეს დაეწია.

აი ეს სულ სხვა კაცია. მისვლისთანავე გაუღიმა დავითს, მუნჯურად ანიშნა — მარჯვედ იყავი, საცაა გამოხტება მტერი და ხელი ვტაცოთო.

მაღალი, ტანადი ვაჟკაცია ლადიმე. გურულისათვის დამახასიათებელი ოხუნჯობით იტყვის ხოლმე: „ის იყო შემისრულდა, ძამია, ორმოცი წელიწადი და საომარი კბილიც ამომივიდა. ახლა ფაშისტი კი არა, ბაყბაყდევიც ვერ მომერევა“.

პირწმინდად გაკრეჭილ შავ ომაში აქა-იქ ჭაღარა უბრჭყვიალებს, მოგრძო, შავგვრემან სახეზე ნაოჭები მხოლოდ სიცილის დროს შეემჩნევა, მაგრამ იმდენად გულღიაა მისი სიცილი, მისი თაფლისფერი თვალების ეშხი, რომ ოცი წლის ჭაბუკი გეგონებათ.

დიდხანს იარეს. სიმინდის ყანებს გასცილდნენ, მზისუმზირებში გაძვრნენ, სქელ კანაფში მოხვდნენ.

კანაფი მაღალი იყო. ისედაც ნისლით დაბურული არე-მარე სრულიად არა სჩანდა.

სამსონს ეჭვი აღეძრა: მიმართულება ხომ არ ამერიაო. კომპასს თითქო სწორად მიჰყავს, მაგრამ აქ ხომ ყველაფერი უკუღმაა: საქართველოს კავკასიონის ქედი ჩრდილოეთით აკრავს, აქ კი — სამხრეთითაა. თან ეს ცის კიდემდის გაშლილი ველი. შეიძლება სრულიად მოულოდნელად გაება მტრის მიერ დაგებულ მახეში.

დავითი დაღლილობას არა გრძნობს, არც შია, არც წყურია, მაინც სული ეხუთება. იქნება ამ შემჭკნარი კანაფის დამძაღებული სუნის ბრალია ეს? არა, რაღაცა სხვაა იდუმალი, გარდაუვალი.

ბევრი ივარჯიშა, მრავალი ახსნა-განმარტება მოისმინა — ომში ასე და ასე უნდა მოვიქცეთო. მაგრამ ყოველივე ეს მარტოოდენ წარმოდგენა იყო. ახლა კი აქვე, სულ ახლოსაა სადღაც მტერი. ზის, ალბათ, სადმე ამ კანაფში და გვითვალთვალებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახლობლად ამხანაგმა ხმელ ფიჩხს ფეხი დაადგა. დავითი შეკრთა, თოფი ინსტიქტურად მოიმარჯვა, ირგვლივ მიმოიხედა, მერე შუბლი შეიკრა, თავის თავს უთხრა:

— ე, ბიჭო, არ შერცხვე, მარჯვედ იყავი!

როგორც იყო, კანაფს თავი დააღწიეს, მინდორზე გადავიდნენ. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ.

ხის ძირას დასხდნენ შესასვენებლად. რამდენიმე ღამეა ზედიზედ გამოუძინებელნი არიან. სამსონმა გამოცდილებით იცის: საკმაოა ახლა თვალი მილულონ და მკვდრებივით ჩაეძინებათ. ამიტომ მალე ადგა, ერთხელ კიდევ მიმოიხედა.

წყეული ნისლი! ეს ადგილები რომ ნაცნობი იყოს, მშვენიერი საფარი იქნებოდა, დღეს კი სული ამოიღო.

— გვაგვიანდება. ცოტა შევისვენოთ და გზა განვაგრძოთ, — სთქვა სამსონმა და ამხანაგების გვერდით ჩაჯდა.

— უსვინდისო ვიყო, აქ თუ სადმე გზას ვხედავდე, ან ვიცოდე, საით უნდა წავიდე, — ჩაილაპარაკა დავითმა.

— ერთი ამას უყურეთ! — ღიმილით შეესიტყვა ლადიმე, — სად გინახავს, კაცო, მზვერავი რომ ყვავილებით მოფენილ გზაზე დადიოდეს?

ოდნავ გასაგონი ხმით საუბრობდნენ, ოხუნჯობდნენ, გულს აყოლებდნენ. ირაკლი და მიხო გამხმარ პურს ახრამუნებდნენ.

ამ დროს ქარმა დაუბერა. სივრცეში ნისლის ჰაეროვანი ტალღები დაიგრაგნენ, შემდეგ წყლისფერ ქსელებად დაიწეწნენ და ვეება ღრუბლებში დაინთქნენ.

— ბიჭებო, შეხედეთ, მთები! — წამოიძახა უზომოდ გახარებულმა დავითმა.

ჯერ ქოჩორა ხეებით შემოსილი გორაკები გამოჩნდნენ, მერე მაღალი მთის დაქანებული კალთა, ისეთი სუფთა, ისეთი ხასხასა, თითქო თითოეული მცენარე გაზაფხულის ქუქუნა თვალებით გამოიყურებაო.

თვალუწვდენელ კოშკებად აზიდული ღრუბლები შორი ნათელის ელვამ გააპო, მოლივლივე ნაპრალის კიდურებში ღვინისფერი სხივები აენთნენ. თანაც თითქო უსიერ ეწერში გაუვალ ისლს ცეცხლი წაუკიდესო, მძაფრმა ქარმა დაბერა და ალი ცის თაღისაკენ აიტაცაო.

ეს ის არის — სიყრმიდანვე თანშეზრდილი, დედასავით საყვარელი არსება. აგერ ბოლიათური ძალით აზიდა უზარმაზარი ფარდა, ცას გული გაეხსნა, ზღვასავით გაშლილ ველს თავს გადმოადგნენ მარადი სიცოცხლით მოსილი კავკასიონის მწვერვალები.

აღტაცებულ მებრძოლთ თვალები გაუბრწყინდათ, გული სიამით აღევსოთ.

მარტოოდენ ეს მთები როდი იყვნენ ლამაზნი, უტეხი ძალითა და სიამაყით აღსავსენი, — თვითონაც გაიზარდნენ, გასალკლდევდნენ. აქამდე თხუნელასავით დაძვრებოდნენ გზააბნეულნი, ერთმანეთს არ უმხელდნენ უმწეობით გამოწვეულ დამამცირებელ გრძნობას. ამ წამს კი მშობლიური მთებივით ამაღლდნენ, უშიშრად გაჰხედეს ხიფათით სავსე გზას.

ტყის პირად სამსონი მაღალ ხეზე ავიდა, გადაწმენდილ მიდამოს გაჰხედა. ჩრდილოეთ-დასავლეთით ზღვის დაგრაგნილ ტალღასავით აზიდული გორაკი მოსჩანს. აგერ მდინარე მიიკლაკნება. აქ მტრის განლაგება ახლოსაა. აჰა, ის სოფელი, მაღალი მილი...

ვიდრე ძირს ჩასასვლელად ფეხს მოიცვლიდა, უნებლიედ კავკასიონის ქედმა თვალი მოსტაცა. ანაზდად თითქო ფრთები გამოესხა, მოკაშკაშე მყინვარებზე გადაფრინდა, თავის ეზოში ჩაიხედა, დედას გაუმარჯ

თვალის დახამხამებაზე მოხდა ეს. არც მაშინ დავიწყნია მთავარი საგონებელი, როდესაც მახლობელ დაბას დააცქერდა და მწვავედ აელვარებული სიყვარულით გაივლო გუნებაში: „იქ არის ახლა ეთერი“...

მარდად დაეშვა ძირს, ბიჭებმა მის გაბრწყინვებულ თვალებში უსაზღვროდ გამამხნევებელი იმედი ამოიკითხეს.

მდინარეს რომ მიუახლოვდნენ, სამსონმა დავითს, მიხოსა და ირაკლის უბრძანა:

— თქვენ ამ ზოლს გაჰყევით, მე და ლადიმე ქვედა მხარეს დავზვერავთ. ბუჩქნარს რომ გასცილდეთ, ხოხვით იარეთ. არავითარი ხმაური, არც ერთი გასროლა. ხომ გესმით? ეს სამი ხე დაიმახსოვრეთ, თავს აქ მოვიყრით.

დავითმა რამდენჯერმე შეათვალიერა განცალკევებით მდგარი, ტოტებშეგუმბათებული ხეები, მერე სამსონს ისე მოსწყვიტა თვალი, თითქო უცხო გზაზე გამოყვანილი ყმაწვილი მამას ეთხოვებაო.

წინამძღოლობა უფროსმა ძმამ მიხომ იკისრა.

მალე ბუჩქნარი უკან მოიტოვეს. სვლა ხოხვით განაგრძეს. ირაკლი მიხოს მხარდამხარ მიჰყვებოდა. არც ერთი ხმას არ იღებდა. მხოლოდ ხანდახან შეჩერდებოდნენ, თავს ოდნავ ასწევდნენ და ბასრი თვალებით მიმოიხედავდნენ.

დავითი დაიღალა, სულის თქმა უჭირს, მაგრამ მთელი ძალღონით ცდილობს, რომ ეს ამხანაგებს არ შეამჩნევინოს. თან ერთმა უცნაურმა გრძნობამ შეებოჭა: ჰგონია, თითქო ოდესღაც, უხსოვარ დროში იყო სტუდენტი, წიგნები უყვარდა, ბევრს ჰკითხულობდა, დღითი-დღე ფართოვდებოდა ისედაც უსაზღვრო ქვეყნიერება. დიდი, მეტად დიდი დრო გავიდა, ალბათ, მას შემდეგ. ამიტომაა, ახლა ასე შეკუმშული, ასე დაპატარავებული ცა და დედამიწა. მარტოოდენ ეს ორი ამხანაგი, სამყურა ბალახი და დამათრობელი სურნელებით გაჟღენთილი ნიადაგი, სხვა ყველაფერი ამოშლილია მისი ცნობიერებიდან. თუმცა არა, არის კიდევ ერთი ყველაზე უმძაფრესი გრძნობა, — ესაა მოსისხლე მტერთან პირისპირ შეხვედრის მოლოდინი. მშიერი მგელივით არის ის ჩასაფრებული სადღაც ახლოს, სულ ახლოს, და ნახტომისათვის ემზადება. საქმე ისაა, ვინ მოასწრებს — მგელი თუ დათვი...

ნეტავი შეეძლოს დავითს ამ შრიალა ბალახს დააყრდნოს ლოყა, მოისვენოს, ან არა და ადგეს, რაღას აყოვნებს, პირდაპირ ეკვეთოს საზარლად პირდაღებულ, სისხლმოწყურებულ მხეცს...

ძმები შეუსვენებლად მისრიალებენ, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიანო.

ბალახიან ველს გასცილდნენ, რიყეს მიუახლოვდნენ. აქ შეჩერდა მიხო, გულდასმით გაჩხრიკა გალმა ნაპირი. მერე უცებ მიწას გაეკრა.

ნეტავი რა დაინახა? — შეეკითხა თავის თავს დავითი და წამსვე თვითონაც ჩაემხო, გაინაბა. ცნობისმოყვარეობამ დასძლია და თავი ასწია, დაკვირვებით გააყოლა თვალი ნაპირს. აგერ, ის არის გერმანელების საცეცხლური. ოსტატურადაა შენიღბული. მოიცა, ესეც მეორე. მტრის ბანაკში შევჭრილვართ...

არა, არ ეშინია დავითს. მაგრამ გული რომ გამალებით უცემს? ეს თავის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუნებლიედ ხდება, თითქო მის არსებაში არის მეორე დავითი, რომელსაც სურს უკან გახოხდეს, თავს უშველოს.

ამ დროს ამხანაგებს მიჰხედა. საოცარი წამი დაიჭირა: მიხომ ... ძმისაკენ მიიწია, მხარზე მკლავი შეახო, თვალებში ჩაჰხედა.

დავითს ერუანტელმა დაუარა, როდესაც მიხოს საქციელის აზრი შეიცნო. ძმამ საბედისწერო საფრთხე იგრძნო, მაგრამ თავის თავზე უმალ დედის მიერ ჩაბარებული ირაკლი მოაგონდა, ხელის მეხებითა და იმედიანი გამომეტყველებით გაამხნევა.

ირაკლის თითქო ეწყინა ეს, შუბლი შეიკრა, თავი ასწია და რისხვით ანთებული თვალები მტრისაკენ მიაპყრო.

უკან გახოხდნენ. ბუჩქს მიეფარნენ.

— აბა, ჩაინიშნე, არაფერი გამოგრჩეს, — წასჩურჩულა მიხომ დავითს. — აგერ, იმ ტოტებს დააკვირდი, იქ ტყვიამფრქვევი დგას. იმ ბექობს ხომ ხედავ? იქ სანგრებია.

დავითმა დიდი შვება იგრძნო, საქმე რომ გაუჩნდა. გულმოდგინედ შეუდგა ხაზვას... უცებ თვალები გაუშტერდა. ხელმარჯვნივ, სულ ახლოს, ასი მეტრის მანძილზე სანგარი ყოფილა. გერმანელმა თავი ასწია და პირდაპირ დავითისაკენ იცქირება.

სრულიად არ მოელოდა ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი დავითი მტერთან ასეთ შეხვედრას. „მაგან უნდა მაჯობოს?“ სთქვა გუნებაში და გული მოეცა.

ძმებმაც შენიშნეს გერმანელი. ირაკლიმ მყისვე მაშხანის გამართვა მოინდომა. მიხომ იდაყვი ჰკრა, გაუწყრა. მერე ორთავეს ანიშნა: ბუჩქების გასწვრივ უკან გახოხდითო.

სამშვიდობოზე რომ გავიდნენ, დავითმა მხოლოდ მაშინ იგრძნო შიში: მტერს რომ შევემჩნიეთ, ცოცხალი ხომ ვერ გამოვიდოდითო.

დანიშნულ ადგილს მიუახლოვდნენ.

საეჭვო ხმა მოესმათ. ჩასაფრდნენ.

ტყიდან ოთხი გერმანელი გამოვიდა. ავტომატები ჩამოკიდებული აქვთ. მზვერავები უნდა იყვნენ. თავიანთ ნაწილში ბრუნდებიან. ამიტომ მოდიან ასე უშიშრად.

— თუ ჩაგვიარონ, ხმა არ გაიღოთ, თუ არა და, მე მიყურეთ, — უთხრა მიხომ ამხანაგებს.

„ჩაიარეთ, თუ ბედისწერას არ აუტანიხართ. — ამბობს ვეფხვივით თვალანთებული მიხო. — აქეთ მოდიან. მაგათ ეხლავე დავაწვენთ, მაგრამ სროლის შემდეგ აქედან ველარ გავალთ, სამსონსა და ლადიმესაც საფრთხეში ჩავაგდებთ. ცნობას ვერ მივიტანთ... გასწით რა, თქვე პირძალლებო, რალა აქეთ მოალაჯებთ! ე ბიჭი მაინც არა მყავდეს აქ“...

ეტყობათ, გერმანელები ძალზე დაღლილნი არიან, მოდუნებულად მოაბიჯებენ, სახე ჩამოსტირით.

ის იყო, გერმანელები თავს უნდა წადგომოდნენ, რომ მიხომ გადასწყვიტა: „ესენი ვერსად წაგვივლენ. განვაიარაღებთ. ტყვედ წავიყვანთ“.

საოცარი სისწრაფით წამოხტა, თავისდაუნებლიედ აღმოხდა ზარდამცემი ხმა:

— ჰკა მაგათ!

მყისვე რუსული მოიშველია:

— ხელები მაღლა! არ გაინძრეთ!

ირაკლი და დავითიც წამოიმართნენ, შამხანები მოიმარჯვეს, ორივენ ნაბიჯით წინ მომავალი გერმანელი ეფრეიტორი გაშეშდა, ... შესდგნენ. მიხვდნენ, რომ ავტომატების გამართვას ვერ მოასწრებდნენ.

ეფრეიტორმა ხერხს მიმართა.

— მოვაჩვენოთ, ვითომ ვნებდებით, — გერმანულად გადულაპარაკა თავისიანებს.

მერე ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომლითაც მიხოს ანიშნა: რა გაეწყობა, ძალა თქვენს ხელთაა, გნებდებითო.

— ხელები მაღლა! — კვლავ შესძახა მიხომ და ნაბიჯი წინ წასდგა.

— გნებდებით, გნებდებით, — ყრუდ ჩაილაპარაკა ეფრეიტორმა, თავი გაიქნია და მწარედ გაიღიმა.

მიხომ ცალი თვალით გაჰხედა ირაკლისა და დავითს, რათა მათთვის ასე იოლად მოპოებული გამარჯვების სიხარული გაეზიარებინა.

ეფრეიტორიც ამ წამს ელოდა, ხელი ავტომატისაკენ გააპარა.

დროზე შეასწრო თვალი მიხომ, შურდულივით გაექანა, ეფრეიტორს ხიშტი აძგერა.

ირაკლი ძმას არ ჩამორჩა, მეორეს ეკვეთა. მაგრამ ეს ჩასკვნილი გერმანელი ერთობ მარდი და ღონიერი აღმოჩნდა, ირაკლის ხიშტზე ხელი აუკრა და წელში ეცა.

დავითი რომ ადგილიდან მოსწყდა, ის უკვე მწიგნობრულად მოაზროვნე, ყველაფრის წინასწარ ამწონ-დამწონი დავითი აღარ იყო: მის ძარღვებში რომელიღაც გმირი წინაპრის სისხლი აჩქროლდა, მოქნეული ხმალივით აენთო, შამხანა ხელში შეატრიალა და სახტად დარჩენილ ფაშისტს კონდახი საფეთქელში დაჰკრა, უსულოდ ძირს დასცა. წამსვე მეორეს მიუბრუნდა. ამან ავტომატის გამართვა სცადა, მაგრამ ვერ მოასწრო, დავითმა ელვისებური დაკვრით ხელიდან დააგდებინა, მეორე მოუნაცვლა...

ამასობაში ჩასკვნილმა გერმანელმა ირაკლი წააქცია, დანა იშიშვლა.

ამ წამს მოუსწრო გააფთრებულმა მიხომ, მაგრამ გერმანელი არ დაიბნა, განზე გახტა, ხიშტი აიცილა და მიხოს, ვიდრე იგი იარაღს მოიმარჯვებდა, მთელის ძალით მოქნეული დანა მკერდში ჩასცა.

ერთსა და იმავე დროს გაისმა მიხოსა და ჩასკვნილი გერმანელის გმინვა, რადგან სწორედ იმ წამს აძგერა მას ხიშტი წამომდგარმა ირაკლიმ.

დაუგვიანდა გაშმაგებულ ირაკლის: მიხო სასიკვდილოდ დაჭრილი იყო...

*
* *

სამსონმა და ლადიმემ მცირე ხანს იცადეს ხეებთან. შემდეგ ამხანაგებისაკენ გაემართნენ.

გმინვა მოესმათ. ნაბიჯს აუჩქარეს.

დავითს მიხოსათვის მკერდი შეეხვია, მაგრამ უკვე ზედმეტი იყო, სიცოცხლის მხოლოდ რამდენიმე წუთიღა დარჩენოდა.

სამსონი რომ დაინახა, თვალით მიიხმო. მერე გაქვავებულ ძმას მიჰხედა. ტუჩები ძლივს შეარხია. კვლავ სამსონს მიაშუქა საოცრად გაფართოებულ თვალები:

— სამსონ, ე ბიჭი... ხო გესმის? ე ბიჭი შენ გებარებოდეს...

ხმა გაებზარა. ემჩნეოდა, უკანასკნელ ძალას იკრებდა. თვალი ძლივს შეატრიალა, ძმას მიაპყრო.

— შენ, ირა... ხო გესმის? მაგრა იყავი, ნუ გეშინია... შინ რო დაბრუნდე, ჩემი უმცროსი ბალღი როა, თამაზი, იმას მიჰხედე... ავადმყოფი დავტოვე, ცოდოა...

მწუხარებისაგან გაცოფებულმა ირაკლიმ თავზე ზედიზედ ხელი შემოიკრა, მერე შამხანისაკენ დაიხარა, რომ ახლავე, ამ წამში გაჭრილიყო და შური ეძია.

სამსონი მიუხვდა. მიაშურა, მკლავი მოხვია, მკერდზე მიიკრა.

დავითმა ამხანაგებს ზურგი შეაქცია, ცრემლები ლაპა-ლუპით გადმოსცვივდა. ამ ცრემლებმა საოცარი შვება მოჰგვარეს, თითქო სიკვდილის მიღმა გადაეხედოს, მარადი სიცოცხლის მზე ეხილოს.

VII

ᲘᲔᲠᲘᲨᲘ

აგვისტოს მიწურულში მტერი გააფთრებით აწყდებოდა კავკასიონის კარებს. თვითმფრინავებით, ტანკებით, ქვემეხებით, ნაღმსატყორცნებით იკაფავდა გზას. ჩრდილოეთ კავკასიის მრავალი ქალაქი და სოფელი ცეცხლის ალში იყო გახვეული.

აქ, ერთ მეტად საპასუხისმგებლო უბანში, სალ კლდესავით აღიმართნენ ქართველი მებრძოლები, ჯერ მოგერიებითი ზღუდეები დაიკავეს, გერმანელთა ურდოები შეაჩერეს, ხოლო შემდეგ შეტევაზე გადავიდნენ.

მზე ჩადიოდა. მთების კალთებზე შეფენილ ღრუბლებს, თეთრი იასამნის ყვავილებივით გაფურჩქნილთ, ალაგ-ალაგ ყაყაჩოსფერი შუქი შენთებოდათ ხოლმე.

ჩრდილ-გადაფენილი ხევი და გორაკები ზურმუხტივით ბრწყინავდნენ, სწორედ ისე, სარკესავით გაშლილ ზღვაში რომ მტრედისფერი ნისლის ზოლი გაილანდება.

ჩრდილოეთით ცის კიდემდის გაშლილი ჭალა ალმაცერ სხივებს მოევარაყნა. ჰაერი თითქო მწუხრის მოახლოებისას ჩაფიქრებულა და ჩამავალი მზის დაუსრულებელ გზას გაჰყურებსო.

ამ მყუდროებას მხოლოდ ხანგამოშვებით არღვევდა ქვემეხთა შორეული გუგუნი.

მაიორმა ალექსი კლდეკარელმა და კომისარმა შალვა ყიფშიძემ, ქვეგანაყოფის სხვა მეთაურებთან ერთად, თათბირი ადრე დაამთავრეს, მზვერავების მიერ მოტანილი ცნობები განიხილეს, საბრძოლო გეგმა შეიმუშავეს.

შალვა თამბაქოს კვამლით დაბურულ სადგომიდან გამოვიდა, წელში გაიმართა, თავისუფლად ამოისუნთქა. ქედს გაჰხედა. ორიოდე წამს მოხიბლულივით იდგა. მერე სანგრებისაკენ გასწია.

ჩვეულებისამებრ მოხდენილად იყო გამოწყობილი. გაკრიალებული წაღები, სუფთა შარვალი და ხალათი, თოვლივით ქათქათა საყელო. მისი საველე ჩანთა, რევოლვერის ბოხჩა და ქამარი განსაკუთრებით პრიალებდა. ისე ლაღად მიაბიჯებდა ეს ტანადი, მკერდშემართული ვაჟკაცი, რომ აზრადაც არ შოგვივიდოდათ, თუ იგი ამ წამს ხვალინდელ დიდ ბრძოლაზე ფიქრობდა, გეგონებოდათ, ლამაზ მანდილოსნებთან სადარბაზოდ მიისწრაფისო.

ღრმად ამოთხრილ სანგრებში ჩამსხდარ მებრძოლთ ჩაუარა. ზოგს გამამხნევებელი სიტყვა უთხრა, ზოგს შენიშვნა მისცა.

ერთი ახალგაზრდა არმიელის გამომეტყველება არ მოეწონა, ახლოს ხელიდა, კუშტად მიმართა:

— როგორ მობუზულხარ, ბიჭო? გასწორდი, მხრები გაშალე!

ჭაბუკი შეკრთა, უხერხულად გაიმართა, თვალები დაახამხამა.

— ასეთი უნდა, კაცო, მებრძოლი? — შეარბილა ხმა შალვამ. — ჯიხვივით ქედმაღლად უნდა იდგე, ვეფხვივით უნდა გამოიყურებოდე... იცი, ვისი შვილი ხარ?

ჭაბუკს ოდნავ გაეღიმა:

— როგორ არ ვიცი, ამხანაგო კომისარო, ივანე შუბითიძის შვილი გახლავარ.

— კაი გვარი გაქვს, მხოლოდ ის კი არ გცოდნია, თუ ვისი შვილი ხარ.

ჭაბუკი დაიბნა, ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს ხუმრობა.

— სკოლაში ხომ სწავლობდი?

— როგორ, არა, შარშან წინ დავამთავრე ათწლედი.

— ჰო-და, ვაჟას ლექსები ხომ წაგიკითხავს?

— წამიკითხავს.

— აბა გაიხსენე, რას ამბობს ვაჟა:

„გულს ჩაიყენე სისხლადა
ჩვენი ქვეყანა მთიანი!“.

გესმის, რას ნიშნავს ეს? აი ამ ქედებს გაჰხედე. ხედავ, რა მაღალია, რა დიდებული? ამ მთების შვილი ხარ შენ. ჰო-და, ყველა ეს მწვერვალი, მთელი მშობელი ქვეყანა გულში სისხლად უნდა ჩაიყენო, მაშინ ვერავითარი ძალა ვერ მოგერევა, ყველგან უძლეველი იქნები. ხომ გესმის?

— მესმის, ამხანაგო კომისარო.

შალვა ჭაბუკს მიეახლა, დაიხარა, მხარზე ხელი დაადო, ძმური სიყვარულით უთხრა:

— დიდი ბრძოლა მოგველის, ძმობილო, დიდი და აბა შენ იცი!

სამსონის ასეულს მარცხენა ფლანგი ეჭირა. სოფლის განაპირას, სიმინდის ყანების გასწვრივ ისხდნენ სანგრებში.

სამსონს მიწური სახლივით მოეწყო თავისი სადგომი. მცირე ხნის წინათ დაბრუნდა და ახლა ჩასასვლელს მისწოლოდა ჩაფიქრებული.

ველს ბინდი ეფინებოდა, მაგრამ სამსონმა ფეხის ხმაზე იცნო მისკენ მიმავალი შალვა. რალაც უსიამო გრძნობამ გაჰკრა ბრჭყალი გულში. შეჩქვიფდა, თავის თავს გაუწყრა. მაინც ვერ დათრგუნა უნებლიედ აღძრული განცდა. ეთერი დაუდგა თვალწინ, მაგრამ ისე გამომზირალი, როგორიც არასოდეს არ ეხილა. მოეჩვენა, თითქო ეთერის თვალთაგან გამომკრთალ შუქში არის მცირეოდენი სხივი, რომელიც სამსონს როდი უღიმის, შალვას უხმობს თავისკენ, შალვას ეალერსება.

სახე მოეღრუბლა. ისეთმა ფიქრმა აიყოლია, რომელიც ადამიანს თავის თავს მოაბეზრებს.

„ჯანდაბას ჩემი თავი, თუ ხვალინდელი ბრძოლიდან ცოცხალი არ დავბრუნდები“, — გაივლო გულში და წამსვე შეაკრთო ამ სამარცხვინო ფიქრმა. თავი ასწია, მოახლოვებულ შალვას თვალი გაუსწორა, მეგობრის ღიმილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიჭირა. მყისვე წამოხტა, ისეთი წრფელი სიხარულით მიეგება შალვას, თითქოს დიდი ხანია არ უნახავსო.

— ვიცი, შენ ყველაფერი საათივით გაქვს აწყობილი, მაგრამ ... მოვუაროთ ბიჭებს, — უთხრა შალვამ. — მებრძოლი მეთაურს მუდამ ფხიზელს უნდა ხედავდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საიერიშოდ ვემზადებით... იცი, რაზე ვფიქრობდი ახლა? ქართველებს არც სიამაყე გვაკლია, არც სიმამაცე, მხოლოდ ერთი ნაკლი გვაქვს: წვრილმანს ყურადღებას არ ვაქცევთ. ამას კი ხშირად შეიძლება დამღუპველი შედეგი მოჰყვეს. ერთ ვაზნასაც კი, თუ იგი თავის ადგილას არ არის, შეუძლიან ადამიანის ბედი გადასწყვიტოს.

მახლობელ სანგართან შესდგნენ. შალვა თხრილში ჩახტა, მებრძოლთა იარაღ-ასხმულობა შეათვალიერა; ერთს შაშხანის საკეტი გაუშინჯა, მეორეს — სავაზნე და ხელყუმბარები. მერე სამსონს მიუბრუნდა:

— ხომ გეუბნებოდი: ამას შეხედე, განა შეიძლება, მეომარს ყუმბარა ასეთ მდგომარეობაში ჰქონდეს? ვთქვათ, გადახტი, ყუმბარა ამოგივარდა. ამ დროს მტრის ჯგუფს შეეხეჩე. რას შვრები მაშინ? ვიცი, უშიშარი მებრძოლი ხარ, მაგრამ გაბედულება რას გამოგადგება, თუ იარაღი თავის ადგილას არ გექნება...

მებრძოლი, რომელსაც ეს შენიშვნა ეხებოდა, ოცდათხუთმეტი წლის ვაჟკაცი იყო, მაგრამ დამნაშავე ყმაწვილივით უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

შალვა მიეშველა, ტკბილად უთხრა:

— დიდზე ფიქრის დროს პატარა არ უნდა დავივიწყოთ. მარტო შენ არა გჭირს ეს, ჩვენი საერთო ნაკლია.

ჩამობნელდა. მთვარე ჯერ ამოსული არ იყო. ვარსკვლავები ამ საღამოს თითქო უფრო მაღლა აწეულიყვნენ, თვალშეუდგამ სიღრმეში ციმციმებდნენ შუქმილეულნი.

ერთ მიწურთან სამსონსა და შალვას ყრუ ქვითინი მოესმათ. შესდგნენ. გაკვირვებით შეხედეს ურთიერთს. დააყურეს.

ვიღაცა მიწურიდან ამოსულიყო, ხეს მიფარებოდა და გულამოსკვნით ტიროდა.

ფრთხილად მიუახლოვდნენ.

უცებ სამსონმა შალვას მკლავში ხელი ჩაავლო და უკან დასწია. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგეს, მერე უთხრა:

— ეგ ირაკლი კარაშვილია. ხომ გიამბე, როგორ დაგვეღუპა მაგისი უფროსი ძმა. ვაცალოთ, იტიროს, გულს მოიოხებს.

შალვამ ჭაბუკის ქვითინს სმენა ვერ მოსწყვიტა; ობლად, მიუსაფრად გაისმოდა იგი ამ ყრუ ღამეში. რა არ უნახავს ომის ცეცხლში მრავალგზის გამოვლილს: „რამდენი მომაკვდავი, რამდენი დაჭრილი, გმინვა და კბილთა ღრჭენა, მაგრამ ახლა რატომღაც თმაგაწეწილი ქართველი დედა მოეჩვენა, უსასოოდ მწუხარე დედა და გული აუჩვილდა. სამსონს ცრემლჩამდგარი თვალები აარიდა, ირაკლისაკენ გაემართა.

შალვა რომ თავს წაადგა, ირაკლიმ პირქუშად აიხედა, მაგრამ როგორც კი კომისარი იცნო, მაშინვე წამოდგა, ხელები დაუშვა, თან უნებლიედ ბავშვივით ამოიხვნეშა გულამომჯდარმა. ამით თითქო დიდი დანაშაული ჩაედინოს, განზე მიიხედა, შალვას თვალი ვერ გაუსწორა.

— რამ შეგაკრთო, შე კაცო? — მღელვარე ხმით უთხრა შალვამ, — ჩვენც შენთანა ვართ, მე და აგერ სამსონია კიდევ, შენს მწუხარებას ვიზიარებთ... არ იფიქრო, ცრემლისათვის დაგძრახოთ. ტარიელი და ავთანდილი ბევრ დიდებული გმირები იყვნენ, მაგრამ ზღვა ცრემლი ულვრიათ... წამო, გავიაროთ, ხვალინდელი ბრძოლისათვის მოვემზადოთ.

ხელი გამოსდო, სამსონისაკენ გაიყოლია.

— როგორც ვიცი, ირაკლი კარგი მსროლელია. — მიმართა სამსონს. — სნაიპერად გამოჰყავი, დეე, შური იძიოს თავისი ძმის მკვლელებზე.

ყველა სანგარს ჩაუარეს, ბოლოს შალვამ ჯიბის ფანრით საათი გააშუქა.

— ახლა კი დროა, ცოტა მოვისვენოთ. სრულ სამ საათზე ფეხზე უნდა ვიდგეთ.

სამსონმა მეგობარს თვალი გააყოლა. „ნამდვილი მეომარია, — გაიფიქრა და დასძინა: — ცოდვა არ არის, ასეთი ვაჟკაცი რომ ბრმა ტყვიამ იმსხვერპლოს!"

მერე შორს, ძალიან შორს გაიხედა და უამრავ შალვას ჰკიდა თვალი ქართველი ხალხის ისტორიის ასპარეზზე გამოსვლიდან დღემდის. აი ასე, როგორც ეს მხრებგამლილი ბიჭი, მოდიოდნენ ისინი, მუხლმაგარ ბედაურებზე ისხდნენ და შუბებით, ისრებით, ხმლებით იგერიებდნენ შემოსეულ მტერს...

ერთხელ კვლავ მიმოიარა სამსონმა, მორიგეს დავალება გაუმეორა და მიწურმი ჩავიდა, თივაზე წამოწვა.

წინათ ასეთ შემთხვევაში მალე ჩაეძინებოდა, ახლა კი ამაოდ ხუჭავდა თვალს. არაფერზე არ უნდა იფიქროს, მაგრამ თავისთავად გადადის ერთი საგნიდან მეორეზე.

ირგვლივ რაღაც იდუმლად მშფოთვარე დუმილი სუფევს. თითქო ყველაფერს, ადამიანსა და მცენარეს, სძინავს, ნამდვილად კი უამრავი ცოცხალი არსება ბობოქრობს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ემზადება...

აჰ, რა კარგია ახლა ტკბილი, უდარდელი ძილი! — ნატრობს სამსონი და ხან ეთერი უდგას თვალწინ, ხან დედა, დები. მერე ისევ მთავარ საზრუნავს უბრუნდება, ხვალინდელ ბრძოლას ითვალისწინებს.

წინათ თუ ადვილად ჩაეძინებოდა სამსონს, მაშინ სულ სხვა იყო, ახლა მთელი ასეულის ბედი აბარია. ბრძოლა ისე უნდა მოიგოს, რომ რაც შეიძლება მცირე მსხვერპლი გაიღოს. ესაა მთავარი. მსხვერპლი კი... ერთი ბედშავი მიხო კარაშვილი ხომ დამარხა ტყეში ობლად... გაივლიან წლები, სამარეს ბალახი დაჰფარავს...

სამსონმა სასთუმალი გაისწორა. როგორმე უნდა დაიძინოს, რასა ჰგავს ეს? ამ დროს საუბარი მოესმა. თავის გასართობად ყური მიაპყრო.

ეს დავით ჯამაია და ლადიმე გიორგაძე ლაპარაკობენ. იქვე სამსონია გვერდით წვანან ისინი. მიწის დაბალი, თხელი ფენით არის გადატიხრული მათი სადგომი. მათთან სერჟანტი გივი ჯიქიაა კიდევ, მაგრამ გივის, ალბათ, სძინავს. — იცი, ბიჭო, რა მენატრება ახლა? — ამბობს ლადიმე: — ერთი ნიგვზის წვენში ჩადებული ქათამი და ქბილის ღომი.

— კაი ერთი, შენ სულ ჭამა გახსოვს!

— აბა, რა ვქნა? სიკვდილი და კურმუხეთი თუ გინდა, ქია ;ვერ და ეს არის.

— არა, კაცო, — დინჯად ეუბნება დავითი, — შენ ერთი ამაზე იფიქრე:

საიდან სად წამოვიდა ადამიანი, რამხელა გზა გამოიარა, რა არ გამოიგონა და ასე უმოწყალოდ კი იჟლიტება.

— არა, ძმაო, მე მაგაზე ფიქრისთვის არ მცალია, მაგაზე მერე ვფიქრობ, როცა ჰიტლერს სულში ძაღლი ჩააკვდება. ახლა კი... ნეტაი ერთი ჩემი გოგო განახა, რა ლამაზია, რა წკრიალა სიცილი იცის.

— შენ ისე მახარბებ შენს ქალიშვილს, გინდა ჩემს ბიჭს შევრთო, მაგრამ უსვინდისო ვიყო, თუ დაგეთანხმო.

— ერთი ამას უყურე: ვის უნდა შენი თხაპარიე ბიჭი? — გასაჯავრებლად ესიტყვება ლადიმე და გულიანად იცინის.

— არა, მართლა, ლადიმე, შენ ის უნდა ნახო, დილას რომ გამოიღვიძებს, ლოგინში წამოჯდება და გაგიღიმებს, გეგონება მთელი ქვეყანა გულს გიხსნის და თავისკენ გიხმობსო.

— მაგაზე თუ მიდგა საქმე, შენ მაშინ ჩემი თალიკო უნდა ნახო. რა? იცი? მოიცა, წიგნში წამიკითხავს რაღაცა ამგვარი. აი ჩანჩქერივით კრიალა ღრუბლებში რომ მთვარე გამოანათებს... მოიცა, ვერ ვთქვი კარგად, ჰო, მაისია იმ დროს, ყველაფერი აყვავებულია. გამოანათებს მთვარე და ყველაფერი, მთები, მინდვრები, ბაღები — ყველაფერი გიყვარს, ყველაფერი შენი გგონია, გინდა სულში ჩაიძვრინო.

— ეჰ, კარგია, კარგი, ჩემო ლადიმე, სიცოცხლე. ჩვენი ოჯახი კი...

— მაგ მხრივ არაფრის არ მეშინია, ჩემ დედაკაცს ვერ დავემდურები, ვაჟკაცივით მუშა-ქალია...

დავითისა და ლადიმეს საუბარი ნანასავით ესმოდა სამსონს. მალე ჩაეძინა.

*

* *

სამს რომ ოცი წუთი აკლდა, სამსონს თითქო ვიღაცამ ხელი ჰკრა, მყისვე წამოხტა, ფანრით საათი გააშუქა.

„დროა.. ბუნების ძალავ, შენ გაგვიმარჯვე დღეს!“ ლოცვასავით წარსთქვა, მიწურიდან ავიდა და ცისიერს გაჰხედა.

მთებს ღრუბლები შემოხვეოდნენ. ცაზე ვარსკვლავები მხოლოდ აქა-იქ კრთოდნენ.

ელექტრონის დენივით გადავიდა სანგრიდან სანგარში ბრძანება — მოემზადენითო.

სწრაფად აისხეს იარაღი. ჯგუფებად დაირაზმნენ.

რამდენჯერ ჩამოუვლია სამსონს ეს რაზმები, ყველას კარგად იცნობს, შესწავლილი აქვს თითოეულის ხასიათი, უნარი. მაგრამ ახლა რატომღაც სულ სხვანაირად ეჩვენებიან ისინი. თვითონაც ისე აქვს დაძაბული ყუნთები, თითქო გაფრენას ლამობსო.

ის იყო, უნდა დაძრულიყვნენ, რომ ერთ ათეულში ნელი ღიღინი გაისმა: „ზესტაფონო, ზესტაფონო, გმორდები-ი-ი“...

ეს კოლია ბარბაქაძე იყო, მხიარული, ღვინის მოყვარული მევენახე. სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან დასალევს გააჩენდა, თუმცა მთვრალს ვერასოდეს ვერ ნახავდით, შეზარხოშებული კი თითქმის მუდამ იყო. ახლაც უთუოდ შემონახული ექნებოდა და გადაჰკრავდა.

მყისვე მიეჭრა კოლიასთან გაცეცხლებული სერჟანტი გივი ჯიქია.

— რა არის ეს? მუდამ უნდა იანგლო, კაცო, შენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უკაცრავად...

— ხმა! განა არ იცი, რომ ახლა სიმღერა არ შეიძლება?

— არის, ამხანაგო უფროსო, სიმღერა არ შეიძლება! — ჩაბუტბუტა კოლიამ და ტუჩები ეშმაკურად მომუწა.

გზას რომ გაუდგნენ, კოლიამ ამხანაგებს გადულაპარაკა:

— არა, სწორედ ტირილს დავიწყებ ახლა. მამა-ჩემს, შენ გგონია, ბევრი რამე დაეხარჯა ჩემს გაჩენაზე? ისე კი, ბიჭებო, ხომ გვაცხონებდა ახლა ერთი ქრისტიანული სიმღერა? იცი, რა გულიანად შემოვძახებდით: „ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება“...

— კარგი, გეყოფა!

დუმილი ჩამოვარდა. მხოლოდ ფეხის ხმა ისმოდა.

— ერთი-ორი, ერთი-ორი! — გასძახოდა თითქო ნაბიჯი ნაბიჯს, და ეს ხმაური ზღვის ტალღასავით ენარცხებოდა ქუფრი ბინდით შემორკალულ ვრცელ ჭალას.

ხოლო ბრძოლაში პირველად მიმავალნი საკუთარ გულისცემასთან ერთად მძაფრად განიცდიდნენ ერთ უცნაურად მეტყველ ჟრჟოლას.

ეს იყო მოლოდინი.

და აი მოახლოვდა თუ არა განთიადი, კიდევაც იელვა. მარცხნივ, მარჯვნივ, მთელი ფრონტის გასწვრივ იელვა და ატყდა გრუხუნი. მიმავალ მებრძოლთა თავზე მრიალით გადადიოდნენ ყუმბარები და ცის კიდურს ვეება მაშხალები ფლეთდნენ.

მალე მტრის არტილერიაც ამოქმედდა. ჭექა-ქუხილი გაორკეცდა. მიწამ ზანზარი დაიწყო.

— არაფერია, მტერი ვერ ჩაახშობს ჩვენი ქვემეხების ცეცხლს! — ხმამაღლა გასძახა მებრძოლთ წინ მიმავალმა სამსონმა და თვალწინ წარმოუდგა არტლეგიონის მეთაური — მაიორი მიხეილ ოდიშელი, მაღალი, ომახიანი ვაჟკაცი. დინჯად, აუჩქარებლად უწევს ახლა ის ხელმძღვანელობას დივიზიონებსა და ბატარიებს. შეუდრეკელად შედის ცეცხლში ეს ალვასავით ქედმაღალი კაცი და თანამებრძოლთ სიმამაცის მაგალითს უჩვენებს. იქვე არტლეგიონის კომისარი, ტანმორჩილი, მკვირცხლი, დაუცხრომელი. სამსონი თვალნათლივ ხედავს ახლა, თუ როგორ ტრიალებს იგი არტილერისტებს შორის, როგორ შეარხევს ხოლმე ვიწროდ აშვილდულ წარბებს და თაფლისფერი თვალების შუქით მიაქვს თავისი დიდი ოპტიმიზმი.

მტრის გამაგრებულ ზღუდეებს განთიადისას მიადგნენ. ძლივს მოასწრეს მოხერხებულ ადგილებში თავის შეფარება, რადგან მისვლისთანავე გააჩაღა მოწინააღმდეგემ გრიგალისებური ცეცხლი.

მტერს მყისვე ცეცხლითვე უპასუხეს.

აქ უკვე თითოეული მებრძოლი თავისი მოსაზრებითა და უნარის მიხედვით მოქმედებდა. ისეთი ორომტრიალი იყო, რომ მეთაური ყველა მებრძოლს ბრძანებას ვერას გზით ვერ მიაწვდენდა. განსაკუთრებით ნალმსატყორცნების ღრიალმა აიკლო ყველაფერი. შემაძრწუნებელი ღმუილით არღვევდა სივრცეს და სთხრიდა ირგვლივ მიწას. აქა-იქ უკვე გაისმა დაჭრილთა გმინვა.

სამსონმა მალე მოისაზრა, რომ ჯიქური მისვლით მტერს ვერ უკუაქცევდა. სხვა ხერხი იყო საჭირო.

შვიდი მებრძოლი გაიყოლია, მათ შორის დავით ჯამაია, ღადიმე გიორგაძე და ირაკლი კარაშვილი.

ხოხვით გავიდნენ ცეცხლიდან, სიმინდებში გაძვრნენ, მტრის ყველაზე მეტად გამაგრებულ საცეცხლურებს მარცხნიდან წამოეპარნენ.

— მე მაცალეთ, — ანიშნა სამსონმა ამხანაგებს და დაწინაურდა. ხელში ავტომატი ეჭირა, მეორეში — გამზადებული გრანატი.

კიდევ რამდენიმე მეტრი და...

ამ დროს ამოიხედა ძელმიწურიდან გერმანელმა. ვიდრე სამსონი ავტომატს გამართავდა, შხუილით გადაუარა თავზე უკანიდან გამოსროლილმა ტყვიამ და გერმანელი მოცელილივით ჩაიკეცა.

ეს ირაკლი იყო, შაშხანა ყოველ შემთხვევისათვის გამიზნული ჰქონდა, ამიტომ დაასწრო.

სამსონი წამოხტა, მთელი ხმით დასჭექა:

— დასცხეთ, ბიჭებო! ასეულო, წინ!

დასჭექა, გადახტა და ყუმბარა ძელმიწურში გადაისროლა.

წამიც არ დაყოვნებიათ, შვიდმა ხელყუმბარამ იელვა გერმანელთა სანგრებში.

აგერ ერთ სანგარში შევარდენივით ჩაფრინდა ირაკლი კარაშვილი, ზარდაცემულ მტერს თავზე მეხად დაატყდა.

საოცარი სანახავი იყო თავზე ხელაღებული, ვეფხვად ქცეული ირაკლი. ავტომატურად მოქმედებდა, მაგრამ ყოველი მოძრაობა, ყოველი თვალთაელვა, ყოველი მოქნევა მიზანშეწონილი გამოუდიოდა.

მახლობელ სანგრებში მყოფ გერმანელებს მოეჩვენათ — ზურგიდან გვივლიანო და ზევით ამოცვივდნენ.

სამსონი მიტოვებულ ტყვიამფრქვევს მიუწვა, მიაბრუნა და გაქცეულთ ჯერი ჯერზე დააყარა.

ველი მტრის გვამებით მოიფინა.

ამას რომ შეხედეს, მოწინააღმდეგის პირისპირ მდგარ რაზმელებს გული მოეცათ, აღფრთოვანდნენ, წამოიმართნენ, დასძახეს „ვაშა“ და უკუქცეულ ფაშისტებს ქარივით დაედევნენ.

სხვებთან ერთად კოლია ბარბაქაძეც წამოხტა, ის იყო, უნდა გაქცეულიყო, რომ მის გვერდით მწოლარე ამხანაგი მოაგონდა: „რა მოუვიდა, დაჭრილი ხომ არ არისო“, გაიფიქრა და მიუბრუნდა.

ეს ჭაბუკი, რომელსაც ბიჭები მეტსახელად „ლომგულას“ ეძახდნენ, ამხანაგებს არ მოსწონდათ. მეტის-მეტად მედიდურად ეჭირა თავი, გული უბრალო რამეზე მოსდიოდა ხოლმე და საჩხუბრად მიიწევდა.

კოლია დაიხარა, თავზე ხელი შეახო.

— დაჭრილი ხომ არა ხარ?

ჭაბუკი შეკრთა, თავი ასწია, კოლიას თვალი აარიდა. მერე უცებ წამოხტა, შაშხანა მოიმარჯვა და წინ გასწია.

„საწყალი, შიშს წაუხდენია“, გაივლო გულში კოლიამ და ამხანაგებს აედევნა.

სოფელში გერმანელებმა ერთხელ კიდევ სცადეს წინააღმდეგობის გაწევა. სახლებს ამოეფარნენ, თან სამი ტანკი მიიშველიეს. მკაცრი ბრძოლა გაჩაღდა.

კოლია ბარბაქაძე და ლომგულა კვლავ ერთად მოხვდნენ. განაპირა სახლში ჩასაფრებულ გერმანელებს ესროდნენ. ამ სახლს ბიჭები მეორე მხრიდანაც უახლოვდებოდნენ.

როგორც კი მაგრად ჩამჯდარი გერმანელები ბუდიდან ამოაგდეს, ლომგულას მოთმინება არ ეყო, უდროო-დროს წამოიმართა გააფთრებული, მუწყვეტით გადახტა. უცებ, თითქო რაღაცას დაეჯახაო, შეტორტმანდა, შუბლები მოეკვეთა, პირქვე ჩაემხო.

კოლია ამხანაგთან მიხოხდა, თავი გადაუწია.

შუბლში მოხვედროდა ტყვია ბედშავს, სულს ვეღარ ითქვამდა.

ასეთ დროს ადამიანს ბევრი ფიქრი არ ძალუძს, ისე, თავისთავად გაუელვა კოლიას: „საწყალი ბიჭი... დღეს ეს შიშს კი არ წაუხდენია, უთუოდ წინათგრძნობამ შეიპყრო“.

შუადღისას ბრძოლის ბედი სამმა ჯავშანმტვრეველმა ვაჟკაცმა ვადასწყვიტა, — გერმანელთა სამივე ტანკი დააზიანეს. ამის შემდეგ სოფელი მალე გასწმინდეს.

სამსონის ირგვლივ თავმოყრილმა მეომრებმა ამაყად შეავლეს თვალი ჩვენი ქვეყნის მზისფერ დროშას, სოფლის შუაგულში აღმართულს.

VIII

მიწის ძალა

განთავისუფლებულ სოფელში სულ მცირე ხანს მოუხდათ შესვენება. ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ კედელ-ჩამონგრეულ, მინებ-ჩამსხვრეულ სახლებს.

გახიზნულ მცხოვრებლებიდან ჯერ თითქმის არავინ სჩანდა. მხოლოდ დამფრთხალი შინაური ფრინველი თუ შეფართქალდებოდა ბალებსა და ბოსტნებში, ან სახლის ერთგული ძაღლი თუ გამოიხედავდა შიშ-ჩამდგარი თვალებით.

მაინც მეტად თბილ გრძნობას ჰბადებდნენ მებრძოლთა გულში ეს ნაგრიგალევი კარმიდამოები. მალე აქ ცხოვრება ისევ განახლდება, ჩამქრალ კერებში ცეცხლი აენთება.

და შემომქმედ შრომაში, რომელიც აქ გაჩაღდება, მათი ძალღონეც, მათი სულისკვეთებაც იელვარებს, თაობიდან თაობას გადასცემს მათი ამხანაგების სისხლით მორწყული მიწა.

ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ ხეხილის ბაღში, მადიანად სჭამდნენ. არსად არ ისმოდა არც შესიტყვება, არც ოხუნჯობა.

მხოლოდ აგერ კოლია ბარბაქაძეს სადღაც ერთი ბოთლი ოსური არაყი უშოვნია, ოფლისაგან გასქელებულ ხალათის უბიდან ამოაძვრინა; ქამარზე ჩამოკიდებული პატარა ყანწი მოიხსნა და ისეთის მოწიწებით გაავსო, თითქო ღვთისმსახურებას ეწევაო.

სხვა დროს ასეთ შემთხვევაში კოლიას ქერა სახეზე ეშმაკური ღიმილი აღიბეჭდებოდა ხოლმე, ახლა კი უჩვეულო სინაზე გადაჰფენოდა, ლაჟვარდისფერი თვალები მოძალებული ცრემლებისაგან გაბრწყინვებოდა.

— ბიჭებო, — დაბალი, მღელვარე ხმით დაიწყო კოლიამ: — მოდით, ეს იმ ჩვენი ძმების სადღეგრძელო დავლიოთ, რომელნიც ჭირშიაც და ლხინშიაც ჩვენთან იყვნენ. ახლა ჩვენთან აღარ არიან, ზოგი დაიჭრა, ზოგი გმირულად დაეცა... ჩემ თვალწინ დალია სული საწყალობელმა ლომგულამ (საოცარია, წინათ ეს მეტსახელი მუდამ ირონიულ გრძნობას იწვევდა, ახლა კი ნამდვილად ლომგულოვანი ვაჟკაცის იერით დამშვენდა). მათთან ერ-

თად, მოდით, ამ ჩვენს სოფელსაც გაუმარჯოს! — დასძინა ბოლოს კოლიამ და ყანწი ერთის მოსმით გამოსცალა. მერე სათითაოდ ჩამოარიგა ... ბოთლს თვალით ზომავდა, ანგარიშობდა — ყველას გასწვდებაო.

ამასობაში სამსონმა ცნობა მიიღო: მდინარის მახლობლად მტერმა დიდ ძალებს მოუყარა თავი და ის განაყოფი, რომელსაც შალვა ყიფშიძე მეთაურობს, გარემოცვის საფრთხეში იმყოფებაო.

სასწრაფოდ გაუდგნენ გზას. წინ მზვერავები გაგზავნეს.

*
* *

სამსონის ასეულში ერთი კახელი კოლმეურნე იყო, ორმოცდაორი წლის კაცი, სამი შვილის მამა—შაქრო მაისაშვილი. მზისაგან გარუჯული მოგრძო სახე ჰქონდა, შავი გაწკიპული ულვაშები, წვრილი, გამჭრიახი თვალები და მაღალი ცხვირი. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდის მარჯვენა ფეხი რევმატიზმით დაავადებოდა, რამდენჯერმე სამკურნალოდ ყოფილიყო ახტალას, მაგრამ მთლად მაინც ვერ განკურნულიყო. ჯარში რომ გაიწვიეს და ვარგისად იცვნეს, შაქრომ ეს დიდ უსამართლობად მიიჩნია, ამიტომ ფეხი სტკიოდა თუ არა, მაინც კოჭლობდა.

— გეყოფა, კაცო, ამდენი კოჭლობა, — ხუმრობით ეტყოდნენ ხოლმე ამხანაგები.

— თქვენ რა გიშავთ, შვილოსა, ვეფხვებივითა ხართ. იმას კი ვერა ხედავთ, ამოდენა კაცი როგორ უსამართლოდ ვიტანჯები, — კუშტად უპასუხებდა შაქრო. ხანდახან ფეხი რომ არა სტკიოდა და მაინც კოჭლობდა, ამაში არავითარ ეშმაკობას არა ხედავდა, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მის მდგომარეობაში მყოფი კაცი უთუოდ განთავისუფლებული უნდა ყოფილიყო.

სამსონმა შაქროს საბარგული ჩააბარა. რაკი ფეხით სიარული არ შეგიძლიან, საბარგულით ხომ ივლიო. შაქროც ძალაუნებურად ბედს შეურიგდა; ცხენები მოვლილი ჰყავდა, დავალებას პირნათლად ასრულებდა, კოჭლობას კი ერთი წამითაც არ ივიწყებდა.

ახლა შაქროს სურსათით დატვირთული საბარგული მიჰყავდა. მაღალზე იჯდა, ოჯახის კაცისათვის ჩვეული ინტერესით ათვალიერებდა უხვმოსავლიან სიმინდის ყანებს, კბილებ-ჩაშავებულ მზესუმზირებს, ხეხილის ბაღებში ჩამოცვივნულ მწიფე ვაშლს.

უცებ ხმაური მოესმა. შორს, ყანის პირს გაჰხედა. აგერ მოხვეულში გერმანელი მოტოციკლისტი გაილანდა. აქეთ მოდის.

შაქრომ სრულიად არ იცოდა, რომ იგი გერმანელთა მეკავშირე იყო. მეტად სასწრაფო ცნობა მიჰქონდა. თუ ამ ცნობას დროზე მიიტანდა, შესაძლოა სამსონის ასეულიდან მესამედიც არ გადარჩენილიყო.

შაქრომ ცხენები შეაჩერა, მარდად გადახტა, მხრიდან გარდი-გარდმო გადაკიდებული შაშხანა გადმოიღო, მოწყვეტით გაექანა, მზისუმზირებში გაძვრა, მოტოციკლისტს თავი დაუსწრო.

სწორედ ისეთ გუნებაზე იყო, სიჭაბუკისას შველზე სანადიროდ რომ წასულა მთაში. მონადირისათვის ჩვეული გულმოდგინეობით დაუმიზნა. გავარდა თუ არა, მოტოციკლმა რამდენიმე მეტრზე კლაკნილად განაგრძო სვლა, შემდეგ ზედიზედ გადაფერდდა და მოკლული გერმანელის მარჯვენა ფეხი ქვეშ მოიყოლა.

შაქრომ სწრაფად მიირბინა, გერმანელს თოფმომარჯვებული წაადგა თავს. ავტომატი და საველე ჩანთა ააცალა, მხარზე გადაიკიდა, მერე მოტოციკლი გააგორა და საბარგულისაკენ გაეშურა.

გზაზე რომ გავიდა, უცებ შეკრთა, ირგვლივ მიმოიხედა: ხომ არავინ დამინახა, რომ არა ვკოჭლობდიო. მერე უნებლიედ რამდენჯერმე წაიკოჭლა, მოტოციკლი ასწია და საბარგულზე დასდო.

*
* *

სამსონი ასეულს წინ მიუძღოდა. მძიმედ იყო შეჭურვილი ავტომატით, ტელყუმბარებით, რევოლვერით, ვაზნებით, საველე ჩანთით, მაგრამ მაინც მსუბუქად მიაბიჯებდა. მის მოხდენილ აღნაგობას არავითარი მოდუნება არ ემჩნეოდა. მხოლოდ სახე ჰქონდა მოღრუბლული, სხივოსან თვალებზე თითქო რაღაც ბურუსი გადაჰფენოდა. დაკვირვებით გაჰხედავდა ხოლმე უცნობ მიდამოს, ტყის გადალმა ავარდნილ კვამლს, სროლის ხმას ყურს მიაპყრობდა, მაგრამ მის მხედველობას ჩვეულებრივი სიმკვეთრე აკლდა, თითქო თავის არსებაში ჩახედვასა და განმარტოებას ლამობს და ვერ მოუცლიაო.

თვითონაც არ იცოდა, რა იყო ამ უგუნებობის მიზეზი. იქნებ ის აწუხებდა, რომ თერთმეტი მებრძოლი გამოაკლდა, თან კიდევ მტრის გამაგრებულ ზღუდესთან მისვლისას დილით მცირეოდენი ტაქტიკური შეცდომა დაუშვა.

ჰო, ესეც იყო და კიდევ ის ბუნდოვანი უკმაყოფილება, რომელიც დაღლილობისას ეწვევა ხოლმე კაცს. ამ წამს თითქო უღალატა თავის ჩვეულებრივ შეხედულებას: არასოდეს არ უნდა აჰყვე ისეთ ფიქრს, რომელიც გუნებას გაგიფუჭებსო.

მართლაც, ექნება კი ოდესმე დასასრული ამ ცეცხლოვან გზაზე ხეტიალს, სისხლს, დაჭრილთა ვაებას, მომაკვდავთა გმინვას, სიკვდილის მოლოდინს? ჭიანჭველასავით ისრისებიან ადამიანები, თითქო ამ დაუსრულებელ ქვეყნიერებაზე გასაქანი ვერ უპოვნიათო... ან რაღა შინაარსი რჩება სიყვარულს, მეგობრობას, თუ თვითონ სიცოცხლეს არავითარი ფასი არა აქვს?

სამსონის მახლობლად მიმავალ მებრძოლთაც გადაედო ეს უღიმღამო განწყობილება, თითქო მეთაურსა და მათ შორის რაღაც იდუმალი, თანაზიარი კრთოლვით მგზნებარე სიმიაო გაბმული. ახლა ეს სიმი მოეშვა, დაჰკარგა მან თავისი შემაკავშირებელი ძალა.

ამიტომ სდუმდნენ ასე გულჩახვეულად ყველანი. მათი ნაბიჯის სიმწყობრეშიაც მცირეოდენი რღვევა შეპარულიყო.

დავით ჯამაიას ლამაზ სახეზე სევდა აღბეჭდოდა. ლადიმე გიორგაძე კუშტად, მიუკარებლად გამოიყურებოდა. ირაკლი კარაშვილი ისე დაღვრემილი იყო, თითქო სამგლოვიარო პროცესიას მიჰყვებაო. გივი ჯიქია, ეს ოცი წლის ჭაბუკი, ჯავრით გულგატეხილ, ხანდაზმულ კაცს დამსგავსებოდა. კოლია ბარბაქაძესაც კი მოეწყინა, თითქო ისეთ არე-მარეში მოხვდა, სადაც ქრისტიანი კაცი ერთ წვეთ ღვინოს ვერ იშოვნიდა.

სამსონი უცებ შეკრთა, თითქო უცნაურ მიჯნას მიადგაო. თვალი ირგვლივ მიმოატარა. ინსტიქტურად შებრუნდა, მებრძოლთ გაჰხედა. წამსვე იგრძნო მათთან გამაერთიანებელი სიმის მოდუნება და დამნაშავესავით სახე მოეღუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შა, მაგრამ უმალვე აეგზნო, ფოლადიანი ვაუკაცის იერი დაუბრუნდა, ბიჭებს გაულიმა, მტკიცე ხმით გასძახა:

— აბა, ბიჭებო, არწივებო, მხრები გაშალეთ! ნაბიჯი, ნაბიჯი!

სათითაოდ ჩამოირიგეს მეომრებმა მეთაურის ღიმილი, წელში გაიმართნენ, თვალები გაუბრწყინდათ.

სისხამი დილის შუქივით შემოეჭდო ყველას თანაზიარად მკრთოლვარე სიმი და ერთ ჰანგზე აეწყო მათი გულებისა და კუნთების ძგერა.

ტყის პირს მიადგნენ. სამსონი მზვერავების მიერ მოტანილ ცნობებს ჩაუკვირდა. მოხერხებული, მაგრამ თან მეტად სახიფათო გეგმა შეიმუშავა. საკმაო იყო მცირეოდენი შეფერხება, ან მტრის რომელიმე გაუთვალისწინებელ ძალასთან შეხეჩება და შესაძლოა ცოცხალი ვერც ერთი ვერ გამოსულიყო (სამსონმა მაშინ, ცხადია, არ იცოდა, რომ ეს გაუთვალისწინებელი ძალა გამოჩნდებოდა სწორედ იმ შემთხვევაში, თუ შაქრო მაისაშვილის მიერ მოკლული მეკავშირე თავის ადგილას ცნობას მიიტანდა,—ეს შემდეგ გამოირკვა).

— შენზეა ახლა დამოკიდებული ყველაფერი, — მიმართა სამსონმა ტყვიამფრქვეველთა ათეულის უფროსს სერჟანტ გივი ჯიქიას: — ტყვიამფრქვევი ისე სწრაფად უნდა გადაიტანო ადგილიდან ადგილზე, რომ მტერს მთელი ათასეული მოეჩვენოს. გერმანელებს, რომლებიც შალვას რაზმს გარს ერტყმიან, თვითონ უნდა შევუქმნათ გარემოცვის საფრთხე.

ჯიქიას სახე შეეფაკლა, სამსონს თვალი გაუსწორა:

— მესმის, ამხანაგო უფროსო!

სამსონმა სხვა მებრძოლებიც ჯგუფებად დარაზმა, ყველას გარკვეული ამოცანა დაუსახა. თვითონ-კი ჯავშანმტვრეველებს გაუძღვა.

*

* *

შალვას რაზმს, მდინარეზე გასულს, მტერი სამი მხრიდან გარს შემორტყმოდა, გააფთრებული იერიში მიჰქონდა. ძალთა უპირატესობა გერმანელების მხარეზე იყო, სტრატეგიულადაც მეტად ხელსაყრელი ზღუდეები ეჭირათ. ახლა კიდევ ტანკები მიიშველიეს და ცეცხლი გაააორკეცეს.

მაგრამ შალვა და მისი თანამებრძოლნი არ შედრკნენ, მთელი დღის განმავლობაში თავგამეტებით იგერიებდნენ მტერს.

ბევრი დაიჭრა, რამდენიმე მოკლული ამხანაგის გვამი მდინარის მახლობლად ესვენა.

თვითონ შალვა ორჯერ ბეწვზე გადარჩა. მესამეჯერ ნალმის ნამსხვრევმა მარცხენა მკლავი გაუკაწრა. თვითონ შეიხვია. ამხანაგი რომ მიეშველა, მკაცრად უბრძანა:

— შენს საქმეს მიჰხედე... ცეცხლი, ბიჭებო, ცეცხლი! — დასძინა შემდეგ.

ბრძოლის ველს გაჰხედა, ისე ჩაილაპარაკა თავისთვის, თითქო ფანდურზე ამღერებსო:

„დაგელაობდეს სიკვდილი,
სუდარაებსა ჰკერავდეს“...

საღამო რომ მოახლოვდა, შალვამ რამდენჯერმე უნებლიედ გაიფიქრა: „ცუდადაა საქმე, მაგრამ არაფერია, მტერს ძვირად დაუჯდება ჩვენი სიკვდილი“.

შალვა ამ ზღუდეებიდან იმიტომ არ იხევდა, რომ სხვა ქვეგანაყოფები საფრთხეში ვარდებოდნენ, გზა ეჭრებოდათ, მთელი № ნაწილი ბრძოლა გაშლა შეფერხდებოდა და გერმანელებს საშუალება მიეცემოდათ ფანეულიყვნენ კავკასიონის კარებისაკენ.

ბრძოლის ველზე მწვავე ჟამი მაშინ დადგა, როდესაც შალვას რაზმის საბრძოლო წყობას მტრის ორი ტანკი მიადგა. კი არ დაუნახავს, გულმა უაზრა შალვას, რომ მებრძოლთა ჯგუფი შედრკა. მყისვე ვეფხვივით გადახტა სანგრიდან სანგარში, ჯავშანმტვრეველი თოფი გამართა, თან ბიჭებს გასძახა:

— მოამზადეთ ხელყუმბარები! ცეცხლი!

რამდენიმე გასროლით გერმანელთა ერთი ტანკი ააფეთქა, ხოლო მეორე დააზიანა.

ამის შემხედვარე მებრძოლთ ძალა გაუორკეცდათ, აღფრთოვანდნენ, სიკვდილს თვალი გაუსწორეს.

ისეთი ცეცხლი გაჩაღდა, რომ ცა და დედამიწა გაბმულ გუგუნში დაინთქა.

გერმანელებმა ნაღმსატყორცნების ძლიერი ცეცხლი იმ მხარეს გადიტანეს, საიდანაც შალვამ ჯავშანმტვრეველი თოფით ტანკები მოიგერია. ნაღმებმა ირგვლივ მიწა გადათხარეს. დაჭრილთა შემზარავი გმინვა გაისმა.

„ცუდადაა, ბიჭო, საქმე, ცუდად!“ — დაუდასტურა შალვამ თავის თავს, თვალები მოჭუტა, ხელმარცხნივ ჩქოლნარს გაჰხედა. რატომ ირხევიან ეს ხეები ასე? აგერ ერთი თითქო გრიგალმა გადაღუნა, მიწაზე განართხო. აა, მტრის ტანკები ახლა აქედან გვიტევენ... რა გაეწყობა, თუ სიკვდილია, იყოს სიკვდილი. „შენთვის ვშობილვართ, შენთვის მოვკვდებით, მშობელო მიწავ!“, წარმოსთქვა შალვამ ხმამაღლა და თოფი მოიმარჯვა.

ამ დროს მტრის ზურგში ჯავშანმტვრეველი თოფების სროლა მოისმა. ტანკები შესდგნენ. აგერ ცეცხლის ალი ავარდა, ხის კენწეროებს მისწვდა. უმალვე მტრის განლაგების მარცხენა ფრთაზე ტყვიამფრქვევი გაბმულად აკაკანდა, ამას შამხანების ბათქი და ყუმბარების გრიალი დაერთო.

— ჩვენები არიან, ჩვენები! მოემზადეთ იერიშისათვის! — გასძახა ბიჭებს შალვამ.

გერმანელებს გარემოცვის საფრთხემ თავზარი დასცა, საფრებიდან ამოცვივდნენ, ტყვიამფრქვევები და ნაღმსატყორცნები მიატოვეს, უწესრიგოდ უკან დაიხიეს.

*

* *

ჯიქიას სწრაფად გადაჰქონდა ტყვიამფრქვევი მოხერხებულ ადგილზე. გერმანელებმა რომ უკან დაიხიეს, საუკეთესო პოზიცია ეკავა, ოდნავ შემაღლებულ ბორცვზე ედგა ტყვიამფრქვევი. აუჩქარებლად უმიზნებდა, ცდილობდა ტყვია ამაოდ არ დაეხარჯა.

მის მახლობლად ვაზნებიან ლენტის მიმწოდებლად კოლია ბარბაქაძე იწვა, ხელმარჯვედ ეხმარებოდა, თან გამუდმებით იმეორებდა:

— მასე, ჰო, მასე! დასცხე მაგ ღორებს! გენაცვალე ხელებში! არ გოუშვა, არ გოუშვა მაგ ურჯულოები!

გერმანელები დაჭრილების გაყვანას ვერ ასწრებდნენ, სერჟანტი ტყვიას სეტყვასავით აყრიდა. წარმატებამ გაიტაცა, ადგილის გამოცვლა დაავიწყდა,

ამით ისარგებლა ხის ტოტებში ჩასაფრებულმა გერმანელმა სნაიპერმა და გივი მიზანში ამოიღო.

ტყვია მარჯვენა მხარში მოჰხვდა სერჟანტს. მარცხენა მკლავს [illegible] წამოიწია, თითქო ადგომას ლამობსო, მაგრამ ვერ შესძლო, მოწყვეტით ჩაემხო.

— ვაი თქვენს დედას, წუნკლებო! ბიჭი მომიკლეს! — აღმოხდა ბარბაქაძეს, გივის თავი აუწია. — ცოცხალია! აბა, ბიჭებო, გაიყვანეთ! ახლა მე მიყურონ!

ეს რომ სთქვა, ტყვიამ ყურთან გაუშხუილა.

მყისვე მოისაზრა კოლიამ, რომ ადგილის გამოცვლა იყო საჭირო, ტყვიამფრქვევი სწრაფად გააგორა, ბუჩქებში შემალა. მაგრამ ამანაც არ უშველა, გერმანელი სნაიპერი ზუსტი სროლით ჩხრეკდა იმ არეს. ერთი ამხანაგი კიდევ დაიჭრა.

სწორედ ამ დროს მოშორებით ჩასაფრებულმა ირაკლი კარაშვილმა შეასწრო თვალი ხეზე ტოტების შერხევას. დააკვირდა. ქარი არაა, შტო-კი ირხევა. გულდაგულ დაუმიზნა, გაისროლა და ხიდან გერმანელი გადმოყრავდა.

„ეგეც შენ!“ თავისთვის ჩაილაპარაკა ირაკლიმ და შამხანას სიყვარულით დაჰხედა.

ბარბაქაძემ თავისუფლად ამოისუნთქა, ტყვიამფრქვევი ბექობზე ააგორა, გამართა და ქეიფის დროს. რომ იცოდა, ისეთი ხმით გასძახა:

— ვაზნები, ვაზნები! გენაცვალეთ, ბიჭებო! ხედავთ, რავა თხებივით გარბიან...

* * *

დავით ჯამაიას დაჭრილის ძახილი მოესმა. მრავალჯერ გაიგონა დღეს დაჭრილის კვნესა და წუხილი, მაგრამ სად ეცალა, რომ ყურადღება მიექცია. ახლაც არა აქვს დრო, ჩვენები უკუქცეულ გერმანელებს კვალდაკვალ მიჰყვებიან. მაგრამ ეს ხმა ძალზე ახლობელია, აგერ მეგრულიც გამოურია. გულმა არ მოუთმინა, სწრაფად გაექანა, ხის ძირას მწოლარე გივი ჯიქიას თავს წაადგა.

ამხანაგს გივისათვის ჭრილობა შეეხვია, მაგრამ სისხლის დენა ვერ შეეჩერებინა. პირიდანაც სისხლი ამოსდიოდა, ტუჩები წითლად ჰქონდა შეღებილი.

— შენ შემოგევლე, გივი, როგორა ხარ, ძამია? — მეგრულად დაუყვავა დავითმა, ჩაიჩოქა, გივის სახეზე დააცქერდა.

— რას ვიზამ... ვკვდები, დავით, — მეგრულადვე უპასუხა ჯიქიამ და სისხლიანი ტუჩები აუთრთოლდა.

— უნდა გამაგრდე, შე კაცო... არ გრცხვენია, დედაშენს რა პირით შევხვდე მერე?!

დავითის ახლო მეზობელი იყო გივი. დედა-მისი ადრე დაქვრივდა. სამი შვილი გამოზარდა. შარშანწინ დაამთავრა გივიმ ათწლედი. შინ ორი უმცროსი დაი დასტოვა და ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე დედა, მხნე და შრომისმოყვარე, მოწინავე კოლმეურნე ქალი.

— ცუდად ვარ, დავით, ცუდად... შინ რომ მიხვიდე, უთხარი... მაგრამ რას ეტყვი... ჰო, თავი არ შეურცხვენია-თქვა, უთხარი.

— ჰატ, შე გლახა! არ გრცხვენია, ბიჭო? — წამოიძახა გულაჩუქებულმა დავითმა, თოფი მხარზე გადაიკიდა, გივის ხელები მოხვია, [illegible] ...ანა.

— ნუ გეშინია, ჭირიმე, გაგიყვან. ჩვენი ექიმები მოგივლიან. [illegible] ...ჩები, — ბუტბუტებდა დავითი და მძიმე ტვირთი მიჰქონდა.

მდინარეს რომ მიუახლოვდა, დაჭრილი შეეხვეწა, დამასვენე, სული ამომათქმევინეო, ხომ ხედავ, ვკვდები, მიწაზე ხელი შემავლებინეო.

თვითონაც ძალა გამოელია დავითს. გივი ფრთხილად დააწვინა სიმინდის ყანის პირად.

გივის ტკივილი უფრო მძაფრად შემოენთო. ჯერ ხელზე იკბინა, მერე მიწის ნატეხი აიღო, პირში ჩაიდო, დაღეჭა... თავი ასწია, თვალი გაუშტერდა. დაყუჩდა, გარემოსთან დამაკავშირებელი ძაფი გაუწყდა. მოეჩვენა, თითქო თავის ეზოში წევს, კოინდარში. დაბალ ბარჯგებზე წამომდგარ ოდის აივანზე არავინ არის. არც ძაღლია ეზოში, არც სხვა სულიერი. სამზარეულოს გვერდით, ბოსტანში მხოლოდ სიმინდია, საოცრად ხშირი და მადალი სიმინდი. რა მოუვიდათ? სად დაიკარგნენ?

— დედა, სად ხარ, დედა? — ამოიგმინა და უცებ მოსწყდა, მთელი სხეული აუცახცახდა.

— დამშვიდდი, შენი ჭირიმე, გივი, თუ ჩემი ხათრი გაქვს, დამშვიდდი. მალე გაგიყვან.

— აჰ? — წამოსწია თავი გივიმ. დავითს ისე შეაცქერდა, თითქო ვერ იცნო, მერე შემაძრწუნებელი ხმით შეეხვეწა:

— რაღას უყურებ, დავით, ნუ მაწვალებ, ერთი ტყვია გაიმეტე ჩემთვის. ხომ ხედავ, სასიცოცხლო პირი აღარა მაქვს... მომასვენე...

ღამდებოდა. ჩამავალი მზის სხივები კავკასიონის მწვერვალებსაც ეთხოვებოდნენ, ვარდისფერი მარმაშივით კრთოდნენ სპეტაკ მყინვარებზე. ჭალებს ლაჟვარდივით გამსჭვირვალე ბინდი ეფინებოდა.

დავითს მუხლები მოეკეცა. ჩაჯდა. არასოდეს თავის სიცოცხლეში ასეთი დაღლილობა არ უგრძვნია.

ნეტავი შეეძლოს, რამდენიმე წუთით მაინც მისდოს თავი, მოისვენოს. ეს ბიჭი, როგორც ეტყობა, ვერ გადარჩება... სადღა უნდა ატაროს? უარესად გაწვალდება...

იდაყვს დაეყრდნო, თვალები დახუჭა. მყისვე რაღაცა შინაგანმა ძალამ უბიძგა, მთებს გაჰხედა. არც ბრძოლის ველის გუგუნი ესმის, არც მდინარის ჩხრიალი, ხოლო მთები თითქო ეკრანია, და ამ ეკრანზე მარტოოდენ გივი ჯიქიას კარმიდამო მოსჩანს. შავით მოსილი დედა მეგრულად მოსთქვამს: „ნანა, შვილო!“

— დავით, — მოესმა ამ დროს გივის ხმა, — არ დამტოვო... მიშველე!

დავითი ელდანაკრავივით წამოიჭრა, გამოცოცხლდა.

— უსვინდისო ვიყო, შენ თუ რამე გაგიჭირვო! გამაგრდი, ნუ გეშინია! — სთქვა დავითმა და გივი ზურგზე მოიკიდა, მდინარეში შესტოპა.

წყალი მაღალი არ იყო, არც მაინც და მაინც ჩქარი, მაგრამ დავითს ტვირთი მეტის-მეტად დაუმძიმდა, თან ქვებზე ფეხი უსხლტებოდა, თავს ძლივს იკავებდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. შუა მდინარეს რომ მიაღწია, საიდანღაც გამოსროლილი ნაღმი მახლობლად დაეცა, მძლავრ ლაღუმივით აფეთქდა და დავითს წყლის ნანჩქრევი შეასხურა. დავითი წაფორხილდა, ჩაიჩოქა. „მგონია, ჩავრჩეთ აქ“, — ცეცხლივით შემოემსჭვალა გულს

ეს ფიქრი, მაგრამ წამსვე თავის თავს შესძახა: „გამაგრდი, ბიჭო, არ წახდე!“ თავი დასწია, ოფლიანი სახე მჩქეფარე ზვირთებს დააყრდნო, მერე ძალა მოიკრიბა, წამოიმართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპირზე რომ გავიდა, დაბარბაცდა, რიყეს მაინც გაშორდა, ბალახებში ჩაემხო. საკუთარი გულის ცემა ესმოდა მხოლოდ, მეტი არაფერი. ზურგს უკან შესკვნილი, გაშეშებული ხელები გაინთავისუფლა, მოლზე დასდო, თითები ბალახს მოუსვა, ლოყაც ბალახს დააყრდნო.

სული მოითქვა. მცენარეთა სურნელებამ შეაგრძნობინა იდუმალად მეტყველი, სულის-ჩამდგმელი ძალა მიწისა. დააყურა. მის ზურგზე დამხობილი გივი, მგონი, არ სუნთქავს. ხომ არ მოკვდა?

გააჟრჟოლა. მყისვე მაჯაში ჩაავლო ხელი გივის. ცოცხალია, მხოლოდ...

ფრთხილად გადაბრუნდა. გივის სახეზე დაჰხედა. მკვდრის ფერი ადევს. ხმას არ იღებს. მხოლოდ ყრუდ ამოიგმინა.

ამ დროს თითქო გულმა უაზრა დავითს, თავი ასწია, ჯერ კიდევ თვალღია მწუხრის ბინდში ყანის პირს გაჰხედა. აგერ სიმინდებში გამოძვრა ორთვალა საზიდარი, გაჩერდა.

დავითმ წამოხტა, ქუდი მოიგლიჯა, საზიდართან გამოსულ ქალს დაუქნია.

ეს ეთერი იყო. სანიტარი ახლდა. დაჭრილების წასაყვანად მოვიდნენ.

— მიშველე, შენი ჭირიმე, ეთერ, ეს ბიჭი გადამირჩინე! — აღმოხდა დავითს.

ეთერს ხმა არ ამოუღია. სწრაფად ჩაიჩოქა, გივის მხარზე დაჰხედა, ჩანთა გახსნა.

ჭრილობის შეხვევას რომ მორჩა, მერე მიმართა ეთერმა დავითს:

— როგორაა, დავით, საქმე?

უნდოდა ეკითხა — სამსონი როგორ არისო, მაგრამ უხერხულად მიიჩნია.

— დიდებულად! — მოკლედ მოსჭრა დავითმა, მერე გულთამხილავივით დასძინა: — სამსონი კაეივითაა.

ეთერს გაფითრებული სახე ოდნავ წამოეგზნო, ფართო თვალების ელვა ფრთაშეხრილ წამწამებს მისწვდა.

— გმადლობთ!

შვებით ამოისუნთქა ეთერმა, სანიტარს მიუბრუნდა:

— აბა, ვიჩქაროთ!

გალმა გავიდნენ.

ეთერი და სანიტარი დაჭრილთა გამოყვანას შეუდგნენ, ხოლო დავითი ჩქარი ნაბიჯით გაემართა თავისიანებისაკენ, რომლებიც ჭარბი ძალებით კონტრიერიშებზე გადმოსულ გერმანელებს შეუპოვრად იგერიებდნენ.

IX

ოო ცეცხლში

ჩამობნელდა. სიმინდის ყანებსა და აქა-იქ გამოკაფულ ტყეს ჭუფრი ბინდი გადაეფარა. მხოლოდ მდინარის ნაპირებს აშუქებდა მკრთოლვარე ჭავლებზე ანასხლეტი მკრთალი ნათელი.

ეთერმა გივი ჯიქია და კიდევ ერთი მძიმედ დაჭრილი მებრძოლი საზიდარზე მოათავსა, სანიტარი გააყოლა, თვითონ დაჭრილებთან დარჩა.

სანიტარს სამ კილომეტრზე უნდა გაეყვანა ისინი და წამსვე უკან უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნებულიყო, თან ცნობა უნდა მიეწოდებინა, რომ თოთხმეტი დაჭრილისათვის ტრანსპორტი გამოეგზავნათ.

თბილი, უნიავო ღამე ჩამოწვა.

ეთერი მდინარეში რომ გადიოდა, წყლის სიგრილე სიამეს ჰგვრიდა. ნაპირთან დაიხარა, წყალი რამდენჯერმე შეისხა პეშვით სახეზე. მერე რიყეზე ჩამოჯდა, წაღები გაიხადა, წყალი გადმოასხა, წინდები გასწურა და სწრაფად ჩაიცვა. მოკლე კაბის კალთაც შემოიწურა, ჩანთა გაისწორა და დაჭრილებთან გაეშურა.

ფართოდ ტოტებგაშლილ ხის ძირას იწვნენ დაჭრილები, ხმას არ იღებდნენ, მხოლოდ უნებლიედ აღმოხდებოდათ ხოლმე კვნესა.

ეთერი რომ მიუახლოვდა, ზოგმა თავი წამოსწია, მაგრამ როგორც კი იცვნეს იგი, მყისვე დამშვიდდნენ.

ორი თუ სამი კილომეტრით იყვნენ დაშორებული იმ ადგილებს, სადაც ჯერ კიდევ მკაცრი ბრძოლა გრძელდებოდა. სროლის ხმა განუწყვეტლად ისმოდა. ხანდახან ისე აღრიალდებოდნენ ნაღმსატყორცნები, თითქო დამშეული მგლები ყმუიანო. უჩინარი, შემაჟრჟოლებელი ალი შემოენთებოდა ხოლმე ღამის საფარველს და მთელი ქვეყნიერება ჯაგებში ჩასაფრებული აფთარივით ახელდა თვალს.

ეთერმა დაჭრილებს სათითაოდ ჩამოუარა, ზოგს შუბლზე ხელი შეახო, ზოგს მაჯა გაუსინჯა.

ერთმა ჭაბუკმა, რომელსაც ნაღმისაგან ფეხი დამსხვრეული ჰქონდა, ბავშვივით საჭმელი ინატრა.

— ცოტა კიდევ მოითმინეთ. მალე საბარგული მოვა და წაგიყვანთ. იქ ყველაფერი იქნება, — დაუყვავა ეთერმა.

ამ დროს გვერდით მწოლიარემ შეახო ეთერს ხელი, სუსტი ხმით უთხრა:

— აგერ ჩემს ჯიბეშია, ამოუღეთ.

ჭაბუკმა ხარბად მოკბიჩა ხმელი პურის ნატეხს. ეტყობოდა, შიმშილი იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც გულის გადასაყოლებლად ცოხნიდა.

გამამხნევებელ კავშირს აბამდა მათ შორის თითოეულის ხმა, ოხვრა და „ვაი დედა“-ს წამოძახილი, მაგრამ უფრო ხშირად საკუთარი ტკივილებითა და განსაცდელში მყოფ სიცოცხლეზე ფიქრით იყვნენ შემსჭვალულნი.

ამიტომ ხანდახან, როცა სრული დუმილი ჩამოვარდებოდა, ეს ფიქრი უფრო მძაფრდებოდა დაუსრულებელ მოლოდინში.

ეთერი იმ დღეს განთიადიდანვე ფეხზე იდგა, დაუღალავად მუშაობდა, ადგილიდან ადგილზე გადადიოდა, ერთ დაჭრილს რომ მოუვლიდა, მეორისაკენ მიისწრაფოდა, იმდენად გატაცებული იყო საქმით, რომ წამიერი ფიქრისათვისაც კი დრო არა რჩებოდა. მხოლოდ ერთი მწვავე განცდა კი მუდამ თან დაჰყვებოდა ისე, როგორც საკუთარი გულის ცემა, რაზედაც ადამიანი სრულიად არა ჰფიქრობს.

ახლა კი, როდესაც დაჭრილები მიყუჩდნენ და ბრძოლის ველიდანაც სროლის ხმა კანტი-კუნტად ისმოდა, ეთერი შეკრთა, თითქო გამოეღვიძაო. ცეცხლოვანმა ფიქრმა გაჰკრა გულს ბრჭყალი. სადაა ახლა სამსონი? რა დღეშია? ნეტავი დავითმა თუ ნახა? ეტყოდა, ეთერი აქვე ახლოს არისო, დაჭრილები გაჰყავსო.

გაირინდა, შორეულ ჭახჭახს ყური მიაპყრო, თითქო სამსონის ხმის გაგონებას მოელისო.

ყრუ კვნესა მოესმა. დაჭრილებს მიეხედა. არა, აქ არავინ ჰკვნესის, მორსაა. ვილაც უმწეო ხმით იძახის.

ვინ უნდა იყოს? ეს არე-მარე გულდასმით დაათვალიერა, [illegible] ტოვებია.

— ვილაცა შველას მოითხოვს, — მიმართა ეთერს ერთმა დაჭრილმა. — ყური დაუგდეთ, ხომ გესმით?

— მესმის, — სთქვა ეთერმა და წამოიმართა.

— მარტო მიდიხართ? დაიცადეთ, სანიტარი რომ მოვა, მერე მონახავთ, ბნელა...

ეთერს ხმა არ ამოუღია. გარინდული იყო. კვნესას ყურს უგდებდა, რომ გეზი აერჩია.

— ჩრდილოეთითაა, ბრძოლის ველისაკენ, — დაასკვნა ბოლოს და სწრაფი ნაბიჯით გასწია.

ბუჩქნარს მიადგა. შესდგა, ყური მიაპყრო. დაჭრილი აღარ ჰკვნესის, თუ მიმართულება დაჰკარგა? ირგვლივ, რამდენიმე მეტრს იქით, არაფერი არა სჩანს, თან ისეთი მძაფრი სიჩუმეა, თითქო ყოველ ბუჩქში უცნაური მხეცები არიან ჩასაფრებული და ეთერს უთვალთვალებენო.

მშიშარა არ იყო ეთერი, მაგრამ ახლა რატომღაც გული შეუქანდა, შეკრთა; მოეჩვენა, თითქო სავსებით მოსწყდა გარემოს და დასაყრდენი არსად არა აქვს. ამ დროს დაჭრილის კვნესა რომ არ გაეგონა, უნებლიედ იკივლებდა, მშველელს მოუხმობდა.

ჯიბის ფარანი მოიშველია. შავად გალურსულ ბუჩქებს მაინც შეუარა, ნაბიჯს აუჩქარა.

ახლა გარკვევით ესმის დაჭრილის ხმა. უთუოდ თავის გონებაზე არაა, ისე არეულად ისვრის სიტყვებს. ხან მტერს ემუქრება, ხან დედას მოუხმობს, თითქო ტირილს აპირებს, ისე საცოდავად გმინავს.

აგერ ოციოდე მეტრზეა, მგონი მიხოხავს.

„ახალი დაჭრილია, ბრძოლის ველიდან მოდის“, გაიფიქრა ეთერმა და სირბილით გაეშურა.

— ვინა ხარ? — საშინელი ხმით დაიყვირა დაჭრილმა.

ის იყო, ხმა უნდა გაეცა ეთერს, რომ ტყვიამ სულ ახლოს გაჭკვეთა ჰაერი.

ეთერი მყისვე წაწვა. ახლა მოისაზრა, რომ ხშირად დაჭრილი შეშლილს ემსგავსება, ყველგან მტერი ელანდება, მარტოოდენ თავდაცვის გრძნობა ამოქმედებს.

— ჰატ, თქვენი რჯული არ იყოს! ცოცხალი უნდა ჩამიგდოთ ხელში? ვერ მოესწრებით! — დაიყვირა დაჭრილმა და კვლავ გაისროლა.

ეთერი ხოხვით მიუახლოვდა, მღელვარე ხმით დაუძახა:

— მე ვარ, ძმაო, ეთერი, სანინსტრუქტორი, ვერ მიცანი?

— აა, ვინა ვარო? ეთერი? ეთერს რა უნდა აქ? ხო არ მატყუებ? აბა კიდევ სთქვი რამე, ხმაზე გიცნობ.

— კარგი, დამშვიდდი ახლა, ძმაო, მე აქ დაჭრილები მყვანან, შენი ხმა გავიგონე და მოსაშველებლად წამოვედი.

დაჭრილს უცნაური ხმა ამოხდა, ძნელი გასაგები იყო, სიხარულისაგან იყო იგი გამოწვეული თუ ანაზდად შემონთებული ტკივილებისაგან.

ეთერი ფრთხილად მიხოხდა, ჯერ თოფი გამოართვა, მერე ფარნით სახეზე დაჰხედა. მყისვე იცნო. სამსონის ასეულიდან იყო, ვასო გიგაური.

ერთხელ, ფრონტზე გამგზავრების წინ, ვასოს სოფლიდან დედა ჩამოუცი-
და. ვასომ ამხანაგები მიიწვია, მათ შორის სამსონი და ეთერი.
დედა სტუმრებს თავს დასტრიალებდა, შინიდან ჩამოტანილი — ქსოვილები
რი არყით, საგანგებოდ დაწურული ღვინით, ქადებით, მოხარშული ქათმებით
და ხილით უმასპინძლდებოდა.

მხნე ქალი იყო, მშრომელი, გაუტეხელი. ჭაღარა თმაზე თეთრი თავსაფა-
რი ჰქონდა გადაკრული. შავი თვალწარბი, მაღალი ცხვირი და ოდნავ მოგრ-
ძო ნიკაპი უფრო აძლიერებდნენ მის მტკიცე გამომეტყველებას. ხმაც ვაჟ-
კაცური ჰქონდა, მაღალი, გაუბზარავი.

ვასო დედას ჰგავდა, მხოლოდ ცოტათი ტანმორჩილი იყო და თან რაღაც
უფრო ნაზი ელფერი გადაჰკრავდა. ალბათ, იმიტომ, რომ ჯერ ახალგაზრდა
იყო. საშუალო სასწავლებელი არმიაში გაწვევის წინ დაამთავრა. ზაფხულო-
ბით მწყემსებს თუ გაჰყვებოდა მთაში, თორემ სხვა ჯაფა ჯერ არ შე-
ხვედროდა.

— მე, შვილო, — მიმართა მაშინ დედამ სამსონს, — ექვსი ქალი მყავს,
ყველანი გათხოვილები არიან, თხუთმეტი შვილიშვილი მყავს, მაგრამ ე ბი-
ჭი მაინც დედისერთასავით გამოვზარდე... ეხლა, შვილო, შენ ხარ ამისი უფ-
როსი, ამისი მამაცა და დედაც. ვიცი, ისე მიხედავ, როგორც შენს ვაჟკაცო-
ბას დაშვენდება.

ეს რომ სთქვა, სამსონის გვერდით მჯდარ ეთერს მიაპყრო თავისი სი-
ცოცხლით სავსე თვალები, უსიტყვოდ ანიშნა: შენ იცი, სამსონთან როგორ
მიშუამდგომლებო.

ვასოს მზისაგან დამწვარი ლოყები წამოეგზნო, დედას საყვედურით მი-
მართა:

— კარგი, დედი, ბალღი ხო არა ვარ...

— ვიცი, შვილო, რო ბალღი არა ხარ, მხოლოდ დედის გულმა უკეთ
იცის, თუ რა ცეცხლში უნდა გამოიარო... რა გაეწყობა, მარტო ჩვენ ხომ
არა ვართ, მხოლოდ შენს ცუდს ღმერთი ნუ შემასწრებს...

ეთერმა უწინარეს ყოვლისა ვასოს ჭრილობები გაუსინჯა. ორივე ფეხი
დაცხრილული ჰქონდა ნაღმის ნამსხვრევებისაგან. ორი კილომეტრი ხოხვით
გამოუვლია. სულს ძლივს ითქვამდა, ჰქელავდა, გული გამალებით უცემდა,
ოფლად იღვრებოდა, ორთქლი ასდიოდა.

მხოლოდ ერთი ღრმა ჭრილობა შეეხვია ინდივიდუალურ პაკეტში მოთავ-
სებული სახვევით, დანარჩენებიდან სისხლი სდიოდა.

— ნუ გეშინია, ვასო, ჭრილობა ყველა მსუბუქია, მალე მორჩები, —
ჩვეულებისამებრ ანუგეშა ეთერმა და შეხვევას შეუდგა.

ვასო ხმას არ იღებდა, თითქო არავითარ ტკივილს არა გრძნობდა; ძალზე
ნასვამ კაცს რომ მიწის დატორტმანება მოეჩვენება და დაეცემა, ისეთ გუ-
ნებაზე დადგა.

ეთერი ხელმარდად მუშაობდა. ვეება ციცინათელასავით ბალახებში მო-
ღაღაქე ფარნის შუქით განათებულ სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიო-
და. ღაწვებზე ლაქები ეჩნდა. მხედრული ქუდიდან თმის მოკლე კულული
ჩამოშლოდა და საფეთქელთან მიწებებოდა. წარბები ისე ჰქონდა შეჭმუხ-
ნული, ისე მკაცრად გამოიყურებოდა, თითქო არასოდეს არ გაუღიმნიაო.

— ვაჰ, შენ ჩემო თავო! — აღმოხდა სულმოთქმულ ვასოს ხანგრძლივი
დუმილის შემდეგ: — მტერი მეგონე... რო მოგხვედროდა, რა მეშველებოდა!

ცახცახი აუტყდა. ხომ არ ტირის?

ეთერმა ჩანთას თავი მოუკრა, ჯიბიდან დოლბანდი ამოიღო, [illegible] მოსწმინდა. მერე დახვეული მაზარა იღლიასა და თავზე გადა[illegible], [illegible] და ვასო ზედ დააწვინა. შაშხანა თვითონ გადაიკიდა.

კარგა ხანს აჩოჩა. დაიღალა. ვასოს გვერდით ჩამოჯდა, ოფლი მოიწურა, მერე ვასოს შუბლზე ხელი დაადო.

— როგორა ხარ, ვასო? გული ხომ არ გიწუხს?

— აჰ? — ამოიოხრა ბურანში წასულმა ვასომ, თვალები დაახამხამა.

— შენ ხარ, დაო? რა მადლიანი ხელი გაქვს...

გააჟრჟოლა, თითქო რაღაცა მოელანდაო.

— რა დროს წამახდინა იმ ვერანა ნალმმა! ის იყო, სამსონს უნდა მივშველებოდი... ისეთი ბუღი ავარდა, რო ცა ჩამოინგრა, მეგონა... ერთ საეენზე ამისროლა, მიწა გადმომაყარა... ვინღა გადარჩებოდა...

ეთერი შეჩვეული იყო დაჭრილთა არეულ ლაპარაკს, იცოდა, რომ მათ ხშირად ბევრი რამ ეჩვენებათ. მაგრამ ახლა, ვასომ რომ სამსონი ახსენა და „ვინ-ღა გადარჩებოდაო“, დასძინა, ზარი დაეცა, გული კინაღამ შეუღონდა.

— ვასო, მართალი მითხარი, სამსონი ცოცხალია? — ათრთოლებული ხმით შეეკითხა, ფარანი სახეზე მიაშუქა, თვალებში ჩაჰხედა.

ვასომ თვალები დახუჭა, გამშრალ ტუჩებზე ენა მოისვა, მერე შუბლი შეიკრა, თითქო რაღაცას იგონებსო.

— არ ვიცი.. ვერ დავინახე...

უცებ შეკრთა, თავი წამოსწია, ეთერს შეაცქერდა. ახლა მოისაზრა, რომ ეთერი სამსონის დანიშნული იყო.

— სამსონი... სამსონი შორს იყო.. ნალმი აქეთ აფეთქდა... ნუ გეშინია, სამსონი ცოცხალი იქნება.

ამ ნაძალადევმა ნუგეშმა უფრო შეაშინა ეთერი. ნათლად წარმოუდგა ნალმისაგან განგმირული სამსონი... სუნთქვა შეეკრა, თვალები ცრემლით აევსო.

„რა მოგდის? რა დროს ეგ არის?“ ჩასძახა იდუმალმა ხმამ, მერე მოუყვა მრავალგზის ნაფიქრი: ომში მიმავალს სიკვდილის არ უნდა ეშინოდეს. სამშობლო განსაცდელშია. ერთის ჩამქრალი თვალების სხივი ათასი ცოცხალის თვალებში გამოაშუქებს...

„ეგ მართალია, მაგრამ... — შეესიტყვა ეთერი, — ამ გულს რა ვუყო? რითი ვასაზრდოო? ნეტავი მე მომხვდებოდეს მტრის ტყვია, სანამ სამსონის სიკვდილს გავიგონებდე“...

— შორს ვართ კიდევ? — მოესმა მწუხარებისაგან გაოგნებულ ეთერს ვასოს ხმა. — სული მეხუთება... იქნება ერთი წვეთი წყალი მიშოვნო.

თავს ძალა დაატანა ეთერმა, ვასოს წამალნასხურევი დოლბანდით სახე მოწმინდა, მერე მაზარას ხელი ჩაავლო და გზა განაგრძო.

„საცაა ტრანსპორტი მოვა, დაჭრილებს გავგზავნი, — ფიქრობდა გზაში ეთერი. — მე კი ბრძოლის ველისაკენ გავსწევ. რა მომასვენებს? იქ დაჭრილები უპატრონოდ იქნებიან. სამსონი“...

— აქით, დაო, აქით! — მიაწვდინა ხმა მიახლოვებულ ეთერს ხის ქვეშ მწოლარე მებრძოლმა.

ეთერმა რომ ვასო ამხანაგების გვერდით მოათავსა, ყველამ თავისუფლად

ამოისუნთქა, თითქო ეს ერთი ქალი კი არ ადგათო თავს, მთელი რაზმი სდარაჯობთო.

ეთერმაც იგრძნო ეს, ძალა მოეცა, პირადი წუხილი შეუჩერებლად ყველას სახეზე დაჰხედა, დააიმედა.

ბოლოს მაინც გულმა არ მოუსვენა, მდინარისაკენ გასწია, იქნებ დაჭრილების წასაყვანად მომავალი საზიდრები დავინახოო.

მდინარის ჩხრიალმა უფრო მძაფრად აგრძნობინა ირგვლივ გამეფებული დუმილი. არსაიდან სროლის ხმა არ ისმოდა, არც მაშხალები ანათებდნენ ფრონტის ხაზს.

იმ წამს ისეთი გრძნობა აღეძრა ეთერს, თითქო ეს პირქუშად ჩამოწოლილი ღამე საშინელი აფეთქების მოლოდინში გარინდულაო.

ერთხანს იდგა გაოგნებული, მერე მუხლებში მოუსავდა. კბოდეზე ჩამოჯდა, თავი ხელს დააყრდნო. არაფერზე არ უნდოდა ეფიქრა, არც გულის წუხილს აჰყოლოდა, არც ამ უტყვი ღამისათვის მიექცია ყურადღება, ვინაიდან მთელი მისი შინა არსება განთვისებასა და მოსვენებას მოითხოვდა.

ახლა ეთერი ერთი უმწეო ქალი იყო, საშინელ ორომტრიალში ჩავარდნილი, ბობოქარი ტალღებით განაპირებული, მოწყვეტილი ყველას, სულ ყველას... მარტოოდენ დაჭრილთა ვაება, სისხლისა და სიკვდილის შიშით ანთებული თვალები...

„რა უცნაურად გამოიყურებოდა იმ დღეს სამსონი! — უნებლიედ გააბა ეთერმა ნაღვლიანი ფიქრის ძაფი: — არასოდეს, არც ერთი განშორების ჟამს, არ ამოუკითხავს მის თვალებში ისეთი მძაფრი სევდა... იქნება წინათგრძნობა იყო? ვაი თუ გულმა უაზრა, ამიერიდან ერთმანეთს ველარ შევხვდებითო.. აჰ, არა! ნუ იცი ხოლმე ასეთი წარმოდგენით გულის მოკვლა! აბა მოიგონე... შალვა იდგა იმ დროს იქ, ისე ეშხიანად შემოგყურებდა, როგორც სჩვევია ხოლმე მას. დაუკვირდი... ნუთუ ამდენ ხანს ვერ შეამჩნიე, რომ შალვას საქციელი სამსონს არ მოსწონს? ეს არის, მეტი არაფერი? სულელი! დამნაშავესავით ამარიდებს ხოლმე სახეს, ეშინია, არ გამოამჟღავნოს თავისი უსაფუძვლო ეჭვიანობა... ვნახოთ ერთი: კიდევ უფრო გავაჯავრებ. თუ მართლობლად შალვა იქნა, თავს ისე მოვაჩვენებ, ვითომ მისი მოხმატკბილება მეტის-მეტად მწყუროდეს... სულელი, ასეთი ვაჟკაცია და ბავშვივით სათუთი გული აქვს“...

ამ ფიქრმა ცოტათი დაამშვიდა. ახლა ეს მძიმე დუმილი და მდინარის გაბმული დუდუნი საამო საფარივით გარს ევლებოდა თავის თავთან განმარტოებულ ეთერს.

ორი ღამის უძინარი იყო, მაგრამ ვიდრე თვალს მოსასვენებლად დაჰხრიდა, მამა მოაგონდა, ერთის წამით მასთან გადაფრინდა, მიეალერსა. მერე წიგნებით სავსე მაგიდას დაჰხედა, ეგნატეს უსაყვედურა:

„მოგკლავს, მამა, ამდენი კითხვა და ფიქრი. ჰაერზე გადი, გაიარ-გამოიარე... ნუ გეშინია, მე კარგად ვარ, სამსონიც კარგადაა... ჩვენი საქმე კი ისე მიდის, როგორც შენ ამბობდი,—მტერი კავკასიონის კალთებს შეაწყდება“...

ამის შემდეგ თავის ოთახშიაც შეიხედა თვალმოჭუტულმა ეთერმა, ეამა ეს მყუდროება, სისუფთავე...

მდინარის შხაფუნი მოესმა. შეკრთა.

ხომ არ მიერულა?

სანიტრები მოსულან. საზიდრები მოუყვანიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად გამოძინებულივით მკვირცხლად წამოხტა, მოსულთ დაგვიანება უსაყვედურა.

— ბნელი ღამეა, გზა დაგვებნა,—გაიმართლა თავი სანიტარმა.

— არ უნდა დაგებნეთ, ყოველი ხე, ყოველი მოსახვევი უნდა დაიმახსოვროთ. განა არ იცით, დაჭრილისათვის ხშირად ერთი წუთი სიცოცხლის ფასად ღირს?

ორ დიდ და ერთ პატარა საბარგულზე თხუთმეტივე დაჭრილი მოათავსეს. მდინარემდის მიაცილა ისინი ეთერმა. იქ კი ერთი სანიტარის თანხლებით უკან გაბრუნდა.

— ძაან ბნელი ღამეა, ცოტას რო დავიცდიდეთ, აჯობებს,— ურჩია სანიტარმა.

ეთერს არ მოეწონა ეს შიშნარევი კილო, ვაუკაცი უნდა ამხნევებდეს, ეს კი...

— როგორ გეკადრება, ბესო! სიბნელის გულისათვის დაჭრილებს არ უნდა მივხედოთ?

— მართალს ბრძანებ, მაგრამ... ე ოხერი ჩემი თავი როდი მენანება, წვრილი ცოლ-შვილი მყავს მიტოვებული.

ტანმორჩილი კაცი იყო ბესო გოგოლაძე. სახეც პატარა ჰქონდა, მოგრძო და უფერული. ღიმილი კი საოცრად შვენოდა. დიდრონ თვალებში მიმზიდველი სხივი აუკიაფდებოდა და უსიტყვოდ ამყლავნებდა, რომ უბოროტო გულის პატრონი იყო. სიდარიბეს ბავშვობიდანვე დაებეჩავებინა. ოჯახს გვიან მოჰკიდებოდა.

— მაინც რა ხნის არიან შენი შვილები? — თანაგრძნობით ჰკითხა ეთერმა.

— რაღა ხნის იქნებიან, შენი ჭირიმე, უმცროსი აკვანში დავტოვე, ორი უფროსი კი ერთმანეთს ვერ წამოაყენებენ, იმოტელები არიან. ხელმარტო რო არ ვიყო, კიდევ ჰო. რა უნდა ქნას საწყალმა ქალმა, სამ ჩვილ ბალღს მოუაროს, თუ ოჯახს მიჰხედოს.

კარგა ხანს იარეს. ბესო უკან მიჰყვებოდა ეთერს. თავისი სიმაღლე შამხანა უხერხულად ჰქონდა მხარზე ჩამოკიდებული. ჩანთას ხშირად ისწორებდა, ნაბიჯს უჩქარებდა.

ეთერი გზას ფარნით ინათებდა. მოკლე შუქს მიღმა წყვდიადი უსახო ფარდებივით ირხეოდა.

ტყეს მიადგნენ. ეთერი შესდგა.

შემოუაროს თუ პირდაპირ გადასჭრას? ვაი თუ გზა აებნეს. აქ ფრონტის ხაზი ისეა დახლართული, რომ შეიძლება მტრის განლაგებაში აღმოჩნდეს.

— ეხლა ეგ ფარანი მე მიბოძეთ, თქვენ უკან მომყევით,— მიმართა ბესომ ჩაფიქრებულ ეთერს.—ჩემს სიცოცხლეში რაც მე ტყეღრეში მივლია, ამდენი, მგონი, ბებერ მგელსაც არ ექნება მოვლილი.

ეთერმა გაკვირვებით მიჰხედა ბესოს. მოეწონა მისი ვაუკაცური ხმა.

— კარგი... მხოლოდ ფრთხილად, ტყემ მტრის ბანაკში არ შეგვიტყუოს.

— ჯავრი ნუ გაქვთ. ჩვენები აქ ახლოს უნდა იყვნენ.

ტყის სიღრმეში რომ შევიდნენ, ბესომ ფარანი ეთერს დაუბრუნა.

— თქვენ გეჭიროთ. თვალი მომჭრა. აქ თუ სიბნელეს არ შეეჩვიე, ისე გზას ვერ გაიკვლევ.

მართლაც, მგელივით მიძვრებოდა ბესო გაუვალ ჯაგებში, ეთერს მიჰხედავდა, ხელს გაუწვდიდა,— ნუ გეშინია, მომყევიო, ეტყოდა იმედიანი ხმით.

ისეთ გუნებაზე იყო, თითქო თავის კუთხეში, ბორჯომის ხეობის უსიერ ტყეში იმყოფება და შინ მიიჩქარისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთიადი მოახლოვდა. ტყიდან მაინც ვერ გავიდნენ.

— ამ წყეულს, ნუთუ დასასრული არა აქვს? — უკვირდა ბესოს. — მგონია, კლაკნილად დავდივართ და იმიტომ ვერ გავალწიეთ... დაიცა, ნაკაფია, აქ ახლოს იქნება ნაპირი.

ამ დროს სივრცეში მეტეორივით გადმოეშვა რაღაცა, ხეებს ზემოთ შესდგა და ალისფერი პარაშუტივით აენთო. ხეების წვეროებს შარავანდედივით შემოეფინა რძისფერი შუქი, ტყის სიღრმეშიაც შეიჭრა.

— გერმანელების მაშხალაა, — ჩაილაპარაკა ეთერმა.

— უყურე, რასა ჰგავს ეგ წყეული! — წამოიძახა გაოცებულმა ბესომ. — ჯოჯოხეთის მაშხალაა!

მაღალი ხის ქვეშ შეიმალნენ. ახლა ნათლად გამოჩნდა ირგვლივ ყველაფერი. ნაკაფი ახლოს თავდება. მერე ბალახიანი ველია და მზისუმზირები.

— გავსულვართ, — წასჩურჩულა ბესომ ეთერს და ცაში დაკიდებულ ბეღრიალა მაშხალას ახედა. მყისვე თვალი მოარიდა, თითქო მტერი თავს დაჰყურებსო.

მაშხალის ჩაქრობამდის ადგილიდან არ დაძრულან.

ველზე რომ გავიდნენ, რიეერაეის მტრედისფერი ნათელი შემოეგებათ. აღმოსავლეთისაკენ გაჰყვნენ ტყის პირს.

„ჩვენები ახლოს უნდა იყვნენ, გზა კი მაინც არ ილევა“, — ფიქრობდა მეტის-მეტად დაღლილი ეთერი. ბესო ხმას არ იღებდა, დამძიმებული ნაბიჯით მიჰყვებოდა უკან.

ანაზდად ეთერმა განზე მიიხედა, ელდანაკრავივით შესდგა. მახლობლად, ყანის პირად აღმართულ ხეს მონუსხულივით მიაცქერდა.

ხის ტანს მიყრდნობია გერმანელი, ფეხები ტოტებზე გადაუდგამს, მარცხენა ხელით ავტომატი მხარზე მიუბჯენია და მარჯვენას ეთერს უქნევს — აქეთ მოდიო.

„მორჩა. სადღა წაუვალთ. მიზანში ამოღებული ვყავართ“.

ეს რომ გაუელვა ეთერს, უმალვე მოისაზრა: ვითომ არ დამინახავს, ყანაში უნდა შევასწროთო.

— ბესო, მომყევი, განზე არ მიიხედო, — ჩუმი ხმით სთქვა და ისე გადახტა, თითქო მდინარეში გადაეშვაო.

ბესომ ცალყბად შეასწრო თვალი გერმანელს, არ დაუყოვნებია, ეთერს მიჰყვა.

გერმანელმა თითო ტყვიით მოჩხრიკა ის არე.

ბედზე თხრილთან მიაღწიეს. მიეფარნენ.

მათ ზურგს უკან სხეპდა ავტომატის ტყვია მაღალ სიმინდს. გზა გადაღობილი იყო.

„ნამდვილად ჩავვარდით“. ეს რომ გაიფიქრა, თითქო ტყვიამ გასწვაო გული ეთერს.

— მაშ აგრე, არ გვეშვები ხომ! — მოესმა ამ დროს. ბესოს მიჰხედა.

აუჩქარებლად გამართა ბესომ შაშხანა, დაუმიზნა. არ მოეწონა, თოფს ადგილი მოუნაცვლა, კვლავ დაუმიზნა.

„ვაი თუ დააცილა... რატომ აგვიანებს? მალე, ბესო, მალე!“ — უსიტყვოდ იმეორებდა გულში ეთერი და ხეზე მდგარ გერმანელს თვალს არ აშორებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ, ვიდრე სროლის ხმას გაიგონებდა, გერმანელი შეტორტმანდა, მყისვე თითქო თავმა დასძლია, ჯერ ნელა გადმოიხარა, მერე მოწყვეტილი მოყირავდა.

— ეგეც შენ! ტყვედ წაყვანას გვიპირებდა, ცოცხლად უნდა მოვეკალით მაგ წუნკალს! — სთქვა ბესომ და თავი წამოსწია.

ეთერს ახლა დევგმირად მოეჩვენა ეს ჩია კაცი. დრო არ იყო, თორემ უთუოდ მოეხვევოდა სიხარულით აღტაცებული.

ბესომ ეთერის თვალთა შუქი რომ დაიჭირა, თავისებური კეთილი ღიმილი მოერია, მაგრამ წამსვე შუბლი შეიკრა, ირგვლივ მიმოიხედა.

— აბა, ვიჩქაროთ, აქ სადმე სხვებიც იქნებიან.

მართლაც, ოციოდე მეტრით არ გასცილებოდნენ იმ ადგილს, რომ ორ ცეცხლში მოჰყვნენ: ჩრდილოეთ-დასავლეთიდან გერმანელები ისროდნენ, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩვენები.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი

თავგადასავალი ბესიკი გაბაშვილისა[1]

ლაშქრის წასვლის შემდეგ თბილისში ისე მიყუჩდა ცხოვრება, თითქო მთელი ქალაქი დაცლილიყოს. ქუჩებში თითო-ოროლა გამვლელი თუ გამოჩნდებოდა. სამჭედლოებიდანაც კი აღარ ისმოდა გრდემლზე არაწკუნებული ჩაქუჩების მხიარული წკრიალი. ხანდახან თუ გაიგონებდა კაცი მოწყენილ კაკუნს. ქურები ჩანელებული იყო. ოსტატები უმთავრესად ან ერთი რომელიმე ხელოსნის დუქანში იყრიდნენ თავს, ან სალაყბოზე იკრიბებოდნენ და მთელი დღის განმავლობაში საუბრობდნენ რუს-თათრების ომზე და ერეკლეს ლაშქრობაზე.

ათასგვარი ხმები დადიოდა ხალხში. ხან ამბობდნენ, ხონთქარსა და ყაენს პირი შეუკრავთ და მთელი საქრისტიანოს გაჟლეტა გადაუწყვეტიათო. ხან ამბობდნენ, ხონთქარს რუსეთის დედოფლისთვის შეუთვლია, ან ცოლად გამომყე, ან არა და მეფობაზე ხელი აიღეო. ხანდახან მდაბიო მოქალაქეთა საუბარში რომელიმე დიდებული ან მეფის მოხელე ჩაერეოდა, რომელიც თითო-ოროლა სარწმუნო ამბავს თუ იტყოდა, თორემ ნამდვილი ვითარება ბევრს არ ესმოდა. თათართან ომში რუსები ეხმარებოდნენ ქართველებს თუ, პირიქით, ქართველები რუსებს, არც ერთმა არ იცოდა.

სასახლეშიაც მიჩუმდა ყველაფერი. დარეჯან დედოფალი საჩინოში გადასახლდა და დილიდან სამხრობამდე თავის კარის ეკლესიაში ლოცვა-ვედრებაში ატარებდა დროს. ნასამხრევს ყოველდღე შიკრიკი მოდიოდა და ერეკლეს წერილი მოჰქონდა, საიდანაც ყველანი გებულობდნენ ახალ ამბებს. დარეჯანი ჯერ თითონ კითხულობდა ბარათს, შემდეგ სადარბაზოდ შეკრებილ სეფექალებს და დიდებულებს საჯაროდ უკითხავდა.

დარეჯანთან სადარბაზოდ ყოველდღე იკრიბებოდნენ ყველანი, ვისაც ნებადართული ჰქონდა სასახლის კარზე ხლება. მორთულ-მოკაზმული ქალები და დიდებულები აჩქარებულნი მიეშურებოდნენ საჩინოსაკენ, რომ ახალი ამბები გაეგოთ, ერეკლეს ბარათით გული დაემშვიდებინათ და შემდეგ ჩუმ-ჩუმად ეჭორიკანავათ, ერთმანეთისთვის ეთვალთვალებინათ და თავი გაერთოთ.

ერთობოდნენ ნარდის ან ჭადრაკის თამაშით. ხანდახან ფსონის ქაღალდსაც გაშლიდნენ. ხშირად შაირობითა და ლექსების კითხვით ირთობდნენ თავს. შაირობაში ყველაზე მახვილი ენის პატრონი იყო ანასტასია, ანა-ხანუმ დედოფლის დაი, რომელიც ჭაბუა ორბელიანს მოსვენებას არ აძლევდა თავისი მუნასიბებით. ქალების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ამ სიბრძნით განთქმულ დიდად მეტყველ ფილოსოფოსს სეტყვასავით აყრიდა ანასტასია საშაირო ლექსებს.

---

[1]) გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 7.

ხშირად რომელიმე სეფე-ქალს ან ჭაბუკ მწიგნობარს ხმა-მაღლა აკითხებ-დნენ „ვეფხვის-ტყაოსანს“, „როსტომიანს“, თეიმურაზის ლექსებს, ან სხვა-რამ საატრფიალო წიგნებს. მთელი დარბაზი სულგანაბული ისმენდა ამ-სტრიქონებს, თუმცა უმეტესობას ეს წიგნები არა თუ მრავალჯერ ჰქონდა წაკითხული ან მოსმენილი, არამედ ბევრმა ზეპირადაც კი იცოდა. სამხიარულოდ ხანდახან საბა-სულხან ორბელიანის იგავ-არაკებს და თეიმურაზის „თიმსარიანს“ კითხულობდნენ.

ხანდახან დარბაზობას ანტონ კათალიკოსიც ესწრებოდა და ასეთი საღამო სამგლოვიარო პარაკლისს წაგავდა. ქალები ვერც სიცილს ბედავდნენ, ვერც ხმამაღლა ლაპარაკს და ვერც საერო წიგნების ხმამაღლა კითხვას. ყველა მოწყენილი უსმენდა მრისხანე სახის ანტონს, რომელიც გააბამდა საუბარს ღვთის მოყვარეობაზე და ზნეობის სიწმინდეზე. განსაკუთრებით ჰკილავდა კეკლუცსა და ფერუმარილით მოკმაზულ ქალებს. წყევლა-კრულვით იხსენებდა ანტონი შოთას. თუმცა მას ბრძენს უწოდებდა, მაგრამ მისი „ვეფხვის-ტყაოსანი“ მიაჩნდა განმრყვნელად ხალხისა, შემბილწავად წმინდისა ქრისტეს მოძღვრებისა, მღაღადებლად სიბილწის და მრუშობისა. კათალიკოსთან შედავებას, ცხადია, ვერავინ ვერ ბედავდა, მხოლოდ ხანდახან დედოფალი თუ შეედავებოდა.

დარეჯანი მორიდებულად ეუბნებოდა კათალიკოსს, რომ ყოველ ქვეყანაში არიან სახელოვანი მგოსნები, რომელთა წიგნებს დიდებულთა ოჯახში მუდამ კითხულობენ, რადგან ისინი სიბრძნეს ღაღადებენო. თუ შოთას ბრძნულ შაირს ზოგიერთნი სამრუშოდ სთარგმნიან, ეს რა შოთას ბრალია: ხალხია თვითონ დამნაშავე და აქაა თქვენი გავლენა საჭირო, რათა მათ ღვთის სიყვარული არ დაივიწყონო.

კათალიკოსი მუდამ უკმაყოფილო იყო ასეთი შენიშვნებით, რადგან თუ ხალხში ღვთის შიში კლებულობდა, დარეჯანის მოსაზრებით გამოდიოდა, რომ ეს კათალიკოსის სუსტი გავლენის ბრალი იყო. ამიტომ საუბარს შეუმჩნევლად თვითონვე შესცვლიდა და აუცილებლად ზაქარია გაბაშვილთან აღძრულ დავაზე დაიწყებდა ლაპარაკს. რუსეთში გადაიხვეწა, მაგრამ იქიდანაც არ მასვენებსო, ჩიოდა დედოფალთან კათალიკოსი.

ახლა კი გაეგო, ზაქარიას ბატონისთვის ბარათი მოუწერიაო და გულდაწყვეტილი იყო, რომ ერეკლე ისე წაბრძანდა სალაშქროდ, იმ ბარათზე ერთი სიტყვაც არ მითხრაო. ამის გამო რამდენჯერმე ეახლა დედოფალს ანტონი. უნდოდა გაეგო ბარათის ნამდვილი შინაარსი, მაგრამ დარეჯანს ეს წერილი თითონაც არა ჰქონდა ნახული და ვერაფრით ვერ შეეძლო ენუგეშებინა კათალიკოსი. ანტონს არა სჯეროდა, რომ დარეჯანმა მართლა არაფერი იცოდა ამ წერილის შესახებ, და ეჭვები უფრო უღვივდებოდნენ. არც მდივანბეგები ეუბნებოდნენ რამეს კათალიკოსს და ამ საკითხზე საუბარს თავს არიდებდნენ. ბატონის ნებადაურთველად მათ უფლება არ ჰქონდათ ხალვათხანაში გაგონილი ან განსჯილი ვინმესთვის გაემხილათ.

კათალიკოსი ყოველთვის გულდაწყვეტილი და უკმაყოფილო სტოვებდა საჩინოს, მაგრამ სამაგიეროდ საზღვარი არ ჰქონდა დარჩენილთა მხიარულებას. ყველანი შვებით ითქვამდნენ სულს, ისევ ისმოდა ქალების მხიარული კისკისი, შაირობა და გართობა-თამაშობა. თვით სასახლის კარის ეკლესიის ხუცესი ლუკაც, გააცილებდა თუ არა კათალიკოსს, მხიარული ბრუნდებოდა დარბაზში და ყოველგვარ გართობაში მონაწილეობას იღებდა. ქალები მას

არ ერიდებოდნენ, თამამად ელაპარაკებოდნენ, აჯავრებდნენ და ხანდახან სიცილით ჰკითხავდნენ: მღვდელო, მაგ გულზე, ჯვრის გარდა, კიდევ ზემოთ არაფერი გკიდიაო. ლუკა სასაცილოდ მოჭუტავდა თვალს და უპასუხებდა: გულზე რა მოგახსენოთ და დანარჩენით მეც ისევე ვარ შემკული, როგორც ადამის მოდგმას შეეფერებაო. ამაზე ატყდებოდა ერთი სიცილ-ხარხარი. ლუკა კი პირჯვარს გამოისახავდა და თან წამოიძახებდა: ფუი ეშმაკს, ეს ქალები რას არ გათქმევინებენო.

ანა ამ დარბაზობებს არ დასწრებია და სულ შინ იჯდა. დიმიტრის უკეთობა დაეტყო და ლოგინში დაჯდომასაც ახერხებდა. რადგან აღდგომის მარხვის უკანასკნელი კვირა მოახლოვდა, ყველანი ზიარებისათვის ემზადებოდნენ და განსაკუთრებულად მარხულობდნენ. არქიმანდრიტი ელეფთერი კარის ეკლესიის მაგივრად დიმიტრის პატივისცემით მისსავე საწოლ ოთახში ასრულებდა წირვა-ლოცვას, რომელსაც მარტო ანა ესწრებოდა თავისი შვილიშვილით. ხანდახან მაიაც იქვე იყო. სასახლის დანარჩენი ჯალაბი, თვით ანა-ხანუმიც, სიონში დადიოდა.

მწუხრის შემდეგ ანა და მაია ხმირად ჩაიკეტებოდნენ რომელიმე განმარტოებულ ოთახში და მთელი საათობით საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ. პატარა ანიკო განმარტოებული ან აივნიდან გადასცქეროდა ბაღს დაღვრემილი, ან ოთახში იჯდა და წიგნებს კითხულობდა. ბოლო დროს მას საოცარი მოწყენილობა დასჩემდა. ის უკვე გასათხოვარი ქალი იყო, თოთხმეტი წელი შეუსრულდა და როგორც თავისი ტოლებისაგან ჰქონდა გაგებული, მას რომელიმე ვაჟი უნდა გამიჯნურებოდა. ყველას, მასზე უფრო უმნო და ულაზათო გოგოებსაც-კი ჰყავდათ თავიანთი მიჯნურები, რომელთაც ისინი სატრფიალო ბარათებს სწერდნენ, პაემანს უნიშნავდნენ და თინათინის ან ნესტანის დარად სარაინდო დავალებებს აძლევდნენ. ანიკოს არა ჰყავდა მიჯნური. თავისი თავის ყველაზე შესაფერისად მას ერთად-ერთი ბესიკი მიაჩნდა და გულის ფანცქალით ელოდებოდა მისგან სამიჯნურო ბარათის მიღებას. რამდენჯერმე სცადა სადმე განმარტოებით მოულოდნელად შეჰფეთებოდა ახალგაზრდა ჭაბუკს, იმ იმედით, რომ ბესიკს უცბად შეჰყროდა სიყვარულის ბნედა ტარიელის მსგავსად. მაგრამ ბესიკი მას თითქო ვერც კი ამჩნევდა, გაუღიმებდა ან ერთ ორ ისეთ სიტყვას ეტყოდა, თითქო მის წინ სულ პატარა ბავშვი იდგა და მეტი არაფერი. ანიკომ სცადა გულიდან ამოეღო ბესიკი, სცადა გაბრაზებულიყო მასზე, ხან მახინჯად წარმოიდგინა, ხან სულელად, მხდალად, უგვარო მდაბიოდ. მაგრამ რაც უფრო ცდილობდა ბესიკის დავიწყებას, მით უფრო ვერ ახერხებდა თავიდან მოეშორებინა მასზე ფიქრი. ბოლოს, როდესაც გაიგო, რომ ბესიკი სალაშქროდ მიდიოდა, სასწრაფოდ ჩაიკეტა ცალკე ოთახში და აბრეშუმის მწვანე ქალაღაიაზე წვრილად ამოქარგა მაჯამა „ვერ დავადარებ გუბესა რიონს“. სიხარულის სიცილს ტუჩების კვნეტით იკავებდა. უნდოდა ეს ქალაღაია სალაშქროდ მიმავალი ბესიკისათვის ეჩუქებინა და უკვე წინასწარ წარმოიდგინა მგოსნის გაოცება, როდესაც სადმე შორს, სულ შორს, შემთხვევით ამოიკითხავდა ამ მაჯამას. მაშინ, ალბათ, როგორმე მიხვდებოდა ყველაფერს ბესიკი და ანიკოსაც სხვაგვარი გრძნობებით მოიგონებდა.

მთელ დღეს ატარა ხელით კოხტად დაკეცილი ქალაღაია, მაგრამ ვერ მოახერხა ბესიკისათვის ეჩუქებინა. ყველაფერი ხელს უშლიდა. უნდოდა მაინცდამაინც განმარტოებით შეხვედროდა და ისე გადაეცა მისთვის ეს ძვირ-

ფასი საჩუქარი. მაგრამ ვერა ნახა ბესიკი მარტოდ-მარტო. ქალაღარა ხელში შერჩა და გულდაწყვეტილი მთელ ღამეს ტიროდა. გული სტკიოდა იმის გამო, რომ მისი მიჯნურობის ამბავი არ ეწყობოდა ისე, როგორც ეს წიგნებში იყო დაწერილი და თავს უბედურად გრძნობდა. ღამღამობით ლოგინში ჩაწოლილი პატარა ამოქარგულ ყურთბალიშებს გულში იხუტებდა, ცდილობდა სხვა რამეზე ეფიქრა, ხან ლექსებს იმეორებდა, ხან ლოცვებს ამბობდა და სიონის მრისხანე მაცხოვარს წარმოიდგენდა, რომელსაც უნდა დაეტუქსა ყველა, ვინც ანიკოს პატარა გულს რაიმეს აწყენინებდა, მაგრამ ფიქრებით ისევ ბესიკს მისდევდა, რომელიც იმ დროს ბედაურზე იჯდა, მხარზე ხირიმი ეკიდა და ურჯულოებთან საომრად მიდიოდა.

მიდიოდა და სულ არ ფიქრობდა ანიკოზე.

რატომ არ ფიქრობდა პატარა ობოლ ანიკოზე.

და გაბრაზებული ანიკო, გულმოსული ისროდა განზე ყურთბალიშს, ბორგვით ბრუნდებოდა მეორე მხარეზე, მეორე ყურთბალიშს ავლებდა ხელს, ჩურჩულით ეუბნებოდა: შენ ხარ ჩემი ყველა, მოდი, ჩაგეხუტო, ჩემო კარგო, კეთილო ყურთბალიშო, დაიკარგოს ის საძაგელი აქედან, განა ღირსია, რომ ის ტარიელს ან ავთანდილს დავადაროთ. გაუთლელია. რადგან ლამაზია, თავი მაღლა აუწევია, იპრანჭება და ასე ჰგონია, იმის მეტი ამ ქვეყნად არავინ დადისო. აი აგერ გავთხოვდები, მერე წავიდეს და თავში იცეს, მერე შეიძლება ბევრიც იდარდოს, ხელად შეიქმნას და ველადაც კი გაიჭრას, მაგრამ ღირსი იქნება. ასე მოუხდება! ასე მოუხდება! ასე მოუხდება!

ანიკომ ამ ბნელაში ნიშნის მოგებით ენა გამოუყო ბესიკს, შემდეგ ბალიშებში თავი ჩარგო და დაიმედებულმა იმით, რომ ასე იოლად ნახა გამოსასვლელი — სამაგიერო გადაეხადა მისთვის — მაშინვე ჩაეძინა.

მეორე დღესაც გულჩაწყვეტილი დადიოდა პატარა ანიკო. შეიძლება ყველაფერი ეს უფრო ადვილად გადაეტანა, რომ ვინმე გულის მესაიდუმლე ჰყოლოდა, ან თავისი ტოლი გოგონა ან მოხუცი გადია. მაგრამ მას შემდეგ, რაც სასახლეში ბებიასთან გადაიყვანეს საცხოვრებლად, ის ყველას მოსწყდა, გადიასაც და თავის ტოლ გოგოებსაც. ამ გაჭიანურებული წირვა-ლოცვების მოსმენამ გული გაუწყალა. მთელი საათობით იდგნენ ის და ბებიამისი სანთლებით ხელში, და ისმენდნენ გაბმულ: — „რამე თუუ... ცათაა... და ისმინეთ წმინდა სახარებაა“-ს...

ორშაბათს ნასამხრევს საჩინოდან დედოფლის ეჯიბი მოვიდა და ანას მოახსენა, დარეჯანმა შემოგითვალათ ამ საღამოს თქვენის შვილიშვილით აუცილებლად ჩემთან მობრძანდითო.

— ბარემ აქამდე უნდა ვხლებოდი, მაგრამ ჩემს დიმიტრის მარტო ვერ დავტოვებ. რაკი უკეთობა დაეტყო, აღარ მიშორებს, — უთხრა ანამ ეჯიბს. — ასე მოახსენე, პატიებას ვითხოვ, მაგრამ სანამ წმინდა ზიარებას არ მივიღებ, ვერ გეახლები-თქო.

— ასე მიბრძანა, დიდი საქმე მაქვს, ბარათი მივიღე და თქვენი თათბირი გვჭირდებაო. ესეც მოგახსენათ, — დასძინა ეჯიბმა, — თუ თითონ ვერ შეიძლოს ჩემთან ხლება, მაშინ მე თითონ ჩამოვალო.

— არა, თითონ როგორ შევაწუხებ, მოახსენე, გეახლები-თქო.

ანას გაეხარდა, რომ გასეირნების საშუალება მიეცა. ანიკოს უბრძანა სადარბაზო სტავრის კაბა ჩაეცვა. თითონაც მოირთო. მოახლეებს უბრძანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრისათვის ყურადღება არ მოეკლოთ, და საჩინოსაკენ გაემართა შვილიშვილისა და მაიას თანხლებით.

*

* *

დარეჯანმა სწორედ სამხრობის დროს ორი ბარათი მიიღო. ერთი ერეკლესაგან, საკმაოდ ვრცელი, სადაც აღწერილი იყო სურამში ტოტლებენთან შეხვედრა, ხოლო მეორე — იმერთა მეფის სოლომონის ბიძის გიორგისაგან. გიორგი განდევნილი იყო იმერეთიდან და შეხიზნული ჰყავდა ზუგდიდში დარეჯანის ბიძას კაცია დადიანს.

უკვე ხანში შესულსა და დაავადმყოფებულ გიორგის საბოლოოდ დაჰკარგოდა იმედი, რომ სიცოცხლეში კიდევ ეღირსებოდა იმერეთის ტახტზე ჯდომა და ახლა თავისი შვილის მომავალზე ზრუნავდა, იქნება მას მაინც არ დაჰკარგოდა ტახტი, თუმცა შვილი უკურნებელი სენით ჰყავდა შეპყრობილი (ახალგაზრდა დავითი გიჟი იყო). ბევრი უწამლა შვილს გიორგიმ, რანაირი ექიმები არ დაასია, მაგრამ დავითს არა ეშველა-რა. ბოლოს, ფრანგი კაფუჩინის რჩევით რომის პაპს წერილი მისწერა და ვინმე სახელოვანი ექიმის გამოგზავნა სთხოვა. კაფუჩინმა დაარწმუნა, შენს შვილს ჩვენი ექიმი აუცილებლად მოარჩენსო. ამით დაიმედებულმა გიორგიმ განიზრახა, ბარემ ჩემს შვილს საცოლესაც გამოვუნახავო. რადგან ერეკლესთან დამოყვრება ჰქონდა გადაწყვეტილი, ურომლისოდაც სოლომონის შემდეგ იმერეთის ტახტზე ვერავის დასვამდნენ, დარეჯანს წერილი მოსწერა და სთხოვა, დიმიტრის შვილიშვილი ანა ორბელიანი ჩემი ვაჟიშვილის საცოლედ გვითხოვნიაო.

დარეჯანი ამ თხოვნამ შეაკრთო, რადგან იცოდა, რომ გიორგის ვაჟი დავითი შეშლილი იყო და ერეკლე არ დათანხმდებოდა ამ ქორწინებაზე. მაგრამ ერთი გარემოება მაინც უწყობდა ხელს, რომ ეს საქმე გიორგის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. სოლომონი მუდამ ეჭიშპებოდა ერეკლეს და ორთავეს ფარული მტრობა ჰქონდათ ერთმანეთისადმი. ვინ იცის, იქნებ ხვალ ან ზეგ სოლომონს რაიმე შემთხვევოდა და მაშინ თუ დავითი ერეკლეს და დარეჯანს ახლოს ეყოლებოდათ, შეიძლება იმერეთში გაემეფებინათ. იმერეთი მაშინ ერეკლეს მორჩილი იქნებოდა. გარდა ამისა, როგორც ბარათის მომტანი ბარდღა ჩიქვანი ამცნობებდა დედოფალს, თუ მართლა რომიდან დაბარებული ჰყავდა ექიმი გიორგის, ალბათ, კიდევაც მოარჩენდა თავის შვილს და ეს დაბრკოლებაც მოისპობოდა. ამიტომ დედოფალმა მაშინვე დაიბარა ანა თავისი შვილიშვილით.

როდესაც სამივენი — ანა, მაია და ანიკო შევიდნენ დარეჯან დედოფლის დიდ დარბაზში, იგი უკვე სავსე იყო სეფე-ქალებით და დიდებულებით. ისმოდა მხიარული მასლაათი და სიცილ-კისკისი.

დარეჯანი ფეხზე წამოდგა და ისე შეეგება ანას:

— მობრძანდი, ჩემო მულო. ამ ბოლო დროს სულ მომიძულე და აღარა მნახულობ.

— რასა ბრძანებთ, დედოფალო, — უპასუხა ანამ და თან ერთის თვალის გადავლებით დარბაზი შეათვალიერა: — ჩემს დიმიტრის ვერა ვშორდები, თორემ სულ თქვენთან არა ვარ!

დარეჯანს გუნებაში გაეცინა, თუმცა სახის ერთი კუნთიც არ შერხევია.

მაიასაგან სიტყვა-სიტყვით ჰქონდა ნაამბობი ანას მიჯნურობის ამბავი ბესიკთან.

— მართლა, დიმიტრი ხომ კარგად ბრძანდება? — ჰკითხა დარეჯანმა ანას, მაგრამ პასუხს არ დაუცადა, ანიკოს მოეხვია, შუბლზე აკოცა და შეათვალიერა. — მართალი მოგახსენო, ჩემო მულო, ამისთანა შვენება ჩვენს კარზე ერთიც არ იზრდება. რატომ ამას არა ჰგზავნი ჩემთან? გასათხოვარი ქალია, გაერთობა. მოიცა, შვილო, ერთი კიდევ შემოგხედო. ნამდვილი საფეფოფლო ქალი ხარ და კიდევაც, მგონი, მალე ეწიო ასეთ ბედს.

კიდევ ერთი-ორიოდე საქები სიტყვით შეამკო ანიკო დარეჯანმა. შემდეგ მაია და ანიკო დარბაზში დასტოვა, თითონ კი ანასთან ერთად თავის საწოლ ოთახში გავიდა. იქ ორივენი ტახტზე დასხდნენ და დარეჯანმა უთხრა ანას, რისთვისაც მოიწვია თავისთან.

— სოლომონს მაღალი ღმერთი არ აპატიებს იმ ცოდვებს, რასაც ის სჩადის, — უთხრა დარეჯანმა ანას: — ჯერ მარტო შარშანდელი ცოდვა არ დაეცლის მას დიდხანს იბოგინოს იმერეთის ტახტზე. ხომ გაგიგონია, ფრთხილად მავალი სოფელსა, გვიანად წაიქცევისა. ეგ კი ოღონდ თავისი მამული და ქონება განადიდოს, აღარავის ინდობს. ღმერთთან დადებული ფიცი გასტეხა და დიდებულ როსტომს, რაჭის ერისთავს, თვალები დასთხარა, ამგვარად თუ იარა, მალე გადაუბრუნდება ფეხი. იმერეთის ტახტზე მაგის შვილს არ დასვამენ. ის ტახტი იმთავითვე გიორგისა და იმის მემკვიდრისაა. თუ ჩვენი დასტურიც იქნა, ეს საქმე გარდუვალია. რას იტყვი, ჩემო მულო?

ანას არ ესიამოვნა დარეჯანის წინადადება და მოიღუშა.

— ასე ვოგახსენებენ, გიორგის შვილი სნეული ჰყავსო, — ნელა ჩაილაპარაკა ანამ.

— არა, გენაცვალე, ცოტა შიშის ქარები ჰქონდა, საყმაწვილო სენს რომ ეტყვიან, ის. ეგ რა მოსახსენებელია. ლამაზი ვაჟკაცია, ამ კარებშიაც ვერ შემოიმართება, იმოდენაა. მართალია, როგორც სამეფო კაცს შეეფერება, იმდენად ნასწავლი ვერაა, მაგრამ წერა-კითხვა იცის და მეტი რა უნდა. აგერ სპარსეთის ყაენმა თურმე წიგნი სულ არ იცის, მაგრამ დიდებულად მართავს თავის ქვეყანას. აბა იმერეთი რა იმოდენა სამეფო იქნება, რომ ვერ მართოს. ესეც არ იყოს, მარტო თქვენის ძმის მფარველობა დაიხსნის მას ყოველგვარი განსაცდელისაგან.

— ვაი თუ მთელ თავის სიცოცხლეში არც კი ეღირსოს ტახტზე ასვლა. სოლომონმა შეიძლება ასი წელიწადი იცოცხლოს, გიორგისა და მის შვილს კი სულ ასე კარდაკარ სიარული არგუნოს ბედმა, მაშინ?

— იჰ, გენაცვალე, — ჩაიცინა დარეჯანმა: — სოლომონმა შეიძლება ასი წელიწადიც იცოცხლოს, მაგრამ ასი დღეც ვერ იჯდეს ტახტზე. მერე და მზამზარეული ტახტი არც მამა თქვენს თეიმურაზს დახვედრია და არც ჩემს მეუღლეს ერეკლე ბატონს. ამას გარდა სოლომონს, როგორც მოგეხსენება, ბნედა სჭირს და აბა ბნედიან კაცს სად და როდის მოეწევა სიკვდილი, რა ვიცით.

— მაგას მართალს ბრძანებ, ჩემო რძალო, მაგრამ განა რა გამიჭირდა ისეთი, რომ ჩემი ანა ასე გავაუბედურო.

— როგორ გააუბედურო? — შეეჭმუხნა დარეჯანი.

— არა, ცუდის აზრით კი არ მომიხსენებია, — მოიბოდიშა ანამ: — განა არ ვიცი, რომ თქვენ ჩემი შვილიშვილის ბედნიერება გინდათ, მაგრამ ნურც

მე დამზრახავ, ჩემო რძალო, რომ მაგ საქმეს ასე იოლად ვერა ვწყვეტავ. ჩემი დაკარგულის შვილის დარდს ეგ მიქარვებს. სულაც არ გავიხარებდი, რომ შესაძლებელი იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ რა პასუხი მივწერო გიორგის?

— ერეკლეს დაველოდოთ. როგორც ის გვიბრძანებს, ისე მოვიქცეთ, — უპასუხა ანამ.

დარეჯანმა შვებით ამოისუნთქა. ერეკლეს ის ადვილად დაითანხმებდა და ამგვარად საქმე უკვე გადაწყვეტილად ჩასთვალა.

— თქვენი ნებაა, ჩემო მულო. აგრე მოვიქცეთ. ბატონის უკითხავად ჩვენ ამ საქმეს ვერ გადავწყვეტთ. გიორგისაც ამას შევუთვლი. იმედსაც მივწერ თქვენის თანხმობით.

კიდევ ცოტა ხანს ისაუბრეს რძალ-მულმა, შემდეგ ორივენი დარბაზში დაბრუნდნენ. სტუმრები ჩვეულებრივი მხიარული მასლაათით იყვნენ გართულნი. ანა სტუმრებს შეუერთდა, დარეჯანმა კი პატარა ანიკო იხმო, გვერდით მოისვა და მოეფერა.

— ჩემო შვილო, კარგი ქალი დადექი, — უთხრა დარეჯანმა. — შენ ახლა გმართებს ქალური თავდაჭერა და სიდინჯე.

— ვეცდები, დედავ-ბატონო, — მიუგო ხმის კანკალით ანიკომ.

— კარგი ხარ. შენს თავს ერთი სამეფო კაცი მთხოვს. მე იმისთვის გითხარი, სიდინჯე გმართებს-მეთქი, უნდა გაგადედოფლო. ხომ გინდა, დედოფალი გახდე?

— როგორც თქვენ მიბრძანებთ, დედავ-ბატონო! — უპასუხა გახარებულმა ანიკომ. ხას იმ წუთში ბესიკი მოაგონდა და გუნებაში გაიფიქრა: ესეც შენ, გიხდი თუ არა სამაგიეროსო. ენასაც გამოუყოფდა, რომ მარტო ყოფილიყო.

დარეჯანს მოეწონა ანიკოს მორჩილი და თავაზიანი პასუხი.

— აგრე, ჩემო შვილო, — განაგრძო დარეჯანმა: — ჭკვიანი ხარ, მეფის შთამომავლობისა, მთელი სახელმწიფო შენს ხელში იქნება. უცხოსა და ურჯულოს კი არ გაგატან. ჩემთან იქნები ახლო. ჩემი ტოლი იქნები. შენი საქმრო ისეთი ვაჟკაცია, რომ აი ამ სასახლეშიაც კი ვერ გაიმართება. მაშ! იმისთვის ვზრუნავ შენთვის, ჭკვიანი და დამჯერე რომ ხარ.

ანიკო თავჩაქინდრული უსმენდა დარეჯანს და თავისი ნაწნავის ბოლოს სწეწავდა. მას არც კი გაუგონია დარეჯანის დანარჩენი სიტყვები. ფიქრებით ის ბესიკთან იყო. თითქო მასთან ერთად ბაღში დარბოდა და ნიშნის მოგებით ახელებდა, აბა თუ კარგი ვაჟი ხარ, გაბედე და ჩემი გათხოვების საწინააღმდეგოდ ხმა ამოიღეო. ბესიკი კი დარბოდა, გახელებული ბარდებს ეხეთქებოდა, ხანჯალს გულში იმიზნებდა, შესჩიოდა ქვეყანას, ზეცას, ანიკოს, შეებრალებინათ ჭაბუკი ყარიბი, შეენდოთ მისთვის უვიცება და სიბეცე, ეეედრებოდა ანიკოს, მიეცა ნება, რომ მისი ფეხთა მტვერი დაეკოცნა, მაგრამ ანიკო სიცილითა და კისკისით დარბოდა ყვავილნარში და სტკბებოდა ბესიკის ტანჯვით.

აგრე უნდა, მაშ რად იწევდა ცხვირს მაღლა და იპრანჭებოდა?! ღირსია!

დარეჯანს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა ანიკოსათვის, მაგრამ ამ დროს ეჯიბი შევიდა და მოახსენა, ბატონი მდივანბეგები გეახლნენო.

დარეჯანი მაშინვე ფეხზე წამოდგა და კარებთან შეეგება დიდებულებს.

დარბაზში ჭაბუა ორბელიანი, იასე ამილახვარი, იოანე ორბელიანი და თეიმურაზ ციციშვილი შევიდნენ. ჭაბუა წინ მიდიოდა, ჩვეულებისამებრ,

მარცხენა მხარ-აწეული, თითქო თავი განზე გაეწია და ამ თავის მაგივრად მარცხენა მხარს ატარებდა. სიარულითაც რალაც ალმაცერად დადიოდა.

დიდებულებმა ფეხები გადარაზეს, დედოფალს მდაბლად თაყვანი ეცეს და შემდეგ ხელზე ეამბორნენ.

— ბატონის ბარათი მიგიღია, დედოფალო, — მოწიწებით მოახსენა ჭაბუამ: — გვაპატიეთ კადნიერება, მაგრამ გულმა ვეღარ მოგვითმინა და ვისწრაფეთ გაგვეგო ჩვენის დიდებულის მეფის ამბავი.

— საამო ამბებს მაცნობებს ჩემი ბატონი, — უპასუხა დარეჯანმა ჭაბუას: — სურამში მიბრძანებულა, იარანალ ტოტლებენს შეხვედრია. დაბრძანდით, ბატონებო, ახლავე მე თითონ წაგიკითხავთ.

დიდებულები საკარცხულებზე ჩამოსხდნენ. დარეჯანი ტახტზე დაბრძანდა და ერეკლეს მოწერილი ბარათი გაშალა. დარბაზში უცბათ ჩამოვარდა დუმილი, მხოლოდ აბრეშუმის კაბების შრიალი არღვევდა ხანდახან სიჩუმეს.

დარეჯანმა სათვალე გაიკეთა და ბარათს დახედა. თვალით გადაიკითხა წერილის დასაწყისი, სადაც მეფე მოკითხვას და პირად საქმეებზე სწერდა. შემდეგ უხმოდ ჩაახველა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

— ...წინათაც გწერდი, რომ უჯარმას შევხვდი ბატონიშვილს გიორგის. ლაშქარი, დიაღ, კარგი მოიყვანა, სულ რჩეული მხედრები. გათენებისას წილკანს მუხრან-ბატონი შემოგვეგება ორიათასის კაცით. ასე რომ ჩემი ლაშქარი სულ შვიდი ათასია. ღვთით ჩვენს საქმეს, დიაღ, რომ კარგი პირი უჩანს. გორს რომ მივედით, ბატონიშვილ ლეონს დავეწვევინეთ, იქ მცირედი ხანი დავყავით, სომხები საყდრის აშენების ნებართვას ჩიოდნენ, სამართალი ვუყავით და სამასი მიზალთუნიც ვუბოძეთ. იქიდან სურამს გავემართენით და მწყეხრის ყამს სურამს მშვიდობით მივედით. გზაში წვიმა მოვიდა და ვერსად თავი ვერ შევაფარეთ. სველნი ვიყავით. ციხისთავმა, დიაღ, დიდი პატივი გვცა. გვეევედრა სტუმრობას. ღამე მასთან გავათიეთ. დილას შიკრიკი მოვარდა, რუსის ჯარი მოდისო. ჩვენი ლაშქარი დავაწყეთ. ლეონიაა და გიორგის თანხლებით გავეგებეთ. მართლაც რომ მშვენიერი სანახავი იყო. წინ მესაკრავენი მოუძღოდნენ და მედოლენი. ღრაფის რეპორტი მოვისმინეთ და ლაშქარი დავათვალიერეთ. რუსნი ურას ძახილით შეგვეგებენ. შემდეგ ნადიმად-დავსხედით. კარგი მასპინძლობა გვქონდა. რუსის ოფიცრებმა მრავალი ქება მოგვახსენეს, რომ იმის ნახევრადაც არა ვღირდით. ჩვენც მრავალი ქება მოვახსენეთ. სიმღერა, ცეკვა დიაღ კარგი იყო. ბესიკმა...“

დარეჯანმა კითხვის შეუწყვეტლად ცალი თვალით იდუმალად ანას გახედა. ანა ოდნავ შეკრთა.

ანიკოც შეირხა, წინ წამოიწია და თვალები აუციმციმდა, მაგრამ მისი მოძრაობა მხოლოდ მაიამ შეამჩნია. დანარჩენები სულგანაბულნი უსმენდნენ დარეჯანს.

მაიამ ტუჩები მოკუმა და თავი დახარა. ანას თითონ არ გააკარებდა ახლო ბესიკს, ხოლო ანიკოს ვინ აღირსებდა ბესიკთან გამიჯნურებას.

„ბესიკმა გვასახელა თავისი მშვენიერის სიმღერა-შაირობით, — განაგრძო დარეჯანმა კითხვა: — მრავალი მუნასიბი სთქვა და მისი ხმა ხომ, თქვენც გსმენიათ, საარაკო რამ მოსასმენია. მდივნის მთელი სახელი ვუბოძეთ და წყალობის სიგელით დავუმტკიცეთ. ღმერთმანაბედნიეროს. საღამოს ყაბახი გავმართეთ. დანსკოვი კაზაკებმა გაგვაოცეს თავის ხელოვნებითა. რიგათ ჩამწკრივებულ წნელებს ხელმარჯვეთ ჰკაფავდნენ ჯირითით, ხოლო ერთმა

ყაზაკმა მაღალ ლატანზე ქუდი დაჰკიდა. ყოველ ჯირითზე ისე გადაკვეთდა ლატანის წვეროს, რომ გადაკვეთილი რიკი ძირს ვარდებოდა, ჩვენ ქუდი შეუხრელად ისევ ლატანზე ეკიდა. ჩვენთაგანმა ვერც ერთმა ვერ ერიგა, ჩერქეზთ ბატონიშვილს გარდა. ისეთივე სიმარდით დაჰკვეთა გრძელი ლატანი და ყველა განაცვიფრა. ხოლო შემდეგ ბატონიშვილმა ლეონმა ინება ჯირითზე გასვლა. ორი ლატანი დაადგმევინა: ერთი მარჯვნივ, ხოლო მეორე ცხენის ნახტომის მოშორებით, მარცხნივ, ჰკრა ჯირითი და ჯერ მარჯვენა ლატანი გადაჰკვეთა, შემდეგ მარცხნივ მისწვდა და მარცხენა გადაჰკვეთა. არც ერთზე ქუდი არ შერხეულა. თითქო კოდალა ტოტიდან ტოტზე ჩამოხტებოდეს, ისე ჩამოხტნენ ქუდები ყოველ ჯირითზე და ლეონის ხმალის მოქნევაზე. საამო რამ სანახავი იყო და ვმადლობ მაღალ ღმერთს, ასეთი ღირსეული შვილი რომ გამეზარდა. რუსნი აღტაცებულის ყიჟინით და ურას ძახილით შეეგებნენ ბატონიშვილს. აფიცარნი მხარზე ეამბორნენ. ქართველებმა ხომ გაიხარეს და გაიხარეს. შემდეგ ქართველთა ჯერი დადგა. ანძაზე ვერცხლის ბადია დავდგით და კიდევაც დაიწყო ჯირითი. მაგრამ ღრაფმა ტოტლებენმა აღარ ისურვა და თარჯიმანის პირით თათბირზე გვიხმო. არ ვიცი, ეწყინა რამ თუ სხვა მიზეზის გამო, ძალზე უდიერად ეჭირა თავი. თავისი სარდლები დატუქსა და ბევრ მათგანს უმიზეზოდ პატიჟნი მისცა. ჩვენთანაც ფრიად ქედმაღლობდა, თუმცა არა უკადრებია რა არც ჩვენთვის, არც ჩვენი ქვეშევრდომთათვის. მასთან ლაპარაკი ძალიან გვიმძიმს ორი თარჯიმნის გამო. რეინეგსი მუცლის სახადით გახდა ავად და ვერ გვმსახურებს. ღრაფთან თათბირი ვქენით და ხვალ დილით ტაშისკარით აწყურისაკენ მივდივართ. მწუხრის ჟამს მაიორი რემენიკოვი იდუმალად მეახლა და მომახსენა, რუსის აფიცრობა უკმაყოფილონი ვართ ღრაფის ქცევითო. მრავალი რამ წყენა მოგვაყენა და ახლაც თავისას არ იშლისო. მევედრა, მაგის თათბირებს ყველას ნუ ენდობი, ღალატს ჩვეულია, უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილია, ეგ არც ჩვენ გვნაღვლობს, რუსებს, და ქართველების დარდი ხომ სულ არა აქვსო. კიდევ ბევრი ასეთები გვითხრა. ჩვენ იმედი მივეცით და გავისტუმრეთ. მოურავოვიც გვევედრება, მაგ ღრაფის ხასიათის ვერა გავიგე რა, თუ საწყენი რამ მოგახსენოს, ყურს ნუ ათხოვებო. საწყენს საქმეს ნურას ჩაიდენს და თქმით რამდენიც ენებოს, არას დავუშლი. მაგის დარდი სულაც არა მაქვს. ქედმაღლობა ულირსად განდიდებული ადამიანის თვისებაა. ხომ მოგეხსენება, ფრთხილად მავალი სოფელსა გვიანად წაიქცევისა. მაგან ერხელ კარგა წაიბორძიკა და თუ ჭკუა ვერ ისწავლა, მომავალში რაც შეემთხვას, თავის თავს დააბრალოს. ამჯერად ჩვენს მომართ არა ჩაუდენია-რა, მაგრამ რუსი აფიცრობა რომ უმადური ჰყავს, ეს ჩვენ ძალზე გვაწუხებს. ჩვენი საქმეებისა უნდა მოგახსენო, თუ ემინჯიბაში ქალაქში დაბრუნდა, ბერძნებისათვის...“

დარეჯანი შედგა და რადგან ბარათის დანარჩენი ნაწილი საოჯახო საქმეებს და სხვა წვრილმან განკარგულებებს შეიცავდა, კითხვა შესწყვიტა.

— დანარჩომი რაღა წაგიკითხოთ, — სთქვა დარეჯანმა და ბარათი დაკეცა: — ყველას მოკითხვას გითვლით ბატონი.

— საამო ამბებს იწერება, თქვენმა მზემ და ბატონის დღეგრძელობამ, — წამოიძახა ჭაბუამ. — ეგ კი არ მომწონს, რომ ღრაფი ასეთი ცუდის ზნისა ყოფილა.

დარბაზში უცბად ალაპარაკდნენ. ყველას სურდა თავისი აზრი გამოეთქვა, თავისი სიხარული და აღტაცება გაეზიარებინა დარეჯანისათვის.

ქალები წამოიშალნენ, ზოგი ჯგუფ-ჯგუფად საუბრობდნენ, ზოგი ერგიერგობით მიდიოდნენ დედოფალთან, ულოცავდნენ ბატონის ასეთ ბედნიერად მგზავრობას და განსაკუთრებით ლეონის სასახელო სიჩაუქეს. მათი სახეები ისევე ბრწყინავდა, როგორც მათივე ოქროკედით ნაქარგი აბრეშუმის ტანსაცმელი.

განსაკუთრებით ანას უბრწყინავდა სახე. როდესაც ბესიკის სახელი გაიგონა, სახეზე ალმურმა გადაურბინა და ლოყები წითლად აეტკიცა. მერე თავისი გრძნობების გამომჟღავნებამ ისე შეაკრთო, რომ მთლად გაფითრდა. ფრანგული სურნელებით გაჟღენთილი ხელსახოცი ძალუმად დაყნოსა, მიბოიხედა და როდესაც დარწმუნდა, რომ ყველას ყურადღება დედოფლისაკენ იყო მიპყრობილი, დამშვიდდა.

ყველანი იმედს გამოსთქვამდნენ, რომ ამ ომში მეფე აუცილებლად გაიმარჯვებდა, რადგან ამოდენა ლაშქარი ერეკლეს თითქმის არასოდეს არა ყოლია ერთად შეგროვილი და მაინც იმარჯვებდა. ახლა ქართველთა და რუსთა ჯარი თერთმეტ ათასს აღწევდა. ამაზე მეტს, ალბათ, ვერც ახალციხის ფაშა გამოიყვანდა საწინააღმდეგოდ. მაშ რაღა დაუდგებოდა წინ ერეკლეს გამარჯვებას? ახალციხის საფაშოც საბოლოოდ შემოუერთდებოდა საქართველოს და ეს უმშვენიერესი კუთხე თავის კერას დაუბრუნდებოდა.

იასე ამილახვარი აღტაცებული იცემდა მუხლზე ხელს. რამდენჯერმე წამოიძახა:

— აბა ეგ არის აი!

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ... — ჭაბუა არ იზიარებდა იასეს აღტაცებას და დაფიქრებული შუბლს ისრესდა.

— რა მაგრამ, შე დალოცვილო, განა ერეკლეს გამარჯვებაში ეჭვი გეპარება? — წყენით ჰკითხა იასემ და შემდეგ იოანე ორბელიანს მოუბრუნდა: — შენ რას იტყვი, იოანე?

— ბატონის დღეგრძელობამ, ჭმუნვისათვის მე საბაბს ვერას ვხედავ, — უპასუხა იოანემ და ულვაშზე ხელი გადაისვა.

— რა ვიცი, გენაცვალეთ, ჭაბუა იჭმუხნება, თითქო ბატონის ბარათიდან სხვა რამ ისეთი გაეგოს, რაც ჩვენ არ ვიცით. თუ ღრიფის უკმეხობა გადარდებს, ხათრიჯამი ბრძანდებოდე. ბატონს მაგაზე უარესი ბედაური გაუხედნია.

— პატარა ღრუბელს ხშირად დიდი სეტყვა მოჰყავს, — უპასუხა ჭაბუამ იასეს. — ბატონს კილოზე ეტყობა უკმაყოფილება. თუ ბარათში ნუგეშს იწერება, ეგ არ ნიშნავს, რომ იქ უფრო მძლავრად არა ჰქუხდა.

— ეჰ, შე დალოცვილო, როგორცა ჰქუხს, ისე არა წვიმსო, ხომ გაგიგონია. ბუღები სულ ურქენენ ერთმანეთს, მაგრამ მგელი თუ გამოჩნდა, მაშინვე ეკვეთებიან. განა ყოველი კაცი ერთი გუნებისაა! აგრე რომ ყოფილიყო, ქვეყანა ან მთლად სამოთხე იქნებოდა ან კიდევ ჯოჯოხეთი, იმიტომ რომ სამოთხეში სულ სიკეთის მთესველნი განისვენებენ, ხოლო ჯოჯოხეთში ბოროტებით აღსავსენი იტანჯებიან. ზოგი კაცი გუნებით ზვიადია, ავი, მაგრამ საქმეში ერთგულია და თავდადებული, ზოგიც რაიმე სატკივრის გამო ავდება. ხოჯის კარაბადინში სწერია—კაცს თუ მზის სიმხურვალისაგან თავი სტკიოდეს, გული აუტოკდეს, ბევრს ავსა სიტყვას იტყოდეს, ხოლო თუ ცო-

ტასა ხანსა მოიაროს და ნელი წყალი თავსა ისხას, ტკივილი გაუნელდეს და სიცილის ხასიათზე მოვიდესო. უცხო ქვეყნიდან მოსულ კაცს [illegible] გაზაფხულის მზემ დასიცხა და გუნება გაუფუჭა, რა ვიცით [illegible] ხასიათზეა, ხვალ კიდევ კარგზე იქნება.

— ეჰ, მართალსა ბრძანებ, ჩემო იასე, — უთხრა სახე-გაღიმებულმა თეიმურაზ ციციშვილმა ამილახვარს, შემდეგ ჭაბუას მოუბრუნდა: — შე დალოცვილო, გულებს რაზე გვიტეხ, ის არა სჯობიან, ლხენას მივეცეთ, როდესაც ბატონი ასე დიდებულად მიმართავს ამ დიდ საქმეს?

— „მაშინ ლხინი ამო არის, რა გადიხდის კაცი ჭირსა", დიდებულად უთქვამს შოთას, — უპასუხა ჭაბუამ, შემდეგ ადგა, მიმოიხედა და ანასკენ გაემართა.

ანა ქალების ერთ ჯგუფში მხიარულ მასლაათში იყო გართული და რაღაცაზე გულიანად კისკისებდა. ჭაბუას მიახლოვებისთანავე ქალებმა მაშინვე შესწყვიტეს საუბარი და მისკენ მიიხედეს.

— ანა, თუ სასახლეში წაბრძანებას აპირებთ, მეც მივდივარ, ერთად წავიდეთ, — უთხრა ჭაბუამ ანას და შეიჭმუხნა. მას გული მოსდიოდა ქალებზე, რადგან ისინი ყოველთვის ელდა-ნაკრავივით გაურბოდნენ ამ დიდებულს. რაც უნდა მხიარულ გუნებაზე ყოფილიყვნენ ყველანი, რაც უნდა სიცილ-კისკისი ჰქონოდათ, საკმარისი იყო მათ შორის ჭაბუა გაჩენილიყო, რომ, თითქო წყალი გადაასხესო, ყველასათვის ჰქრებოდა მხიარულება.

ანამ მიიხედა და უხასიათოდ წამოდგა ფეხზე. მას კიდევ სურდა სასახლეში დარჩენა და ქალებთან მხიარული საუბარი, მაგრამ ჭაბუას შეკითხვაზე არ შეეძლო უარით ეპასუხნა, ჯერ არ წამოვალო. ლოგინად ჩავარდნილი ქმრის პატრონი იყო. ქალები ათასნაირად გაჰკილავდნენ.

— როგორ არა, მოვდივარ, — უპასუხა ანამ: — კიდევ კარგი, გამახსენე, თორემ ამ ქალებმა სულ დამავიწყეს, რომ ჩემი დიმიტრი მელოდება.

ყველას დაემშვიდობა და დარეჯანთან მივიდა, რომ მისგან წასვლის ნებართვა ეთხოვა. დარეჯანმა იუარა, ჯერ ნუ მიდიხარო, ვახშმად დარჩენა უბრძანა, მაგრამ ანამ მოახსენა წასვლის მიზეზი და დედოფალი დასთანხმდა, მხოლოდ პატარა ანიკო აღარ გაუშვა, ამალამ ჩემთან იყოსო.

ჭაბუასაც არ უშვებდა დედოფალი.

— თქვენ რაღად იჩქარით, ჭაბუავ, განა ისეთი რა საქმე გაქვთ?

— უნდა წავიდე, დედოფალო, ვასილ პეტროვიჩი უნდა ვნახო, — მოახსენა ჭაბუამ: — ხვალ რუსეთს ოკაზიას ჰგზავნის, ზოგი რამ მინდა ვკითხო და ვაუწყო.

— რა გაეწყობა, ხვალ მაინც ადრიანად მობრძანდით, ვასილ პეტროვიჩიც მოიყვანეთ, — უთხრა დარეჯანმა და საამბოროდ ხელი გაუწოდა.

— ხვალ აუცილებლად გეახლები, დედოფალო, — თავდახრით მოახსენა ჭაბუამ, ხელზე ეამბორა და კარებს მიაშურა, სადაც მას ანა და მაია ელოდებოდნენ.

სამივემ დასტოვეს დარბაზი და დასავლეთის ალაყაფით ავლაბრის მოედანზე გავიდნენ.

მზე უკვე ჩადიოდა და თავისი სხივები მახვილებივით გაეძვრინა დაგლეჯილ ღრუბლებში. ლილოს მტვრიან შარაზე ჭრიალით მოდიოდნენ ხორბლით დატვირთული ურმები. მელიქის საყდრის გუმბათი მაღლა აჭრილიყო, თითქო ცას უნდა მიეხალოსო. მისი ჯვარის გარშემო ჭილყვავები ირეოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იჰ, რა სანეტარო საღამოა!—წამოიძახა ანამ.—ახლა ოთახში ყოფნა ბანზე მოსვენება სჯობიან.

— მართალსა ბრძანებ,—უხალისოდ მიუგო ჭაბუამ.

სამივენი დაუყვნენ ახალი მოედნის ბაღის ნაპირას მიმავალ ქუჩას და მეტეხის ხიდისაკენ გაემართნენ. ანა და მაია გზადაგზა ჩურჩულებდნენ. ჭაბუა ჩაფიქრებული მიდიოდა. ერთხელაც არ გაუღია ხმა. ცალმხარაწეული, თავისი ალმაცერი სიარულით, ნელა მიაბიჯებდა ქალების გვერდით და ხანდახან თავაზიანად ვიწრო გასასვლელებზე, ქალებს გზას უთმობდა. მხოლოდ მეტეხის ხიდთან შედგა ჭაბუა და თითქო თავისთვის, მაგრამ ხმამაღლა წამოიძახა:

— ნახავთ, თუ ბატონს რაიმე არ შეემთხვას.

გაოცებულმა ანამ მიიხედა და ჰკითხა:

— რას ამბობ, ჭაბუავ?

— აი გული მთქვამს, რომ რაღაც უნდა მოხდეს, თუმცა ღმერთმა გვაშოროს რაიმე უბედურება!

ჭაბუამ ქუდი მოიხადა და პირჯვარი გამოისახა.

ქალებმაც უნებურად მიჰბაძეს ჭაბუას და პირჯვარი გამოისახეს.

*

* *

ყიზლარიდან მოზდოკამდე ერთფეროვანი და მოსაწყენი იყო გაუთავებელი გზა თვალუწვდენელ ველებზე.

რუსულ კიბიტკაში ნახევრად წამოწოლილი პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი გასცქეროდა ამ გაუთავებელ ტრამალებს და თავს იმით ირთობდა, რომ ათასგვარ საოცნებო კოშკებს აგებდა თავის მომავალზე.

ტყუილუბრალოდ არ წამოსულა ის კავკასიაში მოხალისედ. აქ უნდა გაეკვლია გზა თავის ბრწყინვალე მომავლისაკენ. იმპერიის ყველაზე განაპირა სამხრეთ ნაწილიდან უნდა დაეწყო მას სვლა უკიდურეს ჩრდილოეთამდე და პეტერბურგიდან უბრალო პოდპოლკოვნიკის ხარისხით წამოსულს ისევ პეტერბურგამდე უნდა მიეღწია, მაგრამ როგორც სახელმოხვეჭილ სარდალს...

...და როგორც რუსეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრეს.

ჩოგლოკოვმა თვალები მილულა და მოაგონდა თმაშეევერცხლილი დედა, რომელმაც აკანკალებული ხმით უამბო ყველაფერი თავის უმცროს შვილს.

დედა, შთამომავლობით გრაფინია გენდრიკოვას ქალი, ყველაზე ახლო ენათესავებოდა ეკატერინე მეორის წინამორბედ დედოფალს, ელისაბედ პეტრეს ასულს. როგორც სასახლის სეფე-ქალი, ჩოგლოკოვის დედა ელისაბედის მიერ თავის დროზე დანიშნულ იქნა ახალგაზრდა პრინცესა ეკატერინეს ზედამხედველად.

დედამ უამბო ჩოგლოკოვს, რომ ეკატერინე, შთამომავლობით ანგალტ-ცერბსტელი პრინცესა, ცოლად შერთეს ჭკუაზე შეშლილ ტახტის მემკვიდრეს პეტრე თეოდორეს ძეს (შემდეგში პეტრე მესამედ წოდებულს). შერთეს და ის კი არ იფიქრეს, შესძლებდა თუ არა სულელი ტახტის მემკვიდრე ქმრობა გაეწია ეკატერინესათვის.

ხუთი წელიწადი გავიდა მათი ჯვარის წერის შემდეგ და ეკატერინეს შვილი არ უჩნდებოდა. შემდეგში გამოირკვა, რომ თურმე პეტრეს არაფერი გაეგებოდა ქმრობის საკითხში. მაშინ განრისხებულმა ელიზავეტამ დაიბარა ჩოგლოკოვა და უბრძანა სასწრაფოდ მიეღო სათანადო ზომები. ჩოგლოკოვამ

ბევრი ითავცემა, ბოლოს კამერდინერ ბრესანის დახმარებით მონახა ორნინენბაუმში ვიღაც მხატვრის ქვრივი, გვარად გროტი და დიდი [illegible] და-პირებით მიუჩინა მწრთვნელად ტახტის მემკვიდრეს. პეტრე [illegible] ერკვია საიდუმლოებაში, მაგრამ რადგან მადამ გროტი გასაოცარი სილამაზის ქალი იყო, ისე მოიხიბლა, რომ სულ აღარ გაეკარა თავის მეუღლეს ეკატერინეს და, რაც მთავარია, მემკვიდრის გაჩენაში უძლური აღმოჩნდა.

მაშინ ჩოგლოკოვა იძულებული გახდა განემარტა ეკატერინესათვის, რომ იმპერიის საკეთილდღეოდ საჭირო იყო მემკვიდრის ყოლა. ამისათვის მას შეეძლო შეეყვარებინა, ვისაც მოისურვებდა. ეს სრულიადაც არ იქნებოდა ქმრის ღალატი.

ეკატერინემ სერგეი სალტიკოვი აირჩია.

სერგეი სალტიკოვი არ იყო სამეფო გვარეულობის მონათესავე. თვით ეკატერინე უცხოელი იყო. ასე რომ ტახტის მემკვიდრე პავლე, ვითომდა პეტრესძე, ნამდვილად კი სერგეი სალტიკოვის შვილი, უფრო ნაკლებად იყო ღირსი დაეჭირა რუსეთის ტახტი, ვიდრე ახალგაზრდა პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი, რომლის დედაც რიურიკის პირდაპირი შთამომავალ იყო, ხოლო მამა... მამაც სამეფო შთამომავლობას ეკუთვნოდა.

გრაფი ჩოგლოკოვი?

არა, გრაფი ჩოგლოკოვი არა.

მაშინ ვინ იყო მისი მამა?

დედამ არ გაამხილა, ვინ იყო, მხოლოდ შეჰპირდა შვილს, რომ საანდერძო ბარათში მოიხსენიებდა მის გვარს.

ჩოგლოკოვს გაგონილი ჰქონდა ზოგი რამ და იცოდა, რომ პეტრე რეპნინსა და დედა მისს შორის დიდი ხნიდან არსებობდა ინტიმური კავშირი.

რეპნინი ხომ არ იყო მამა მისი?

არა, არც რეპნინი. დედამ არ ისურვა გაემხილა სიცოცხლეში მისი ვინაობა, მხოლოდ უთხრა, რომ ტახტის ნამდვილი მემკვიდრე შენა ხარ, ბედმა-კი უბრალო ოფიცრობა გარგუნაო.

მაშინ ჩოგლოკოვს დაებადა სურვილი, როგორმე მიეღწია ტახტამდე.

მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო. სასამართლოში ხომ ვერ წავიდოდა და დაიწყებდა ჩივილს, ტახტის მემკვიდრე ვარ და თუ შეიძლებოდეს, ჩემი კანონიერი საკუთრება დამიბრუნეთო.

ამისათვის საჭირო იყო დიდი სახელის მოხვეჭა, რათა გავლენა მოეპოვებინა დედოფლის გარშემო შემოკრებილ დიდებულებზე. მაშინ ადვილი იქნებოდა მათი გადაბირება და ტახტის ხელში ჩაგდება.

სად უნდა მოეპოვებინა ეს სახელი?

ომში. ბრძოლის ველზე.

ყველაზე მიმზიდველად ჩოგლოკოვს კავკასია მოეჩვენა, სადაც სახელოვანი მეფე ერეკლე გამოდიოდა ბრძოლის ველზე რუსეთის მოკავშირედ. ამ მეფის გვერდით ყველაზე ადვილად შეიძლებოდა სახელის მოხვეჭა.

ჩოგლოკოვმა მაშინვე ითხოვა ნებართვა წასულიყო მოხალისედ კავკასიაში. მოაგროვა რაც კი რამ გააჩნდა ძვირფასი ნივთები, ათი ათას მანეთამდე ფული და მოსამსახურეთა მთელი ამალით გამოემგზავრა საქართველოსაკენ. მას სურდა იმ თავითვე მთელ გზაზე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა ყველაზე, განსაკუთრებით მიყრუებული კუთხის გუბერნატორებსა და სამხედრო

პირებზე, რომ უკან დაბრუნების დროს მთელი ეს უზარმაზარი გზა პეტერ-ბურგამდე ისე გაევლო, როგორც ტრიუმფატორს.

მაგრამ ჯერჯერობით ეს გზა ისე მოსაწყენი და გრძელი აღმოჩნდა, რომ ჩოგლოკოვს სრულიად დაუცხრა პირვანდელი აღტყინება. ძალიან შორი გზით მოვლა უხდებოდა თავის მიზნის მისაღწევად და როდესაც ყიზლარი-დან მოზდოკს გაემართა, უკვე იმის ფიქრში იყო, თუ რა ერჩია: უკან დაბ-რუნებულიყო თუ გზა განეგრძო. მას ახლა უფრო მიზანშეწონილად ეჩვენე-ბოდა პეტერბურგში ყოფნა და სასახლის კარზე გავლენის მოპოებით მიზნის მიღწევა, ვიდრე უცხო ქვეყანაში გადაკარგვა და საკუთარი სიცოცხლის გან-საცდელში ჩაგდება. დედოფალთან დაახლოებულ რომელიმე ფრეილინას უფრო მეტის გაკეთება შეეძლო მისთვის, ვიდრე რომელიმე დიდი ომის მო-გება.

პოდპოლკოვნიკმა ჩოგლოკოვმა მოიწყინა.

იღბლად გზაზე ფუნდუკი გამოჩნდა, სადაც ჩოგლოკოვს შეეძლო შეესვე-ნებინა და მაგარი არაყი გადაეკრა. მან მაშინვე უბრძანა მეეტლეს, ფუნდუკში შეჩერებულიყვნენ, ცხენებისათვის თივა მიეცათ, თითონაც დაპურებულიყვ-ნენ და ისე განეგრძოთ გზა.

მეეტლემ შოლტი გადაჰკრა ცხენებს, კიბიტკამ შარაზე მტვრის კორიანტე-ლი ააყენა და მალე ფუნდუკის ეზოში შეგრიალდა.

ჩოგლოკოვი ეტლიდან გადმოხტა და პეტერბურგული ათრეული ნაბიჯით გაემართა ფუნდუკის შენობისაკენ. კარებთან უცნობი ოფიცერი შეეჩეხა, რო-მელსაც გუსართა ფორმა ეცვა მხრებზე პოდპოლკოვნიკის ეპოლეტებით.

ორივემ სამხედრო სალამი მისცეს ერთმანეთს.

— რატიევი გახლავართ, — გაეცნო ჩოგლოკოვს უცნობი.

— აჰ, რატიევი? ნუ თუ? მე ბევრი რამ გამიგია თქვენს შესახებ. არა თუ აქ, მგზავრობის დროს, არამედ პეტერბურგშიაც, — უთხრა ჩოგლოკოვმა და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ახლად გაცნობილი ოფიცერი.

რატიევი შუა ტანის და მკვრივი აგებულების კაცი იყო. სახის მტკიცე გა-მომეტყველება, კავკასიური მოკაული ცხვირი და თვალების რაღაც ბასრი გამოხედვა ამტკიცებდა, რომ იგი მაგარი ნებისყოფის ადამიანი უნდა ყოფი-ლიყო. მისი მოთელილი ტანსაცმელი, ქუსლებ-მოცვეთილი ჩექმები და გახუ-ნებული მუნდირი ცხადჰყოფდა, რომ მას ხშირად უხდებოდა ბანაკად ცხოვ-რება და ლაშქრობაში სიარული. ამიტომ ჩაცმითაც ის ბევრად განსხვავდე-ბოდა ჩოგლოკოვისაგან, რომლის გამოწკეპილი შეხედულება ამჟღავნებდა, რომ ეს ოფიცერი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში სალონების სტუმარი იყო.

— თქვენს შესახებ ბევრი ქება მიამბო გენერალმა ივანე დე მედემმა, — განაგრძო ღიმილით ჩოგლოკოვმა. — შარშან ყუბანში თავი გისახელებიათ.

— ეე, რასა ბრძანებთ! არცა ღირს მაგაზე ლაპარაკი. თქვენ ეს მიბრძანეთ, საიდან მოდიხართ და სად მიემგზავრებით. გარდა ამისა, ნება მომეცით ვიკი-თხო თქვენი გვარი.

— ჩოგლოკოვი, პეტრე ათანასეს ძე, — მხიარულად გამოეჭიმა რატიევს ჩოგლოკოვი. — პეტერბურგიდან მოვდივარ, ჩემო კარგო, და მივემგზავრები საქართველოს მეფესთან.

— აჰ, რასა ბრძანებთ! მაშ თანამგზავრები ვყოფილვართ.

— როგორ, თქვენც იქით? — ჰკითხა ჩოგლოკოვმა.

— დიაღ. ტოტლებენთან. რაზმი უნდა წამეყვანა მისაშველებლად, ჯერ მთელი პოლკი, ახლა კი, მგონი, ძლივს ხუთასი კაცი მომიგროვეს. მაგრამ ჯერჯერობით იმათაც ვერა ვხედავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგლოკოვს ძალზე გაეხარდა, რომ ასეთი, ბრძოლებში ნაცადი ოფიცერი შეხვდა თანამგზავრად. მკლავში ხელი ჩასჭიდა და ფუნდუკში მიიპატიჟა. მაგიდას მიუსხდნენ და სანამ მეფუნდუკის ცოლი, ჩასუქებული, ფეხშიშველა დედაკაცი სუფრას გააწყობდა, ორივემ გრძელტარიანი ჩიბუხები გააბოლეს და მუსაიფი გააბეს.

მალე ფუნდუკში ჩოგლოკოვის ამალაც შევიდა. ისინი ერთის ხმაურით, ჩექმების ბრახუნით შევიდნენ ოთახში და ბარგის შეზიდვა დაიწყეს.

— ესენი ვინ არიან? — იკითხა ოდნავ გაოცებულმა რატიევმა.

— ჩემი პირადი ამალაა, თავადო, — უპასუხა ღიმილით და კმაყოფილებით ჩოგლოკოვმა, როდესაც დაინახა, რომ ამოდენა ამალამ რატიევზე შესაფერი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჩოგლოკოვს თან ახლდა თარჯიმანი ნაზაროვი (წინათ რუსეთში პროპორშჩიკის ჩინით ნამსახური, ხოლო შემდეგ ასტრახანის გუბერნატორის ნიკიტა ბეკეტოვის მიერ სამსახურიდან გამოგდებული), ფერშალი თავისი აფთიაქით, ორი ეგერი, კამერდინერი, მზარეული, ექვსი გუსარი და რამდენიმე ფარეში ქალი და კაცი.

ნაზაროვი მაშინვე დაუპატიჟებლად მიუჯდა მაგიდას, რატიევს გაეცნო და როგორც კი გაიგო მისი ქართველობა, გადაეხვია და გადაჰკოცნა.

— შენ კი გენაცვალე, ქართველი ხარ? — უთხრა მან რატიევს ქართულად. — კაცო, ჩვენიანს რომ ვინმეს დავინახავ, გული სულ ისემეს შვრება.

— შენ ამასთან საიდან მოხვდი? — ღიმილით ჰკითხა რატიევმა.

— ეს, იცი, ვინ არის? დიდი ვინმეა, ჩემმა მზემ. ამბობენ, ტახტის მემკვიდრეაო. დედოფლის უქაზი ჯიბეში უდევს. იმოდენა ფული და ქონება მოაქვს თან, მგონი ერთ სამეფოს იყიდის. მააშ. იცი, რა გითხრა: ასტრახანში ხმა მოვიდა, ტოტლებენი იქ, საქართველოში, რაღაცას ურევსო. აფიცრები იწერებიან, ეს რა ღვთის ცეცხლი გამოგვიგზავნეს, არც რუსული იცის და რუსებს ხალხად არა გვთვლისო. ამან, იცი, რა სთქვა: საქართველოში გამოგზავნეს ასობენნი დავალებითაო.

— ვითომ ნამდვილი იქნება? — დაეჭვდა რატიევი. — თუ აგრეა, ეგ კარგი ამბავია. ტოტლებენს მართლაც სჭირდება ჭკუაზე მოყვანა. აქ, მოზდოკსა და ასტრახანში, ისეთ წერილებს იწერება ერეკლე ბატონის შესახებ, რომ ერთხელ დე მედემმა მითხრა, არ ვიცოდი, თუ საქართველოს მეფე ასეთი დესპოტი იყოვო. თქვენ საიდან იცით, თქვენო აღმატებულებავ-მეთქი. ტოტლებენი მწერსო. მთელი თავადობა გადამტერებული ჰყოლია ერეკლეს და მოსახლეობაც დღე-მუდამ იმას მევედრება, ერეკლე შევიპყრო და მთელი საქართველო იმპერატრიცის ერთგულებაზე დავაფიცოო.

— ვა, ეგ რაები მოუწერია! — გაოცდა ნაზაროვი. — თავის ოფიცრების გადამტერებას აღარ სჯერდება და ახლა ერეკლე ბატონსაც იმტერებს! ჩემმა მზემ, აქ რაღაც სხვა ამბავია.

— მეც აგრე ვფიქრობ.

— ჭკუით იყოს, თორემ თუ ერეკლე ბატონი გაჯავრდა, შაბაშ! — სიცილით წამოიძახა ნაზაროვმა. — აქედან წასვლა აღარ უნდა? გაასწრობს?

— ეჰ, ვნახოთ, რაც იქნება, — უთხრა ნაზაროვს რატიევმა და შემდეგ ჩოგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოკოვს მიმართა: — მე მგონია, თქვენ რამდენიმე დღეს დაგჭირდებათ, ცდა, თუ ჩვენ ერთად გავემგზავრებით საქართველოში.

— განა მოცდა აუცილებელია? — ჰკითხა ჩოგლოკოვმა.

— დიაღ, აქედან მოზდოკამდე არა გიშავთ-რა, მაგრამ შემდეგ მგზავრობა ძალზე საფრთხილოა. მართალია, ამალა დიდი გახლავთ, მაგრამ თუ შემთხვევით ფარეშს წააწყდით, საქართველოს ნაცვლად შეიძლება სტამბოლს მონების ბაზარზე ამოჰყოთ თავი. ამისათვის უმჯობესია ჩემს რაზმს დაელოდოთ და ერთად წავიდეთ. მე კი რამდენიმე დღეს დამჭირდება შეჩერება.

— კარგი, ძალიან კარგი, — დაეთანხმა ჩოგლოკოვი.—თქვენი რჩევა მართლაც საგულისხმოა, რადგან ადგილობრივი პირობები კარგად გეცოდინებათ.

მეფუნდუკის ცოლმა სუფრა გააწყო და ახლად გაცნობილი მეგობრები შეუდგნენ პურის ჭამას. დამუჟუჟებული სოკოებისა და არყის დანახვაზე ჩოგლოკოვს თვალები გაუბრწყინდა. მაშინვე აავსო არყით მოზრდილი ჭიქა და სულმოუთქმელად გადაჰკრა. დანარჩენებიც არ ჩამორჩნენ.

ჯერ კიდევ შუა პურის ჭამაშიაც არ იქნებოდნენ, რომ გარედან ეეკვნების წკარუნი შეესმათ. მალე ყველამ გაიგონა ფუნდუკთან შეჩერებული ეტლის ჩვეულებრივი ხმაური, ცხენების ფრუტუნი, მეეტლეს „ტპრუ!.. ჩორტ!..“

რამდენიმე წუთის შემდეგ დარბაზის კარებში შემოიმართა მაღალი ტანის ოფიცერი და ყველას სამხედრო სალამი მისცა:

— ნება მომეცით, გაგეცნოთ: ლეიბ გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის კაპიტან-პორუჩიკი ივანე ლვოვი.

— აა, მადლობა ღმერთს! — წამოიჭრა ზეზე ჩოგლოკოვი. — თქვენ ქარიცვით სიარული გცოდნიათ, კაპიტანო. არ მეგონა, თუ დამეწეოდით.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის ჩხეიძე

ღიახვის პირას

II [1])

ზაფხული გაშუალდა. მოახლოვდა კალოობა. გიგოს მეხილე ნოქრებმა საწყობის შეკეთება დაიწყეს. დურგლები გამალებით მუშაობდნენ. ისინი ჰკრავდნენ სახილე ყუთებს. კარგი პირი უჩანდა ხილის მოსავალს. ფოთოლზე უფრო ხშირად ესხა ხეს ნაყოფი. ცოტა რამ კიდევაც მოასწრეს. სამიოდე ვაგონი ბალი და ალუბალი, ქლიავი, გარგარი და ჭერამი ბაზიდეს თბილისში. ტვირთებს ყოველთვის ახალი ნოქარი იოკიმე თუშელიშვილი მისდევდა თან. იოკიმე ამ შრომაში თითქმის არაფერს იღებდა, თუ მხედველობაში არ მიიღებდა კაცი ხილის მცირეოდენ რაოდენობას, რასაც იგი გიგოს კუთვნილს თან ადევნებდა, ბითუმში ათვლიდა, ფრახტის ხარჯს რჩებოდა.

ივლისის ბოლოს ნოქრებმა მიიღეს კონოსამენტები, რომლებითაც გორის სადგურზე ნიჟნი-ნოვგოროდიდან მოვიდა ფაიფურის ჭურჭლით დატვირთული ორი ვაგონი. კონოსამენტებს თან მოჰყვა გიგოს პატარა ბარათიც. ვაჭარი პირადად იოკიმეს ავალებდა, მიღებულ საქონლისათვის მოევლო: გადაეტანა საწყობში, დაეცვა და მოესინჯა სარეალიზაციო ნიადაგი. გიგო იდეასაც აძლევდა ნოქარს: „აბა შენ იცი, იოკიმე, — სწერდა ის ნიჟნიდან: — ნაცნობობა და ნათესავობა, შენ რომ გყავს, ისეთი უნდა. საქონელი ძვირად მიზის და თუ გადატრიალებულს, გასაღებულს დამიხვედრებ, მე ვიცოდე და ჩემმა კაცობამ, გულს არ დაგწყვეტ“. იოკიმემ ეს ბარათი ნოქრებს გადაუკითხა. ზოგი მათგანი იოკიმეს კვალსა და კრიჭაში ედგა. გასაქანს არ აძლევდა საქმეში. დააოკა ისინი: ხაზეინი მე მიბრძანებს საქონლის მოვლას და მე ვიცი როგორც მოვიქცევიო, უთხრა და საქმეს შეუდგა.

ჭურჭელი საწყობში გადაზიდეს. საქონელი ძალიან კარგი ღირსებისა აღმოჩნდა. ამას იოკიმე ჩქარა მიხვდა. აზნაურის ნაშიერი კარგად იცნობდა ფაიფურის ჭურჭლეულს თავის ნათესავ-ნაცნობების მაგიდებიდან. აფიქრებდა მეორე გარემოება, ჭურჭელი კომპლექტებად იყო შეფუთული. ამიტომ ცალობით ვერ გაიყიდებოდა, ხოლო კომპლექტი ძალზე ძვირად ღირდა. არა და ამ ოქროსკობალტიან თეფშებს, საწვნეებს, ჩაიდნებს, ფიალებს და ფინჯნებს უნდა გაერკვიათ მისი მოღვაწეობის მომავალი კომერციის საქმეში. გამოცდა უნდა ჩაებარებინა. კარგა ხანს იფიქრა იოკიმემ, თუ როგორ მოქცეულიყო. როგორც იყო ბევრი ყოყმანის შემდეგ დაასკვნა: საქონლის საწყობში და ყაფაზებზე დაწყობა და მუშტრის ცდა შედეგს ვერ გამოიღებდა. გადასწყვიტა გაეყიდა იგი კომპლექტებად. ეს კი არც ისე ადვილი საქმე იყო. გორში სავაჭროდ ჩამოსული გლეხი ნახევარ დიუჟინ თეფშზე

[1]) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 7.

მეტს არ კითხულობდა. მაშ რა მოეხერხებინა, ვისთვის მიეყიდნა საწვნეები და საწებლის ჭურჭელი, რომელიც დაკოჭლებულ დარჩებოდა? „ერთადაც ერთ-ულ უნდა დამიჯდეს, კომპლექტებად უნდა გავყიდო“, — მტკიცედ გადაწყვიტა მან. მაგრამ პასუხისმგებლობაც თითონ ეკისრებოდა. გიგო შორს იყო. ვისთვის უნდა ეკითხნა რჩევა ან მიეღო თანხმობა, რომ წაგების შემთხვევაში მარტო თვითონ არ მოხვეოდა თავს დანაშაული?

ერთად-ერთი საშუალება გიგოს მეუღლე და დედა იყვნენ. იოკიმეს შეეძლო იმათი თანხმობით საქმისთვის უფრო გაბედულად მოეკიდნა ხელი, და გასწია კიდევაც საკითხავად, თანხმობის მისაღებად ციხის უბანში.

შეხვდა იოკიმე სუსანას თავისი სახლის კიბის ძირად. აჩვენა გიგოს გამოგზავნილი წერილი. ქალმა გადაიკითხა იგი და საქმის გადაწყვეტა დედამთილს მიანდო, რომელიც პირახვეული იდგა რძლის უკან. შავი პირსაბურიდან წერტილებივით მოჩანდა იჭვნეული თვალები. იგი მისჩერებოდა თავისი რძლის წინ ბუღასავით წამოყუდებულ ვაჟკაცს.

სუსანა დედამთილის თანხმობის გარეშე ერთი სიტყვის თქმასაც არ აპირებდა. ამაში იოკიმე უმალვე დარწმუნდა.

— ვაჭრობისა ჩვენ არა ვიცით რა! — როგორც მოელოდა იოკიმე, იუარა მოხუცმა: — მოუცადეთ გიგოსა.

გაკერპდა მოხუცი. განსაკუთრებით მოხუცი წინააღმდეგ წავიდა, საჩუქრად გაეგზავნა ვინმესთვის იოკიმეს თუნდაც ერთი გაბზარული თეფში. ეს რეკლამა იქნებაო, უმტკიცებდა იოკიმე, მაგრამ ვერასგზით მოხუცს მხარი ვერ მოაქცევინა, ვერ დააჯერა.

— მე რეკლამა არ ვიცი. ვაჭარი მყავდა მამა, მამამთილი, ქმარი, ვაჭარი მყავს შვილი, მაგრამ მე მაგისთანა რამ არ გამიგონია, ე მანდ შვილი არ დამიღუპოთ, თორემა ნავთს გადაგასხამთ და დაგწვამთ! — დაემუქრა იოკიმეს, შვილის წერილი მიუგდო, რძალს ტანსაცმელის ზედა ნაწილში სწვდა და შინ შეათრია.

გაწბილებულმა იოკიმემ გასწია ლამისყანაში ძმასთან ბარძიმ თუშელიშვილთან. ძმა კალოობისათვის ემზადებოდა, თავს ადგა მოჯამაგირეებს და ღღიურ მუშებს. ბარძიმთან სტუმრად იყო აგრონომი მეზვრიშვილი, რომლის შესახებაც იოკიმეს ბევრი რამ გაეგონა. გაიცნო კიდევაც იგი იოკიმემ. ერთად ისადილეს. საღამოთი იოკიმემ ძმას სამასი მანეთი გამოსთხოვა. იოკიმეს არ დაუფარავს ძმისათვის გეგმა. იქნება წავაგო კიდევაც და ციხე არ ამცდესო, უთხრა. ბარძიმმა ჯერ გულიანად გაიცინა, მერე სასიტყვე ლრუბელივით ქუფრი სახით შეუტია ძმას:

— მომცილდი თავიდან, გიგოს საქონლის რეალიზაციისთვის ბარძიმმა, ქართველმა აზნაურმა ფული მოგცეს! ავად ხომ არა ხარ?

— ამ ფულს დაგიბრუნებ ისევ სარგებლითურთ.

— დამეკარგე თავიდან! იმ შენი გიგოს მკვდარიცა და ცოცხალიც! მე იმიტომ კი არ მიმიბარებიხარ იმისთვის ძარცვის სასწავლად, რომ პირველად მე გამძარცვო. გამცილდი, ჩემმა ორმა თვალმა არ დაგინახოს ლამისყანაში!

აღრიალდა ბარძიმი, ძმას გამოუდგა, ჭისკრამდე სდია. იოკიმე გაიქცა. ძმას რომ ვერ დაეწია, გაცოფებული ბარძიმი მოჯამაგირეებს დაერია მათრახით, მერე ერთი იმათგანი გამოარჩია, ხელში ოცდახუთი მანეთი ჩაუდო და უთხრა:

— გასწი, დაეწიე იმ მშობელძაღლსა, ეგ ფული მიეცი, ვაი თუ ბიჭს კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეიკი არ უდევს ჯიბეში. გადაეცი, უთხარი თვალით არ დამენახოს და მერე ისევ ჩქარა აქ მოდი.

ძმების ასეთმა დამოკიდებულებამ ბევრი აცინა აგრონომი. სასოწარკვეთილი, დარდით გულზე გახეთქილი დაბრუნდა ძმიდან იოკიმე. შევიდა საწყობში, შემოიწყო თავზე ხელები და მოჰყვა ჯავრს. რა ექნა, რა ეღონა? საქონლის ცალობიდ გაყიდვა ყოვლად შეუძლებლად მიაჩნდა.

— მაშ არ დაგეთანხმა ის დედაბერი? — ეკითხებოდნენ ამხანაგი ნოქრები იოკიმეს.

— ოჰ, ოჰ, ოჰ, იმის სული, ის საჯოჯოხეთე ისა! — ილანძღებოდა იოკიმე.

— ჩქარა მაინც ჩააძღლებდეს კიბოა თუ რაღაც ურჩხული, — უხეშად იხუმრა ერთმა ნოქარმა, რომელსაც თავის დროზე ვაჭრობისა და საქმის დატრიალების რაღაც გეგმები ჰქონდა იოკიმესავით და სწორედ ეს მოხუცი გადაეღობა წინ.

— რა ავადმყოფობაო? — სცქვიტა ყურები იოკიმემ და გადასწყვიტა სწორედ მოხუცი ჩაება საქმეში და გამოეყენებინა.

— კიბო, — სთქვა ნოქარმა.

— კიბო, კიბო! კიბო კი არა, ნამდვილი ორაგული სჭირებია, — შესძახა იოკიმემ და გასწია ისევ ციხის უბნისაკენ.

მოშორებით დაუდარაჯდა გიგოს სახლს. უცდიდა საიდანმე სუსანას გამოჩენას. იოკიმემ ახალი გეგმა შეადგინა, რომლითაც იგი ვაჭრობის საქმეში რძალ-დედამფილის ჩათრევას ლამობდა.

ჩქარა გამოჩნდა სუსანაც. ორი ბავშვი მოჰყავდა თან. გამოწყობილნი იყვნენ. ქალაქის ბაღისაკენ მიეშურებოდნენ. იოკიმემ ჩიხში შეუხვია. მოუარა, წინ შეეყარა. საღამო იყო, ბნელოდა. ნავთის ლამპები მკრთალად ანათებდნენ ქუჩას. სანამ სალამს მისცემდა, უმცროსი აიყვანა ხელში, მიეფერა. შემდეგ უსურვა ქალს საღამომშვიდობა. ქალმა მადლობა გადაუხადა.

— მშვიდობა მოგცეს! — ცალყბად მიუგო სუსანამ.

— საით გასწიეთ, ბატონო? — ჰკითხა იოკიმემ.

— სიცხემ სული ამომიღო, აგერ ლიახვის პირად მიმყავს ბავშვები, ბაღში.

— მაშასადამე, თუ ჩვენი ქალაქის ბაღში ერთი მზე ჩავიდა, მეორე ამოდის.

— კარგი ერთი, ნუ ამბობ მაგას.

— ბრწყინვალე ქალი ხართ, სუსანა, მზე.

— დაიკარგე, რაებს ამბობ, როგორ მიბედავ?

— მზე, დიაღ, სხივოსანი მზე, ჩვენი ქალაქის ბრილიანტი.

— სხვა არაფერი გაქვს სათქმელი მაგ შენი ბალნიანი ენით? — ნახევრად წყენით, ნახევრად სიხარულით მიუგო ქალმა.

— ვაჟკაცი თქვენთვის სათქმელად სხვას ვერას მონახავს.

— საძაგელო!

— დაე, აგრე იყოს! მე კი მაინც მაქვს კიდევ რაღაც სათქმელი ყურში.

— მანამ არ ადექი!

— და მე მაინც გეტყვი იმ სიტყვას, — უთხრა იოკიმემ.

ხელში აყვანილი ბავშვი საღამოს სიბნელეში ქალს ხელებში მიაწოდა. სუსანამ გამოართვა, ძირს დასასმელად დაიხარა. იოკიმემ იდროვა, ელვასავით სწრაფად დაიხარა, აკოცა მხარისა და ყურის შუა ყელის ძარღვზე.

— მხეცო! — გაწყრა ქალი. ნაკოცნზე დამწვარივით წაივლო ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სუსანა, მიყვარხართ!

— მხეცო! ყველაფერს ვეტყვი გიგოს.

— მამაკაცით ნუ მაშინებ, სხვა რამ მოიგონე. მიყვარხართ, მოდი და გა-
თავდა.

— მომცილდი, ეს რა უბედურებაში ჩავარდი! არავინ გაგვიგონოს, — შე-
ულრინა სუსანამ. ბავშვებს მაჯებში დასტაცა ხელი, ფეხს აუჩქარა. სიბ-
ნელემ შთანთქა.

იოკიმე საწყობისაკენ გაბრუნდა. შემდეგ დღეებში საღამოობით ქალაქში
დაეხეტებოდა. ცდილობდა ქალს კვლავ შეხვედროდა. სუსანა არსად სჩანდა.
შინიდან არ გამოდიოდა. შინ მისვლას კი ვერ ბედავდა იოკიმე. ეინზე მოხუ-
�იც არ გამოჩნდა. ხომ არ უთხრაო, გაივლო გულში იოკიმემ. ხელზე გასა-
გზავნ-გამოსაგზავნ ბიჭსაც ცუდი ამბავი მოჰქონდა: რძალ-დედამთილი ერთ-
მანეთს ისე შესცქერიან, როგორც ბაზარზე ნასყიდი ქათმები, ერთს გალია-
ში ჩამწყვდეულიო.

იოკიმე ბაღსა და ცირკს დაუტრიალდა. იქნება სუსანას იქ მაინც შევხვ-
დეო. არა და არ იქნა, ვერსად გადაეყარა. მხოლოდ შაბათ საღამოს გაიარა
სუსანამ ვიტრინის დასათვალიერებლად, რომელსაც მთელი ქალაქი ეხვეოდა
სანახავად. ვიტრინაში ბრწყინავდა ოქროსკობალტიანი ჟურჟლეული. მაყუ-
რებლებს თვალს სჭრიდა მათი მდიდარი შესახედაობა და ძვირი ფასი. სუსა-
ნაც გაჩერდა მცირე ხნით ვიტრინასთან. ქალს შავები ეცვა, ხელები შეჩურ-
ჩხილი ჰქონდა მსხვილთვალა ბეჭდებით. ყურის ბიბილოებზე ზარებივით
ერხეოდა ბრილიანტით მოჭედილი საყურეები. იოკიმე მის წინ აიშოტა,
უტიფრად შეესიტყვა:

— შიგ შემობრძანდით!

ქალმა ფეხი გადადგა, ისევ უკან დაიხია, თვალები კუშტად მოჭუტა. იოკი-
მემ შენიშნა გადაუწყვეტელობა. ეს იყო საჭირო. ახლა მას მხოლოდ სითამა-
მე და უტიფრობა ესაჭიროებოდა.

— გძინავს თუ გღვიძავს, თუნდაც ცხრამთას იქით დაიმალო, მაინც მიყ...

— სუ, შე... — გააჩუმა სუსანამ და ფეხი შესდგა შიგნით. დარბაზში სიცა-
რიელე და სიბნელე მეფობდა. — სუ, შე ურცხო, შენა, გინდა დამღუპო,
გინდა თავი მომჭრა!

— თუ ნებას არ დამყევი, უარესი იქნება, გავგიჟდები, გადავირევი.

— ღმერთო, რა ვქნა, ეს რა ხაფანგში შემომიტყუეი!

— მიყვარხარ! — ერთხელ კიდევ უთხრა იოკიმემ ქალს. მისწვდა, მოხვია
მძლავრი მკლავები, მკერდზე მიიკრა.

— ძალობ კიდეც! — ხმადაწევით ეუბნებოდა ახლა ქალი.

და ის ხელები, რომლებითაც გაშმაგებული ვაჟკაცი უნდა მოეშორებინა,
ამაოდ ეთათუნებოდნენ იოკიმეს რკინასავით მაგარ მხრის კუნთებს, ის სხე-
ული, რომელიც თითქოს უნდა გაერიდებინა, ვაჟკაცის სხეულს ეკვროდა,
ეტმასნებოდა.

— ვერაგო, მოძალადევ, ეს რა ღამმართე! მე შენ გიჩვენებ, დაბრუნდეს
მშვიდობით ერთი...

— ვინ, ვინ დაბრუნდეს? — სიცილით ეუბნება იოკიმე.

— ვინც უნდა დაბრუნდეს, ჩემი პატრონი. ის გიჩვენებს შენს თამაშს.

— აბა ერთი ვნახოთ, რა თამაშს მიჩვენებს! — ეუბნება იოკიმე.

ქურდივით გაიპარა სავაჭროდან სუსანა. ქუჩაში მიიხედ-მოიხედა. მოძებნა

ბავშვები, რომლებიც შუა ქუჩაზე გასულიყვნენ და სტკბებოდნენ სიბნელეში მიმავალ-მომავალი თოხარიკი ცხენების ფლოქვების თქარა-თქურით. ხელები მაგრად ჩასჭიდა და შინისაკენ გასწია ერთადერთის აზრით, რომ ეცდომა აღარასოდეს აღარ ჩაედინა მთელს სიცოცხლეში. გადასწყვიტა, გიგოს დაბრუნების დღესვე დაეთხოვნა იოკიმე სამსახურიდან. იგი ამ გადაწყვეტილებას გონებაში იმეორებდა. სჯეროდა კიდევაც, რომ ასე მოიქცეოდა, რადგან გონიერება დასტურსაც სცემდა, ეს უთუოდ ასე უნდა მოხდესო. უმცროსი ბავშვი ხელში აიტაცა და მთელი გზა შინამდე დევნილივით ზარდაცემულმა გაირბინა. შინ მოჩქარებით შევიდა. დედამთილს თავის უნებურად ტკბილად შეხვდა. რაღაც საყვედურზე არც კი უპასუხა მოხუცს, თითქოს გუშინდელი სუსანა აღარ იყო ამ შეცდომის შემდეგ შინ დაბრუნებული სუსანა. არც მოხუცს გამოეპარა ეს ცვლილება.

— რა იყო, რა მოგივიდა, ქალო, ეგ რა აშლილსა გევხარ?

— დედი, ერთი ჩადი, თუ ღმერთი გწამს, ნახე, რასა ჰგავს ვიტრინა. კაცი უკეთეს რამეს ვერას იხილავს,—უთხრა სუსანამ და დაეშვა სკამზე, განცდილით და მომხდარით დაღლილი.

— იქამდე ჩასვლის თავი სადა მაქვს ჩემი სენის პატრონს! — ჩაიკვნესა მოხუცმა.

— თუ ქვეყანაზე ღმერთია, დედამთილიც დედაა, — შეუბრუნა სიტყვა სუსანამ. — ამიტომ მინდა გითხრა მთელი გულითა. მფლანგველობას ნუ მწამებ. იმოტელა საცხოვრებელი გვაქვს, ექიმს რომ ეჩვენო, არა დაგვაკლდებარა. იქნება გეშველოს რამე.

— გორში რაც ექიმია, სულ მოვლიეი, სხვაგან კი გზა არსაით მაქვს, — მოიმწუხარა მოხუცმა.

— თუ მოინდომებ, ვინა სთქვა, სხვა გზა არ არისო? აგერ იოკიმე, ჩვენი ბიჭი ამბობდა, ქალაქში ახალი ექიმი გამოჩენილაო. ისე ექიმობს, მისწრებაა თურმე.

— ოჯახი, ქალო, რაღა გვეშველება?

— ოჯახი ხომ შენთვის გინდა? — ჰკითხა სუსანამ და თვითონვე მიუგო პასუხი თავის კითხვას:—ჰო, შენთვის გინდა. თუ აგრეა, ჯანს ხელი მიუწყე.

— იჰ, იჰ, იჰ, — გაუქილიკავა მოხუცმა.

— თუ ჩემი სიტყვა ჭკვაში არ მოგდის, შენი შვილისა და რძლის ბრალი ნურაფერი იქნება, რადგან მათ შენთვის არაფერი ენანებათ შენგანვე მოხვეჭილ და ნამომჭირნავ ქონებიდან. თუ კი შენ თავს შენვე ეტყვი უარს მოხმარებასა და ჯანის სიმრთელეზე, ჩვენ ძალას ვერ დაგატანთ.

— რა ვქნა, მირჩიე, ქალო, — მოლბა მოხუცი.

— ადექ, მოგამზადებ, გაიყოლიე ნოქარი ქალაქში, ნახე ის ექიმი და იქნება სხვაცა და ისევ დაბრუნდი შენს სახლში. გორი არსად მირბის, ხომ ხედავ?

— იჰ... იჰ! — უთხრა ამაზედაც მოხუცმა და გაყუჩდა.

რძლის სიტყვებით ნასიამოვნებმა მცირე ხნით იფოთარა შინ. მერე ნელა წაბაჯბაჯდა პალატში, ლოგინი გაიშალა და ტანსაცმელის ხდას შეუდგა. დასაწოლად ემზადებოდა. ამ დროს სუსანამ შეაღო კარი, დედამთილთან მივიდა, ლოგინზე წამოწვა და თავზე ხელი შემოიდო.

— ქალო, რა მოგდის არ მეტყვი? — შეეკითხა მოხუცი.

— მეც არ ვიცი, ღვთის მადლმა. რაღაც სევდა დამეცა და დამგვემა. —

მართლაც დაქექილის კილოთი სთქვა ქალმა. — აგერ ჩაჩიკაშვილიანთ ბოა-ქელა მოდიოდა ცარსკზედა ფაიტონითა. ბავშვებმა თვალი ჰკიდეს, მაგრამ ... დისო, იყვირეს. მეც აგრე მეგონა, გული გადმომიბრუნდა ბუდეში ... და ის ოჯახქორი შემრჩა თვალში.

— მაინც რა ჩაუვარდა იმ უცხო ქვეყანაში, იმ სიშორეზე, ცხრა ზღვის გალმა, იმ სულგანათლებულ შენი მამამთილის, ჩემი ვასოსი არ იყოს? რაკი ერთხელ აიტეხა, გინდა თუ არა სპარსეთში უნდა წავიდე, თეირანი და ისპაჰანი უნდა ვინახულოო, სთქვა და სთქვა. გადახვევა აღარ მოხერხდა. წავიდა. წელიწადნახევარს იმისი აღარა გაგვიგონია-რა. მერე ის იყო ნათლიღების წინა დღეს მოულოდნელად დაგვესხა თავსა. გაანათლოს ქრისტეს საფლავმა იმისი სული, სულ ბაჯაღლოთი დატვირთული დაბრუნდა. აგერ ეს ხალიჩებიც მაშინ მოიტანა და ის ნივთებიც, სალაროში რომ გვიწყვია. ერთი ქნას, ინებოს იმ დალოცვილმა უფალმა, ჩემი გიგოც აგრე მონაგებ-ნაშოვარი დამიბრუნდეს და გერის წმინდის გიორგისათვის ვერძი მიმირთმევია.

სუსანა სულგატვრენილი უსმენდა დედამთილის ნატვრას, მოხუცს ეგონა, რომ რძალმა ჩათვლიმაო. ამიტომაც თავი დახარა და ჩახედა თვალებში. წამწამებზე ცრემლები ეკიდა, სწყდებოდნენ, ცვარივით ეცემოდნენ ძირს.

— აგრე, შვილო, აგრე, ქალსა ქმრის მოლოდინში გული უნდა ელეოდეს.

— დედი, წამოდი ზემოთ, იქ დაწექ, ჩემთანა, ბავშვებთანა.

— ახარ ქალო, რა მოგდის-მეთქი? — უთხრა ახლა მართლაც შეფიქრიანებულმა დედამთილმა და გაჰყვა რძალს ზემო სართულში, საიდანაც ის იყო ჩამოვიდა.

რძალმა და დედამთილმა სუფრა გაშალეს. ბავშვები ქალბატონ სტრონგთან იყვნენ. ეძინათ. შინ სიწყნარე იდგა. კარიდან შედიოდა მდინარის გრილი ნიავი. ნავთის ლამპით მკრთალად განათებულ ოთახში რძალ-დედამთილი უბრად შეექცეოდნენ ვახშამს: ერთი — შვილის ჩქარა დაბრუნების სურვილით შეპყრობილი, ხოლო მეორე — დღეს ჩადენილი ბოროტებით სულშეფოთებული და დაგვემილი. ნავახშმევს დედამთილი ისევ ქვემოთ წავიდა, იქა ვარ ჩვეული მოსვენებით ძილსო, მოიმიზეზა. ისევ მარტო დარჩა სუსანა.

გარედ მთვარე დაჰქათქათებდა გორს. ისმოდა მდინარეების შხუილი. დრო და დრო სიჩუმეში ერეოდა ყურის გამხვრეტი კივილი ორთქლმავლისა და დატვირთული ვაგონების გრუხუნი. ძილი არ მოეკარა სუსანას თვალებს. ლოგინზე წამოწოლილი, თავქვეშ ხელებამოდებული გასცქეროდა იგი ღია კარიდან ქალაქს. ერთი რამ ადგა პირსა და გონებაზე: ეს შეცდომა, ეს ცოდვა პირველი და უკანასკნელი იყოს ღვთისა და კაცის წინაშე. არასოდეს ამიერიდან აღარ ჩაიდენს. ხორცზე ჟანგიან რკინის ჯაჭვებს დაიკიდებს, გულში გაულხობელ ყინულს ჩაიდებს, ზურგზე მძიმე საფლავის ქვას მოიდებს, კვირაში შვიდჯერ ჩოქვით შემოუვლის ეკლესიას და ამ ცოდოს გამოისყიდის, ხოლო შემდეგ აღარ ჩაიდენს. არა და არა. ახლავე ადგება, ჩაიცვამს, გასწევს მღვდელთან, მოძღვარს გაანდობს დანაშაულს, შესთხოვს უფალს შენდობას. უფალიც მიიღებს მოლალატე მხევლის გულწრფელ სინანულს. თუმცა მოძღვრის ნახვა ხვალაც შეიძლება. ახლა რომ ჩაიცვას, ბებერი დედამთილი შეწუხდება, რომელმაც თავისი მხარე უღლისა მთელ თავის სიცოცხლეში მაგრა ჩამარყუეებული აპეურებით ნამუსიანად ზიდა. მოიტანა იგი დღემდე. მერე ვითომ ამით რაო? უკვდავი გახდა? რით დააჯილდოვა იგი ღმერთმა ამის საფასურად? კიბოთი და სიბერით. რა აქვს სალხენად?

ის, რომ მცირეოდენ ხანს უყურებს ჩამომავლობას, შვილსა და შვილიშვილებს? ამის შემდგომ რაღა? სამი ადლის სიღრმე საფლავი და [illegible]ლი. იქნებ საიქიოში გაიხარებს დედამთილი? ჩემს მტერსაც [illegible]! იქ, საიქიოში ნამყოფი ჯერ თვალით არავის უნახავს. ნეტავ როგორი უნდა იყოს სიხარული და სიაშე, რასაც გონება ვერ განიცდის და ხორცი ვერ იგრძნობს?..

არა, ეს ღვთის გმობაა: ამას რას ფიქრობს სუსანა? ვინ მისცა ამისი ნება? ხვალვე, დილით, გასწევს მოძღვართან, ჩაუვარდება ფეხებში, აღიარებს ყველაფერს, წმინდა წყალს ისხურებს. დაბრუნდება შინ მშვიდად და გაწმენდილი ცოდვათაგან, როგორც მტრედი. მაგრამ ერთიც ვნახოთ, წინ შემოეყარა ის წყეული იოკიმე თუშელიშვილი? მაშინ რაღა ჰქნას სუსანამ, საით ეცეს, რა წყალს მისცეს თავი? არა, არსადაც არ წავა სუსანა, შინ დაჯდება დავრდომილივით და კუტივით. პირს მოკუმავს, იბოვნის საკუთარ სხეულში ძალას, რომ თავის ცოდოს თვითონ მოერიოს, დათრგუნავს სურვილებს, ჩაიშრეტს გულის წადილთა დუღილს, აერიდება მაცდურობას, ყოველ ფეხის გადადგმაზე რომ უდარაჯებს ადამიანს ცოდვის ჭაობში ჩასახრჩობად...

— ტყუილად ირჯებით, მაცდურება არსად არაა ჩასაფრებული, იგი შენშივეა ჩაბუდებული, როგორც შენი გონება, როგორც შენი ენის მოსატრიალებელი კლიტე, — ესმის სუსანას ხმა.

— ჰა, ვინ მელაპარაკება ამას, გაიმეორე კიდევ?

— მე გეუბნები, მე, — ესმის კვლავ ხმა.

— შენ ვინა ხარ?

— შენივე გონება და შენშივე ჩაბუდებული მაცდურება.

— მომცილდით თავიდან, დამეკარგენით!

— ადრეა, აგრე იოლად ვერსად წავალთ, კარგ ადგილას ვიმყოფებით.

— მომეშვით, მსხვერპლი მიიღეთ, გერის წმინდა გიორგის ერთ ცხვარს მივართმევ.

— კარგი, აგრე იყოს, მოგეშვებით, მაგრამ შემოგვწირე, რაც ჩვენ შეგვიძლიან შევიწიროთ.

— რა?

— შენი სიჭაბუკე, შენი სხეულის სიმშვენიერე და ყველაფერი ის, რითაც შეგიძლიან იგრძნო სიხარული და ნასურვილევის შესრულების სიამე.

— ღმერთმა დაგწყევლოთ, ძლიერ დიდ სასყიდელს მთხოვთ.

— აბა, იყავი ეგეთი. ის, რაც შენ დღეს ჩაიდინე, შენი ნამდვილი ბუნება იყო. ის, რაც შენ განიცადე და იგრძნე დღეს, შენს სხეულს სჭირდებოდა როგორც მარილი, როგორც სასუნთქი ჰაერი და სასმელი.

— ღმერთო, მიშველე, დამიხსენ!

— ღმერთმა ადამიანი გააჩინა ისეთი, როგორიც იგი შენ გინახავს, როგორიც შენა ხარ თითონ და მას აღარავითარი სურვილი ან საჭიროება არა აქვს გარდაქმნას იგი, ადამიანი. მან უკეთ იცოდა, რასაც იქმოდა, როცა თიხას თვის უკვდავ სულსა ჰბერავდა.

— მაშ რა მეშველება?

— ვინ მოგახსენა, ვინ მოგატყუა, დაიღუპეო? საიდგან გამოიყვანე ეგ დასკვნა?

— აჰ, იოკიმე, იოკიმე, ჩემს სატანჯველად გაჩენილო! — ქალმა ჩაიკვნესა და ჩაიძინა კიდევაც მტრედისფერ განთიადის პირად.

დილით სუსანას თავის ტკივილი აჰყვა. მიუხედავად ამისა იგი თავს მაინც მსუბუქად და დაამებულად გრძნობდა. კილოკავად ესმოდა, რომ მის სიცოცხლეში და ცხოვრების დუნე სვლაში შეიჭრა მთიდან მოხეთქილი ახალი ღვარი, რამაც დაურღვია ერთგვარი სიმშვიდე და მყუდროება. მაგრამ ამ ღვარს რაღაც სანუკვარი სურნელება ასდიოდა, ხოლო მისი ძალა საამოდ ხვდებოდა გვერდებში, როგორც მეგობრის ნაზი მუჯლუგუნი. ამის მიხვედრა კიდევაც აშინებდა, კიდევაც ახარებდა.

ბავშვი აფრინა ბაღში, ცვრიანი ჭარხლის ფოთლები მოატანინა, შუბლზე შემოიფინა სიცხის გამოსაკრებად და ერთხელ კიდევ გადასწყვიტა თითქოს ურყევად, თითქოს საბოლოოდ, აღარ შეხვედროდა იოკიმეს, მით უმეტეს ხვერდით აღარ გაჰკარებოდა.

ამიტომაც ერთავად შინიდან აღარ იხედებოდა გარედ, ეზოს ჭისკრის საძირკველს აღარ აბიჯებდა, თუმცა ივლისის სიცხე შეუბრალებლად ეწეოდა გარედ, ქალაქის ბაღისა და გორის ციხისაკენ, სადაც საღამოობით სამხედრო სასულე მუსიკა უკრავდა და მაშხალებს უშვებდნენ.

— ასე შინ ჯდომით თავს ავნებთ,—ეუბნებოდა ბავშვების აღმზრდელი ქალბატონი სტრონგი. — არ ვარგა ეგ. ქმრის მოლოდინი ცოლისთვის შინ ჩალაობას არ უნდა ნიშნავდეს. გადით ქალაქში, გული გადააყოლეთ, გაერთეთ,— ერჩევდა იგი და თან დაძაბულად ფიქრობდა, თუ რა მოუვიდა სუსანას.

სიხარულით ცას ეწეოდა მოხუცი დედამთილი. იგი ნელ-ნელა ამზადებდა თავს, დაეჯერებინა საკუთარი გონება—წასულიყო თბილისში იმ ექიმის სანახავად, რომლის უებარ წამლებსა და ექიმობაზე ლექსებსაც კი მღეროდნენ. სიამოვნებას ჰგვრიდა მოხუცს რძლის მოთვინიერება და მოდრეკა. მოხუცის აზრით, ოჯახის წესებმა და წრთვნამ ახალგაზრდა რძალი ისეთ კალაპოტში ჩააყენა, რომ დაემსგავსა დედამთილს, მას, მოხუცს. ამის პირველ სიმპტომად მას მიაჩნდა რძლის შინ კრუხივით ჯდომა და ქალაქის ბაღში თუ ციხის თავზე გასეირნების სრული უარყოფა თუ დავიწყება.

იოკიმე თუშელიშვილი აღარ გამოდიოდა ჭურჭლის და ხილის საწყობიდან. გულში ღრმად ჰქონდა ამოჭდეული ვაჭრობაში შთაბეჭდილების მოხდენა, პირველად ყოვლისა-კი ფულის მოგება. ხოლო სუსანა სად გაექცეოდა. ჭურჭლეულის ვიტრინამ მოულოდნელი ჰაი-ჰაი დაატრიალა ცარსკის ქუჩაზე: მოისწრაფოდნენ ვიტრინისაკენ ყველა უბნისა და ქუჩის მცხოვრებნი. საათობით იდგნენ ქალები ვიტრინასთან, მსჯელობდნენ უცხო ჭურჭლეულზე, კითხულობდნენ ფასებს, ეთათბირებოდნენ იოკიმეს, რადგან ისინი ჯერ არ ჰყიდდნენ საქონელს — სად იშოვებოდა იგი.

— ასეთი ჭურჭელი, ქალბატონო, ამიერ-კავკასიაში არ არის. იგი დიდი გაგლენიანი ხალხის დახმარებით მხოლოდ გიგომ მოიტანა. ამიტომაც მარტო მას ეშოვება იგი. საქონელი, მთავარი საქონელი გზაშია, ერთი კვირაც და მივიღებთ. მანამდე კი მოითმინეთ. ფულიც შემოინახეთ, ნისიად არ გავცემთ, ვინც არ უნდა იყოს. ძვირია, მართალია, საქონელი, მაგრამ საშვილიშვილოდ შესანახი და ოქროს ფასისაა. გინდა ის გდებია თაროში, გინდა ფული სალაროში. ოქრო ერთ დროს შეიძლება დაეცეს, მაგის ფასი კი, რაც დრო გაუვა, რაც უფრო დიდი ხნის იქნება, მით უფრო იმატებს.

ამას და ბევრ ამისთანებს ეუბნებოდა ვიტრინის მხილველთ იოკიმე. დაეს საუბრები, ტყუილი თუ მართალი, მყიდველს ლესავდა, უღვიძებდა სურვილს შეეძინა უცხო ჭურჭელი.

ნამდვილად საქონელი საწყობში ეწყო. რა კი და მისი გასაღება გიგომ პირადად იოკიმეს დაავალა, ისიც არა ჩქარობდა. ნოქრებმა იგი საიდუმლოდ გასცეს, საქონელი საწყობში აქვს, მალავს ახალი ნოქარიო. ეს ინფორმაციაც რაღაცნაირად გამოიყენა იოკიმემ. კონკურენციისა არ ეშინოდა. ჭურჭლეული სხვა გორელ ვაჭრებსაც ეშოვებოდათ, მაგრამ მათი უბრალოდ შედარებაც ძნელი იყო გიგოს მიერ გამოგზავნილ საქონელთან.

საქონლის მოგებით გასაღების გეგმაში საკმაოდ საპატიო ადგილი ეჭირა დაქრთამვასაც. ეს შედარებით ადვილი საქმე იყო. ძნელი იყო გეგმის ერთი პუნქტის შესრულება. სწორედ ამ პუნქტს ესაჭიროებოდა ფულის ხარჯი, რაც იოკიმეს ჯიბეში არ გააჩნდა. შოვნა კი უჭირდა. ეს პუნქტი შემდეგი შინაარსისა იყო: რამდენიმე ძვირფასი კომპლექტი უნდა შეესყიდათ ისეთ ოჯახებს, რომელთა წახედვით ან ჯიბრით სხვებიც შეიძენდნენ კომპლექტებს. ეს კი ძნელი იყო. ასეთ ოჯახებს ფული არ გააჩნდათ. მუშტრებად კი იოკიმეს ყველა უნდოდა, ვაჭარი იქნებოდა იგი, თოქმაჯი თუ მასწავლებელი — ოღონდ კომპლექტობით შეეძინათ საქონელი.

რა კი ძმისაგან - ფულის სესხად შოვნის იმედი დაჰკარგა, ამიტომ არჩია ეშოვნა იგი ისევ გიგოს საშუალებით. სუსანასთან ტრფიალს აზრი აღარა ჰქონდა. ახლა ის დასცინოდა თავის სიტყვებს: „მზე ხარ“, „მიყვარხარ“. როდის აქეთ შეგიყვარდა, იოკიმე, სხვისი ცოლი? შენ გიყვარს კიცხელი მაჭავარიანის, ქუთაისის გიმნაზიელი ქალი ლენიკო. გიყვარს და შეირთავ კიდევაც. ერთი ფული მოიგდოს ხელში, ერთი ქვეყანაზე კაცი დაერქვას და ლენიკოს ფრჩხილის მონაჭერსაც არ გასცვლის მთელ სუსანაში. მაშ რა კი ასეა, უნდა იმოქმედოს იოკიმემ პირდაპირ და უყოყმანოდ. ამ შემოდგომაზე ხუთიოდე ათასი მანეთი უნდა ედოს ჯიბეში, ხუთი ათასი, არა ნაკლები. რა თქმა უნდა, მუდმივი საქმეც უნდა ჰქონდეს, მუდმივად შემოსავლიანი წყარო და უსათუოდ ამ შემოდგომაზე. მაშინ ლენიკოც ზურგზე ეყოლება. ეს ისეთი ტვირთია, ურომლისოდაც იოკიმეს სიცოცხლე არ შეუძლიან.

ამ ფიქრებით ათენებდა ოა აღამებდა იოკიმე იმ სამახსოვრო საღამოს შემდეგ. უცდიდა, როდის გამოჩნდებოდა კვლავ სუსანა ცარსკზე, დუქნის ვიტრინასთან, ხილის საწყობებთან. ამაოდ ეჭირა თვალი გზისაკენ. დღეები დღეებს მისდევდნენ, სუსანა არა სჩანდა. თითქოს თავი ბნელ სარდაფში ჩაიმწყვდიაო, სუსანა მზეს არ ენახვებოდა. ბოლოს, მოლოდინით რომ გადაუწყდა გული, თანაც დაეჭვებულმა, ღმერთი არ გაუწყრეს, ქალმა თავს ფათერაკი არ დამართოსო, კვირა დილით ახლად შეძენილი სერთუკი ჩაიცვა და ზემოთ ბაზრისაკენ გასწია. თუ ცოცხალია, თუ რამე არა სჭირს ცუდი, უთუოდ გამოვაო იქ. ბაზარზე კვირა დღეს უამრავ სოფლელს მოეყარა თავი. ყაფნები სავსე იყო ქერისა და პურის ხორბლით, სიმინდით და ლობიოთი, ერბოთი და კვერცხით, ყველითა და კარაქით, ღვინითა და ხილეულით, საკლავითა და ფრინველით.

„თუ საქმე არა აქვს რა, თვალის გადასავლებად ხომ მაინც გამოვა“, აჯერებდა თავს იოკიმე და ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა. აქ ხორბლის ფასს კითხულობდა, იქ ხილის მოსავალს, სხვაგან საკლავის მაზანდას იძევდა. ამ სიარულსა და ბორიალში დღის თორმეტი საათი წამოადგა თავს. იგი ეძებდა სუსანას სადმე ქალებს შორის ან გასასყიდად გამოყვანილ ფრინველით მოვაჭრე სოფლელებს მახლობლად. ქალი მაინც არსად სჩანდა.

ერთად-ერთი გზა დარჩა, ციხის უბნისაკენ გაევლო და შორიდან მაინც მო-

ეკრა თვალი, ამბავი გაეგო. მანამდე კი ერთ ფარდულისაკენ შეუხვია, სადაც ნაცნობი გლეხები დაინახა. სწორედ ამ დროს შენიშნა: ციხის ეზოს ერთ ქუჩიდან ორი ქალი მოდიოდა. იოკიმემ თვალი ჰკიდა მათ. დაბალი, მოგრძელი, მავალი ქალები სტრონგი და სუსანა იყვნენ. ქალები შეერივნენ ხალხში, შეევაჭრნენ ფრინველსა და კვერცხებს. იოკიმემ უმალვე გეზი იმათკენ აიღო. შეუმჩნეველად მიეპარა, საუბარში გართულთ თავს წაადგა, მოულოდნელად ჰკითხა:

— როგორ ბრძანდებით სუსანა, ხომ კარგად?

მოულოდნელობამ, თავის თავთან დადებულმა პირობამ, რომ აღარასოდეს აღარ ენახა და აღარ გაჰკარებოდა იოკიმეს, ქალი შეაკრთო, დააბნია. პასუხიც უნებურად მისცა:

— მცირედ შეუძლოდ ვიყავი.

— არ კი გეტყობა!

— თუნდაც კარგად ვიყავი, მერე შენ რა?

— აწიც გისურვებ კარგად ყოფას, — კუშტად მიუგო იოკიმემ და ხალხის გროვას მიაშურა ისეთის უდარდელობით და ზიზღით სავსე თვალებით, თითქოს აბეზარ, არაფრის მსყიდველ მუშტარს ერეკებაო სავაჭროდან.

— იოკიმე! — წამოიძახა უეცრად სუსანამ. თავი ჩაჰკიდა სიწითლემორეულმა.

— ჰა, გისმენ! — მიიხედა ვაჟმა.

— სად გაიქეცი? მომიახლოვდი!

იოკიმე დაბრუნდა, ახლოს გაჩერდა. ახოვანი ტანითა და ცხრა მტკაველა მკერდმოღერებული დაადგა თავს სტრონგსა და სუსანას.

— იოკიმე! — სთქვა კიდევ ქალმა.

— ჰა?

— გამოიარე ამაღამ, მხოლოდ მოგვიანებით, — ძლივს ამოსთქვა სუსანამ და ერთბაშად წაქცეულად და დარღვეულად დაინახა შინაგანი სიმტკიცის ის კედლები, რის იმედითაც ქალმა გადასწყვიტა, აღარ შეხვედროდა ვაჟს. რად აღმოჩნდა ეს კედლები ასე სუსტი? იმად, რომ სუსანას ჯერ არა ჰყვარებია მაბაკაცი. გათხოვილი რომ იყო, ეს არაფერს არა ნიშნავდა.

— თითონ შენ გამოიარე, — შეევაჭრა იოკიმე.

— მე ვერა, შენ, — შეევედრა ქალი.

— როგორ, რა დროს?

— ბინას ორსავე მხრიდან შემოუარე, საითაც სინათლე შენიშნო, იმ მხრიდან შემოდი, შეც იქ დაგიხვდები.

— დედამთილი?

— პალატაში ძინავს.

— ვნახოთ!

— ვნახოთ კი არა, უეჭველად გიცდი.

იოკიმე თავის ქნევით გაერია ხალხში. „გატეხილხარ, ახლა ჩემი ხარ მთლად, ვერსად წამიხვალ, აქნამდისაც რომ გამიძელ, ეგეც ბარაქალა“, — ფიქრობდა თან.

სუსანამ ერთხელ კიდევ ჰკიდა თვალი საყვარელს, რომლის ალვასავით აშხვართული ტანი ელექტროს სვეტივით აზიდული მოსჩანდა.

— აპოლონ ბელვედერელს ვერ წარმოვიდგენდი უკეთეს ვაჟკაცად, ვიდრე ეგ თქვენი ახალი ნოქარია, — ჩაილაპარაკა ქალბატონმა სტრონგმა.

— ვისაო? — იკითხა ამ ვიღაც აპალონის ვინაობის შესახებ სუსანამ.

— ერთ ძველებურ ქანდაკებაზე ვამბობ, — განმარტა სტრონგმაც.

მერე მიბრუნდა, სუსანას დაჟინებით ჩააცქერდა თვალებში. სუსანამ ამბავად გაახილა ისინი, შესცინა სტრონგს. მანაც შესცინა. შემდეგ ერთად გადაიხარხარეს. ეს იყო სიხარული ქალებისა, რომლებმაც ეს არის ნახეს შესანიშნავი, იმათის მოწონების ღირსი მეორე სქესის წარმომადგენელი და ეს აზრი ერთმანეთს უსიტყვოდ, სიცილით გაუზიარეს, გაუმეღავნეს ერთმანეთს საიდუმლო სამარის კარამდე შენახვით.

ივლისის მილეული მთვარე ნაშუალამევს ამოდიოდა. ქუჩის ლამპები მკრთალად ბჟუტავდნენ. ქუჩები დაცარიელებულიყვნენ. აღარ ისმოდა ხმაური ქალაქის ბაღიდან. ჩაიარეს ღამის მატარებლებმაც.

მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში იოკიმე თუშელიშვილს ხვდებოდნენ დაგვიანებული, მუშაობისაგან წელგაწყვეტილი ხელოსნები და ქალაქის მუდმივი მოქეიფე ლოთები თუ აზნაურები. ისინი არ აქცევდნენ იოკიმეს ყურადღებას, თავიანთი გზით მიდიოდნენ, მიიმღეროდნენ. ქუდჩამოფხატულმა იოკიმემ ერთ ბნელ ჩიხში შეუხვია, უკანა მხრით მოუარა გიგოს სახლს, დაათვალიერა. სუსტი შუქი მოსჩანდა პატარა ფანჯარაში. სხვა ნიშანიც იცნო. საკმაოდ მაღალ ქვითკირის ღობის თავს მოვლებით შუა ეზოში აღმოჩნდა. კატის ნაბიჯით, ფრთხილად შეჰყვა კიბეს. კარი ღია დაუხვდა, შევიდა, მკერდით მიეხალა სუსანას. ბორიალით გაატარა იგი ქალმა ხარა-ხურით სავსე სამზარეულო. ბნელოდა ყველგან, ოთახშიც, ტალანშიც.

— დამენახვე, — ეუბნებოდა იოკიმე.

— ვერა, საშიშია სინათლის ანთება, — ჩაილაპარაკა ქალმა.

იოკიმემ ყური არ ათხოვა. ლამპასთან მივიდა, აუწია, ფარდაც ჩამოუშვა და შეხედა სუსანას. იგი კუთხეში იდგა, იხუჭებოდა, იგრიხებოდა, თითქოს მწერივით კედლის ნაპრალში აპირებსო ჩამალვას. ხელი მოხვია ქალს.

— კარგი, მე, თვითონ... — ქალი გაექცა, მივარდა ლამპას, სული შეუბერა. ჩააქრო.

— ბნელაში არ მინდა, — იუარა ვაჟმა.

— სხვა უფრო მოხერხებულ დროს. ახლა ასე, მეშინიან, ყბაში არავის ჩაუვარდეთ, დედამთილი... ოხ, როდის წაიღებს სიკვდილი!

— მე რა, შენ გეშინიან!

სუსანამ მწარედ ამოიოხრა.

— თითქოს მოსვლა არ გინდოდა? — ჰკითხა ქალმა გამთენიის ხანს, წასასვლელად ჩაცმულ ვაჟს.

— მართლაც, არ მინდოდა მოსვლა. დრო არა მქონდა. ეს ორი კვირაა გამწარებით ვეძებ ფულს. ვერსად ვიშოვნე.

— ბევრსა? — ჰკითხა ქალმა. ახლოს მივიდა, ხელები მხრებზე ჩამოსდო და შეხედა მოღლილ, უძილარ თვალებში.

— აგრე, სამასიოდე მანეთს.

— მერე, რად გინდა ეგ ფული?

— ისევ თქვენთვის, საქონლის გადასატრიალებლად.

— სტყუი, ალბათ, საყვარლისთვის დაგჭირდა.

— არა.

— როგორ დავიჯერო, შენა და საყვარელი არა გყავდეს? სამი შვილისა და ქმრის პატრონი ქალი აგერ რა დღეში ჩამაგდე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არა მყავს.
— შეყვარებული?
— არც ეგა.
— მაშ არ მატყუებ?
— თავს გეფიცები!
— მაშ მართალს ამბობ, არა გყავს საყვარელი და არც არავინ გეყოლება?
— არა, არც არავინ, — გაუმეორა დამაჯერებლად იოკიმემ.
— მაშ მარტო მე გიყვარვარ და მარტო მე გეყვარები?
— ჰო, მარტო შენა, სხვა არავინ.
— ოჰ, როგორ მომხიბლე, მომნუსხე, ჩემს ჭირად და დასაღუპად გაჩენილო.
— ჰა... ჰა... ჰა!
— რად გეცინება?
— არ მესმის, რადა ვარ შენ ჭირად გაჩენილი.
— შენ ვერ მიხვდები მაგას.
— მე ერთი რამ მესმის, ერთ რამეს ვხვდები, — უთხრა იოკიმემ, ქალს მკლავები მოხვია, მაგრა მიიკრა გულმკერდზე.
— დღეს არსად წახვიდე, ვიტრინას ჩაუვლი. მაგრამ ძალიან გთხოვ, იქ ნურას გაბედავ. ხალხია, ქვეყანა. გორის მითქმა-მოთქმისაგან ღმერთმა ჩემი მტერიც დაიფაროს.
— ფული მაქვს საძებარი, ეგ არის მხოლოდ.
— ნუ ეძებ, ჩამოვალ, ჩამოგიტან. ცოტაოდენი მაქვს ჩემთვის დაგროვილი. რაც დამაკლდება, ნამზითევს დავაგირავებ, ან ვისესხებ, ისე რომ არავინ შემიტყოს. სალაროს კლიტე ჩემს ხელთ არ არის, თორემ იცოცხლე იმაში ფული იდოს. ის სასიკვდილე დედაბერი ზედ აზის, არავის ანებებს.
— გიგოს დაბრუნებამდე გადაგიხდი.
— ეგ შენი ნებაა.
ალიონზე გააღვიძა იოკიმემ მკვდარივით მძინარე დარაჯი. საწყობში ტომრებზე წამოწვა. გამოაღვიძა იგი ერთმა ნოქარმა, რომელიც გამოსაფხიზებლად ხელებით სწევდა მას ზემოთ და ეუბნებოდა: ადექ ჩქარა, ხაზეინის მეუღლე სუსანა გხმობილობსო.
— დაიღალე განა? — ჰკითხა ქალმა.
იოკიმემ ნამძინარევი თვალები მოისრისა. შეხედა ქალს. იგი ბედნიერების ცეცხლით განათებული გამოიყურებოდა, საღი და აყვავებული. ქალმა ხელში დასაკავებელი პატარა ჩანთა გახსნა. ფულის შეკვრა ამოიღო, იოკიმეს გადასცა. მერე ჰკითხა თუ შეეხვეწა:
— ამაღამ ხომ მოხვალ?
— მარტო ამღამ არა. ხომ არავის გაუგია?
— მგონია, სტრონგმა აიღო აზრი.
— ეგ ცუდია, ხომ არ გაგვამხელს?
— არა, თვეში ერთი თუმნის მომატება განვუცხადე. აბა სინჯოს და ნუ ამოიგლეჯს ენას!
— კარგი.
— მე მაინც გელი.
იოკიმემ ჯერ ცას შეხედა, მერე საათს და თავი დაუქნია.
— მხოლოდ უფრო გვიან, — გაადევნა სიტყვა.

იოკიმე ისევ საწყობში შევიდა. ფული გადათვალა. ცალ ფეხზე შემოტრიალდა. ხუთასი მანეთი იყო, სულ ლურჯი ოცდახუთმანეთიანები. „ეს ფული-კი, მხოლოდ შენთვის, შენი ჭირიმე!“ რუსთან გავარდა, ხელ-პირი ბანა, გამოეწყო. საწყობის გვერდით სამიკიტნოში ხელდახელ დანაყრდა. გასწია სემინარიის ქუჩის ბოლოსაკენ, მეჯვრისხევისაკენ მიმავალ შარაგზის პირად, სადაც სცხოვრობდა საჩხერიდან გორში გადასახლებული ქვრივი ევასია თავისი გასათხოვარი, დანიშნული ქალით.

ევასი ნათესავად მოხვდებოდა იოკიმე თუშელაშვილს. იმის პაპისდის შვილიშვილი იყო. უნივერსიტეტიდან გორში დაბრუნების დღიდან ქვრივი საყვედურებით ავსებდა იოკიმეს, ჩვენსას რად არ მოდიხარო. იოკიმე კი ერიდებოდა ქვრივისას სტუმრად სიარულს. მცირეოდენი პენსიის პატრონი იყო ქვრივი და იმიტომ. რა კი იოკიმე ერიდებოდა და ეს ევასიმ შეატყო, ქალიშვილის ნიშნობაში დაჰპატიჟა კაცის პირით. იოკიმე არც ნიშნობას დაესწრო. ჯიბეში ყურგახვრეტილი კაპეიკი არ ეგდო, საჩუქრის შეძენა ვერ მოახერხა. სწუხდა კი პაპიდის შვილიშვილს სურვილი რომ ვერ შეუსრულა. მაგრამ დაიფიცა, მისულიყო მოულოდნელად, როცა ჯიბე ნებას დართავდა.

სამკლასიანი სამრევლო სკოლის მასწავლებელმა ზაქარია ბაქრაძემ მთელ თავისი სიცოცხლეში აგროვა მცირეოდენი თანხა, ჯამაგირს ძლივს გადანარჩუნებული. ორმოცდაათის წლის რომ შეიქნა, მხოლოდ მაშინ გაჰბედა მოეწყო თავისთვის საკუთარი ბინა. მეჯვრისხევის შარაგზისკენ პატარა სამოსახლო შეიძინა. მიზიდა მასალა და აიგო ბინა. უბედურება რომ არ მოსვლოდა, არ მომკვდარიყო, იქნებ სიბერის წლები ტკბილად გაეტარებინა. მაგრამ გადავიდა თუ არა საკუთარ ბინაზე, ფილტვების ანთებით გახდა ავად და გარდაიცვალა. დარჩა ახალგაზრდა ცოლი და რვა წლის ქალიშვილი. მიწიდან არშინნახევრით მაღლა წამოდგმული, ევასის დაბალ-სარდაფიანი სახლი იდგა მეჯვრისხევის გზისა და მეჯუდას შორის, ბაღებსა და ვენახებში. გორის ამ გარეუბნის მცხოვრებნი ყველანი მებაღეობას და ხვნა-თესვას მისდევდნენ. გორის მახლობელი ველები, გორაკები და მინდვრები იმათ ეჭირათ. ერთის სიტყვით, ამ უბნის მცხოვრებნი იმდენად იყვნენ ქალაქელები, რამდენადაც ისინი სემინარიის ქუჩის გაგრძელებას წარმოადგენდნენ ქალაქის გეგმაში და იმდენადვე იყვნენ გლეხები, რამდენადაც ხვნა-თესვასა და მებაღეობას მისდევდნენ. რაც შეეხება ევასისა და იმის ქალიშვილს, ისინი თავს მხოლოდ ქალაქელებად სთვლიდნენ. ქმრისა და მამის მცირე პენსიით ცხოვრობდნენ. ამას უმატებდნენ კიდევ უფრო მცირე შემოსავალს ეზოში რამდენიმე ძირ ახალშენ ვაშლისას და ბალჩისას. არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ქვრივის ბიუჯეტში ქათამსა და კვერცხს, რასაც მარჯვე ქვრივი დიდი რაოდენობით ზრდიდა იაფი სიმინდით. ამ შემოსავალს ქვრივი საარყე ქვაბის მოლივით მალავდა, მექათმე არ დამერქვასო. ფრინველის ეს მეურნეობა შესანიშნავად ჰქონდა დაყენებული. ყველაზე მეტს შემოსავალსაც იგი აძლევდა. სცხოვრობდა ქვრივი, კარს არავის ადგა სასესხად და სამათხოვროდ.

დედაშვილს მზის ჩასვლისას ესტუმრა იოკიმე. აგურის იატაკიან აივანზე ისხდნენ ქალები. საშინაო ტანსაცმელში გამოწყობილები უბრად ხელსაქმობდნენ. პირველმა ევასიმ დაინახა ეზოს ჭისკრისაკენ მომავალი იოკიმე. დაინახა და ზეზე წამოიჭრა. გაეგება. ჭისკარი გაუღო, გადაჰკოცნა ნათესავი და ბალჩაზე გამოატარა აივნისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად ხარ, ბაბუცა, სადა? კარგია სასეირნოდ არ წახვედი, ხედავ ვინ გვესტუმრა! — დაუძახა დედამ შვილს.

ბაბუცა ოთახში იყო, იძრობდა საშინაო კაბას, ახალს იცვამდა—ბოლოებით. ევასიმ სელის სკამი მიართვა სტუმარს, დასვა, კიდევ გადაჰკოცნა. მოთქმასავით ხმაკანკალებულად, თვალში ცრემლებით ლაპარაკობდა:

— ჩემს სისხლსა და ხორცს ბარძიმსა და შენ გიყურებთ აქა. ღმერთმა მომწყვიტა სხვა ნათესავებსა და თვის ღვიძლს. ვარ უპატრონო ქვრივი მარტოდ ქალიშვილის ამარა. ვის სცალია ჩემთვის? როგორ მოგვიდა, მოხვედი? ხომ არაფერი მოგეჩვენა?

— ღმერთმანი, ხშირად მინდოდა მოსვლა. დრო თითქმის არა მაქვს. ხან საწყობში ვარ, ხან ქალაქს მივდივარ, ხან სოფლისაკენ გავკრავ, — იმართლა თავი იოკიმემ. როგორც შინაურმა, სელის სკამი მიატოვა, კარებში გამოჩენილ ბაბუცას მიესალმა, ხელი მოხვია და ხალიჩა გადაფარებულ ტახტზე ჩამოჯდა. დედა-შვილი იქით-აქედან შემოუსხდნენ, კითხვები დააყარეს:

— ჩემი ბარძიმი როგორ არის, ბიჭო? ჩემი კბილაა ის შენი სახლის კაცი. ერთი იმის ფეხის შემოდგმას მომასწრო ჩემს სახლში! — კიდევ ინატრა ქვრივმა, რა გაათავეს უთავბოლო, მაგრამ მხიარული გამოკითხვები.

— კარგად, გმადლობთ! აგერ გაათხოვებ ქალს, გაგვაგებინე ქორწილის დღე და ორივენი დაგესხმით თავს, თუ კი გორის მახლობლად ვიქნებით იმ დღეებში.

— ნეტავი მართლა, მაშინ ხომ ჩემს ბედს ძალი აღარ დაჰყეფს. გავნედლდები, ბიჭო, გავახალგაზრდავდები.

— ნუ გეშინიან, ევასი, იმედი იქონიე, არა გიშავს რა. ის კი არ მოგვწონს, რომ სასიძო არ გვიჩვენე.

— ამაზე იტყვიან: გალმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებაო. აკი დაგპატიჟეთ ნიშნობაში? ვინ არის დამნაშავე, თუ არ მოხვედით, ისევე მე? ესაო და ქვრივიაო, ისევ მე მდებთ ბრალს? თქვენ გაკლდებოდეთ. იმისთანა სუფრა გავშალე, ბიჭო, იმისთანა ქართლური და იმერული საჭმელები მქონდა, რომ კინაღამ კოვზები და ჩანგლები დაჰკვნიტეს სტუმრებმა. მართლა საქმე იგრე ცუდად კი ნუ გგონია. ქვრივი ვარ, მაგრამ საქმე ისე მაქვს, რომ პურსა და ღვინოზე არ შევშინდები. ოღონდ ჩემი ბაბუცა გამიბედნიერდეს, ოღონდ ჩემი ნათესავები ყველანი კარგად მყავდნენ...

— დრო არა მქონდა, ევასი, თორემ მოუსვლელს რა გამაჩერებდა. შენ თითონ იცი, ჩვენც კარგა მაგარი ბრძოლა გვიხდება, რომ ვიცხოვროთ. სასიძოს გაცნობა კი მართლაც ძალზე მაინტერესებს, ვინაა, როგორია?

— ვინც არის, ეგ ყოფილა ჩემი ბაბუცას ბედი. მდურება არ მმართებს. ეგ არის საწყენი, ქართველი არ არის. რა სჯობს შენი ტომისა და შენი ენით მოლაპარაკე ადამიანის შინ შემოყვანას. რა ვქნა, მე როგორიც მინდოდა, ისეთ სასიძოს ჩემზე ჯიბე სქელი მუშტარი აღმოაჩნდა. ახლა რაც არის, იმით უნდა დავკმაყოფილდე. ქართული ცოტაოდენი ქე იცის.

— არ მეტყვი ვინ არის?

— აქაურია, ბიჭო, ტომით პოლონელი. შენ არ გეხსომება. წინად აქ ერთი კაპელმეისტარი ცხოვრობდა. ჯარის ნაწილებში მსახურებდა. გაკვეთილებს აძლევდა ქალაქის სკოლებშიც. რაღაც წელკავივით მოუარა ლოთობის ავადმყოფობამ. გაცივდა. მოკვდა საწყალი. შვილები ქე დარჩა გზაზე დაყენებული. ყველაზე უმცროსია ჩემი სასიძო. რკინიგზაში მუშაობს ტექნიკოსად.

თუ ოდესმე მამის ავადმყოფობა, ეგ წყეული ლოთობა არ დაემართა, სხვა მხრით არა უჭირს-რა, იცხოვრებენ როგორც იქნება. მე სიცოცხლეში რასაც არ მივუმატებ, არაფერს მოვაკლებ. ეგ არის მაწუხებს: სად ბაქრაძე, სად თუშელაშვილი და სად შილკა! როგორ გამოვაჩინო და ვახსენო, ბიჭო, ჩვენ გვარებთან იმისი გვარი? როგორ გავურიო ჩვენს ნათესავობაში?

— ეგ სულ არაფერი. ოღონდ ბიჭი გამოდგეს ისეთი, ჩვენ რომ გაგვეხარდება და ჩვენს ნათესაობაზე გულს არ დავწყვეტთ.

— მზითევს ულაგებ ახლა. ერთ გაწამაწიაში ვარ. რასაც ვარ შეპირებული, კაპეიკს ვერ დავაკლებ. რამდენიმე ხანს ჩემთან იცხოვრებენ. ოთახიც მოსაწყობია, ქორწილიც. ღმერთო, რომელ ერთს გავართო თავი, არ ვიცი, შენს მზეს ვფიცავარ!

— ეგრე, ევასი. მარჯვედ იყავი, არ მოედრიკო ცხოვრებას, სხვა ყველაფერი მოეწყობა, როგორც გაგეხარდება. ბაბუცაც ჩვენი ჯიშისაა. იმ შენ შილკას თუნდაც ნეკზე გადასახვევიც არაფერი მისცე, ერთხელ რა კი ნახა ქალი, აღარ მოეშვება. ისე არა ჰქნას, რიყეზე არ იპოვოს უკეთესი.

— მართლა ჰგევხართ ერთმანეთს, შვილო. გეტყობათ ნათესაობა. იბედნიერეთ, იცხოვრეთ, ერთმანეთს ნუ დაჰკარგავთ, ურთიერთის ჭირი და ლხენა გაიგეთ ხოლმე. მე კი რაც მომივიდა, ჩემი წილი ბედნიერება ეგ ყოფილა. ჩამმწარდა ახალგაზრდობა. გამტეხა სიქვრივემ. ეს ჩვენ. ახლა შენსას რას მეტყვი? შენ როგორა ხარ? ერთი თავადიშვილის ქალი ვერსად მიიგენი: ვერ შემოჰკარი ცული სათარჯე ხესა? შემომხედე, ნუ თუ შენი გულის შესაჯერებელი ვერავინ მიიგენი ამდენ კვალიაშვილების, თავყელიშვილების, ერისთავების, მაჩაბლების და გვერდწითლების ქალებში? მერე, ბიჭო, როგორები არიან ის გასაქრობლები. რა მზითვის პატრონები, რა შესახედავები. თუ შენი სახლიკაცივით საყვარელი აიჩინე და გადაბერებას უცდი? შვილო, კაცმა ცოლი ადრივ უნდა შეირთო, სანამ ზედ გეტანებიან გასათხოვრები ნათელზე მოსულ პეპლებივით. შვილებსაც ადრევე დაზრდი. საყვარელი კი მაშინ გაიჩინე, როცა ცოლს შვილიერებისაგან მკერდი დაეფშუტება, თეძოები გაუხმება და ქანცი გამოელევა. გაიჩინე და ერთი ახალგაზრდობის სიამოვნებას გაივლი კიდევ.

იოკიმემ ულვაშების ბუსუსებზე ხელი წაივლო, ჩაიცინა.

— ჰა, როგორ გაეცინა. ღმერთო ჩემო, იქნება მართლა საყვარელი გაიჩინე? მერე მაინც ვინ არის, არ ითქმება?

— არა, ევასი, ღმერთანი, არა. საცოლე კი მყავს, ეს რა დასაფიცია, საყვარელი კი არა.

— სუ, სტყუი. მე ვიცნობ ჩვენი ჯილაგის მამაკაცებს. წუწკები არიან. კველას გამდნარი ტყვია ჩაასხი პირში და მორჩი ამით მათ საქმეს. გამოტყდი, გამოტყდი, გყავს საყვარელი?

— არა, არა, ჩემმა მზემ, არა, — იუარა ისევ იოკიმემ.

— გიჯერებ, აგრე იყოს. მართლაც და მე რა საქმე მაქვს. ეგ არის, გაუფრთხილდი, თავი არ გაიფუჭო. მაგნაირ საქმეს ბევრი ცუდი შედეგი მოსდევს. ბამუსზე ხელაღებულ ქალისათვის შენ პირველი არ იქნები.

იოკიმემ ყურები სცქვიტა.

— ჰა, გენიშნა? — ჩაჰკითხა ქვრივმა. — გენიშნა?

— კარგი, დავანებოთ თავი მაგას!

— აგრე იყოს, დავანებოთ. ერთი ეს მითხარი, გიგო როდის ბრუნდება?

ამბობენ, ანგლიაში წასულაო მოსავლელად, მართალია?

— დიალ, შეიძლება ზამთრამდის ვერ დაბრუნდეს. ვინ იცის წასულია, ვინ იცის საქმე!

— მერე ამდენა საქმე ვის ჩააბარა?

— ნოქრები ჰყავს.

— ოჯახი? სუსანა როგორ არის? ბიჭო, იქნება ის მაინც ჩაგაბარა შენ?— სთქვა და გადაიკისკისა ქვრივმა. იოკიმეს ნიკაპში სწვდა, აუწია, თვალებში ჩააცქერდა.

— ევასი, რას ჩამაცივდი!

— ჰა, ჩაგაბარა? კიდევაც იმიტომ ხარ გამხდარი. ჩემი სიკვდილი!

— კაი თუ ღმერთი გწამს! — უკმაყოფილოდ სთქვა იოკიმემ და თითქოს წასასვლელად წამოიწია.

— ვხუმრობ. გიგო სულელი როდია, მოსამწყემსავად მგელს ისეთი დუმიანი ცხვარი ჩააბაროს, როგორიც სუსანაა.

— კარგია მეთქი, სხვა რამეზე ილაპარაკე.

— თუმცა მგელი რას დაგიდევს, ჩაბარება რად უნდა, თითონ იცის ფარეხში ჩახტომა.

— ბიჭოს, რას შემომიჩნდი, საქმეზე მოვსულვარ.

— აბა თუ საქმეზე ხარ, შინ შემოდი. მაგიდასთან დაჯექი და მელაპარაკე. ევასიმ განჯინას მიაშურა.

— ერიჰა, სწორედ მაგისთვის არ მოვდივარ ხშირად. თავი დაანებე განჯინას! — დაუშალა იოკიმემ.

— არავინ გკითხავს შენ მაგას. ხომ იცი ვისთან ხარ? აი ეს შენ ალუბლის, თეთრი შპანის, მაყვლისა, გარგარისა, შვინდისა და კვრინჩხის მურაბები. შემოდგომას კომშსა და ყურძენსაც მოვხარშავ. ესეც არაყი, ღვინო კი არა მაქვს. არ მოგელოდი.

— მოიტა, მოიტა!

— ისიამოვნე, თან მელაპარაკე, რა საქმე გაქვს, რაში შემიძლიან გამოგადგე..

— ევასი, ბაბუცის ათხოვებ, მინდა სამახსოვრო რამ მოუკითხო.

— ნუ შესწუხდები, ნუ დაიხარჯები, შვილო.

— მე არც ვწუხდები, არც ვიხარჯები. მომისმინე, ევასი. ჩემი დახარჯვა ის იქნება, რომ შენ, ჩემს ნათესავს, მოგკერძავ იმას, რაც სხვასაც შეუძლიან ისარგებლოს ჩემგან. შენი სამაგიერო კი იქნება იმ თხოვნის შესრულება, რასაც გაგიმეღავნებ. ჩემი შენდამი მოკერძეობა, იმედი მაქვს, გასწვდება შენს სამსახურს. გინახავს ჩვენი ვიტრინა, რა ჯამ-ჭურჭელი, რა ჩაისა და ყავის მოწყობილება გვაქვს გამოფენილი?!

— მშვენიერია! მოვკვდი და აღარ დავრჩი იმის ყურებით. რა მე, მთელი ქალაქი.

— მაშ ასე, ჩემო ძვირფასო ნათესავო, ჩამოდით ხვალე შენა და შენი ბაბუცა. ამოირჩიეთ თორმეტი პირის სამყოფი სადილისა, ჩაისა და ყავის ჭურჭელი. წაიღეთ, ღმერთმა მშვიდობით და ბედნიერობაში მოახმაროს შენს ბაბუცას. მხოლოდ ერთის პირობით. ამორჩეულ ჭურჭელს უკანა კარით, ჩუმად წაიღებთ. ისე მოიქეცით, თითქოს ჩვენს საქონელს სულაც არ ვყიდით, თითქოს დიდის ხათრით გაგატანეთ, რადგან ქალს ათხოვებ და მზითევში ხარ შეპირებული გაატანო ის ჭურჭელი. ჭურჭლის ამოსარჩევად მოიყვან ვინ-

მეს, ისეთს, რომლის ამ საქმეში ჩარევაც შნოს მისცემს ჩვენს ნაფიქრსა. ამის შემდეგ თქვენ ჭურჭელს მიიღებთ და ფულს დამითვლიით

— საჩუქრისათვის გმადლობთ, ეს ფული კი სად ვიშოვო ახლა, თუნდაც გვიან იყოს.

— ფულის შოვნა, ევასი, არ დაგჭირდება. იმას, რასაც შენ ჭურჭელში გადაგვიხდი, მე ახლავ აქ დაგიტოვებ, სულ რვანახევარ თუმახს. წამოღებულ ჭურჭელს იშვიათად აჩვენებ თქვენ უბნელებს.

— რაღაცას ეშმაკობ, — მიუგო ევასიმ.

— სწორე ბრძანეთ, შენ კი ამ ეშმაკობით არაფერს კარგავ. რაც აქ ვთქვით, ამის შესახებ კრინტს არავისთან დასძრავ. ოღონდ მონაფიქრი საქმე გამოგივიდეს, ისეთი შედეგი მივიღო, როგორის იმედიც მე მაქვს და ეგ საჩუქარი არაფერია იმასთან, რაც შემდეგ მოგელით შენა და ბაბუცას.

— კი, შვილო, შენი გულისთვის ადიდებულ მტკვარს მივცემ თავს. აი ეს შავი შპანის მურაბაცა, მგონია მარწყვისაც მაქვს ქაშანურის ქილაში.

— და კიდევ ერთი და უკანასკნელი პირობაც. ჭურჭლისათვის მოსულ შენ და შენს ამომრჩეველს მე უარით შეგხვდებით, გეტყვით: გიგოს დაბრუნებამდე საქონელს არა ვყიდით-მეთქი. მაშინ თქვენ გიგოსას ახვალთ, დედამისს შეეხვეწებით, რომ აგერ ქალის გათხოვება გიბრკოლდება. წამოიყვანე დედაბერი თან და მაიძულოს ჩუმად მოგყიდოთ. ეს არის სულ, რასაც გთხოვ, ევასი, და გულს არაფერზე დაგწყვეტ. ამის იმედი მაქვს.

— კარგი, შვილო, აგრე ვიქმ. ეგეც არ იყოს, განა მე თქვენი ოჯახის მოვალე არა ვარ? კარგად მახსოვს ჩემი გათხოვების თვეები. განათლებული მამა შენი ჩაერია საქმეში, თორემ სხვა ჩემი ტოლებივით ფეხში ეკალი არ გამომელეოდა. დაქვრივება კი ღვთის საქმე იყო. აქ აღარავის ჰქონდა ძალა განგებასთან.

იოკიმემ მურაბებით მონოყვილ გულზე ერთი ჭიქა არაყი გადაჰკრა. მერე წამოდგა, დაემშვიდობა ნათესავებს, ცარსკისაკენ გამოსწია. ვიტრინასთან ხალხი ტრიალებდა. „ნეტავ, როდის დაიწყებენ გაყიდვას?“ კითხულობდნენ. იქ საათს დახედა. ლიახვის პირისაკენ გასწია. მთის მდინარე რძესავით თეთრად მოაგორებდა ტალღებს, ტანთ გაიძრო, შეერია მობანავე ბიჭებში. მადად გადაქცეული დაბრუნდა. ისევ სამიკიტნოში შევიდა. შეუკვეთა გირვანქანახევრიანი ქარვისფერად ყვითელი სუკის სამწვადის შეწვა. ჩამოჯდა მარტოკა მაგიდასთან. ისევ საათს დახედა. დრო გაანაწილა. ცხრამდე დანაყრებასაც მოასწრებს, დილას აქეთ ჯიბეში ჩაწყობილ გაზეთების გადათვალიერებასაც და შემდეგ იქ, ზემოთ, სუსანასთან მთელი ღამით დარჩენასაც.

სუსანამ მოუხშირა სასეირნოდ გამოსვლას. იმ დღეს ბაზარში იყო. ქალბატონი სტრონგი წარიტანა თან. შინიდან ადრიანად გავიდნენ. საათის ათამდე იბორიალეს. ივაჭრეს ცოცხალი ვარიები, ერბოთი სავსე ქილები, ხილეული და შაშხი. დატვირთულები დაბრუნდნენ. დახურულ ბაზრის მახლობლად გავლისას სუსანამ მოძღვარი მღვდლის სახლი შენიშნა. აივანზე დაგორავდა დაფოროჯებული, გვერდშემპალი, „ანტონოვკა“ ვაშლივით მღვდლის მსხვილი მეუღლე. „ნეტავ, თუ შინ არის მოძღვარი“, გაახსენდა თავისი ნაფიქრალი იმ სამახსოვრო ღამით. „ვუთხრა აღსარება?“ დაუსვა თავს კითხვა და უმალვე ხელი ჩაიქნია: „ღმერთო, რა, სულელი ვარ, რა დროს სულია. მაშინ რაღა გასაჩენი იყო სიამოვნება, თუ იგი სულს წყმედს?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაძვირდა, მამასისხლად გადაიქცა ჩვენი ბაზარი! — შესჩივლა დედამთილს კიბისძირად. — დედი, მე ბაზარში გამსვლელი აღარა ვარ. ... კალებს, ფულს რომ ვაძლევ.

— ჰო, შვილო. ამას მე უფრო იაფად გამოვიტანდი. ვარიებში კი ერთი ორი მიგიცია. სად გაგონილა აგეთი ხელგაშლილობა! — ემოწმებოდა ბებერი.

— დღეს რაც არის, რაღა გაეწყობა. კვლავ თუ კიდევ მე წავედი ბაზარში, უშენოდ, დედი, ფეხს აღარ გავდგამ გარეთ. ნეტავ, ჭკვა მქონებოდა, აქამდეც ასე მოვქცეულიყავი. დედი, როგორა ხარ? წირვაზე წასვლა რამ დაგიშალა, შეუძლოდ იყავი თუ?

— შეუძლოდ ვარ, შვილო, რა ვუყო, მომისაჯა იმ უფალმა, — აწუწუნდა მოხუცი.

— ქალბატონო სუსანა, — მიმართა სუსანას სტრონგმა, — წაიყვანეთ დედამთილი ან გაჰგზავნეთ თბილისში. მაგ ავადმყოფობის უყურადღებოდ მიტოვება არ შეიძლება. ვინაა ის გამოჩენილი ექიმი? მეც გავიგონე მის შესახებ. ჩაიყვანეთ ავადმყოფი, ნახეთ, რას გეტყვით. თუ თქვენ დრო არა გაქვთ, ან რძალი, ან დედამთილი შინ უნდა დარჩეთ აუცილებლად, მაშინ ნოქარი გააყოლეთ თან, — დაუმატა დასკვნაც თავის აზრს სტრონგმა და მოჭუტული, აციმციმებული თვალი თვალში გაუყარა სუსანას, თითქოს ეუბნება: ჰა, კარგი არა ვქენი, იქნებ წავიდეს დღეს, ეს კი შენ გესაჭიროებაო. სუსანას ვარდისფერმა გადაჰკრა სიხარულით. თვალი უყო, გაუღიმა, ანიშნა: აგრე, აგრე, წააქეზე რაც შეგიძლიანო. მერე თითონაც განავითარა სტრონგის აზრი:

— გომართელი — აი თურმე ექიმი ის ყოფილა. ამას წინად ერთი ქვეხვრელელი ქალი მკვდარ-ცოცხალი მიუყვანიათ და იმ დალოცვილს ერთ კვირაში ფეხზე დაუყენებია. თურმე ისეთი წამალი იცის, რომ სულ დავრდომილს განკურნავს.

— ნეტავი კი მიშველოს რამე, — ინატრა მოხუცმა.

— ინახულეთ, უეჭველად გიშველით. აქედან იქამდე სულ ორიოდე საათის გზაა მატარებლით სასიარულო, თუ ხარჯს არ მოერიდებით, — ჩაურთო ისევ სტრონგმა.

— ვაი, რომ წასვლა არ შეიძლება, რაღა გვეშველება სახლში? — განგებ სთქვა სუსანამ.

— თქვენ სულ თქვენი თავი გახსოვთ, — შეუტია დედამთილმა.

— დედი, იგრე ვთქვი, უშენობა გაგვიჭირდება-მეთქი, თორემ მართლაც და რა უჭირს სახლს ორიო თუ სამი დღით. აგერ გარსუას, ჩვენს ნოქარს, გაჰყე თან სამშაბათს. იქ ღამეს ჩვენებიანთას გაითევ, ბოხჩასა და ხურჯინს ვაგზლიდან გარსუა გაგიტანს თითონ. ინახულე ექიმები, ერთი კი არა, ორი, სამი. თუ საქმეს დაატყო კეთილი პირი, სამ დღეზე მეტსაც დარჩი.

— ღმერთო, ხელი მომიმართე! — შეევედრა მოხუცი ცას და ხელები აღაპყრო. გადაწყვეტილება მიიღო: წავა სამშაბათს თბილისში, ინახულებს ექიმს, ეჩვენება, განიკურნება, მესამე დღეს დაბრუნდება ისე, თითქოს გერითობას ყოფილა სალოცავად. რძალსა და სტრონგს ეუბნება: — ბაზარში გავივლი, წასაღები რამ ხორაგი დამჭირდება, ტაძარში ასანთები წმინდა სანთელიც იქნება მოვნახო...

— წაბრძანდი, დედი, დაეშურე, ერბოს ნუღა იყიდი, აქა მაქვს, მეტი არ დაგვჭირდება, — უთხრა სუსანამ მიმავალ დედამთილს, რომელიც სახლის ყურეს ეფარებოდა უკვე. მიეფარა თუ არა მისწყევლა: — წაშავდი, ნეტავ

იქიდან ცოცხალიც არ დაბრუნებულხარ, ისეთი წამალი მოეცეს იმ გომართელს, რომ ფეხები გაგეფშიკოს!

ქალბატონი სტრონგი უკვე შინ იყო. ბავშვებს მეცადინეობისათვის თავი დაენებებინათ. ოთახი აერიათ, აეფუნდრიკებინათ. ყვიროდნენ, ერთმანეთს თმებში ჩაფრენოდნენ.

ნასადილევს სუსანამ ცოტაოდნავ წაიძინა. დასვენებული ჩავიდა პალატში. დედამთილი სამზადისით გართული დაუხვდა. გიგოს ვასუას ხალიჩასავით ნაქსოვი ხურჯინი ამოეღო, გაებერტყა, გაემზეურებინა. მოხუცს ეს ხურჯინი გადამალულივით ჰქონდა შენახული. იგი აგონებდა ქმართან ბედნიერად ცხოვრებას, ახალგაზრდობას. თითქოს ამ ხურჯინის თვლებში ლანდივით იყო ჩამალული, გონებისათვის წარმოსადგენი, უსხეულო, ხელშეუხები წარსული. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გაუხარებია მისი გული ამ ხურჯინის ბარაქიან თვლებს, როცა იქიდან ვასუა ალაგებდა ხოლმე ნაირნაირ ნივთებს, ასი მთის იქიდან მოტანილ ნაშოვარ-ნაპოვარს. ახლა აღარც ვასუაა, აღარც ის ბედნიერება. განქრნენ, წავიდნენ. მარტოდ დარჩა. როგორც ჰგავს, იმისი ბოლოც ახლოვდება, თუ ექიმი უებარ წამალს არ მისცემს.

— რად გამოწყობილხარ? — ჰკითხა ჩასულ რძალს დედამთილმა.

— ქვემოთ მინდა ბავშვებიანად ჩავიარო. ეგ მეხდასაყრელი დედაკაცი გადამკიდებია, ბავშვები გაატარეო, თორემ ამ სიცხეში შინიდან გასვლა ვის უთქვამს.

— მერე და შენც შინ იჯექი.

— არ გითხარი, გადამკიდებია მეთქი. ღმერთმა ნუ იცის მაგისი თავი: ესაო, ამ საათს ბავშვი ლოგინში უნდა ჩაწვეს, ამ საათს, თუნდაც შუა ძილში იყოს, გაიღვიძოს, ტანზე ცივი წყალი გადაივლოს, მერე სჭამოსო, იმ საათს წიგნით თვალები გამოიწყალოს, მერე აუცილებლად გაისეირნოსო. მომბეზრდა თავი, ღმერთმანი!

— აი მართლა მეხი დაეყარა იმ მეტიჩარა თავზე! — მიაწყევლა მოხუცმაც ალმზრდელი. ჩაფიქრდა. თავისთვის გაივლო გულში, რძალს კი არა უთხრა-რა: „არა, რა აზრი აქვს ბავშვების ასე ტანჯვას? როგორ, ცუდი კაცია გიგო თუ? და განა ასე ვაწვალებდი გიგოს? სალდათი კი არ არის ბავშვი“. — ჩქარა დაბრუნდები? — სთქვა მერე ხმამაღლა.

— სულ ჩქარა. ჭურჭლეულსაც გადავავლებ თვალს. იცი, დედი, მთელი ქალაქი ჩვენს ჭურჭლეულზე ლაპარაკობს, ყველა სანახავად მიდის.

— მერე რა: იმოდენა ფული ჩაჰყარა მაგის მოწყობაში იმ მატრაკვეცა იოკიმემ, რომ ერთ საშუალო გლეხს დაასახლებდა.

— აბა, მაშ! დაბრუნდება გიგოი და მოვახსენებ, რაც საჭიროა. განა შეიძლება ვიღაცის თვალის გასახარად იმდენი ფულის გადაყრა, იმის მაგივრად, რომ კაპეიკს კაპეიკი დაადოს, სალაროს ორიოდე გროში მოუმატოს.

— ჰო-დე, ჰო. ნეტავ ჩქარა დაბრუნდეს გიგოი. მართალია, ქალო, ანგლია ისეთი ქვეყანაა, რომ გარშემო სულ ზღვები აქვსო, ფეხით იმ ქვეყნის იქით კაცი ვერსად წავაო?

— ჰო, მართლა აგრე ყოფილა. აგერ სტრონგი იქაური არ არის?

— მერე და სულ პარახოტებით დადიან, თუ როგორ?

— პარახოტებით, ჰო. თან ყველას იხვივით სცოდნია ცურვა.

— უი, ქა! ახლა კი წადი და ჩქარა დაბრუნდი, თუ ღმერთი გწამს, ხურ-

ჯინი ჩასალაგებელი მაქვს, გზას ვადგივარ. გარსუაც გააფრთხილეი, ორსად წავიდეს, არ დაითვრეს, მე მჭირდება.

— თვალის წამს დავბრუნდები, — მიუგო სუსანამ კარის სალესავლიდან. მიიჩქაროდა სუსანა ერთხელ კიდევ თვალი მოეკრა იოკიმესათვის, დარწმუნებულიყო, მივიდოდა თუ არა. იმ ღამეს. მისი ფიქრით, დღეს შეხვედრისათვის უკეთესი პირობები იქნებოდა. სამზადისით დაღლილი დედამთილი ხაშხაშნაჭამივით დაიძინებდა. ჩავიდა ცარსკზე. აიარ-ჩაიარა. განგებ არც ვიტრინას და არც საწყობს არ გაეკარა. უნდოდა ისე მოეწყო შეხვედრა, თითქოს ჩვეულებრივ თავის საქმეზე იყო გამოსული და არა განგებ იოკიმეს შეხვედრად. მაგრამ ვერსად შეხვდა. საწყობში არ მოიკითხა. ამიტომაც განერვიანებული და დაღლილი დაბრუნდა შინ. პალატში აღარ შეუხედავს. უჭირდა დედამთილის დანახვა. ის რომ არ იყოს, არც მეთვალთვალე მეყოლებოდაო. ციმბირივით შორად ეჩვენებოდა სამშაბათი, დედამთილის გამგზავრების დღე. ერთი ვერ აეხსნა ვერასგზით სუსანას: როგორ უბრუნდებოდა ენა საალერსო სიტყვებისათვის, როგორც კი დედამთილი გამოჩნდებოდა?! აგერ ისიც შემოდის.

ღამის თერთმეტ საათამდე ძლივს მოათავეს ქალებმა ზოგიერთი სამზადისი. დარჩა მხოლოდ პური თონეში ამოსაკრავი. საფუარი ამოდიოდა. კიდევ კარაქი, ერბოდ გადასადნობი და ახალ ჭურჭელში მოსათავსებელი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰანს გაბე

ათასნი დაეცემიან

თავი მეოთხე[1])

მხიარული ბიჭები

თითქმის შეუსვენებლად გავიარეთ ორმოცდარვა კილომეტრი და მხოლოდ ამის შემდეგ ვიპოვნეთ ჩვენი პოლკი.

ვიდრე გზას დავადგებოდით, პატარა თათბირი გავმართეთ. ჩვენის ვარაუდით, ერთადერთი გზა რჩებოდა დაუკავებელი და ეს გზა სამხრეთ-დასავლეთისკენ მიდიოდა, ვუზიესა და სეშოსკენ. სწორედ აქეთკენ, ამ მიმართულებით უნდა დაეხია ჩვენს პოლკს.

გამოვედით თუ არა ნუარვალიდან, ირგვლივ ცეცხლის ალში გახვეული სოფლები დავინახეთ. მანამდე ჩვენი ტყის დამამშვიდებელ სიბრმავეში ვიმყოფებოდით. ჩვენს წინ, მარჯვნივ და მარცხნივ ცა წითლად იყო შეღებილი. ცეცხლ-მოდებულ სოფლებს თავიანთი ფერი ჰქონდათ. იგი არც წითელი იყო, არც ვარდისფერი: ბინდ-გადაკრული ჰორიზონტზე პირისფერი ზოლი იყო გაჭიმული. აღმოსავლეთით მზე ამოვიდა და მისი სხივები ცეცხლოვან გვირგვინს შეუერთდნენ. ვერ იტყოდით — საით იყო აღმოსავლეთი: მზე ყველა მხრიდან ერთბაშად ამოდიოდა.

ვცდილობდით, რაც შეგვეძლო სწრაფად გაგვევლო ხანძარ-მოდებული სოფლები. არ ვიცი, რა ძალა მიგვერეკებოდა ისე და რატომ გვეგონა, რომ თუ პოლკს ვიპოვიდით, ყველაფერი გადარჩენილი იქნებოდა. ყოველ დღე რაღაც ახალს მოველოდით და ეს ახალი, ვფიქრობდით, იმდენ ძალას შეგვმატებდა, რომ ერთი დღის გადატანას კიდევ შევძლებდით.

მიტოვებული იარაღი და საჭურველი გვიჩვენებდა იმ გზას, რომლითაც არმია იხევდა უკან. გარდა ამისა, ვხვდებოდით გვამებს, მაგრამ მათ არ შეეძლოთ მოეცათ რაიმე მითითება. მალაგრიდა ერთმა აკვიატებულმა აზრმა შეიპყრო: ყოველი მკვდარი გზაზე ცოცხალი ეგონა. ოთხჯერ თუ ხუთჯერ გადააბრუნა კიდეც მკვდრები — გამოფხიზლდებიან, გონს მოვლენო. ხმაამოუღებლად შევყურებდი. ერთხელ ნახევრად დამწვარი გვამის გამოცოცხლება მოიწადინა. მაშინ-კი შემეშინდა — ჭკუაშერყეულად მომეჩვენა ჩვენი პატარა პორტუგალელი. ბოლოს დავიყოლიეთ, ხელი აეღო უნაყოფო ცდაზე. ამის შემდეგ ხმა აღარ ამოუღია.

თანდათან ვხვდებოდით, რა უნდა მომხდარიყო. იმ დროს, როცა ჩვენი პოლკი გერმანელებს აკავებდა, თითქმის ყველა სხვა პოლკი ჩვენს ზურგში უკან იხევდა. ჩვენსა და ზურგს შორის ათეული კილომეტრები იყო გაჭიმული. იმავე დროს გერმანელები ცეცხლს უკიდებდნენ სოფლებს ჩვენს წინ

---

[1]) გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 7.

და ჩვენს უკან. საითაც უნდა მიგვეხედნა, ყველგან ცასალი ჰქონდა მოდებული. ერთი-ღა დაგვრჩენოდა: თავჩაქინდრულებს განგვეგრძო გზა. ჩვენც მივდიოდით დამფრთხალი ბავშვებივით, უკან მიუხედავად, გონება-გამოფიტულები. დრო და დრო თხრილებში გადავცვივდებოდით ხოლმე, — გერმანელები ბომბებს უშენდნენ იმ რაიონს. იქნებ ფიქრობდნენ, ჯარი თუა სადმე კიდევ მიმალულიო. ან იქნებ ნგრევის ჟინი ამოქმედებდათ. ყოველ შემთხვევაში ვერავითარ გეგმას მათს თავდასხმაში ვერა ვხედავდით.

მოპიკირე ბომბდამშენები ორჯერ დაგვატყდნენ თავს ციდან. ეფექტი წარმოუდგენელი იყო. გონებას გვიბნევდა მარტოოდენ გრგვინვისმაგვარი მათი უცნაური ხმა. არც ერთხელ არ დამინახავს, რომ ფრანგული თვითმფრინავი შეჰბმოდეს ამ მოპიკირეებს. ანრი დე მონტერლანს ომის ორი წლის მანძილზე ერთხელ დაუნახავს მხოლოდ ფრანგული თვითმფრინავები. თავის წიგნში „სიკვდილი და სიცოცხლე“ იგი გაოცებული შესძახებს: მაშ თვითმფრინავები მარტო გერმანელებს არა ჰქონიათო. არასოდეს ისეთის სიმწვავით არ გვიგრძვნია ამ ბრძოლის უთანასწორობა, როგორც ვიგრძენით იგი ივნისის იმ დილას, როცა გერმანელი მოპიკირეები სიკვდილს სთესდნენ მიწაზე.

ისინი ჰბომბავდნენ უკვე ალმოდებულ სოფლებს, სთხრიდნენ უკვე ათასნაირად გადათხრილ და დაბარულ მიწას, ჰკლავდნენ ადამიანებს მეორედ, მესამედ, მეოთხედაც-კი. ქორივით ეშვებოდნენ ზევიდან. მაგრამ იმ გზაზე, რომლითაც ფრანგთა არმიას დაეხია, აღარავინ სჩანდა, გარდა სამი უბადრუკი, განცგამოლეული მოხალისისა. სასაცილო იქნებოდა, სიცოცხლეს გამოვსალმებოდით მაშინ, როცა გერმანელები ჩვენი გულისათვის არ ერიდებოდნენ ნაღდენ ხარჯს.

ბუა დე სერნესთან ჩვენი პოლკის არიერგარდს დავეწიეთ. იგი შესდგებოდა რამდენიმე ჩამორჩენილი კაცისაგან, რომელთაც ძალა აღარ შესწევდათ განეგრძოთ გზა. არსად იყო ერთი მანქანაც-კი, რომ ეს გაწამებულნი წაეყვანა. ორმოცდახუთი კილომეტრი გაეარათ მათ დამშეულებს, დაავადებულებს. გზის პირად იწვნენ. არც-კი უკითხავთ, საიდან მოვდიოდით. ჩვენს შეკითხვებზე მხრებს იჩეჩავდნენ და ამბობდნენ — გერმანელებს მოველითო. ერთ-ერთი მათგანი ახოსი იყო, მეტად ნიჭიერი ახალგაზრდა კომპოზიტორი. ოებერვალში მე და მან ერთად გავატარეთ შვებულება პარიზში. ფოლიბერჟერში დავყავდი, სადაც ომის დაწყებამდე იგი თავის მიმოხილვებს სდგამდა. ახლა გზის პირად იწვა, მიწაში ცხვირ-წაყოფილი. ამბობდა — დანახვა აღარ შემიძლიანო. ამაო იქნებოდა გვეკითხნა, რის დანახვა აღარ შეეძლო. ყურები თითებით დაეცო და მტვერში სახე-ჩამხობილი სდუმდა. ბოლოს, როგორც იყო, დავიყოლიე გამოგვყოლოდა ჩვენ.

ზურგზე წამოკიდებული ხელსაწყო ერთბაშად ძალზე მძიმე გვეჩვენა. მხოლოდ მაშინ, როცა გავიგეთ, რომ ჩვენი პოლკი ახლო იყო, ვიგრძენით, თუ რა უზომოდ ვიყავით დაღლილები. მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ იმ ხნის განმავლობაში, რაც ხანი მოვრბოდით, დაღლილობა არ გვიგრძვნია. არ გვიგრძვნია არც ტვირთის სიმძიმე. ღვედებმა, ალბათ, კანი გადაგვაფხიკეს მხრებზე და ახლა მწარე ტკივილს განვიცდიდით. მხოლოდ ახლა, როცა მიზნამდის რამდენიმე კილომეტრი-ღა რჩებოდა, ვიგრძენით, რომ დაგვისივდა ფეხები, მხრები, დაგვიუძლურდა სული.

შებინდებისას მივაღწიეთ ბუა დე სერნეს. პირველი ადამიანი, რომელიც

ჩვენ შეგვხვდა, ადიუტანტი ლეფორი იყო. ყუმბარებისაგან ამოთხრილ ორმოში იწვნენ ის და პატარა ბერკოვიჩი. ლეფორი გამოგველაპარაკა — რა არის, ბატონებო, ახალიო. ალბათ, ფიქრობდა, რომ ჩვენ „ენტრაჩტიანენს“ სასყიდლად ვიყავით იქვე სადმე კუთხეში.

მალე პოლკოვნიკსაც შევხვდით. დიდის ქებით მოგვეგება. მაგრამ თავი ალარა გვქონდა — ყუმბარის მიერ ამოთხრილ პირველსავე ორმოში ჩავწექით და დავიძინეთ. ისე დავიღალენით, რომ ოთხმოც-გირვანქიანი ტვირთის მხრებიდან მოშორებაც ველარ შევძელით.

როცა გამომეღვიძა, დავინახე, რომ ჩემს გვერდით ლეიტენანტი სენ-ბრისი იწვა. ვკითხე, რა იყო, რა მოხდა-მეთქი.

ლეიტენანტი წინ იყურებოდა, მის ხმაში უზომო მწუხარება ისმოდა:

— არაფერი, იმის გარდა, რომ ალარ გაგვახსენდით.

გამოგვიცხადეს, გზა უნდა განაგრძოთო, ქვეითად უნდა გაიაროთ ოცდაათი, ორმოცი, ორმოცდაათი კილომეტრი კიდევაო. ზოგს სიარული ალარ შეეძლო. ზოგი უკვე ფეხზე იდგა, წასასვლელად გამზადებული. მაგრამ ყველანი ვგრძნობდით, რომ გვესაჭიროებოდა ხელმძღვანელი — სულიერად ძლიერი ადამიანი, რომელიც გაგვაგებინებდა, რა მოხდა, რომელიც დაგვამშვიდებდა. ვიღაცას უნდა დავყრდნობოდით. მაგრამ ვის? ძველ ჯარისკაცებს? მათგან იმედს ვერ ველირსებოდით: ისინი სხვებზე უფრო უბადრუკნი იყვნენ, უმწეონი, თავგზააბნეულნი.

ვიწექით ყუმბარის მიერ ტყის ნიადაგში ამოთხრილ უზარმაზარ ორმოში. ამ ტყეებში გაზაფხული არასოდეს არ იცის. ფეხებ-ქვეშ სინესტეა, ხოლო ხავსი იქ წყალმცენარესავით მწვანეა და ლიპი. ნიადაგი მოფენილია შარშანდელ და ზოგჯერ შარშანწინდელ შემოდგომაზე ჩამოცვივნული ყვითელი და წაბლისფერი ფოთლით. შემოდგომამ სამუდამოდ დაისადგურა ამ ტყეებში. მთელ ზაფხულს სთვლემს იგი და ელის თავის დროს. ზევიდან სასახლის დარაჯებივით ხეების წვეროები დაჰყურებენ. მძინარე შემოდგომას ისინი მზის მომაბეზრებელ სხივებისაგან იცავენ, მაგრამ ბომბდამშენებისაგან დაცვა მათ არ ძალუძთ.

ვიწექით მზა ძმურ საფლავში და ვლაპარაკობდით ყველაფერზე. მეტადრე გვაინტერესებდა ერთი რამ: რა იქნება, თუ ომი წავაგეთ? ყველა ჩვენგანი ეკითხებოდა თავის თავს: რა მოგველის მაშინ? და არავის გამბედაობა არა ჰყოფნიდა, ბოლომდე ჩაჰკვირვებოდა ამ აზრს. სდუმდა ვაგოც-კი, რომლის ოპტიმიზმმა საზღვრები არ იცოდა. უნგრელი არქიტექტორი იყო ვაგო, სწავლობდა პლასტიურ ხელოვნებათა პარიზის სკოლაში. მან ააგო ერთ-ერთი პავილიონი პარიზის გამოფენაზე. ვაგო მომცრო ტანის კაცი იყო, და როდესაც მე და ის პარიზიდან ბარკარესში წავედით, ცხრამეტი წლის ჭაბუკს მაგონებდა. მას შემდეგ მან კაპრალობა მიიღო და პრესტიჟისთვის წვერი მოუშვა. ვაგოს ქრისტესებრ კეთილშობილური თავი ჰქონდა, ხოლო წვერით იგი თავის ბიძას მაგონებდა, არქიტექტორს, რომელმაც ერთა ლიგის ახალი შენობა ააგო. მაშინაც-კი, როცა მტერი სეტყვასავით გვაყრიდა ყუმბარებს, ვაგო, სულ ცოტა, ერთ საათს ანდომებდა თავისი წვერის მოვლას. სავარცხლით და უბის სარკით შეიარაღებული, იგი ნამდვილი აღმოსავლური მოთმინებით ივარცხნიდა თავის რბილ და მბზინავ წვერს. არასოდეს არ მინახავს, რომ ამდენი დრო სხვა რამეზე დაეკარგოს. ჰო-და, აი ეს კაცი ახლა ჩემს გვერდით

იწვა გულგრილი, მოდუნებული. ცხადად ეტყობოდა, რომ მეტის ატანა აღარ შეეძლო. სევდიანი თვალებით შეჰყურებდა ვაგო უფრო მეტად, ამტან კელენბერგერს, რომელიც ოცნებით გატაცებული მომავლის გეგმებს ადგენდა.

— როგორც უნდა გათავდეს ომი, — ამბობდა კელემბერგერი, — ღამ-ღამობით პარიზი მუდამ იმხიარულებს.

კელენბერგერი ტაბარენის კაბარეს რეჟისორი იყო.

სადღაც ტყეში სეტყვასავით ცვიოდნენ ყუმბარები. წინადაც გვინახავს ყუმბარების ასეთი სეტყვა. ეს წვრილი ყალიბის, თითქმის უვნებელი ყუმბარები იყო. გერმანელები ათასობით ჰფანტავდნენ მათ, და ხშირად ასეთი ყუმბარა ხისაგან იყო დამზადებული. მაგრამ ამ ყუმბარების ხმა პირდაპირ აუტანელი იყო. ისე გაჰკიოდნენ, გეგონებოდათ, ათასი საყვირი აღრიალესო.

გზაზე ლეიტენანტი სენ-ბრისი გამოჩნდა. თავი დამიქნია. მივედი. თხრილში ჩავსხედით. ფერწასული იყო, გაუპარსავი. წვერი ჯაგარს მიუგავდა. მუნდირი მთლად ამოსვრილი ჰქონდა. მაგრამ სათვალის მინებიდან მაინც გულკეთილი, მშვიდი თვალები გამოიყურებოდნენ.

— რატომ დავიხიეთ უკან? — ვკითხე მე.

მან მხრები აიჩეჩა.

— პოლკოვნიკი ცოფებსა ჰყრის, — სთქვა ბოლოს. — არ უნდოდა თავისი სექტორი უბრძოლველად დაეთმო, მაგრამ...

თავზე ხელები იტაცა.

— არა მესმის-რა, — განაგრძო ხმადაბლა: — გვითხრეს, დივიზიამ ჩვენს მარცხნივ უკან დაიხიაო. ამიტომ ფრონტის ხაზის გამოსასწორებლად ჩვენც უნდა დაგვეხია უკან. ხოლო...

შეჩერდა. ცხადი იყო, ეძნელებოდა ლაპარაკი.

— ხოლო დივიზიას ჩვენს მარჯვნივ უთხრეს, ვითომ ჩვენ დავიხიეთ უკან, ამიტომ მათაც უნდა დაეხიათ იმავე ფრონტის ხაზის გამოსასწორებლად.

— კეთილი, მაგრამ...

მე მაინც არ მესმოდა, რაში იყო საქმე.

— ასეთივე ამბავი მოხდა ყველგან, მთელს ფრონტზე, — დაასკვნა სენ-ბრისმა.

— წარმოუდგენელია! ეს ხომ...

სიტყვა დაუმთავრებელი დარჩა.

— როგორ ფიქრობთ, არის კიდევ იმედი? — ვკითხე მე.

სენ-ბრისმა ისე შემომხედა, თითქოს დარწმუნებული არ იყო, სერიოზულად ვეკითხებოდი თუ არა.

— იმედი? — გაიმეორა კითხვა: — იქნებ სასწაულმა გვიშველოს? როგორღა უნდა მოველოდეთ ომის მოგებას? განა ოდესმე გვილაპარაკნია მოგებაზე? არასოდეს. უცხოა ჩვენთვის ეგ სიტყვა — მოგება. პირზე მხოლოდ ერთი სიტყვა გვაქვრია — ზავი. ცხრა თვეს ჩვენი გენერლები ერთ რამეზე ოცნებობდნენ: შეეკრათ ზავი ომის დაწყებამდე. ცხრა თვის განმავლობაში ისინი საბოტაჟს უწევდნენ ომის მომზადებას. ჩვენ ეს ვიცოდით... მაგრამ რა უნდა გვექნა?

— მაშ, თქვენის აზრით, მათ ომის წაგება უნდოდათ?

— არა, ეგ არ უნდოდათ, რადგან არ უნდოდათ ომის დაწყებაც. მათ უნდოდათ ზავის ჩამოგდება ჰიტლერთან.

— მაშ მოღალატენი ყოფილან.

უნებლიედ წამომცდა ეს სიტყვა და ვინანე კიდეც. მაგრამ სენ-ბრისი, როგორც ყოველთვის, აუშფოთელი გაჰყურებდა სივრცეს. ტყეში ჩვენს უკან ბომბები ზუზუნებდნენ.

— მოღალატენი? შეიძლება. ისინი არც-კი მალავენ, რომ მოწინააღმდეგის მხარეზე არიან... საქმე ის კი არ არის, ვის უფრო მეტი ზარბაზნები აქვს. მთავარი ის არის, ხალხმა იცოდეს, რისთვის კვდება.

პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი: შიკრიკი ეახლა სენ-ბრისს — პოლკოვნიკი იბარებდა. მე მხოლოდ ვკითხე:

— მთელმა სექტორმა როგორ უნდა დაიხიოს ერთი გზით?

წასვლისას სენ-ბრისმა შარაგზაზე მიმითითა.

მიმავალ ლეიტენანტს თვალი გავაყოლე. ოდნავ წელში მოხრილიყო. ჯარი განუწყვეტელ ნაკადად მიედინებოდა. მთელი შარაგზა გაჭედილი იყო ქვემეხებით. არსად სჩანდნენ არც ავტოები, არც მექანიკური საზიდები. ყველგან ცხენებს ვხედავდით. გერმანელთა თვითმფრინავების გამოჩენისას — ჩნდებოდნენ-კი მარტო გერმანული თვითმფრინავები — გამძღოლნი ცემით და ლანძღვით მიერეკებოდნენ ცხენებს ტყისაკენ. ცხენები-კი უარზე იდგნენ. მათ არ იცოდნენ, რა იყო „იუნკერს — 88“, მათ არ იცოდნენ, რომ ციდან ცეცხლს აწვიმებდნენ. ჰაინეს „ატტა ტროლეში“ დათვს სწამს, რომ ღმერთად ზის ჩრდილოეთის უზარმაზარი დათვი, ხოლო ამ ცხენებს ღმერთად უზარმაზარი თეთრი ცხენი მიაჩნდათ. მათ არა სჯეროდათ, რომ ცხენების ღმერთი ასეთი საზარელი დანაშაულის ჩადენას დაუშვებდა. და მხოლოდ მაშინ, როცა ჯარისკაცები გააფთრებულნი უშენდნენ მათრახებს, ცხენები განზე გარბოდნენ, მერე ტყისაკენ უხვევდნენ, და ქვემეხები სოლებივით იჭედებოდნენ ხეებს შორის ან თხრილებში ეშვებოდნენ და ფურგუნებსა და ქვემეხებს ყირამალა აბრუნებდნენ. „Planquez-vous! Planquez-vous!“ — გაისმოდა ყოველი მხრიდან. „მიიმალენით!“ — ასეთი იყო ჩვენი დევიზი. ტყეში მყოფთ ეშინოდათ, რომ შარაგზაზე მიტოვებული ქვემეხები გასცემდნენ მათ, გააგებინებდნენ ბომბდამშენებს მათ სამალავებს. „მიიმალენით! მიიმალენით!“ — იმეორებდა, ვით გამოძახილი, ამ სიტყვას ათასი ხმა ტყეში, ათასი უხილავი ლანდის ხმა.

მე უკან გავცოცდი, ჩვენი ძმური საფლავისაკენ. ადიუტანტი ლეფორი სიტყვას ამბობდა. მას უნდოდა დაბრუნებულიყო შინ მანამდე, სანამ პარიზი დანებდებოდეს მტერს. ლეფორს ვერ გაეგო, რატომ აქამდის არ ითხოვა საფრანგეთმა დროებითი ზავი.

მაშ ასე, კვლავ დავიძარით, კვლავ განვაგრძეთ უკანდახევა. უკანასკნელი ორი საათის განმავლობაში არც ერთი გერმანული თვითმფრინავი აღარ დაგვინახავს. ეტყობოდა, რაღაც სხვა საქმეს აკეთებდნენ და ჩვენთვის აღარ ეცალათ.

მოვდიოდით დღისით. ჩემი ასეული დაღმართზე ეშვებოდა, საკმაოდ გაფანტული. მიუხედავად ამისა, მტრის თვითმფრინავებისთვის იგი მაინც კარგ ნიშანს წარმოადგენდა. ეს სასწრაფო უკანდახევა დღისით-მზისით ყოველსავე გონიერებას ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ, ალბათ, სტრატეგიული მოსაზრება აიძულებდათ ასე მოქცეულიყვნენ, — ვფიქრობდით ჩვენ.

მალე გადავუხვიეთ სამხრეთისკენ მიმავალ შარაგზიდან და დავადექით რეიმსის გზას. ვიცოდით, რომ გერმანელებმა გაარღვიეს ფრონტის ხაზი ჩრდილოეთში და უკვე რეტელს უახლოვდებოდნენ.

იწყებოდა საკმაოდ საგრძნობი აღმართი. მივადექით რკინისგზის ასაქცევს სოფელ მანრთან. იქ შევხვდით ჩვენს მომავალ ამხანაგებს — მეთვრამეტე მსროლელ ბატალიონს. ეს მსროლელები ცნობილნი იყვნენ აგრეთვე „მხიარული ბიჭების“ სახელით. არ ვიცი, ვინ უწოდა მათ ეს სახელი, მაგრამ სამხიარულო მათს ისტორიაში არა იყო-რა. ეს ბატალიონები — რამდენიმე ბატალიონი იყო — ყოფილ კატორღელებისაგან შესდგებოდა. ომის დაწყების შემდეგ ჩვეულებრივ დამნაშავეებს გადაუდვეს განაჩენის სისრულეში მოყვანა, ხოლო გაუსწორებელ რეციდივისტებისაგან შეადგინეს ბატალიონი და გაგზავნეს იგი ფრონტზე. ეს ბატალიონი „მხიარული ბიჭების“ ყველაზე მსხვილ ქვედანაყოფს წარმოადგენდა. ჰფიქრობდნენ, რომ მარტოოდენ კატორღელებისაგან შემდგარი პოლკი უფრო მეტ ვნებას მოიტანს, ვიდრე სარგებლობას. „მხიარული ბიჭების“ ბატალიონები რამდენსამე პოლკს შორის გაანაწილეს. მათი ოფიცრები დამნაშავენი არ იყვნენ, მაგრამ „მხიარულთა“ ბატალიონში დანიშვნა ფრანგ ოფიცრისთვის უდიდეს სასჯელად ითვლებოდა. და ეს ოფიცრები ორ-სამ თვეზე მეტხანს არა რჩებოდნენ აღნიშნულ ბატალიონებში. ამხნის განმავლობაში მათ შეეძლოთ მხოლოდ ოფიციალური ურთიერთობა ჰქონოდათ სხვა პოლკის ოფიცრებთან, ამასთან ისინი არ სარგებლობდნენ იმ პრივილეგიებით, რომლებითაც სარგებლობდნენ დანარჩენი ოფიცრები. თავის-თავად აშკარაა, რომ ამ „მხიარულ“ ბატალიონებს მუდამ ყველაზე უფრო არამხიარულ ადგილებში ჰგზავნიდნენ. ჯილდოდ კარგი ყოფაქცევისათვის ჰპირდებოდნენ პატიებას ომის შემდეგ, თუ, რასაკვირველია, „მხიარული“ ჯარისკაცი ცოცხალი დარჩებოდა იმ დროისთვის.

რკინისგზის ასაქცევზე სოფელ მანრთან ჩვენ პირველად შევხვდით „მხიარულ ბიჭებს“. სწორედ დროზე შევეყარენით ამ ბატალიონს, და იქნებ არავის არასოდეს ისე ღირსეულად არ შეუფასებია მისი სახელი, როგორც ჩვენ მაშინ შევაფასეთ. ბუნდოვან, უკვე დავიწყებულ ომამდელ წარსულში ეს „მხიარული ბიჭები“ იქნებ მართლა ჰკლავდნენ ქალებს და ძარცვავდნენ ბანკებს, მაგრამ იმჟამად მათ დაგვახვედრეს ისეთი რამე, რაც ყველაზე უფრო ძვირფასი იყო ჩვენს მდგომარეობაში, — დაგვახვედრეს საჭმელი და ახალი ამბები. „მხიარული ბიჭები“ დარაჯის მიტოვებულ სახლში დაბინავებულიყვნენ, და ჩვენ რომ მივედით, ნადიმი გაჩაღებული იყო, ნამდვილი ნადიმი. ჩვენ ჩვენი საველე სამზარეულოები რამდენიმე კვირის წინად დავკარგეთ ან გავანადგურეთ იმ შიშით, რომ მათ ბოლს ბომბდამშენები შენიშნავდნენ. ეს „მხიარული ბიჭები-კი“ არხეინად აშიშინებდნენ საჭმელს დარაჯის ქურაზე, ხოლო ამ ქურის ბოლი მოწითალო კეკლუცი მილიდან იდილიურად მიიკლაკნებოდა ცისკენ. ისინი კარგა ხნის მისულები იყვნენ და უკვე მოესწროთ რამდენიმე ძროხის დაკვლა. მათ სრული მენიუ შემოგვთავაზეს — დაწყებული როსტბიფით და გათავებული ცხელი ყავით. მათი ოფიცერი იქვე ოთახში დიდ რადიო-გადამცემზე ჩხირკედელაობდა, თანაც გვარწმუნებდა, ეს არის ახლა შესწყვიტა ლაპარაკი. ძნელი გამოსარკვევი იყო, რომელ დივიზიაში შედიოდნენ „მხიარული ბიჭები“ და რას აკეთებდნენ ისინი იმ ადგილებში. ვეჭვობ, რომ მათ ნათელი წარმოდგენა ჰქონოდეთ ამაზე. იმ დროს, როცა ყველაფერი უფსკრულისაკენ მიექანებოდა, მათ შეჰქმნეს მყუდროება და ისე გრძნობდნენ თავს, როგორც შინ. სხვა ვინ მოახერხებდა ამნაირად შეგუებას მაშინდელ პირობებთან?

ნაბრძანები გვქონდა გაფანტულად გვეევლო, თანაც არ გაგვეწყვიტა კავშირი პოლკის ავანგარდთან. მაგრამ იქ, სადაც ლიანდაგზე [illegible] იყო, ყველაფერი აირია — ძალლი პატრონს ვეღარ სცნობდა. [illegible] დავიიწყეთ ყოველივე და სამზარეულოს ირგვლივ შევჯგუფდით: მეტად წარმტაცი სუნი გამოდიოდა იქიდან. ვერც ერთი მასპინძელი ვერ დაგვიხვდებოდა ისე ტკბილად და ალერსიანად, როგორც შეგვხვდნენ ეს განთავისუფლებული კატორღელები. გაგვინაწილეს ყველაფერი, რაც-კი რამ გააჩნდათ.

მე ერთი უკანასკნელთაგანი შევედი სამზარეულოში. ორი ნაჭერი ხორცი-ღა იყო დარჩენილი, იცდიდა-კი ოც კაცამდე. ქურასთან მაღალი, გამხდარი, უკბილო კაცი იდგა. მისი გადაპარსული თავი უკვე დაეფარა ჯაგარს. მან დიდრონი, გადმოკარკლული, ბაზედის სენით დაავადებული ადამიანის თვალები შემომანათა. მერე ამხანაგებს გადაჰხედა. ოთხნი თუ ხუთნი იყვნენ. თვალებით ერთმანეთს გამოელაპარაკნენ და მაღალმა სთქვა:

— ჩვენს ვახშამს მოგცემთ, ჩვენ-კი გამოვნახავთ რამეს. დამშეულები იქნებით, — და ხორცის დიდი ცვრიანი ნაჭერი მომაწოდა.

მას, სულ ცოტა, თხუთმეტი წლის ციხე კიდევ მოელოდა და არავითარი საფუძველი არა ჰქონდა ასეთი სიბრალული გამოეჩინა.

გზაზე გავედი. ოფლისაგან პერანგი ზურგზე მიმკვროდა. ჰაერი გაჟღენთილი იყო გაზაფხულის, ცვრიანი როსტბივის, წარსულის სუნით. ცა მუქიისფრად იყო შეღებილი. მუცლიდან წინანდელზე უარესი ბუყბუყი. მესმოდა.

საღამოს ათი საათი იქნებოდა, როცა ტყეში შევედით. როგორც იყო, დასვენების ნება მოგვცეს. იქ გველოდებოდნენ დაწინაურებული პოლკოვნიკი და რამდენიმე ოფიცერი. პოლკოვნიკი მიწაზე იჯდა, წინ რუკა გაეშალა. დამიბარა და როდესაც მივედი, თითი დაადო იმ ადგილს რუკაზე, სადაც მეორე დღეს სამეთვალყურეო საგუშაგო უნდა გამემართა.

— მაშ, უკან აღარ დავიხევთ, პოლკოვნიკო?

— არა, პოზიციებს დავიკავებთ. აქ დავხვდებით გერმანელებს.

პოლკოვნიკი, ეტყობოდა, კარგ გუნებაზე იყო. ჩიბუხი გააბოლა, მაგრამ ხელი დააფარა, რომ თვითმფრინავს ცეცხლი არ შეენიშნა.

ხშირი ბუჩქნარი გავარღვიე და ჩემს ამხანაგებს შევუერთდი. ისინი უკვე მოწყობილიყვნენ ღამისსათევად. შაშხანები გვერდზე მოეწყოთ. ყველას დასიებულ-დასისხლიანებული ფეხები ჰქონდა: რამდენიმე დღე ფეხთ არ გაგვეხადა.

სწორედ იმ დროს, იმ საათს, გერმანიის არმიის მოტორიზებული ნაწილები პარიზში შედიოდნენ.

დილის რვა საათისათვის ბრძანება მივიღეთ, ავყრილიყავით და სწრაფი ნაბიჯით ვიენ-ლა-ვილისაკენ გავდგომოდით გზას. ეს ქალაქი დაახლოვებით ოცდაათ კილომეტრზე მდებარეობს იმ ტყის სამხრეთით, სადაც ჩვენ ღამე გავათიეთ. როგორც გავიგე, კაპიტან ბილიეროს სხვა ბრძანებაც მიეღო: წავეყვანეთ არა პირდაპირი გზით, არამედ რკინისგზის ლიანდაგით, რაც ორმოც კილომეტრს უდრიდა. ეს ნიშნავდა, რომ ჩვენ კვლავ ვიხევდით, ამასთან ვიხევდით ყველაზე უფრო საშიშ პირობებში — დღის სინათლეზე.

ჩვენი სწრაფი სიარული ვიენ-ლა-ვილისკენ წარმოადგენდა ძველებურ, საშუალო საუკუნისებურ წამებას, რაც სრულიადაც არ იყო სავალდებულო

თანამედროვე არმიისათვის. არ შემეძლო არ გამეღიმა, როდესაც გავიხსენებდი ჩვენი ბრწყინვალე დამრიგებლის კაპიტან მირამბოს სიტყვებს: „ომი ნიზაციის პროგრესის მეოხებით თანამედროვე ომი საშიშროებას [illegible] აკავშირებს გაჭ[illegible]ვების მინიმუმთან“. ჩვენს პრაქტიკაში მაქსიმალურ გაჭირვებას მუდამ თან სდევდა მაქსიმალური საშიშროება.

რაღა თქმა უნდა, გერმანულმა თვითმფრინავებმა ყველაფერი გაიგეს ჯერ კიდევ ოტრიმდის, საიდანაც რკინიგზა იწყებოდა. ასე გასინჯეთ, მათ არ გამოუწვევიათ ბომბდამშენებიც-კი, თავათ დაეშვნენ ათას ფუტამდე და ტყვიამფრქვევები დაგვიშინეს.

როგორც ყოველთვის, ჩვენ პასუხი ვერაფრით ვერ გავეცით. საჰაერო დაცვისაგან კვალიც-კი აღარ დარჩენილა, ხოლო შაშხანების სროლა აკრძალული გვქონდა, გვეშინოდა ჩვენი პოზიციები არ გამოგვეაშკარავებინა. ვიშალებოდით ბუჩქებში, ველოდით, სანამ „მესერშმიტებს“ არ მობეზრდებოდათ ნადირობა ჩვენზე. ერთი რამ შევისწავლეთ მხოლოდ მტკიცედ: გავიგეთ, რას ნიშნავს წარმოადგენდე ხოხობს ან ირემს.

საბედნიეროდ, მივედით თუ არა რკინისგზასთან, წვიმა წამოვიდა. თავით ფეხებამდე გაწუწულები მივაბიჯებდით ქვებზე ან ვხტოდით შპალებზე. ესკი ძალზე გვღლიდა. ვერ გაგვეგო, რატომ არ დადიოდნენ მატარებლები და რატომ ვიყავით ჩვენ ერთადერთი ცოცხალი არსებანი, რომელნიც შპალებზე დავალაჯებდით. არსად არ დაგვინახავს დაზიანებული ან აყრილი შპალები. არ შეგვიმჩნევია ირგვლივ არც ყუმბარებისაგან ამოთხრილი ორმოები.

უეცრად შემოგვესმა ზარის ხმამაღალი წკარუნი. სადგურს ვუახლოვდებოდით. უცნაურ გრძნობას განიცდი, როცა სადგურს უახლოვდები და იცი, რომ არავინ და არაფერი მიგელის იქ: არც ბარგის მზიდავი, არც სადგურის უფროსი, არც გაზეთი, არც ლუდი, არც მგზავრი. ამ სადგურზე მაშინ ერთი ცოცხალი არსება მაინც იყო: ზარი. მისი მკვეთრი ხმა იქაურობას აყრუებდა. საათიც დადიოდა და გულისგამწყალებელი სიზუსტით გვიჩვენებდა დროს. სულ ცოტა ხანი იყო, ალბათ, გასული, რაც სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაცია მოეხდინათ.

წვიმა უფრო და უფრო უმატებდა შხაპუნს. ცა მოიკუპრა. ბევრმა სადგურამდეც ვეღარ მიაღწია, ისე იყო გაწამებული. რა წამს მოგვესმა კაპიტნის სტვენა — ის-კი თავის სასტვენს ყოველ ორმოცდაათ წუთზე ჩაჰბერავდა ხოლმე — ჯარისკაცები იმავე წამს დაეშვნენ მიწაზე, წამოწვნენ იქ, სადაც იდგნენ. პირდაპირ გუბეებში გაიშხლართნენ. სახეზე წვიმა წურწურით ჩამოსდიოდათ. იქვე-კი, ათ, თხუთმეტ, ოც ნაბიჯზე შენობა იდგა, სადაც შეეძლოთ თავის შეფარება. მაგრამ ძალა აღარ შესწევდათ ორი ნაბიჯის გადასალგმელადაც-კი. ეყარნენ ქვიან მიწაზე, სადგურის წინ, საათს ქვეშ. ზარი კი წკარუნებდა.

მე და ჩემთან ერთად რამდენიმე სხვა კაცი, როგორც იყო, მივსანსალდით სადგურამდე. კარი ღია იყო. ქარი ხან ერთ, ხან მეორე დარაბას აჭრიალებდა. სადგურის უფროსის მაგიდაზე საბუთებისა და წერილების მთელი გროვა ეყარა. ქარმა აიტაცა რამდენიმე ქაღალდი და ოთახში მიმოფანტა. კედლები დარბაზისა, სადაც ხალხი მატარებლებს უცდის, აჭრელებული იყო „1940 წლის ზაფხულში მატარებლების მოძრაობის განრიგებებით“. შრიალებდა პლაკატი, რომელსაც ერთი კუთხე აჰგლეჯოდა. მეორე პლაკატიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკლამის სულელური თვალებით დამცქეროდა საბანაო სამოსში გაბერწყობილი მზეთუნახავი, რომელიც კოტ დ'აზიურს წარმოსახავდა.

დარბაზში თვალი მოვკარი ჯარისკაცს. რკინის ღუმელს ბოლოდროინდელი შუა ოთახში სკამზე იჯდა. „ვინ უნდა იყოს? — გავიფიქრე. — სახე თითქმის შეცნობა. ჩვენი პოლკიდან არ არის. არ ვიცნობ". უცნობმა შემომხედა და ღიმილად გადაიქცა. ფერწასული, გამხდარი სახე ჰქონდა. ქვედა ქუთუთოები ისე ეკიდა თვალებ-ქვეშ, როგორც უძლურ ადამიანს ტომარა ზურგზე.

გამოველაპარაკე და როდესაც პასუხი გამცა, ვიცანი. ჩვენი ასეულიდან იყო — დავით ლაიფერი. ერთ დროს ჯანმრთელი კაცი იყო ლაიფერი. პროფესიით მბეჭდავი, იგი ასეულის კანცელარიაში მუშაობდა. პირველი მსოფლიო ომის დროს მისი მამა ინტერნაციონალური ლეგიონის რიგებში იბრძოდა. ბარკარესში ლაიფერს ყოველ დღე ვხვდებოდი. ეს ღაჟღაჟა, ჯან-ღონით სავსე ადამიანი ყველაფერში იღებდა მონაწილეობას და ყველგან სასარგებლო კაცი იყო. შაბათობით ნათესავებთან დადიოდა ნარბონში და ტკბილეულით დატვირთული ბრუნდებოდა. ერთ დროს მისი საწოლი ჩემი საწოლის გვერდით იდგა. ახლა-კი ძლივს ვიცანი.

ვკითხე, საჭმელი ხომ არა გაქვს-მეთქი. ბარგის ტოპრაკზე მიმითითა. სარდინის კოლოფი ამოვიღე. ნება მომცა გამეხსნა. შუაზე გავიყავით. ლაიფერმა ხუთიოდე სარდინი შეატანა შავი პურის ნატეხს, რომელიც მე მივეცი. ძალზე შიოდა თურმე, მაგრამ ღონე აღარ შესწევდა ტოპრაკი გაეხსნა.

სადგურის უფროსის კაბინეტის კარი კვლავ ჭრიალებდა. მივედი მისახურავად და როცა კაბინეტში შევიხედე, დავინახე შიგ ქერა დეზი. მან ვერ შემნიშნა. შევყურებდი და გაოცებული ვეკითხებოდი თავს, ხომ არ შეიშალა ჭკუაზე-მეთქი. ქერა პატარა დეზი, შესანიშნავი ინჟინერ-ელექტრიკოსი, რომელმაც არ იცოდა, რა იყო დაღლილობა, რომელიც არასოდეს არა ჰკარგავდა სიმამაცეს და უმძიმეს წუთებშიაც კი არ ივიწყებდა მსოფლიო საკითხებს,—აი ეს დეზი გიჟივით დარბოდა წინ და უკან ოთახში და რაღაცას დაეძებდა: ურევდა ქაღალდებს სადგურის უფროსის მაგიდაზე, ჩაჰკირკიტებდა ტელეფონის აპარატს, ცდილობდა საათის გაღებას. ფოლადის მუზარადი გვერდზე ჩამოსცურებოდა ქერა თავიდან, ხოლო კისერზე წყალი წურწურით დასდიოდა.

ბოლოს გამოველაპარაკე.

დეზი სწრაფად მოტრიალდა და გაშეშებული შემომაშტერდა.

— რას სჩადიხართ?

— დავეძებ, — მომიგო.

მის პატარა თვალებში უცნაურმა სხივმა გაიელვა. ჭორფლიანი სახე მთლად გაუყვითლდა.

— რას?

— აგერ, ხომ გესმით ზარის წკარუნი?

დეზი განაგრძობდა ძებნას, ურევდა ქაღალდებს, სწევდა მაგიდის უჯრებს. გაჩუმებული შევყურებდი. ბოლოს მომიახლოვდა, სახეში ჩამაცქერდა, მითხრა:

— როგორ იტანთ ამ წკარუნს? მე არ შემიძლიან. უნდა გავაჩუმო. მაგრამ როგორ?

შემოვიდა ანრი ლაიფერი. ლაიფერს თავი მოჰქონდა იმით, რომ ერთადერთი უკანასკნელი მოტოციკლი ჩვენს ასეულში მას ეკუთვნოდა. შარაგზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდა და აქ მოგვნახა. ომამდე ლაიფერი თავის ძმასავით მბეჭდავი იყო. შარაგზაზე ყველაფერი წესიერად არის, დაუბრკოლებლად შეიძლება გზის განგრძობაო. გვკითხა თავის ძმაზე. ოთხი დღე არ ენახა.

— ეს არის ახლა თქვენ გვერდით ჩამოუარეთ, — მივუგე მე: — დარბაზში ზის.

გაკვირვებულმა შემომხედა. რაღაც უნდა ეთქვა, პირი გააღო, მაგრამ კვლავ მოკუმა, მიტრიალდა და გავიდა. მივხვდი, რომ ვერ იცნო ძმა.

გავიდა სულ თორმეტი წუთი. გაისმა ხანგრძლივი სტვენა. პლატფორმაზე გავედით. გარეთ გუბეებში მწოლარენი ავტომატურად წამოდგნენ.

სადგურს იქით, ნაცრისფერ ნისლში ოდნავ მოსჩანდა ეკლესიის სამრეკლო. კედელზე ცხრილს შევხედე, სადაც ქალაქის სახელი იყო აღნიშნული.

ამ ქალაქს მონპლეზირი ეწოდებოდა — ჩემი სიხარული.

კილომეტრის მანძილზე კიდევ მესმოდა ყურებში ზარის წკარუნი. შემდეგ გავყევით ლიანდაგს. ვხედავდით რელსებს, კიდევ და კიდევ რელსებს. დაუსრულებლობის სიმბოლოდ გვეჩვენებოდნენ ისინი. პარალელური ხაზები ერთმანეთს ხვდებიან დაუსრულებელ სივრცეში, — ჩამჩურჩულებდა რომელიღაც ხმა შიგნით. ეს იყო ფრანც-იოსების სახელობის გიმნაზიის გეომეტრიის პროფესორის, ჩემი მასწავლებლის სტეფანის ხმა. ხმა, თითქოს დამცინისო, წამდაუწუმ იმეორებდა: პარალელური ხაზები დაუსრულებელ სივრცეში ერთმანეთს ხვდებიან, რელსები დაუსრულებლობაში ერთმანეთს ხვდებიან. რელსები და პარალელური ხაზები ერთი და იგივეა. ჩვენ პარალელურ ხაზებზე მივდიოდით, დაუსრულებლობაში მივდიოდით.

ძარცხნივ და მარჯვნივ ტყე იყო გადაჭიმული. ხოლო ტყეში რაღაც მოძრაობდა. თითქოს სადღაც ბრძოლაა. მესმოდა ტანკების რახრახი. ეს რახრახი — ბრძოლის ხმა — მარჯვნივ და მარცხნივ ისმოდა.

— ნეტავი რა ხდება იქ? — ვკითხე ადიუტანტ დარუსის, რომელიც რელსებზე ხტუნვით დამეწია.

მოხუცმა ჯარისკაცმა მხრები აიჩეჩა. იგი კოლონას მოსდევდა და გაჭირვებულთ ეხმარებოდა: მათარაში რამდენიმე წვეთი gniol-ი ჰქონდა და მას აწკდიდა ყველას, ვისაც ესაჭიროებოდა. როგორც ადიუტანტი, დარუსი საშუალო ხარისხით იყო აღჭურვილი: უნტერ-ოფიცერზე უფროსი იყო და ობერ-ოფიცერზე უმცროსი. ჩვეულებრივად მას თოფი არ დაჰქონდა, მხოლოდ რევოლვერი ეკიდა. მაგრამ ახლა ორი თოფი მოჰქონდა იმათი, ვისაც მათი ტარების თავი აღარა ჰქონდა. მაგრამ დარუსი ახლაც-კი არა ჰკარგავდა სიმხნევეს. ეს კია, არ ეხურა ფოლადის მძიმე მუზარადი. ეს ძველი მებრძოლი, რომელიც ჯერ ფლოტში მსახურობდა, შემდეგ უცხოელთა ლეგიონში და, ბოლოს, ქვეითი მეომარი იყო პირველ მსოფლიო ომში, უარს აცხადებდა მუზარადის ტარებაზე. იგი არ იშორებდა ლეგიონერის თეთრ კეპის. გაუგებარი იყო, როგორ ახერხებდა დარუსი ამ კეპის სისუფთავის დაცვას მუდამ. თეთრ კეპის ატარებდა დღისითაც და ღამითაც, მიუხედავად ოფიცრების პროტესტის და პოლკოვნიკის მუქარისა, ატარებდა მას ნაღმების ჩაწყობისაც, პატრულში ყოფნისაც. ახლაც კეპი ეხურა.

დარუსიმ იცოდა, რომ არდენში სახლი გადაუწვეს, რომ ცოლი და პატარა ბავშვები სადღაც გაიქცნენ, რომ შვილი მეორე ფრონტზე იბრძოდა. მაგრამ იცოდა ისიც, თუ რა არის მოვალეობა. ეზიზღებოდა თვალთმაქცები, უყვარ-

და ზამაცები. ეხმარებოდა სუსტებს და არად აგდებდა სიკვდილს. ასეთი იყო ადიუტანტი დარუსი. სხვა ჯურის ხალხთან ერთად საფრანგეთის ... საკმაოდ იყვნენ.

ბიბლიოთეკა

— არ ვიცი, რა ხდება, — მომიგო მან კითხვაზე. — მაგრამ მაგას თავი დანებოთ. სჯობს გამომყვეთ. აბა, ჩქარა!

გავუგონე და გავყევი. დარუსი დარაჯის ქოხთან იყო, როცა ქაქანით დაეწია.

— ჩვენ პირველნი ვიქნებით, — მითხრა მან ღიმილით.

ფიცრის ღობეზე გადაძვრა, მეც უკან მივყევი. არ შემცდარა: ეზოში წავაწყდით შინაური კურდღლებით სავსე საკურდღლეს. განცხრომაში იყვნენ: უდარდელად სძოვდნენ ბალახს. დარუსიმ სამ კურდღელს დასტაცა ხელი ყურებში. ორი მე მომაჩეჩა.

— ესენი შენ წამოიყვანე, — მითხრა: — ადამიანს საკვები სჭირია.

ხელში ორი მოფართხალე კურდღელი მეჭირა, როცა დარაჯის სახლს თვალი შევავლე. წითელი გერანიუმები, ჩემი საყვარელი ყვავილები ბავშვობისას, ჯერ კიდევ გამოიყურებოდნენ ფანჯრიდან. გამახსენდა ბებია, მოხუცი გლეხი-ქალი ბალატონ-ბოგლიარში, უნგრეთის შუაგულში, ბებია, რომელსაც ეს ყვავილები მოჰყავდა.

სწრაფად ამოვიღეთ ჭიდან წყალი. ამასობაში კოლონა დარაჯის სახლს გაუსწორდა. ასამდე მებრძოლი შემოეხვია ჭას. აწვებოდნენ და ხელებსა ჰკრავდნენ ერთმანეთს. წყალი სწყუროდათ, მაგრამ ჩამორჩენა არავის არ უნდოდა. აღარვის სცხელოდა თავაზიანობისათვის, ამხანაგობა-მეგობრობისათვის.

მეორედ ტყის პირად შევჩერდით. პატარა არხი გვყოფდა ტყეს. არხი ღრმა იყო, მაგრამ სიგანით ერთი ნაბიჯი თუ იქნებოდა. არხს იქით მარწყვი მოსჩანდა — მწიფე, თვალის მომჭრელი მარწყვი. მაგრამ ერთი მარცვალიც არავის მოუწყვეტია, არავინ გადამხტარა არხზე.

ბრძოლის ხმაური ახლოვდებოდა. ლიანდაგით მოვდიოდი. ხელში მეჭირა მოფართხალე ოთხფეხი მეგობრები. კაპიტანმა რამდენიმე ნაბიჯი ჩემს გვერდით გაიარა.

— ეს ჩვენი ტანკები არიან, — სთქვა მან, — ორი მხრიდან გვიცავენ და გვიფარავენ.

ტყიდან საზარელი კივილი მოგვესმა. ვიცოდით ყველამ, რას ნიშნავდა ეს კივილი. ეს იყო მომაკვდავი დაჭრილის სევდით სავსე ძახილი. ერთმანეთს გადავხედეთ, მაგრამ ხმა არ ამოგვიღია. ისე-კი ტყე მშვიდობიანად გამოიყურებოდა. ტოტებიდან წვიმის წვეთები ეცემოდნენ. მიწას ოხშივარი და სურნელება ასდიოდა.

ტყეს გავცდით. ბრძოლის ხმა უკვე შორიდან მოდიოდა და თანდათან ყუჩდებოდა. მუხლუხების ღრაჭუნი ქუხილის მილეულ გრუხუნს ჰგავდა. ორივე მხრიდან გვიცავენ და გვიფარავენ, — გავიმეორე ჩემთვის. ჩვენი ტანკები...

წვიმამ გადაიღო. ღამე ისე დაეშვა, რომ არ შეგვინიშნავს. მთელ დღეს წვიმის ღრუბლებისაგან მოღუშული ცა ერთბაშად ღამის ცად გადაიქცა. მხოლოდ მის კიდურზე ბჟუტავდა ყვითელი ზოლი.

მარჯვნივ და მარცხნივ ვაკე იყო გადაჭიმული. მახლობლად ბალახში ჯარისკაცები იწვნენ. მათი ცხენები ველზე სძოვდნენ. კავალერისტები იყვნენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესენი. ცხენოსანთა ორი ეხკადრონი იყო იქ. დაღლილ ჯარისკაცებს ბაგრა ეძინათ. ცხენები ჭიხვინებდნენ.

— ჩვენი ტანკები, — სთქვა დარუსმა.

ერთად ვიდექით და ვაკეს გავყურებდით. მიწას ოხშივარი ასდიოდა. იგი სალაშქრო კოცონების კვამლს ჰგავდა.

— რა წარმტაცი ქვეყანა იყო საფრანგეთი! — წამოიძახა დარუსმა.

მის სიტყვებში სიმწარე არ ისმოდა. უფრო მადლობას გამოხატავდნენ ეს სიტყვები, მადლობას იმისათვის, რაც იყო და რაც აღარ არის.

ვიენ-ლა-ვილი პირველი ქალაქი იყო, სადაც სამოქალაქო მოსახლეობას შევხვდით. ჩვენ ჩრდილოეთიდან შევდიოდით, როცა ვიენ-ლა-ვილის მცხოვრებნი სამხრეთიდან გადიოდნენ.

ამ ადგილამდე გარეგნობით მაინც იცავდნენ წესრიგს უკანდახევის საქმეში. აქ-კი სრული ქაოსი იყო გაბატონებული. სამი გზით მომავალი, უბრძოლველად დამარცხებული არმია ეშვებოდა მეოთხე გზაზე — შარაგზაზე, რომელიც სამხრეთისკენ მიემართებოდა. არტილერისტებს თავიანთ ფურგუნებზე ეძინათ. ცხენები ერთ ადგილას იდგნენ ან ტაატით მიიზლაზნებოდნენ. თითქმის ყველა მექანიკურ მზიდავს სრულიად დაუზიანებელი ქვემეხი მისდევდა, მხოლოდ ზოგიერთი მზიდავი მიათრევდა ცარიელ საზიდს. გზა-ჯვარედინზე მოძრაობას არავინ არ აწესრიგებდა. ამიტომ მალე ყველაფერი აირია. ოთხთვალა ოთხთვალას ეჯახებოდა. გზის ასაქცევი ადარ იყო. მოძრავი ნაკადი სამი მხრიდან მოედინებოდა. თავი მოიყარა ათასმა საბარგულმა, მრავალმა ათასმა ცხენმა, უამრავმა ზარბაზანმა და ტყვიამფრქვევმა.

დრო და დრო, თითქო სასწაული მოხდაო, გაჭედილი ადგილი ცარიელდებოდა: ჯარი განაგრძობდა წინსვლას, დაძრული ფურგუნები ერთმანეთს უსწრებდნენ. თითქმის ყველა ფურგუნზე ქვეითი ჯარისკაცები ისხდნენ. მათ არ იცოდნენ, სად მიდიოდნენ. ზოგზე მტევნებივით ეკიდნენ. როცა ტვირთი ძალზე მძიმდებოდა, ცხენები ჩერდებოდნენ. მაშინ მეეტლე იღვიძებდა და თავის შოლტს ატლაშუნებდა ჯერ ცხენების თავზე, მერე, თუ ეს არა შველოდა, ადამიანების თავზედაც. მეტწილად არც ეს შველოდა საქმეს. დაუსრულებელი სიარულით გაწამებული ქვეითი ჯარისკაცები სასოწარკვეთილებით ებღაუჭებოდნენ საზიდებს და ფურგუნებს. ზოგჯერ ჩამოკიდებულს ძილი ერეოდა, ჩაბღაუჭებული თითები უდუნდებოდა, თავს ვეღარ იმაგრებდა და გზაზე ვარდებოდა. უკან მომავალი ცხენები ფეხით სთელავდნენ, თვლები ზედ გადადიოდნენ.

ჩვენ ვიენ-ლა-ვილში გავჩერდით. მე ჩემი მზვერავებით დავიჭირე პატარა ყვითელი სახლი გზის მარცხენა მხარეზე, რომელიც ის იყო მიატოვეს მისმა პატრონებმა. ჩვენი თვალით დავინახეთ, როგორ გამოვარდნენ სახლიდან და მიიმალნენ სიბნელეში პატრონები. არ ვიცი, საით წავიდნენ. განა თითონ-კი იცოდნენ? ყოველ შეშთხვევაში სახლი დაუკეტავი დარჩა. ნახევარი სახლი ცეცხლში იყო გახვეული. ცეცხლი ციდან ეშვებოდა. უბედურება ყველა მხრიდან მოიპარებოდა. რაღა საჭირო იყო კლიტეები? ყველას ესმოდა, რომ სახლის დაკეტვა უაზრობა იყო.

ბედმა მყუდრო ბურჟუაზიული ბინა გვარგუნა. ეტყობოდა, პატრონები გაუჭირვებლად ცხოვრობდნენ. ჯერ სამზარეულოში შევედით. იქ, ღუმელში, მოხრაკული საჭმელი აღმოვაჩინეთ. ალბათ, ოჯახი ვახშმად დაჯდომას

აპირებდა. გაიქცნენ სასწრაფოდ, რაიმე ხმით დაშინებულნი. მოხრაკული, რასაკვირველია, დამწვარი აღმოჩნდა. მაგრამ ორი შინაური კურდღელი მქონდა იღლიაში ამოჩრილი. კელენბერგერმა ორი ქათამი დაჭერა. ბარაკ კარტოფილს ფცქვნიდა. შემოგვიერთდა ორი სხვაც. ისინი კომპოტის ქილების ამოლაგებას შეუდგნენ. ბარატი ყველიან მაკარონს ამზადებდა.

კურდღლები მაგიდაზე დავსხი და ჩემი წილი კარტოფილი გავფცქვენი. მერე ბინის დათვალიერებას შევუდექი. ბინა მეტად ხალვათი და კომფორტაბელური აღმოჩნდა.

საწოლ ოთახში დიდი პირსაბანი იდგა. წყალი მივიტანე, ტანთ გავიხადე და დავიბანე. აღარ მახსოვდა, რამდენი ხნის უბანელი ვიყავი. დაბანვა სიბნელეში მომიხდა. მაგრამ პირსახოცის ძებნაში სანთელს წავაწყდი. როცა მოვუკიდე, პირსაბნის თავზე დიდი სარკე დავინახე. სარკიდან ჩამომხმარმა უცხო სახემ შემომაჭყიტა. მოლივლივე შუქმა ეს სახე ნაოჭების ცხრილში გაახვია. სარკე ძველი იყო, დაკაწრულ-დაფხაჭნილი. ჩემი სახეც დაჩაჩანაკებული და დაფხაჭნილი გამოჩნდა.

ფანჯრიდან ქუჩაში გავიხედე. დაუსრულებელი ნაკადი მიედინებოდა: ადამიანები და ფურგუნები, ცხენები და ზარბაზნები. ნელი, მეტად ნელი ნაბიჯით მიიზლაზნებოდნენ კოლონები. მცირე ხნით ჩერდებოდნენ, მერე კვლავ მიიწევდნენ. ბოლო არ უჩანდა ნაკადს. ჩემს უკან სანთელი ბეუტავდა.

ვიდრე სამზარეულოში დავბრუნდებოდი, განვიზრახე გამეგო ჩვენი ხვალინდელი მოქმედების გეგმა. წავედი კაპიტანთან, რომელიც მეზობელ სახლში იდგა. ძველ დივანზე იწვა, მთლად მოშვებულ-დაძაბუნებული. შემებრალა. ასეთი პასუხისმგებლობის საზიდად მას ძალა არ შესწევდა. ან-კი ვინ აუვიდოდა ესოდენ რთულ ამოცანას? თვალებ-მოჭუტული, ოდნავ გასაგონი ხმით მელაპარაკებოდა.

— განზრახული გვქონდა გავჩერებულიყავით აქ, — სთქვა მან: — მაგრამ მივიღე ბრძანება, მომეხდინა ქალაქის ევაკუაცია. შუაღამის სრულ თორმეტ საათზე გავდივართ.

— შეუძლებელია ეგ, კაპიტანო!

პასუხი არ გამცა. მაგრამ როცა ლაპარაკი განვაგრძე, გამაწყვეტინა:

— ვიცი, ვიცი. ყველა ძალზე მოღალულ-მოქანცულია. დღეს ორმოცი კილომეტრი გავიარეთ. ეს ყოველ ძალ-ღონეს აღემატება. მაგრამ რა შემიძლიან მე? ასეთია ბრძანება...

ჩაფიქრდა. მერე წამოჯდა:

— სენტ-მენეგულდს უნდა მივაღწიოთ. უნდა დავიცვათ სენტ-მენეგულდი. ათ კილომეტრზე მდებარეობს აქედან.

კვლავ ჩაფიქრდა.

— დილის ოთხ საათზე უნდა დავიკავოთ პოზიციები სენტ-მენეგულდში, მის სამხრეთით. ერთი გზაა მხოლოდ: ვისაც როგორ შეუძლიან, ისე უნდა მიაღწიოს ამ ადგილს. ვერავის ვაიძულებთ ქვეითად იაროს.

— გასაგებია, კაპიტანო.

ავდექი, წამოსასვლელად მოვემზადე. კაპიტანმა ხელი გამომიწოდა.

— გმადლობთ, გაბე, გმადლობთ იმისთვის, რომ დღემდე აქა რჩებით.

როდესაც კარი გავაღე, მომაძახა:

— იმედია, რომელიმე მანქანით მოახერხებთ მისვლას დანიშნულ ადგილამდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივხვდი იმ წუთს, რომ ომი წაგებული იყო, რომ ეჰვის შეტანა ამაში აღარ შეიძლებოდა.

ეზოში, ფარდულთან წავაწყდი სერჟანტ გერბერს, როგორც ყოველთვის, კმაყოფილს და ლოყებ-გაღაჟღაჟებულს.

— გაიგეთ ახალი ამბავი? — მკითხა.

— არა, არ გამიგია.

— გუშინ საღამოთი გერმანელები პარიზში შევიდნენ.

გულში რაღაც ჩამწყდა. თამამად შემიძლიან ვთქვა, რომ იმ წუთს გამახსენდა ყველაფერი ის, რითაც პარიზი ძვირფასი იყო ჩემთვის. გამახსენდნენ სანაპიროები, სენ-მიშელის მოედანი, მყუდრო ქუჩები ინვალიდების სახლის ირგვლივ, ის გაზაფხული, როცა აივნიდან მაკ-მაგონის მოედანს გავყურებდი. ღიაღ, გამახსენდა პარიზი, ყველა სხვა ქალაქზე უფრო წარმტაცი, ყველაზე უფრო უცნაური, ყველაზე უფრო უკვდავი ქალაქი — ტიუილიერის, ტრიუმფალური თაღის, ბულონის ტყის პარიზი. თვალწინ მედგა მისი ვერცხლისფერ-ვარდისფერი ცა, ენის წვერით ვგრძნობდი მის ჰაერს, პარიზის რბილ, მიმზიდველ, მუდმივი გაზაფხულის ჰაერს. ასე შემეძლო მეთქვა, მაგრამ ეს მართალი არ იყო: არასფერს არა ვგრძნობდი და ვერაფერს ვერა ვხედავდი. მაგრამ არა, ვხედავდი სერჟანტ გერბერის კისერს და ვგრძნობდი მხოლოდ ერთ რამეს: სიამოვნებით დავახრჩობდი მას.

თავი შევიკავე. ძლივს შევიოკე ბრაზი. ხარისხით იმაზე დაბლა ვიდექი და ვერ ვუბრძანებდი. მხოლოდ მხრებში ხელი ვტაცე, რაც ძალა და ღონე მქონდა შევაჯანჯღარე და შევძახე:

— გამიგონეთ, გერბერ: თუ მაგაზე სიტყვას დასძრავთ ვინმესთან, ძაღლივით გაგიპობთ ტყვიით შუბლს.

ხელი გავუშვი. ქუჩა გადაირბინა, ცეცხლ-წაკიდებულ სახლისკენ გაეშურა. მომეჩვენა, თითქოს ალში გახვეულიყოს. ნამდვილად-კი არაფერი ამის მსგავსი არ დამართნია. შემდეგში გავიგე, რომ იმ წუთს, როცა ვიენ-ლავილიდან უნდა გავსულიყავით, მას „ეპილეპტიური დამბლა“ დამართნია. მიწაზე გაშხლართული კარგა ხანს იკლაკნებოდა და იკრუნჩხებოდა თურმე. გერბერი ქალაქში დაუტოვებიათ. რამდენიმე საათის შემდეგ ვიღაცას დაუნახავს, ჩიბუხის ცეცხლით როგორ აძლევდა ნიშნებს გერმანულ თვითმფრინავს. ერთმა სთქვა, არტილერიის ოფიცერმა ტყვია დაახალა და იქვე დააწვინაო. სხვები ამტკიცებდნენ, რომ საჭირო წუთს კვლავ დაემართა „ეპილეპტიური დამბლა“ და ემართებოდა ეს დამბლა იმ დრომდე, სანამ გერმანელები ქალაქში არ შესულან. მაშინ გერბერი სათანადო მოხსენებით წარუდგა თურმე თავის დამჭირავებლებს. მას შემდეგ გერბერს აღარსად შევხვედრივარ.

დავუბრუნდი ჩემს მზვერავებს: ფრთხილად უნდა მეცნობებინა მათთვის, რომ დასვენება არ მოგვიხდება და რომ შუაღამისას კვლავ გავუდგებით გზას.

ჩვენი დროებითი ბინა ათასი საამო სუნით იყო გაჟღენთილი. გვშიოდა უზომოდ. აღტაცებულნი ვიყავით ნაირ-ნაირი სუნით, საჭმლის მზადებით, მისი სიუხვით. მაგრამ დაგვავიწყდა ანგარიში გაგვეწია ჩვენი კუჭებისათვის: იმდენი ვილაპარაკეთ ჩვენს მადაზე, რომ ახლა გამბედაობა არა გვყოფნიდა გამოვტეხილიყავით, რომ ჭამა აღარ შეგვეძლო. ვურევდით და ვჩიჩქნიდით საჭმელს მადა-დაკარგული ბავშვებივით, რომელნიც ცდილობენ მშობლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრტყუებას. თეფშის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადაგვქონდა კერძები. ბოლოს მუცლის გვრემა აგვივარდა.

დროგამოშვებით ერთ-ერთი ჩვენგანი დგებოდა და გარეთ გადიოდა ეზოს გასაგებად, თუ არ ხდებოდა ქუჩაში. ჯარის მოძრაობა არ შეწყვეტილა. გარაი უნდა გასულიყო. იგი წამოდგა და გარედ გავიდა. ორიოდე წუთის შემდეგ შემობრუნდა. სანთლების მკრთალ შუქზედაც-კი შევამჩნიეთ, რომ სახეზე ფერი არ ედვა. მუხლები უკანკალებდნენ. მდუმარედ ჩამოჯდა სკამზე.

კითხვები მივაყარეთ, მაგრამ ის ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— გერმანელები პარიზში არიან!

ვერ მოვითმინე:

— ვინ გითხრათ? — მკვახედ მივაძახე.

— ლეიტენანტმა სენ-ბრისმა.

ყველა მიხვდა, რომ გაგონილი ამბავი მართალი იყო.

სუფრიდან წამოვიშალენით. აზრად აღარავის მოსდიოდა ვახშმის განგრძობა. ერთი ლუკმის გადაყლაპვაც-კი აღარ შეგვეძლო. კელენბერგერმა ჩვეულებისამებრ ხმამაღლა შეგინება სცადა, მაგრამ არა გამოუვიდა-რა.

გადავეცი ამხანაგებს კაპიტნის სიტყვები. გადავწყვიტეთ, დაუყოვნებლივ დავწოლილიყავით დასაძინებლად, რომ ორი-სამი საათი მაინც დაგვესვენა.

სათითაოდ გავედით ოთახიდან. ყველა ჩვენგანს განმარტოება სწყუროდა. ვერაფრით ვერ ვანუგეშებდით ერთმანეთს. იმნაირმა გრძნობამ შეგვიპყრო, თითქო მომკვდარიყოს ისეთი ქალი, რომელიც ყველა ჩვენგანს თავისებურად უყვარდა.

გარეთ ბაგა-ბუგით მიდიოდა დამარცხებული ჯარი, მიდიოდა და თან თავს ვერ ართმევდა ძილს.

საწოლ ოთახში კელენბერგერი ტალახიანი წაღებით მეუღლეთა სარეცელზე გაიშხლართა. დანარჩენნი რაღაც უხერხულებას გრძნობდნენ და ასეთ რამეს ვერა ჰბედავდნენ. მე ლეიბი ავაცალე საწოლს და იატაკზე წამოვწექი. სანთელი თავდებოდა, ძლივს-ღა ბჟუტავდა. მოვნახე თბილი საბანი, თავიან-ფეხებიანად გავეხვიე შიგ და დავიძინე. სრული დავიწყებისათვის რამდენიმე წუთი კიდევ მრჩებოდა.

გავიღვიძე თითქმის დასვენებულმა. შუაღამე იქნებოდა. ამხანაგებს გამოვემშვიდობე. მოვნახე ჩემი შაშხანა, მათარა და ბარგის ტოპრაკი. საკუთარი საბანი დიდი ხანია დავკარგე. ავიღე ის საბანი, რომელიც საწოლ ოთახში იყო. აღარ დამიხვევია, წამოვისხი და ზედ საბარგო ტოპრაკი ჩამოვიფხატე და ასე სრულიადაც არა მეომრულად შემოსილი ქუჩაში გავედი. ცივმა, სუსხიანმა ქარმა კარებშივე შემომიტია. უკანდახეული არმია ისევ ისე განუწყვეტელ ნაკადად მიედინებოდა.

გზის პირას გავჩერდი და ცდა დავიწყე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მთარგმნელი **ილია აგლაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო შადური

ლენინგრადი და ქართული კულტურა

240 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც საძირკველი ჩაეყარა პეტერბურგს. 240 წლის განმავლობაში პეტერბურგი (ლენინგრადი) მიუვალ ციხესიმაგრედ სდგას თავხედ დამპყრობელებისათვის. 240 წლის მანძილზე იგი არც ერთი დღით არ დამორჩილებია გარეშე მტერს და არც ოდესმე დაემორჩილება.

ჯერ კიდევ „ჩრდილოეთ ომში" პეტრეს ქალაქი ამაყად იდგა და მარჯვნივ და მარცხნივ ვაჟკაცურად ურტყამდა მტერს. ნაპოლეონი ცდილობდა პეტერბურგისაკენ გაჭრას, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა. ვილჰელმ მეორემაც მოისურვა ამაყი ქალაქის აღება, მაგრამ ახალგაზრდა წითელმა არმიამ მას ქალაქის შორეულ მისადგომებზევე მკაცრი მახვილი აგემა და სულელურ განზრახვაზე ხელი ააღებინა. ასევე უშედეგოდ ჩაიარეს იუდენიჩისა და მანერჰეიმის დამპყრობლურმა ცდებმა.

1941 წლიდან ცდილობდნენ ფაშისტი ყაჩაღები დიდი ლენინის თავისუფალი ქალაქის დამონებას, ლენინგრადელების სიმამაცის გატეხას დაბომბვით, ბლოკადითა და შიმშილით. მაგრამ ამაოდ. არ არსებობს ქვეყნად ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ლენინგრადელების ვაჟკაცობისა და გამძლეობის გატეხა. მან ყველაფერს გაუძლო, ყოველგვარი გაჭირვება გადაიტანა და მტერი ქალაქში არ შეუშვა. პირიქით, თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა და 1943 წლის იანვარში ქალაქის ბლოკადა გაარღვია.

პეტრეს და პუშკინის ქალაქი, ლენინის დიადი ქალაქი, საბჭოთა ხალხების გმირი ქალაქი, არის და დარჩება თავისუფალ ქალაქად, კულტურის გაჩირაღდნებულ კერად, საბჭოთა ხალხისა და პროგრესიული კაცობრიობის საყვარელ და საამაყო ქალაქად.

კერძოდ, ქართველი ხალხისათვის ლენინგრადი ყოველთვის საყვარელ ქალაქად ითვლებოდა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რუსი და ქართველი ხალხის ის მეგობრობა და კულტურული თანამშრომლობა, რომელიც ძველი დროიდანვე მომდინარეობს, განსაკუთრებით ნათლად მოსჩანს ლენინგრადსაქართველოს ურთიერთობის ისტორიაში.

რუსი და ქართველი ხალხები, მათი მოწინავე ადამიანები, სამშობლოსა და თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლნი, ცარიზმის სასტიკი რეჟიმის მიუხედავად, საუკუნეების მანძილზე იკაფავდნენ გზას ერთმანეთთან მეგობრული კავშირის დასამყარებლად, კულტურული თანამშრომლობის განსამტკიცებლად. ისინი ხშირად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი იბრძოდნენ ხიშტითა და კალმით საერთო, გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ, ერთად მეგობრულად შრომობდნენ, ერთმანეთზე გავლენას ახდენდნენ.

„ქართველ ხალხს ისტორიის გრძელ მანძილზე უძებნია გულითადი მეგობარი, ჭირისა და ლხინის მოზიარე ნამდვილი მოძმე, რომელიც განსაცდელის დროს უავთანდილებდა მას. და მეგობრულ ხელს გაუწვდიდა. ... ჩვენი წინაპრების თვალი დიდი რუსეთისაკენ მიპყრობილია და მეთექვსმეტე საუკუნიდან ქართველთა შეგნებაში რუსთა ქვეყანა სასურველ მოძმედ გამოსახულა. ჩვენი ხალხის სახელმწიფო მოღვაწენი და სახელოვანი მწერლები რუსეთისადმი შეურყეველი ნდობით და სიყვარულით იყვნენ გამსჭვალული. მათ მთელი თავისი ძალ-ღონე შეალიეს დიდ რუსეთთან კავშირისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეს. მათი მისწრაფება ქართველ ხალხში მომწიფებულ სულისკვეთებას გამოხატავდა.

„რუსეთი ძველთაგანვე ბევრი გამოჩენილი ქართველის მეორე სამშობლო გამხდარა და ქართველებსაც არა ერთხელ დაუმტკიცებიათ ბრძოლის ველზე თავის მეორე სამშობლოსადმი მამაშვილური ერთგულება და თავდადება“ („ქართველ მებრძოლთა წერილი საქართველოს მშრომელებს“, „კომუნისტი“, 18 მაისი, 1943 წ.).

მეორეს მხრივ, „საქართველო, მშობლიური მხარე, წმინდა თავისუფლებისა და გაბედული, ამაყი სულის სკოლა გახდა რუსი ხალხის მრავალი საუკეთესო შვილისათვის.

„მეფის მთავრობა მრავალ დეკაბრისტს ჰგზავნიდა კავკასიაში, როგორც გადასახლებულს, მაგრამ ისინი, კეთილშობილი რუსი პატრიოტები, ძმურ თავშესაფარსა და გულთბილ სტუმართმოყვარეობას პოულობდნენ ქართველ ხალხში. დიდი რუსი პოეტი გრიბოედოვი შევიდა ქართულ ოჯახში, დაუმოყვრდა მას და მის საფლავს თბილისში ერთნაირი პატივისცემით ეპყრობიან რუსებიც და ქართველებიც. პუშკინისა და ლერმონტოვისათვის საქართველო მეორე სამშობლო იყო. ისინი ქებას ასხამდნენ საქართველოს მთებს და მისი შვილების სიმამაცეს“ („სსრ კავშირის ხალხთა წმინდა ძმობა“, „პრავდა“, 16 მაისი, 1943 წ.).

„აგრე საუკუნეებით მწიფდებოდა რუს და ქართველ ხალხთა ისტორიული მეგობრობა. იგი შემზადებულია ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ და განმტკიცებულია მათივე სისხლით საერთო მტერთან მრავალრიცხოვან ბრძოლაში. იგი მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდა განთავისუფლებული რუსი და ქართველი ხალხების ურყევი ძმური კავშირისა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობა სამუდამოდ დამკვიდრდა საბჭოთა მიწა-წყალზე.

„ქართველმა ხალხმა ბოლშევიკების დიდი პარტიის ამაგით და დიდი რუსი ხალხის დახმარებით საბჭოთა კავშირის მრავალეროვან ძმურ ოჯახში შესძლო აეყვავებინა მისი ბარაქიანი მიწა, გამოეჩინა ბრწყინვალე შემოქმედებითი ენერგია. ამიტომაც ყოველი ნამდვილი ქართველი მძლავრი საბჭოთა მამულით ამაყობს და საბჭოთა კავშირის თავდადებული პატრიოტია.

„ქართველი ხალხის შვილები, მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, იცავენ ჩვენს დიად სამშობლოს მთელი ფრონტის სივრცეზე, ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე, და ასრულებენ თავის მოვალეობას მამულის წინაშე“ („ქართველ მებრძოლთა წერილი საქართველოს მშრომელებს“).

რუსი და ქართველი ხალხის ისტორიული მეგობრობის საინტერესო ილუსტრაციას წარმოადგენს ლენინგრად-საქართველოს ხანგრძლივი და სახელოვანი ურთიერთობა, მათი სამხედრო, საზოგადოებრივი და სამეცნიერო-

ლიტერატურული კავშირის ისტორია. ლენინგრადმა დიდი როლი ითამაშა ქართული კულტურის განვითარების საქმეში. ხოლო, მეორეს მხრივ, საქართველომ, ქართველმა ხალხმა და მისმა მოწინავე ინტელიგენციამ მეგობრული დახმარება გაუწია ლენინგრადს და, საერთოდ, რუს ხალხს ბრძოლაში, შრომაში, მეცნიერებისა და ლიტერატურის აყვავებაში.

ამ ურთიერთობის სათავეები ჯერ კიდევ იმ დროიდან მომდინარეობს, როდესაც ეს სახელოვანი ქალაქი პირველად შენდებოდა.

XVII — XVIII საუკუნეების მიჯნაზე, როცა პეტერბურგი სასტიკ ბრძოლაში იბადებოდა, როცა პეტრე პირველი მას საძირკველს უყრიდა და თანაც მასზე მოიერიშე შვედებს ეომებოდა, მას მხარში ედგა ქართველი მეფისა და პოეტის არჩილის შვილი ალექსანდრე.

იმერეთის ფეოდალთა წინააღმდეგ მებრძოლი ცნობილი მეფე და სახელოვანი პოეტი არჩილი 1682 წელს თავის ოჯახით და ამალით (162 კაცითა და ქალით) რუსეთს ჩავიდა, რათა რუსეთის მეფისათვის დახმარება ეთხოვა თავგასული ფეოდალებისა და გარეშე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დროიდან იგი მეტწილად რუსეთში ცხოვრობდა. მისი უფროსი შვილი ალექსანდრე პეტრე პირველის სიყრმის მეგობარი და მახლობელი თანამშემწე გახდა. პეტრე პირველმა ალექსანდრე 1697 წელს საზღვარგარეთ წაიყვანა სასწავლებლად. ორი წლის განმავლობაში ჰოლანდიაში ალექსანდრემ სამხედრო განათლება მიიღო და რუსეთში დაბრუნებისას რუსეთის სახელმწიფოს მთელი საარტილერიო საქმის უფროსად დაინიშნა. მანამდის ამ საქმეს თვით პეტრე ხელმძღვანელობდა, ამის შემდეგ-კი მან იგი ქართველ მეგობარსა თანამებრძოლს მიანდო, რომლისათვისაც შექმნა სპეციალური წოდებაც-კი — ფელდცეხმეისტერობა. 1700 წლის 19 მაისის პეტრეს „უკაზში“ ნათქვამი იყო: „всякие дела, которые были в пушкарском приказе, ведать генералу артиллерии царевичу Александру“.

ალექსანდრემ ენერგიულად მოჰკიდა ხელი რუსეთის არტილერიის საქმის რეორგანიზაციას, მაგრამ იგი მოულოდნელად შეწყვეტილ იქნა. 1700 წლის 19 აგვისტოს, პეტერბურგის დაარსებისათვის მოსამზადებელ პერიოდში, ახლანდელი ლენინგრადის მახლობლად, ნარვასთან, მოხდა რუსეთ-შვეციის ომი. ამ ომში რუსეთის არტილერიას ალექსანდრე ხელმძღვანელობდა, იგი ვაჟკაცურად იბრძოდა მოწინავე პოზიციებზე.

პეტერბურგის დაარსების შემდეგ XVIII საუკუნის პირველ მეოთხედიდან „ქართლის ბედი“ ძირითადად რუსეთს, განსაკუთრებით კი პეტერბურგს უკავშირდება. ამ დროიდან საქართველო სპარსეთ-ოსმალეთის განუწყვეტელ სისხლისმღვრელ სათარეშო მოედნად გადაიქცა. ამიტომ საქართველოს ტერიტორიაზე შეუძლებელი გახდა მეცნიერული და ლიტერატურული მუშაობა. ქართველმა მეფეებმა, მეცნიერებმა და პოეტებმა რუსეთში გადატანეს თავიანთი სამოღვაწეო ასპარეზი.

ჯერ კიდევ ალექსანდრეს მამა არჩილი 1703 წელს, როცა საძირკველი ეყრებოდა პეტერბურგს, ქართული სტამბის მოწყობას შეუდგა მოსკოვში (ამ სტამბაში 1705 წელს დაიბეჭდა „დავითნი“).

1724 წელს გარეშე მტრებისაგან აოხრებულ საქართველოდან რუსეთში გადასახლდა ვახტანგ VI, რომელსაც თან გაჰყვა 1400-მდე ქართველი კაცი და ქალი, მათ შორის მრავალი სამხედრო პირი, მეცნიერი, პოეტი, სტამბის მოღვაწე (ს. ორბელიანი, ვახუშტი, ი. სამებელი, ნიკ. ორბელიანი, ბოლოს

დ. გურამიშვილი და სხვ.). ეს იყო ქართველთა მთელი კულტურული თაობა.

რუსეთში გადახვეწილმა ქართველობამ სამხედრო და საზოგადოებრივ-კულტურული ურთიერთობა დაამყარა რუსეთის ხალხთან და ამის მეშვეობით ინტელიგენციასთან. ქართველები აღტაცებაში მოჰყავდა რუსეთის მამაც ჯარს. დ. გურამიშვილის თქმით:

„არს მოსაწონი მნახველთა
განწყობა რუსის ჯარისა,
ათასხუთას კაცთ ერთფერად
ტანთა ცმა, სხმა აბჯარისა,
მწყობრ-რიგად შესვლა-გამოსვლა,
ქცევა ვით ბრუნვა ჯარისა,
დამუსვრა ციხის მოქლოთა,
მაგროვნად დანაჯარისა...“

ქართველმა ლტოლვილებმა 1738 წელს რუსეთის მთავრობის სახელზე წარდგენილ პეტიციაში სამხედრო სამსახურში გამწესების ნება ითხოვეს. მთავრობამ თხოვნა დააკმაყოფილა და ქართველობა მირგოროდის, პოლტავისა და სხვა პოლკებში ჩარიცხა, ხოლო 1740 წელს სპეციალური „ქართველ გუსართა პოლკი“ დააარსა. ამ პოლკს გამოჩენილი ქართველი მხედრობა ხელმძღვანელობდა. ამ პოლკში ირიცხებოდნენ ისეთი ნიჭიერი მწერლები, როგორნიც იყვნენ დავით გურამიშვილი, მამუკა ბარათაშვილი და სხვები. აქედან მოყოლებული, რუსეთში მყოფი ქართველები რუს ხალხთან ერთად ხარდამხარ გმირულად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

„შვიდწლიან ომში“ ქართველი მეომრები გერმანელ დამპყრობელებს ებრძოდნენ. ისინი გახარებულნი იყვნენ რუსთა მიერ ბერლინის აღებით. ამ ომის მონაწილე ქართველი პოეტი-მეომარი დ. გურამიშვილი ამაყად სწერდა: „ბრუსის კოროლს შევურყიეთ ტახტის სვეტი“-ო.

სამხედრო ურთიერთობის გარდა, რუსეთთან და განსაკუთრებით პეტერბურგთან მჭიდრო საზოგადოებრივ-კულტურული კავშირიც მყარდება.

ქართული კულტურა, ქართული წიგნის ბეჭდვა, საქართველოში გარეშე მტრებისაგან ძალად შეწყვეტილი, რუსეთში განაგრძობს განვითარებას. 1737 წელს მოსკოვში არსდება ქართული სტამბა, რომლისათვისაც შრიფტი, ქრისტეფორე გურამიშვილის ხელმძღვანელობით, პეტერბურგში მზადდება. მისივე მონაწილეობით 1736 — 1737 წლებში პეტერბურგში, სამეცნიერო აკადემიასთან, ეწყობა ქართული სტამბა, სადაც იბეჭდება რუსულ-ქართული ანბანი და სხვა წიგნები. ამ სტამბის მუშაობა განსაკუთრებით ცხოველდება 1761 წლიდან, თეიმურაზ მეორის სამეცნიერო აკადემიაში მისვლასთან დაკავშირებით.

XVIII საუკუნეში რუსეთში მყოფი ქართველობა აქტიურად ებმება რუსული კულტურის განვითარების საქმეში, შეაქვს მასში თავისი წვლილი, კულტურის ახალი ნაკადი. ასე, მაგალითად, 1773 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა სიმონ ეგნატაშვილისაგან რუსულ ენაზე გადათარგმნილი „ბარამ-გულამდანიანი“ სათაურით: „Похождение новомодной красавицы принцесы Гуланданы и храброго принца Барама“... ეს, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, რუსეთში მყოფი ქართველობა ამდიდრებს ქართულ კულტურას რუსული კულტურის ზეგავლენით, ბეჭდავს ორიგინალურ და რუსულიდან თარგმნილ წიგნებს და იწყებს წერას „რუსულ თემაზე“, კერძოდ, პე-

ტერბურგისა და მისი მიდამოების სიმშვენიერეზე. ჩვენამდე, მაგალითად, მოაღწია ემიგრანტ პოეტის ვახტანგ ორბელიანის 1737 წელს „პეტერჰოფმა“, სადაც ავტორი პეტერბურგისა და მისი გარეუბნების ბრწყინვალ მაზით გამოწვეულ ქართველთა აღტაცებას გადმოგვცემს. ამ პირველ ქართულ ნაწარმოებში პეტერბურგის შესახებ ნათქვამია: „...ვიმყოფებოდი სამეუფოსა ქალაქსა პეტრე-ბრუხს, რომელსა ჟამსა წარვიდა თვით დიდი იგი ხელმწიფე ადგილსა საზაფხულოსა, სადა აღეგო [სრანი] დიდსა მეფეს პეტრეს, მეფეთ-მეფესა.

და მუნ წავიდოდიან ქართველთა მეფისა ძენი და მათნი თავადნი და რაი მუნით ავიდოდიან, მიამბობდიან უცხოობასა მის ადგილთა და შენობათასა და მაიძულებენ ნახვას მას ადგილისაჰსა და მეცა ვბაძდი ამხანაგებსა ჩემთა და მოვინებე წარსვლა. და დავჯე ნავთ და შევედ მდინარედ ნევად სახელ-დებულსა და წარვემართე სადა იყო სახლი იგი“.

შემდეგ მოცემულია მოკლე მხატვრული აღწერა მოგზაურობისა, „სპეტა-კოვან“ სახლთან მისვლისა, ასვლა „ზღუდეთა ზედა“ „და არა უწყი, რა ვი-ხილე, პავლეს თქმული იგი გამახსენა: „აჰა რომელი თვალსა კაცისასა არა უხილავს და გულსა არა მოუხდებიხ“-მეთქი, და აღვირიე ცნობათაგან, და შევიცდი ჭკვა-გონებათაგან. და ესე ვეღარა შევიგენ, რომელ ესე კერძოდ ჩრდილოეთისა და არა აღმოსავლეთისაო და დავაჭეშმარიტე: ედემი ესე არს მეთქი“...

*

* *

პეტერბურგ-საქართველოს ურთიერთობა განმტკიცდა განსაკუთრებით XIX საუკუნის პირველ ნახევარში. საუკუნეების მანძილზე აღმოსავლეთის ურდოების სათარეშო მოედნად ქცეულმა საქართველომ 1801 წლიდან გამოსავალი ჰპოვა რუსეთთან შეერთებაში. ცარიზმმა ქართველობა გარეშე მტრებისაგან ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა, მაგრამ იმავე დროს დაიწყო საქართველოში უხეში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება, ქართული ნაციონალური კულტურის ჩახშობა, მრავალი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის რუსეთში გადასახლება და ათობით მოწინავე რუსი მოაზროვნისა და პოეტის საქართველოში გამოძევება კავკასიელებთან და ხშირად თვით ქართველებთან საბრძოლველადაც-კი. ცარიზმის ეს პოლიტიკა მიმართული იყო რუსი და ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ. ამ ხალხებს არაფერი ჰქონდათ ერთმანეთთან საჩხუბარი და სადავო. ისინი ურთიერთ მეგობრობისა და თანამშრომლობისაკენ მიისწრაფოდნენ, ისინი ერთიანდებოდნენ გარეშე მტრებისა და ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ერთმანეთს უკავშირებდნენ თავიანთ კულტურას.

ეს ნათლად მოსჩანს იმდროინდელ პეტერბურგ-საქართველოს ურთიერთ დამოკიდებულებაში. XIX საუკუნის დასაწყისშივე საქართველოდან პეტერ-ბურგს გადასახლებულ იქნა მრავალი მოწინავე ქართველი მოღვაწე (1803 წელს გადასახლებულ იქნა დავით ბატონიშვილი თავის ამალით და სხვ.). ქართველ ემიგრანტთა რიცხვი პეტერბურგში საგრძნობლად გაიზარდა. ისინი მხარში ამოუდგნენ რუს ხალხს ნაპოლეონის დამპყრობლური ომების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

1812 წლის სამამულო ომის ფრონტებზე გმირული სახელი გაითქვა ასე ერთმა ათეულმა ქართველმა მხედართმთავარმა და ჯარისკაცმა. ამ ომში მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი სარდალი პეტრე ბაგრატიონი, პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, მომავალი მეცნიერი მიხეილ ბარათაშვილი (ბარათოვი), გენერალ-ლეიტენანტი ივანე ფანჩულიძე, გენერალ-მაიორი ს. ფანჩულიძე, არტილერიის გენერალი ლ. იაშვილი, გენერ. ჯავახიშვილი და მრავალნი სხვანი. ისტორიკოსის ბაგრატ ბატონიშვილის სამართლიანი შენიშვნით, ქართველნი „ამა ძლიერთა ბრძოლათა შინა ფრიად სახელოვნად აღმოჩნდნენ, ვითარცა შვენის ქართველთა მამაცობას. რომელნიმე დაიჭრნენ, რომელნიმე დაიღუპნენ. ხოლო ტყვედ ამა ბრძოლასა შინა არავინ შეპყრობილ არს სიმხნითა თვისითა“...

ეს ბრძოლები მრავალი მაშინდელი ქართველი მეომარ-ლიტერატორის თხზულებაშია აღწერილი. ისინი სიამაყით მოგვითხრობენ რუს და ქართველთა გმირობაზე, ქედს იხრიან გამოჩენილ რუს და ქართველ მებრძოლ პატრიოტების—სუვოროვის, კუტუზოვის, ბაგრატიონის წინაშე, სიყვარულით ლაპარაკობენ რუსეთზე და კერძოდ პეტერბურგზე.

ჯერ კიდევ დავით ბატონიშვილის ამალაში შემავალ ნიკოლოზ ონიკაშვილს შეუდგენია „აღწერა მოსკოვისა და პეტერბურგისა“, სადაც პატივისცემით იხსენიებს ალექსანდრე სუვოროვს და აღწერს მის მონუმენტს პეტერბურგში.

მეორე ქართველს, იოანე ბაზლიძეს, ქართულად უთარგმნია „ლაშქრობა ნაპოლეონისა რუსეთსა შინა და ლტოლვა მისი რუსეთით“, სადაც ამაყად მოგვითხრობს რუსეთის ჯარის გამოჩენილ სარდლის პეტრე ბაგრატიონის ამბებს. იგივე ავტორი აგვიწერს ცნობილ კუტუზოვის დასაფლავებას პეტერბურგში, ისაკის ტაძარში და სხვ.

ისტორიკოსი ბაგრატ ბატონიშვილი ბაზლიძის მიერ თარგმნილ „ლაშქრობას“ ურთავს 1812 წლის სამამულო ომში მონაწილე ქართველ მთავარ მხედართა სიას (40-მდე კაცი), რომ ამით უკვდავჰყოს მათი სახელი ისტორიაში. იგივე ავტორი გადმოგვცემს, რომ გენერალი ვიტგენშტეინი რიგის მხარეში იბრძოდა „რუსთა მხედრობითა და პეტერბურგის აპალჩენიითა“. ალ. ჭავჭავაძე 1813 წელს თარგმნის პ. ბაგრატიონის შესახებ დაწერილ ნ. მურავიოვის ლექსს.

მწერალი გრიგოლ ბატონიშვილი პეტერბურგში მდგომ „ლეიბ-ყაზახთა გვარდიის პოლკში“ მსახურობდა. პეტერბურგიდან ეს პოლკი მტრის წინააღმდეგ ვილნოსაკენ დაიძრა. გრიგოლ ბატონიშვილი ამ ლაშქრობას აგვიწერს „მოგზაურობაში პეტერბურგიდან ვილნომდე“, სადაც იგი გადმოგვცემს, „რაიცა ვნახე თვალითა ჩემითა საკვირველი ანუ სანახავი“...

ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში მოწინავე ქართველობა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა რუს გმირ ხალხს, რუს მოწინავე პატრიოტულ ინტელიგენციას. მაშინ ჩაისახა რუს და ქართველ პროგრესულ ძალთა შორის ის მეგობრობა, რომელმაც შემდეგ თავი იჩინა დეკაბრისტიზმისა და 1832 წლის შეთქმულების ურთიერთობაში. ცნობილია, რომ სამამულო ომმა და დასავლეთში ლაშქრობამ ნათლად და აშკარად გამოავლინა რუსი ხალხის ისტორიული როლი, მისი ძალა, გააღვიძა მისი ნაციონალური თვითშეგნება, გააფართოვა და გაარეოლუციონურა რუსეთის პროგრესიული ინტელიგენციის მსოფლმხედველობა.

ისიც ცნობილია, რომ დეკაბრიზმის წარმოშობა თვალსაჩინოდ დაკავშირებული იყო 1812 წლის სამამულო ომთან. როცა გარეშე მტერზე გამარჯვების შემდეგ რუსეთის ხალხის ტანჯვა შინაური მტრის—ცარიზმის—შემსუბუქების ნაცვლად, უფრო გაძლიერდა, რუსეთის მოწინავე პატრიოტული ინტელიგენცია დარწმუნდა „ზევიდან რეფორმის“ მოლოდინის ამაოებაში და მან 1816 წლიდან არალეგალურ წრეებში იწყო გაერთიანება ხალხის ინტერესებისათვის საბრძოლველად. ჩრდილოეთის დეკაბრისტების საოლვაწეო ცენტრად პეტერბურგი იქნა არჩეული. იქვე მოაწყეს მათ შეიარაღებული აჯანყება 1825 წლის 14 დეკემბერს, რაც ცარიზმის გამარჯვებით დამთავრდა. ნიკოლოზ პირველის მთავრობამ მრავალი დეკაბრისტი ჩამოახრჩო, ციხეებში გამოამწყვდია, ციმბირში გადაასახლა, კავკასიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოაძევა...

ცხადია, სამამულო ომი და დასავლეთისაკენ ლაშქრობა რუს ხალხთან ხელიხელჩაკიდებულ მებრძოლ მოწინავე ქართველებზედაც ისეთსავე გავლენას ახდენდა, როგორც რუსებზე. ხოლო ლაშქრობიდან დაბრუნებული ქართველობა მოწმე გახდა რეაქციის გაძლიერებისა, რუს თანამებრძოლ დეკაბრისტთა რევოლუციონური მოძრაობისა, მეფის მთავრობის მიერ აჯანყების მხეცური ჩახშობისა და საუკეთესო ადამიანთა სასტიკი დასჯისა.

ყოველსავე ამას ქართველებისათვის უშედეგოდ არ ჩაუვლია.

საეჭვო არ არის, რომ არა მარტო პეტერბურგში, არამედ საქართველოში მყოფმა მოწინავე ქართველებმაც რუსი რევოლუციონერი მეგობრების დიდი გავლენა განიცადეს. კერძოდ, 1832 წლის შეთქმულება საგრძნობლად იყო დაკავშირებული დეკაბრიზმთან და პეტერბურგთან. შემცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს შეთქმულება მხოლოდ და მხოლოდ „გავლენის“ ნაყოფი იყო. არა, მისი წარმოშობის მიზეზები უპირველეს ყოვლისა მაშინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში უნდა ვეძიოთ. მაგრამ იმავე დროს ეს მოძრაობა „წმინდა ქართული“ მოძრაობა არა ყოფილა. იგი არ იყო იზოლირებული იმდროინდელი ევროპისა და რუსეთის რევოლუციური მოძრაობებისაგან (დეკაბრიზმი, საფრანგეთისა და ბელგიის 1830 წლის რევოლუციები, პოლონეთის 1831 წლის აჯანყება); პირიქით, მათთან იყო იგი დაკავშირებული. ქართველთა 1832 წლის შეთქმულება XIX საუკუნის 20-იანი და 30-იანი წლების საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობების ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია.

შეთქმულთა პროგრესიული ნაწილი, რომელიც ძირითად ბირთვს წარმოადგენდა (ძველი ტახტის აღსადგენად მებრძოლ მემარჯვენე-კონსერვატიულ ნაწილისაგან განსხვავებით), განსაკუთრებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული პეტერბურგელ დეკაბრისტებთან. სავსებით სამართლიანად შენიშნავს შეთქმულების მასალის დიდი მცოდნე პროფესორი გ. გოზალიშვილი, რომ „1825 წლის 14 დეკემბრის ამბავს საქართველოში 1832 წლის შეთქმულება ეპარალელება“ (ციტატა ამოღებულია ჯერ გამოუქვეყნებელი ხელნაწერიდან). ამ მოსაზრების დამამტკიცებელი საბუთების სიმცირე მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ეს მოძრაობები ფარულ ხასიათს ატარებდნენ, მათ მონაწილეებს კონსპირაციის საქმე კარგად ჰქონდათ დაყენებული და ბევრი რამ საბოლოოდ გამოუმჟღავნებელი დარჩა. მაგრამ აღნიშნული მოსაზრების დამადასტურებელი რამდენიმე საბუთი მაინც მოგვეპოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით შეთქმულების წარმოშობის სათავეები უკავშირდებიან 1825 წელს და პეტერბურგს, სადაც მაშინ მრავალრიცხოვანი ქართველობა სცხოვრობდა.

მთავრობამ პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებს შორის აღმოაჩინა დეკაბრისტთა ორგანიზაციის მხოლოდ ერთი წევრი — განგელოვი და დეკაბრისტთა ერთი თანამოაზრე — მიხეილ ბარათაშვილი. მაგრამ ვინ იცის კიდევ რამდენი დარჩა გამოუმჟღავნებელი (დეკაბრისტთა ორგანიზაციების 6000-მდე წევრიდან ყველა როდი იქნა აღმოჩენილი). ყოველ შემთხვევაში არა ერთ ქართველს შეეძლო მონაწილეობა მიეღო რუს რევოლუციონერთა წრეებში, ან სცოდნოდა ამ წრეების არსებობა, ან კიდევ დეკაბრისტული აგიტაციის გავლენის ქვეშ ყოფილიყო მოქცეული.

დეკაბრისტთა აჯანყებისა და განადგურების ამბებს პეტერბურგში მყოფ ქართველთა დიდი ყურადღება მიუქცევია. ცნობილ ბაგრატ ბატონიშვილის მიერ ამ აჯანყების აღწერა შემთხვევითი მოვლენა არ არის.

საგულისხმოა აგრეთვე დეკაბრისტ ვოლკონსკის ჩვენება საქართველოში, ერმოლოვის კორპუსში, ფარული რევოლუციური საზოგადოების არსებობის შესახებ.

თვითონ 1832 წლის შეთქმულების მონაწილე დიმიტრი ერისთავი ამ შეთქმულებას 1825 წელსა და პეტერბურგს უკავშირებს. იგი თავის ჩვენებაში ამბობს, რომ პეტერბურგში მცხოვრები ქართველები 1825 წელს დიმიტრი ბატონიშვილის ბინაზე ხშირად ვიკრიბებოდით, ვლაპარაკობდით თავისუფლებაზე, რითაც, „ასე ვსთქვათ, მოვემზადეთო“. იმავე აზრს ადასტურებს თავის ჩვენებებში შეთქმულების წევრი ჯორჯაძე, ხოლო ანტონ აფხაზის სიტყვით, პეტერბურგიდან საქართველოში წამოსული ზაქარია ჩოლოყაშვილი შეთქმულებს დაწვრილებით გადმოსცემდა დეკაბრისტების აჯანყების ამბებს, ლაპარაკობდა მათ ტაქტიკაზე, აღტაცებით იტყობინებოდა, რომ დეკაბრისტები საქართველოს განთავისუფლებისათვისაც იბრძოდნენო, რომ აჯანყებულმა პოლონელებმა სიკვდილით დასჯილ რილეევისა და სხვათა მონუმენტები ზეიმით აღმართეს თავიანთ ქვეყანაშიო და სხვა.

ყურადღების ღირსია ისიც, რომ შეთქმულების ერთ-ერთ ბელადს სოლომონ დოდაშვილს გაჩხრეკისას აღმოაჩნდა რილეევის მიერ ციხიდან ცოლთან მიწერილი წერილის პირი, რომელიც მან, თავისივე სიტყვით, პეტერბურგში სტუდენტ კრუპსკისაგან გადასწერა.

განსაკუთრებით საინტერესოა ქართველ შეთქმულთაგან დეკაბრისტული ლიტერატურის გამოყენება ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის აგიტაციის მიზნით.

შეთქმულების წევრი გრიგოლ ორბელიანი სთარგმნის და ავრცელებს რილეევის „ნალივაიკოს აღსარებას“. ეს დამახასიათებელი მოვლენაა: შეთქმულების მონაწილენი იბრძოდნენ არა საერთოდ რუსეთის წინააღმდეგ, არამედ რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ამიტომ ისინი იმავე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ რუს ხალხსა და მის მოწინავე ინტელიგენციას თავიანთ მეგობრებად სთვლიდნენ, მათდამი პატივისცემის გრძნობითა და თანამშრომლობის სურვილით გამსჭვალულნი იყვნენ. ეს სრულიად ბუნებრივია: მათ აერთიანებდა საერთო-მტერთან ბრძოლის ინტერესი. ამით აიხსნება ერთის შეხედვით ის „უცნაური“ ამბავი, რომ „ანტირუსულ“ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში მყოფი პროგრესუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად მოაზროვნე რუსები, პოლონელები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები (პაუშენკო, მელნიკოვი, ზავილეისკი).

1832 წლის შეთქმულების ხელმძღვანელებისა და აქტიური წევრების მნიშვნელოვანმა ნაწილმა განათლება პეტერბურგში მიიღო; იქ ეზიარნენ ისინი მოწინავე კულტურას და დეკაბრისტთა იდეებს.

1832 წლის შეთქმულების ყველაზე თვალსაჩინო ხელმძღვანელი და რადიკალურად განწყობილი „რაზნოჩინელი“ სოლომონ დოდაშვილი 1824-დან 1827 წლამდე პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა. იქ იგი ოთხი წლის განმავლობაში დაკავშირებული იყო რუსთა და ქართველთა მოწინავე წრეებთან. იგი ასწავლიდა ბაგრატ ბატონიშვილის ბავშვებს, მატერიალურ დახმარებას იღებდა ცნობილ იონა ხელაშვილისაგან, მეგობრობდა სტუდენტ კრუპსკის, რომელიც იმდენად დაკავშირებული იყო დეკაბრისტებთან, რომ რილეევის კერძო წერილის გავრცელებითაც კი ეწეოდა დეკაბრისტულ პროპაგანდას. დოდაშვილი მებრძოლმა პეტერბურგმა აღზარდა, რევოლუციონურ-პროპაგანდისტული მოღვაწეობისათვის მოამზადა. ეს ქართველი სტუდენტი მოწმე იყო დეკაბრისტთა შეიარაღებული გამოსვლისა და განადგურებისა მეფის ჯალათების მიერ სენატის მოედანზე, რომელიც ლენინგრადის უნივერსიტეტის პირდაპირ მდებარეობს. დოდაშვილი პეტერბურგიდან წამოღებულ რილეევის წერილს მზრუნველობით ინახავდა, ვიდრე იგი მეფის მთავრობამ გაჩხრეკისას არ ჩამოართვა. პეტერბურგიდან საქართველოში დოდაშვილმა ჩამოიტანა დეკაბრისტთა რევოლუციური თავდადება, გამოცდილება და სიმხნეევ, სათავეში ჩაუდგა შეთქმულებას, იკისრა პროპაგანდის ხელმძღვანელობა და აჯანყების ორგანიზაცია.

შეთქმულების მეორე მეთაური ელიზბარ ერისთავიც 1823 — 1830 წლებში პეტერბურგში სწავლობდა. იქ განიმსჭვალა იგი მოწინავე პროგრესიული იდეებით. მას უფლება ჰქონდა ეთქვა ამხანაგებისათვის: „რუსების საქმე მეკარგად ვიცი, რადგან მე იქ გავიზარდეო“. პეტერბურგიდან საქართველოში მანაც დეკაბრისტული ენტუზიაზმი და გამბედაობა ჩამოიტანა. იგი შეთქმულებას სათავეში ჩაუდგა, ზაქარია ჩოლოყაშვილთან და ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ერთად აჯანყების სამოქმედო გეგმა შეადგინა და შეიარაღებული გამოსვლის ხელმძღვანელობა იკისრა. ელიზბარ ერისთავის წინადადებით გადმოითარგმნა რილეევის „ნალივაიკო“, დაიწყო გაზეთის გამოცემა, რათა „приготовить умы к возмущению“, როგორც ამას აღიარებს თვით ერისთავი თავის ჩვენებებში. იგი გაცხოველებულ კონსპირატიულ მიმოწერას აწარმოებს პეტერბურგში მყოფ ოქროპირთან, ბაგრატთან და სხვა ქართველებთან.

შეთქმულთა კავშირი პეტერბურგთან სხვა გზითაც მყარდება. შეთქმულების თვალსაჩინო წევრი გრიგოლ ორბელიანი 1831 წლის ივნისში პეტერბურგს მიემგზავრება. გამგზავრების წინ შეთქმულების ხელმძღვანელობა მას სხვადასხვა დავალებას აძლევს, რასაც ის პირნათლად ასრულებს: მუშაობს შეთქმულების ხაზით პეტერბურგელთა შორის, სწერს „მგზავრობას თბილისიდან პეტერბურგამდე“, სადაც შეთქმულთა იდეებს ატარებს და სხვ.

ალექსანდრე ჭავჭავაძეც, მაშინდელ საქართველოს ყველაზე უფრო გამოჩენილი, განვითარებული, ჭკვიანი და მოწინავე მოაზროვნე და პოეტი, ასევე დაკავშირებული იყო პეტერბურგთან. ის პეტერბურგში დაიბადა, იქ მიიღო განათლება, იქვე მსახურობდა. მან მონაწილეობა მიიღო 1813 — 1814 წლების

ლაშქრობებში. პარიზში შესვლისას იგი ცნობილი ბარკლაი დე-ტოლის ადიუტანტი იყო. 1818 წლიდან ალექსანდრე ჭავჭავაძე [illegible] ეუბრუნდება. მისი სახლი თბილისში რუს და ქართველ მოწინავე კულტურული ძალების ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლად გადაიქცევა. იგი უკავშირდება პეტერბურგიდან საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტებს, მათ თანამოაზრეებს, გრიბოედოვს და სხვა რუს მწერლებს. ალ. ჭავჭავაძის შეთქმულებაში მონაწილეობა უდავოდ მიგვაჩნია. ამაში ადვილად დარწმუნდება ყველა, ვინც გულდასმით შეისწავლის ამ შესანიშნავი ადამიანის ბიოგრაფიას, შემოქმედებას, შეთქმულთა ჩვენებებს და სხვა მასალას. ნიკოლოზ პირველი როდი სცდებოდა, როცა სწერდა: „г. м. Кн. Чавчавадзе был всему известен и, кажется, играл в сем деле (в заговоре В. Ш.) роль, сходную с Михаилою Орловым по делу 14 декабря».

პეტერბურგში სწავლობდნენ აგრეთვე შეთქმულების ხელმძღვანელი ალექსანდრე ორბელიანი, წევრები ვახტანგ ორბელიანი, ზ. ჩოლოყაშვილი და სხვები.

პეტერბურგშივე ბრწყინვალე განათლება მიიღო არა ერთმა მაშინდელმა ქართველმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ (გავიხსენოთ თუ გინდ იაგორ ჭილაშვილი).

ამგვარად, პეტერბურგმა გამოზარდა არა მარტო რუსეთის რევოლუციურ პატრიოტთა პირველი თაობა — დეკაბრისტები და მათი თანამოაზრეები, არამედ მოწინავე ქართველ პატრიოტთა პირველი თაობაც. ეს პროგრესული კულტურული ადამიანები რუს და ქართველ ხალხთა მეგობრული ერთიანობის გრძნობისა და კულტურულ თანამშრომლობისაკენ მისწრაფებას გამოხატავდნენ, შინაურ და გარეშე მტერთან ბრძოლაში ერთმანეთს მხარში უდგებოდნენ.

მაგრამ ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის განვითარებაზე გავლენას მარტო პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოსული ქართველობა როდი ახდენდა. ასეთ გავლენას ახდენდნენ იქიდან გადმოსახლებული დეკაბრისტები და მათი თანამოაზრეებიც.

ცნობილია, რომ 1825 წლის შემდეგ „სამხრეთ ციმბირში“ დეკაბრისტები ასობით იქნენ გამოძევებულნი. თბილისი, მარქსის თქმით, „რუსეთის ხელისუფლების ეს ცენტრალური პუნქტი აზიაში“, იმავე დროს რუს და ქართველ პროგრესიულ-კულტურულ ძალთა დაახლოვების ცენტრალურ პუნქტადაც გადაიქცა. გადმოსახლებულთა უმრავლესობა მოწინავე, მაღალი კულტურის მქონე ადამიანები იყვნენ. მათ შორის მრავალი მწერალიც მოიპოვებოდა. საკმაოა დავასახელოთ ბესტუჟევ-მარლინსკი, ალ. ოდოევსკი, შიშკოვ მეორე, ტეპლიაკოვი და სხვანი. ამას გარდა მხედველობაში უნდა მივიღოთ ისეთი დიდი მოვლენა, როგორიც არის დეკაბრიზმთან დაკავშირებულ გრიბოედოვის, პუშკინის და ლერმონტოვის საქართველოში ყოფნა.

ეს მოწინავე რუსი ადამიანები ქართველი ხალხისადმი დიდი სიყვარულით გამსჭვალულნი იყვნენ. პეტერბურგელ დეკაბრისტთა წესდება კავკასიის განსაზღვრულ დამოუკიდებლობას მოითხოვდა (მისი ადმინისტრატიული ცენტრი თბილისი უნდა ყოფილიყო). გრიბოედოვი ამიერ-კავკასიის სამეურნეო-კულტურული აყვავების პროექტს ადგენდა და ქართულ თემატიკას დიდი სიყვარულით ამუშავებდა. პუშკინი ქებას ასხამდა ქართველთა მამაცობას და ქართული კულტურის გაფურჩქვნას წინასწარმეტყველობდა. ლერმონ-

ტოვი, ბესტუჟევ-მარლინსკი და სხვა მწერლები კავკასიის ბუნებასა და მის ამაყ შვილებს უმღეროდნენ.

საქართველოში გადმოსახლებულნი, მკაცრი ზედამხედველობის მიუხედავად, მაინც ახერხებდნენ ერთმანეთთან შეხვედრას და ადგილობრივ მოწინავე კულტურულ ძალებთან კავშირის გაბმას. პასკევიჩი სრულებითაც არ სცდებოდა, როცა საქართველოდან პეტერბურგში მეფის სახელზე გაგზავნილ წერილში ამბობდა, რომ გადმოსახლებულთა შორის „дух сообщенства... с помощью связей живет“.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს 1825 წლის კატასტროფის შემდეგ დეკაბრიზმი მოისპო ორგანიზაციულადაც და იდეურადაც, თითქოს ნიკოლოზის მიერ დამყარებული რეაქციონური რეჟიმის, დეკაბრისტთა ბელადების ჩამოხრჩობისა და ხალხის საყოველთაო ტანჯვის მოწმე დეკაბრისტების თავსა და გულში სრულებით ჩაკვდნენ ადრინდელი რევოლუციური იდეები. არა. დეკაბრიზმი გრძელდებოდა ცოცხლად გადარჩენილ პროგრესიულ ადამიანებს შორის ცენტრალურ რუსეთსა და კატორღაში, შორეულ ციმბირში და „სამხრეთ ციმბირში“ — კავკასიაში. ამის შესახებ ლაპარაკობენ თვითონ დეკაბრისტები და მათი თანამედროვენი თავიანთ მოგონებებსა და წერილებში, ამას ცხადჰყოფენ ციხეებში გამომწყვდეულ, კატორღაში ცოცხლად დამარხულ და საქართველოში გამოძევებულ დეკაბრისტთა შემოქმედება, რილეევის კულტი ლიტერატურაში, პუშკინის ლექსი „ციმბირში“, კატორღელ-დეკაბრისტთა რევოლუციურ-ოპტიმისტური პასუხი პუშკინს, საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტთა ერთმანეთთან და ადგილობრივ პროგრესისტებთან ორგანიზაციული კავშირ-ურთიერთობის დამყარების ცდები.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ეს უკანასკნელი — საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტთა ერთმანეთთან და ადგილობრივ პროგრესისტებთან ორგანიზაციული კავშირის დამყარების ცდები. ამ საერთოდ ბურუსით მოსილ საკითხს ნაწილობრივ ნათელს ჰფენს დეკაბრისტ განგებლოვის, ბარონ ტორნაუს და სხვათა მემუარები.

განგებლოვი (წარმოშობით ქართველი) სწერს: „1830 წლის ზამთარში რამდენიმე დეკაბრისტი, რომელნიც თბილისის გარნიზონს არ ეკუთვნოდნენ, სხვადასხვა კანონიერ და უკანონო საბაბით თბილისში ცხოვრობდა. იმ დროს ა. ა. ბესტუჟევი სამშიში და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ახლად განკურნებული იყო... ბესტუჟევთან სცხოვრობდნენ მისი ძმებიც პეტრე და პავლე. მათ გარდა, თბილისში სცხოვრობდნენ პუშჩინი, ორჟიცკი, სტეფანე ეპფროდიტი, მუსინ-პუშკინი (მეზღვაური), გრაფი მუსინ-პუშკინი, ნილ პავლეს-ძე კოჟევნიკოვი (იზმაილოველი ოფიცერი), ვიშნევსკი, თავად საკენის ყოფილი ადიუტანტი და კიდევ სხვები... ჩვენ საღამოობით ვიკრიბებოდით ხან ერთთან, ხან მეორესთან, უფრო ხშირად-კი ჩემთან, ზოგჯერ კვირაში ორჯერ და მეტჯერაც კი... ეს საღამოები ჰგავდნენ ისკრიცკის „სამშაბათებს“ პეტერბურგში“.

ეს ამბავი თურმე მთავრობამ შეიტყო და იმავე ზამთარში, როგორც განგებლოვი სწერს, „თბილისში მცხოვრები ყველა დეკაბრისტი ჟანდარმების თანხლებით სხვადასხვა ადგილას გაგზავნეს, რამაც თბილისში მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება მოახდინა“.

მიუხედავად ამისა, შემდეგში, განსაკუთრებით 1832 წელს, თბილისში ეს

თავისებური კავშირ-ურთიერთობა მოწინავე რუსებსა და ქართველებს, მორის მაინც თურმე გრძელდებოდა. შეთქმულების გამომჟღავნების ერთ-ერთი შესაკრები პუნქტი ალ. ჭავჭავაძის სახლი ყოფილა. ამ ურთიერთობებ ამ წრეებთან კარგად დაახლოვებული ბარონ ტორნაუ. 1832 წელს მე თბილისში „თბილი და მყუდრო ცხოვრება“ ვიგრძენიო, — სწერს იგი. ალ. ჭავჭავაძის სახლში „ყოველდღიურად დილიდანვე თავს იყრიდნენ... მისი ნათესავები — ქართველი კაცები და ქალები. მერე ერთი მეორის მოყოლებით, ვინც როგორ განთავისუფლდებოდა სამსახურიდან, რუსები იწყებდნენ მოსვლას“... ზოგჯერ სხვა ამხანაგებთანაც ვიკრიბებოდით ხოლმეო.

„თბილისი საერთოდ, — განაგრძობს ტორნაუ, — ძალიან გამდიდრდა ისეთი ადამიანებით, რომლებთან ცხოვრებაც სასიამოვნო იყო“. „იმ პირთა რიცხვს, რომელნიც ჩვენი წრის ინტერესს აცხოველებდნენ, უდავოდ მიეკუთვნებოდა ბევრი შეწყალებული დეკაბრისტი... ამ ადამიანებს მეტწილად კარგი აღზრდა-განათლება ჰქონდათ მიღებული, ზოგიერთი მათგანი შესანიშნავი სულიერი თვისებებით იყო აღჭურვილი... განა შეიძლებოდა გაცნობის შემდეგ არ შეგყვარებოდათ წყნარი და ჩაფიქრებული კორნილოვიჩი, „ანდრეი ბეზიმიანის“ ავტორი, თავდაბალი ნარიშკინი, კონოვიცინი, ჭკუამახვილი ოდოევსკი და გულითადი, სიკეთით აღსავსე ვალერიან გოლიცინი? ალექსანდრე ბესტუჟევს (მარლინსკის) მე შემთხვევა მქონდა ხშირად შევხვედროდი თავის ძმასთან — პავლესთან“...

ჩვენ თბილისში საუკეთესო ცხოვრებას ვატარებდითო, — დაასკვნის ტორნაუ, — „ვიდრე სრულიად უეცრად ყველასათვის მოულოდნელმა შემთხვევამ ერთი მოქნევით არ დაარღვია ჩვენი უზრუნველი ბედნიერი არსებობის საუკეთესო კავშირი... ვიტყოდი, რაც ვიცი ამ ჩემთვის მოკლედ ნაცნობ საქმეზე, მაგრამ უკეთესია დრომდე და საჭიროებამდის სიჩუმე დავიცვა“... ტორნაუ, გასაგები მიზეზების გამო, 1832 წლის შეთქმულების შესახებ ლაპარაკს გაურბის.

ვფიქრობ, შემთხვევითი არ უნდა იყოს შეთქმულების აქტივიზაცია სწორედ 1829 — 1832 წლებში, ე. ი. იმ დროს, როცა თბილისში დეკაბრისტები „სხვადასხვა კანონიერ და უკანონო საბაბით სცხოვრობდნენ“ და ერთმანეთთან და ადგილობრივ პროგრესისტებთან კავშირს ამყარებდნენ.

განსაკუთრებით მხედველობაში მისაღებია ის მეტად საყურადღებო ფაქტი, რომ დიდი მსგავსებაა შეთქმულთა „აქტს გონიერისას“ და პეტერბურგელ დეკაბრისტთა (ნიკიტა მურავიოვის) „პროექტს“ შორის, რომ შეთქმულები დეკაბრისტებს ენათესავებიან ჯანსაღი პატრიოტიზმისა და პოლიტიკური და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებით.

ყველაფერი ეს და მრავალი სხვა მოსაზრება და ფაქტი (გავიხსენოთ გრიბოედოვისა და პუშკინის იდეური და პირადი მეგობრული ურთიერთობა დეკაბრისტებთან და შეთქმულების მონაწილეებთან, პეტერბურგელ დეკაბრისტებსა და ქართველ შეთქმულთა შორის იდეური, პირად მეგობრული, კულტურული და შეიძლება ორგანიზაციული ურთიერთობა, უფლებას გვაძლევს, ქართველ შეთქმულებს, რომელთა გამომჟღავნებაც 1832 წლის დეკემბერში მოხდა (საინტერესო შემთხვევაა თვეების დამთხვევისაც), „ქართველი დეკაბრისტები“ ვუწოდოთ.

პეტერბურგელმა დეკაბრისტებმა და მათ თანამოაზრე მწერლებმა (გრიბოედოვმა, პუშკინმა, ლერმონტოვმა) დიდი გავლენა მოახდინეს მე-19 საუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნის ქართული ლიტერატურის განვითარებაზედაც. მათ იგი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ შემოატრიალეს, მასში რევოლუციური და პატრიოტულ-გამანთავისუფლებელი მოტივები გააძლიერეს, ხელი შეუწყვეს ეროვნული თემებისა და სახეების, სტილის, მხატვრული მეთოდისა და ლიტერატურული ტექნიკის, ახალი ჟანრებისა და ენის გამომუშავებას.

ალ. ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების, სოლომონ დოდაშვილისა და სხვა ქართველი მწერლების შემოქმედება მნიშვნელოვნად დაკავშირებულია მოწინავე რუსულ ლიტერატურასთან, დეკაბრისტ პოეტებისა და გრიბოედოვის, პუშკინისა და ლერმონტოვის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან. ეს ნათლად მოსჩანს როგორც ამ ქართველი მწერლების ორიგინალურ ნაწარმოებებში, ისე მათ მიერ თარგმნილ რილეევის, პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსებში.

ეს სახელოვანი ქართველი რომანტიკოსები, ისევე, როგორც მათი რუსი ლიტერატურული თანამოძმენი, რუსეთის თვითმპყრობელობას ებრძოდნენ, რუს ხალხს, რუსულ ლიტერატურას, დიდი რუსეთისა და, კერძოდ, პეტერბურგის მშვენებას კი ქებას ასხამდნენ, დიდებით იხსენიებდნენ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი 1842 წელს დაწერილ ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ ქართული კულტურის აყვავების საქმეს უკავშირებდა რუსეთს, სადაც ქართველობა დიდ სწავლა-განათლებას იძენდა, სადაც იგი ვაქკაცდებოდა სამშობლოში მოღვაწეობისათვის:

„ეამთ ვითარებით გარდახვეწილ შენ შვილთ მიდამო,
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა განცეცხლებული,
და მუნით ზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალე ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად.
სადაც აქამდინ ხმლითა და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი“.

პეტერბურგმა დიდი როლი ითამაშა არა მარტო ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის, არამედ ქართული წიგნის ბეჭდვისა და მეცნიერების განვითარებაშიაც.

ცარიზმის უხეში რუსიფიკატორული პოლიტიკის გამო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში წიგნის გამოცემა დიდად შეფერხებული იყო. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1801 — 1837 წლებში აქ სულ რაღაც 7 — 8 წიგნი გამოიცა. იმავე დროს მოსკოვში და, განსაკუთრებით, პეტერბურგში ქართული სტამბა თვალსაჩინოდ განვითარდა. მარტო 1818 — 1850 წლებში მან 22 ქართული, ქართულ-რუსული და ქართულ-ფრანგული წიგნი გამოსცა. ეს წიგნები მეტწილად სამეცნიერო ხასიათისანი არიან. მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან ქართული წიგნის გამომცემლობა პეტერბურგში რუსეთის სამეცნიერო აკადემიის ქართველოლოგიის განყოფილებას უკავშირდება. ამ განყოფილებაში მუშაობდნენ საქართველოს ისტორიის, კულტურის ისტორიისა და ფილოლოგიის დიდი მოღვაწეები მარი ბროსე, დ. ჩუბინაშვილი და სხვები. დ. ჩუბინაშვილი საქართველოდან პეტერბურგში დეკაბრისტების აჯანყების წელს ჩავიდა, პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა და 40-იანი წლებიდან იმავე უნივერსიტეტში პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. ამ ხნიდან იწყება სამეცნიერო აკადემიის ქართველოლოგიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტერბურგის კერის გაღვივება, რაც განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20 საუკუნეში გაცხოველდა.

* * *

აქამდის ჩვენ ვლაპარაკობდით ლენინგრად-საქართველოს ურთიერთობის ერთ მხარეზე — იმაზე თუ როგორი იყო პეტერბურგის როლი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების განვითარების საქმეში. მაგრამ ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს: საინტერესოა გამოირკვეს, თუ რა როლი ითამაშა საქართველომ, ქართველმა ხალხმა და მისმა მოწინავე ინტელიგენციამ დიდი რუსეთისა და კერძოდ პეტერბურგისათვის.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მოწინავე ქართველობა რუსეთისა და კერძოდ პეტერბურგის მიმართ იჩენდა მხოლოდ ცალმხრივ დამოკიდებულებას — მოწაფურ დამოკიდებულებას. არა. ქართველმა ხალხმა და მისმა მოწინავე ინტელიგენციამ დიდი მეგობრული დახმარება და სამსახური გაუწია რუს ხალხს სამშობლოს დაცვაში (1812 წლის სამამულო ომი და სხვ.), ცარიზმთან ბრძოლაში, რუსული კულტურისა და მეცნიერების აყვავებაში.

როცა ქართველი შეთქმულები და პოეტები რუსი დეკაბრისტებისა და რევოლუციური მწერლების ნაწარმოებებს სთარგმნიდნენ და ავრცელებდნენ, ამით ისინი ანვითარებდნენ არა მარტო ქართულ ლიტერატურას, არამედ რუსულ ლიტერატურასაც, აფართოებდნენ რა ამ უკანასკნელის გავრცელების სფეროს.

როცა ქართველი შეთქმულები და პოეტები თბილისში გადმოსახლებულ დეკაბრისტებთან და რევოლუციურ მწერლებთან კავშირს ამყარებდნენ, ისინი მათში ჩანერგილ თავისუფლებისადმი სიყვარულს აღვივებდნენ, მათ საქართველოს წარსულსა და აწმყოს, ქართველი ხალხის ჭირსა და ვარამს, ქართულ ფოლკლორსა და ლიტერატურას აცნობდნენ. ამით მათ მსოფლმხედველობასა და პოეტურ არეს აფართოებდნენ.

ქართველთა თავისებური ცხოვრება, მებრძოლი პოეტური ფოლკლორი და ლიტერატურა ახალ მდიდარ მასალას აძლევდნენ საქართველოში ჩამოსულ დეკაბრისტებს, გრიბოედოვს, პუშკინს, ლერმონტოვს, შიმკოვ მეორეს...

შემთხვევითი არ არის ამ რუსი მწერლების ქართული თემატიკით გატაცება. ქართულ თემას ისინი პირველ რიგში იყენებდნენ, როგორც თვითმპყრობელობისა და სოციალური ჩაგვრის საწინააღმდეგო რევოლუციურ თემას (გრიბოედოვის „ქართული ღამე“, „რადამისტი და ზენობია“, პუშკინის „კავკასია“, „არზრუმში მგზავრობა“, ლერმონტოვის მრავალი ნაწარმოები). ამ მწერლების საშუალებით საქართველოს რუსულ ლიტერატურაში შეაქვს ახალი თემები, მოტივები, სახეები, ბუნების სურათები. საქართველო ახალი ჯანსაღი ნაკადით აფართოებდა, ამდიდრებდა რუსულ ლიტერატურას.

ასეთივე სამსახურს უწევდნენ რუსული მეცნიერების განვითარებას ის ქართველი ისტორიკოსები და ფილოლოგები, რომელნიც პეტერბურგში მოღვაწეობდნენ, იქ ქართულ-რუსულ წიგნებს ბეჭდავდნენ, ქართულ-რუსულ კულტურას ერთმანეთთან აახლოებდნენ.

საკმარისია მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი. ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტმა, ცნობილმა სოლომონ დოდაშვილმა თავისი წვლილი შეიტანა რუსული ფილოსოფიური აზროვნების განვითარე-

ბაში. მან 1827 წელს (როცა არც თუ ბევრი ფილოსოფიური ნაშრომი მოიპოებოდა რუსეთში) პეტერბურგში გამოსცა თავისი „ლოგიკა“. იმ დროისათვის ეს შრომა მნიშვნელოვანი შენაძენი იყო რუსული ფილოსოფიური აზროვნებისათვის.

მიხეილ ბარათაშვილმა, 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე ქართველმა, რომელსაც მთავრობა დეკაბრისტებთან ურთიერთობაში სდებდა ბრალს (მან ამიტომ პატიმრობაც გადაიტანა), 1844 წელს პეტერბურგში ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენაზე გამოსცა „Нумизматические факты грузинского царства“, კაპიტალური შრომა, რომელიც საერთოდ ახალი ნაბიჯი იყო ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში და რომლის შესახებაც მსოფლიო ნუმიზმატიკური მეცნიერება ალაპარაკდა.

სამართლის მეცნიერებაშიაც კი შეიტანეს ქართველმა მოღვაწეებმა თავიანთი წვლილი (დავასახელებთ, მაგალითად, ცნობილ ი. ჭილაშვილის წიგნს „Начертание права природного“).

*
* *

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართველ მოღვაწეებს რუსული მეცნიერების განვითარებაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ რუსული ფსიქოლოგიური მეცნიერების ისტორია იწყება 1858 წელს პეტერბურგში გამოცემულ გაბრიელ ქიქოძის შრომით „Основания опытной психологии“.

ცნობილია აკადემიკოს ივანე თარხნიშვილის რუსულ ენაზე გამოცემულ ნაშრომების როლი რუსეთის ფიზიოლოგიური მეცნიერების განვითარებაში, პროფ. პეტრე მელიქიშვილის შრომები, რომლებმაც ესოდენ დიდი სამსახური გაუწიეს რუსეთის ქიმიურ მეცნიერებათა წინსვლას, და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პეტერბურგში თავმოყრილ ქართველ ისტორიკოსთა და ფილოლოგთა ბრწყინვალე მუშაობა ქართულ და რუსულ მეცნიერებათა წინ წაწევისათვის. ვინ არ იცის ის, რომ ნ. მარმა არა მარტო ქართულ და რუსულ, არამედ მსოფლიო ენათმეცნიერებაშიც გადატრიალება მოახდინა, რომ ალ. ცაგარელმა, ივ. ჯავახიშვილმა და მრავალმა სხვა სახელოვანმა ქართველმა სწავლულმა უდიდესი მუშაობა ჩაატარეს რუსულ-ქართული ფილოლოგიისა, ისტორიისა და, საერთოდ, კულტურისა და მეცნიერების აყვავების საქმეში.

ვისთვისაა უცნობი ის დიდი როლი, რომელსაც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში მომუშავე ქართველ მეცნიერ-მუშაკთა დიდი არმია ასრულებს დღეს საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერების ყველა დარგის სასარგებლოდ. მაგალითებისა და სახელების აქ ჩამოთვლას მხოლოდ მათი სიმრავლის გამო ვერიდებით.

დიდი როლი ითამაშა მოწინავე ქართველობამ რუსული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის განვითარებაშიაც. ქართველი ხალხის მრავალი საუკეთესო შვილი რუს და სხვა მეგობარ ხალხთან ერთად ხიშტითა და კალმით იბრძოდა საერთო მტერთან, მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობებში, დიდი ოქტომბრის რევოლუციაში, ინტერვენტების განადგურებაში, სოციალისტურ მშენებლობაში. ჩვენი დიდი ბელადების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინისა და სტალინის მეგობრობა, მათი ბრწყინვალე შრომა და ბრძოლა ხალხთა კეთილდღეობისათვის — ეს ხომ ჩვენი ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის საუკეთესო სიმბოლოა.

ქართველმა ხალხმა და მისმა ინტელიგენციამ მრავალი გზითა და საშუალებით გაამდიდრა და გააფართოვა რუსული ლიტერატურა.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდის ყოველთვის ძლიერდებოდა რუს მოწინავე მწერლების ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის, დამუშავებისა და პოპულარიზაციის საქმე. ეს მუშაობა განსაკუთრებით გაიშალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

იმავე დროს რუსულ ლიტერატურაში ახალ მძლავრ მჩქეფარე ნაკადად შედის ქართული ლიტერატურა. რუსულ ენაზე ითარგმნება ყველა ქართული სანიმუშო ნაწარმოები „ვეფხისტყაოსნიდან“ დაწყებული ჩვენი დროის გამოჩენილ ნიჭიერ პოეტების ლექსებამდე. თარგმნიან როგორც ქართველი, ისე რუსი და სხვა მოძმე ერების ლიტერატორები. საბჭოთა მწერლების კავშირის ლენინგრადის განყოფილებასთან ქართული ენის შემსწავლელი წრეც კი ყალიბდება. ყველაფერი ეს, ცხადია, საგრძნობლად ზრდის და აფართოებს რუსულ ლიტერატურას.

არა ერთი რუსი მწერალი აუმღერებია საქართველოს, ქართველ ხალხს, ქართულ ფოლკლორს, საქართველოს წარმტაც ბუნებას. აქ დაიწყო თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა მაქსიმ გორკიმ და აქვე გამოიზარდა რევოლუციის დიდი პოეტი მაიაკოვსკი.

აღარაფერს ვამბობთ ქართველ ლიტერატორებზე (ნ. ნიკოლაძე, ხონელი, დ. ერისთავი და სხვ.), არტისტებზე (ზანდუკელი, იუჟინ-სუმბათაშვილი), ხელოვნების მუშაკებზე, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

* * *

მაგრამ უფრო დიდი როლი ითამაშა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20 საუკუნეში ქართული მეცნიერებისა, საზოგადოებრივი აზროვნებისა, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში რუსეთმა და კერძოდ ლენინგრადმა.

მაშინაც კი, როცა 60-იანი წლებიდან ქართული წიგნის ბეჭდვის ცენტრად კვლავ თბილისი გადაიქცა, პეტერბურგში არ შეწყდა, არამედ უფრო გაძლიერდა ქართული სტამბის მუშაობა. საინტერესოა, რომ ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“ ცალკე წიგნად პირველად პეტერბურგში დაიბეჭდა და არა თბილისში. იქვე გამოვიდა მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები („სიბრძნე სიცრუისა“ და სხვა), ლექსიკონი, სამეცნიერო შრომა...

პეტერბურგის უნივერსიტეტი 60-იანი წლებიდანვე იქცევა სამეცნიერო ტაძრად, სადაც იზრდება არა ერთი ათეული ქართველი მეცნიერი, ხელოვნების მუშაკი, საზოგადოებრივი მოღვაწე და მწერალი.

პეტერბურგის უნივერსიტეტში აღიზარდნენ და დიდი ხნის განმავლობაში იქვე მუშაობდნენ ნ. მარი, ა. ცაგარელი, თარხნიშვილი, ი. ჯავახიშვილი და მრავალი სხვა სახელოვანი მეცნიერი.

თბილისის უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების დღევანდელი სამეცნიერო კადრების მნიშვნელოვანი ნაწილი ლენინგრადის უნივერსიტეტშია გამოზრდილი.

ლენინგრადთან, როგორც კულტურის კერასთან, დაკავშირებულია მრავალი ჩვენი ხელოვნების მუშაკის სახელიც. იქ სწავლობდა ქართული მუსიკალური კულტურის პირველი მოღვაწე ხ. სავანელი. პეტერბურგის კონსერვატორიის გახსნისთანავე სავანელი უნივერსიტეტიდან კონსერვატორიაში გადადის, ცნობილ რუს კომპოზიტორ ჩაიკოვსკისთან ერთად ამთავრებს მას, რის შემდეგაც თბილისში ჩამოდის და აქ ადგენს გუნდს, რომლის კონცერტიც 1874 წელს ეწყობა. ეს იყო პირველი მუსიკალური სკოლის ჩანასახი საქართველოში. სავანელთან ერთად გამოდის პეტერბურგში აღზრდილი ნიჭიერი კომპოზიტორი, არტისტი ალ. მიზანდარი. სავანელისა და მიზანდარის შემდეგ პეტერბურგში არა ერთი ქართველი კომპოზიტორი, რეჟისორი და არტისტი აღიზარდა.

ქართული მხატვრობაც კი თვალსაჩინოდ არის ლენინგრადთან დაკავშირებული. მხატვარი პროფესორი მოსე თოიძე თავის მოგონებებში გორკის შესახებ სწერს, რომ გორკიმ და გოლა ჩიტაძემ იგი, მაშინდელი ზეინკალი, ყოფილ პეტერბურგის აკადემიაში შესასვლელად მოამზადეს, და ეს ერთეული შემთხვევა როდია. ლენინგრადში სწავლობდნენ მხატვრები რ. თავაძე, მ. თალაკვაძე, დ. კაკაბაძე, ნ. კანდელაკი, ს. ქობულაძე, ვ. ქუთათელაძე, მ. ბებუთოვ-გაბუნია და სხვ.

პეტერბურგში სწავლობდნენ, იზრდებოდნენ, ვაჟკაცდებოდნენ სახელოვანი ქართველი საზოგადოებრივი მოღვაწეები და მწერლები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, პეტრე უმიკაშვილი, ივანე მაჩაბელი. იქ სწავლობდა ერთხანს ვაჟა-ფშაველა და იქითკენვე მიუწევდა გული მეორე მთიელს ალექსანდრე ყაზბეგს.

პეტერბურგში სწავლა არა ერთ ქართველს ჰქონდა სანატრელ ოცნებად გადაქცეული. არა ერთ ქართველს გადაულახავს მრავალი წინააღმდეგობა სანატრელი მიზნის მისაღწევად. „დამდეგს მაისს, — სწერს აკაკი წერეთელი, — გამოვეთხოვე დედ-მამას, იმერეთს და დავადექი გზას. სრულიად გამოუცდელს ცხოვრებაში, ბევრის არ მცოდნეს და სრულიად არაფრის მნახველს უნდა ზღვა გამევლო, ხმელეთი გადამელახა და ერთი ბიჭის ამარა ჩავსულიყავ პეტერბურგში“...

ამ ახალგაზრდობის საშუალებით ქართველი ხალხი უფრო მეტად ამაგრებს და ანვითარებს კულტურულ და საზოგადოებრივ კავშირ-ურთიერთობას რუს ხალხთან და მის ინტელიგენციასთან. ქართველი ახალგაზრდობა იქ ისმენს გამოჩენილ რუსი პროფესორების (კოსტომაროვის, სტასულევიჩის, სპასოვიჩის, კაველინის) ლექციებს, ითვისებს რუსეთისა და დასავლეთის მოწინავე იდეებს, ვაჟკაცდება ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიულ ჯგუფის პროპაგანდის ნიადაგზე.

თუ ქართველ პროგრესისტთა პირველი თაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული პეტერბურგელ დეკაბრისტებთან, მეორე თაობა მტკიცე ურთიერთობაშია რუს რევოლუციონერთა მეორე თაობასთან, რომლის ცენტრსაც კვლავ პეტერბურგი წარმოადგენდა. ამ სახელოვან ქალაქში მაშინ თავმოყრილნი იყვნენ რუსეთის საუკეთესო ძალები—ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი და მათი რევოლუციონერი მეგობრები. იქ იცემოდა მათი მებრძოლი ორგანო „სოვრემენიკი“. იქ მიმდინარეობდა ყველაზე გაბედული ბრძოლა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, სამშობლოსა და ხალხის თავისუფლებისათვის.

ჩერნიშევსკი დიდი ყურადღებით და თანაგრძნობით ეპყრობოდა აგრეთვე კავკასიელ ხალხთა ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ, და უხაროდა მათი კულტურული ზრდა. როცა თბილისში კავკასიელ მწერლებს „ზურნა“ გამოიცა, ჩერნიშევსკიმ განაცხადა:

„...ჩვენ გვიხარიან, რომ თბილისის მკვიდრ მცხოვრებთა შორის ჩნდებიან ადამიანები, რომელთაც მიდრეკილება აქვთ ლიტერატურული მოღვაწეობისაკენ. გავა კიდევ რამდენიმე წელი და მათ შორის ზოგიერთები ბევრად უფრო კარგად დასწერენ. ზოგმა მათგანმა შეიძლება მართლაც საუცხოოდ დასწეროს. ამ თვალსაზრისით ჩვენ გვიხარიან ქართული რომანტიკის გამოჩენა“.

ქართველი ახალგაზრდობის მსოფლმხედველობაზე დიდ გავლენას ახდენდნენ ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ნეკრასოვი და სხვა რევოლუციონერი დემოკრატები.

„სწორედ იმ დროს, — სწერს აკაკი წერეთელი, — გამოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი, ჩაუდგა სათავეში ჟურნალ „სოვრემენიკს“ და დობროლიუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად დასცა რუსეთს ყიჟინა. ამოძრავდა რუსეთი“.

„რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო, — სწერდა ნ. ნიკოლაძე 1873 წელს, — რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის („სოვრემენიკის“. — ვ. შ.) ახალი წიგნი გამოვიდოდა. რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარულით და დაუღალობით დავეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას, რანაირად გვიფეთქდა ჩვენ მაშინ გული, გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტვინი და გონება!

რამდენი გრძელი, ბოლომოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამე გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მისი აზრების რჩევაში, მისი სიტყვების სჯაში, მათზე დავაში, და რამდენი შემდეგი ღამეები მოუსვენრად უწვალებივართ იმ გრძნობის მღელვარებას, იმ აზრის მუშაობას, რომელიც ამ ჟურნალს ჩვენში მოუხდენია. ვინ დაითვლის ამ ხანგრძლივი ბედნიერების, აღტაცების, ტვინის წვალების და გრძნობის ამაღლების დღეებს, ან ვინ დაივიწყებს მათ სანიადაგოდ გულში ჩაბეჭდილ კვალს“.

ქართველი სტუდენტები 60-იან წლებში რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მხოლოდ პასიური მეკვრეტელნი არ ყოფილან, ისინი ამ მოძრაობაში ებმებოდნენ — კითხულობდნენ არალეგალურ ლიტერატურას, აარსებდნენ წრეებს, მონაწილეობას იღებდნენ დემონსტრაციებში.

პეტერბურგის უნივერსიტეტში 50-იან წლებში „პაწაწა კავკასიელების წრე“ არსებობდა. ამ წრეს სათავეში ი. ჭავჭავაძე ჩაუდგა. „ქართველ სტუდენტებს, — სწერს ნ. ნიკოლაძე, — რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი წიგნებისა და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავზე ევლებოდნენ მას; ესენი ამტკიცებდნენ, რომ მიზანშეწონილია დაარსდეს რამდენიმე სათვისტომო: ქართველების, სომხების, რუსების, ლეკების და სხვათა და მათ შორის უნდა დამყარდეს მჭიდრო კავშირი“.

ეს სტუდენტობა ჩაბმული იყო რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობის ცოცხალ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოძრაობაში. ამას მოწმობენ როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. წერეთლის „მგზავრის წერილები“, ისე ნ. ნიკოლაძე, რომელიც თავის მონგონებებში სწერს, რომ პეტერბურგში მოსწავლე ქართველ სტუდენტობას „კავშირი და ურთიერთობა ჰქონდა რუს... სტუდენტებთანო.“

1861 წლის სტუდენტთა რევოლუციონურ გამოსვლებში მოხაწილეობა მიიღეს ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, კ. ლორთქიფანიძემ, ლოლობერიძემ და სხვებმა, რისთვისაც მრავალი მათგანი დაპატიმრებულიც იქნა მეფის მთავრობის მიერ.

პეტერბურგში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა მოწინავე რუს მოღვაწეთა მნიშვნელოვანი გავლენით დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით იმსჭვალება საკუთარი სამშობლოსა და ხალხის წინაშე. „ოთხი წელიწადი იყო, — სწერდა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან საქართველოში მომავალი ილია ჭავჭავაძე, — რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩვენი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია? პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია, მეორე, ეს ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა იმისათვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა“...

ეს ქართველი ახალგაზრდობა სტუდენტობის დროიდანვე ებმება შრომასა და ბრძოლაში სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ, კულტურისა და ლიტერატურის ასაყვავებლად. იგი პეტერბურგიდან საქართველოში ჰგზავნის სტატიებს, მოთხრობებს, ლექსებს. ჯერ კიდევ სტუდენტმა ი. ჭავჭავაძემ 1861 წელს პეტერბურგიდან თბილისში „ცისკრის“ რედაქციას გამოუგზავნა სტატია ქართული თარგმნების შესახებ, რომელმაც დიდი აურზაური გამოიწვია არქაისტთა ბანაკში. 1863 წელს პეტერბურგიდან თბილისში „საქართველოს მოამბეში“ დასაბეჭდად თავიანთ კალმის პირველ ნიმუშებს ჰგზავნიან ქართველი სტუდენტები — კირილე ლორთქიფანიძე და გიორგი წერეთელი.

მაგრამ ამ ახალგაზრდობის მუშაობა განსაკუთრებით ძლიერდებოდა რუსეთიდან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ. პეტერბურგიდან მათ რევოლუციურ-პატრიოტული ენტუზიაზმი ჩამოჰქონდათ. ილია ჭავჭავაძემ საქართველოში ჩამოსვლისთანავე განმათავისუფლებელი დროშა ააფრიალა, საზოგადოებრივი ცხოვრების, ენისა და ლიტერატურის განახლებისათვის თავდადებული შრომა დაიწყო. ამავე დროს პეტერბურგში სულ ახალი და ახალი თაობები იზრდებოდნენ და საქართველოში ჩამოდიოდნენ. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ „თერგდალეულთა“ ახალ-ახალი ნაკადი თერგის მჩქეფარე ტალღებივით მოედინებოდა.

გამოდიოდნენ რა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშით, ეს ქართველი მოღვაწეები პირდაპირ ამბობდნენ, რომ ისინი ებრძვიან არა რუსეთს, არა რუს ხალხსა და მის მოწინავე ინტელიგენციას, არამედ რუსეთის თვითმპყრობელობას, პოლიტიკურს, სოციალურსა და ეროვნულ ჩაგვრას. რუსეთის ხალხთან, მის კულტურასა და ინტელიგენციასთან ამ ქართველობას მხოლოდ სიყვარულის, მეგობრობისა და თანამშრომლობის გრძნობები და სურვილები აკავშირებდა. ისინი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით ლაპარაკობდნენ რუსეთის გლეხობაზე, რუს რევოლუციონურ მეგობრებზე, ჩერნიშევსკის ჯგუფზე, სამშობლოს ინტერესებისათვის თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადებულ მებრძოლებზე, პეტერბურგზე — რევოლუციისა და კულტურის ამ უდიდეს კერაზე.

ქართველი ხალხისა და მისი მოწინავე ინტელიგენციის ეს აზრები ილია ჭავჭავაძეს ბები საუცხოოდ გამოთქმული აქვს ილია ჭავჭავაძეს. იგი ამბობს: „თერგდალეული აღიზარდა რუსულს მწერლობასა და მეცნიერებაზე და შეითვისა, შეიხორცა ნათელი აზრები რუსეთის განათლებულის საზოგადოებისა და ხელსავსე მოვიდა სამშობლო ქვეყანაში“. როცა ცარიზმის ლაქიამ, რუსი და ქართველი ხალხების მტერმა კატკოვმა გასული საუკუნის 80-იან წლებში ქართველთა დროშა შელანძღა, ილია ჭავჭავაძემ სასტიკად გაილაშქრა კატკოვის წინააღმდეგ.

„ქართული დროშა, — სწერდა ილია, — ორიათასი წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გარდაუცია... გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვარობით და სახელით ქართველობაა არა ერთხელ დაუღვრია სისხლი რუსებთან ერთად. ეგ დროშა, რომელიც ეგეთი სასოებით და პატივით უტარებია იმოდენა ხანს უწინდელს ქართველს, ეგ დროშა, რომელიც დახვედრია მოზღვავებულ თათრობას და მუსულმანობას და ქრისტეს ჯვარი თამამად წინ წაუმძღვარებია, ძლევამოსილობით ომიდან გამოუტანია და დაუმკვიდრებია კავკასიაში, ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგამომეტებით თან დაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უნთხევია მამულისათვის, — დღეს ეგ დროშა საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვილაც კორესპონდენტმა და ბ-ნმა კატკოვმა ბანი მისცა“.

ილია ჭავჭავაძის ეს წერილი დიდი თანაგრძნობით იქნა მიღებული რუსი ხალხისა და მისი პროგრესიული ინტელიგენციის მიერ, რადგან მასში გულწრფელად იყო გადმოცემული რუსი და ქართველი ხალხების მეგობრული გრძნობები და ისტორიული ჭეშმარიტება. ასევე გულწრფელად გამოსთქვა ეს გრძნობები ნიკო ნიკოლაძემ თავის შესანიშნავ წერილში პეტერბურგის შესახებ.

„წარმოიდგინეთ ეხლა, მკითხველო, რომ ეს პეტერბურგი ის ქალაქია, — სწერს ნიკოლაძე, — სადაც მე პირველი ახალგაზრდული აღტაცება და ყმაწვილური ოცნების ეშხი გამიცვნია, სადაც პირველად აყვავებულა ჩემი გრძნობა და იმედი, სადაც პირველი ნათელი და მძლავრი შთაბეჭდილება ღირსებია ჩემს ტვინსა და გულს. რაღაც უცნაური ძალა და გავლენა ეძლევა ჩვენს გრძნობიერებაზე ყოველ იმ ალაგს, სადაც ჩვენ ბედნიერნი, ან უბედურნი ვყოფილვართ, სადაც ჩვენს გრძნობას მძლავრი მღელვარება გამოუვლია, სადაც ჩვენ გვიშრომია და პირველჯერ გამარჯვების ან დამარცხების კვამლით თავბრუ დაგვხვევია და განსაცდელი გაგვიცნია... კაცს უყვარს ამნაირი ადგილი, ის ნიადაგ მშვენიერი სურათებით და ფერით იხსენებს იმას, თუნდ ცხრა მთას გადაღმა იყოს... ნახავს იმას თუ არა კაცი, მის ტვინში მაშინვე ჯგუფ-ჯგუფად დგება უწინდელი მოგონება, ძველებური, ნაცნობი გრძნობა და მთელი განვლილი გზა... იმას თვალწინ უდგება მაშინდელი თანამოძმეების და გმირების პირისახე, ეჩვენება მათი თვალისა და გრძნობის ალი, ესმის მათი ხმა და სიტყვა, და ხელი გაუგებრად იწევა, უნდა შეეხოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საყვარელ ქმნილებებს, უნდა მოეხვიოს და გულზე მიიკრას, უნებურად გაუგებრად როტავს:

„Я ваш, друзья, хочу быть вашим!
На труд и горесть я готов,
Готов начать в союзе вашем
Живое дело вместо слов.“

ამგვარად, ლენინგრადმა უდიდესი როლი ითამაშა ქართული კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის განვითარებაში. მან მრავალრიცხოვანი კადრი მოგვიმზადა.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1894 წელს თბილისში მოწყობილ პეტერბურგის უნივერსიტეტის არსებობის 75 წლისთავის დღესასწაულზე დამსწრეთა შორის 73 კაცი პეტერბურგის უნივერსიტეტ-დამთავრებული იყო. იუბილეიზე შეიკრიბნენ მოხუცები და ახალგაზრდები, მწერლები და მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში მომუშავე ქართველები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწენი. ისინი სიყვარულითა და სიამაყით იგონებდნენ სტუდენტობის დროს, პეტერბურგს... ლაპარაკობდნენ რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობაზე, კულტურულ თანამშრომლობაზე. ეურ. „კვალმა“ ამ დღესასწაულს მოწინავე წერილი მიუძღვნა, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული: „პეტერბურგის უნივერსიტეტის ანდერძი, თითოეულ მის მოწაფეზე გადაცემული... უცხო ერთა შორის შეტანა ძმობისა, ერთობისა და სიყვარულისა, მათი განათლება და მათი გათანასწორება თავის თავთან“.

პეტერბურგში აღზრდილი ქართველი კადრი იმდენად გაიზარდა, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებიდან იწყება საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების, ახალი კადრების ადგილობრივ მომზადებისა და სამეცნიერო-ლიტერატურული მუშაობის აყვავებისათვის ბრძოლა. ეს ბრძოლა გამარჯვებით მხოლოდ 1918 წელს დაგვირგვინდა, როცა თბილისის უნივერსიტეტი დაარსდა. მაგრამ საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იშლება ფართოდ და თავისუფლად უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო მუშაობა, არსდება სხვა მრავალი უმაღლესი სასწავლებელიც, სამეცნიერო აკადემია, მრავალი სამეცნიერო, სასწავლო და კულტურული დაწესებულება, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა ქალაქებში.

მაგრამ იმავე დროს ლენინგრადს არ დაუკარგავს თავისი როლი და მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის, პირიქით, იგი უფრო გაიზარდა. დღეს ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო აკადემიაში, სხვადასხვა სკოლაში ასობით ქართველი მეცნიერი და მოსწავლე მუშაობს და სწავლობს, სწავლობს და მუშაობს მეგობარ რუსებთან, უკრაინელებთან და სხვა მოძმე რესპუბლიკების ხალხთა შვილებთან ერთად.

*

* *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხალხებმა პირველად მიიღეს შესაძლებლობა განეხორციელებინათ საუკუნოებრივი მისწრაფება ერთმანეთისაკენ საზოგადოებრივი და კულტურული თანამშრომლობისათვის. პირველად განხორციელდა საუკეთესო ადამიანთა ოცნება ხალხთა თავისუფალი მეგობრობის შესახებ. პირველად შეიქმნა დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ოჯახი, რომლის ყოველ წევრს — ყოველ ერს — შესაძლებლობა მიეცა სხვა წევრების მეგობრული დახმარებით ააყვავოს თავისი ეროვნული ეკონომიური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება, გაუნაოროს ამ მეგობრებს თავისი გამოცდილება, მოახდინოს თავისი მიღწევების ფართო პოპულარიზაცია. ამ გზით ძლიერდება და იფურჩქნება საბჭოთა დიდი ოჯახი, იქმნება დიადი, ახალი, ჯერ არნახული სახალხო კულტურა, ნაციონალური ფორმით და სოციალისტური შინაარსით.

ჰიტლერელმა ყაჩაღებმა მოისურვეს ამ კულტურის მოსპობა, თავისუფალ საბჭოთა ხალხების დამონავება, მათი დიდი და მეგობრული ოჯახის დანგრევა. აი რატომ აღსდგნენ საბჭოთა ხალხები, როგორც ერთი კაცი, ამ თავისუფალი ოჯახის დასაცავად ფაშისტ დამპყრობელებისაგან.

ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე ვერაგული თავდასხმისთანავე საბჭოთა დიდი ოჯახის ყველა წევრმა, რომელ ფრონტზეც არ უნდა ყოფილიყო იგი, მტერს გააფთრებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა, რადგან რუსისათვის ისევე ძვირფასია უკრაინა და აზერბაიჯანი, როგორც უკრაინელისა და ქართველისათვის დიდი რუსეთი და ყირიმი, თბილისი, მოსკოვი და ლენინგრადი...

აი რატომ მოხდა ის, რომ, როცა ფაშისტი კაციჭამიები კავკასიას მოადგნენ, ამ ქვეყნის დასაცავად კავკასიელებთან ხელი-ხელ ჩაკიდებულად იბრძოდნენ რუსები და ბელორუსები, უზბეკები და უკრაინელები, ხოლო ქართველი ახალგაზრდობა ისევე ერთგულად იცავდა ლენინგრადს პირსისხლიანი ფაშიზმისაგან, როგორც შთამომავლობით ლენინგრადელი რუსი.

მრავალ ბრძოლა-გადახდილი ლენინგრადი 1941 წელს დაწყებულ ომს სერიოზულად და გამარჯვების შინაგანი ღრმა რწმენით შეხვდა. ჰიტლერული გერმანიის საბჭოთა კავშირზე ვერაგული თავდასხმის პირველ დღიდანვე ლენინის ქალაქმა სახე შეიცვალა. მან უფრო ეპიური, საქმიანი და თითქოს მკაცრი გამომეტყველება მიიღო. ყოველ ლენინგრადელის მუშაობაში, ქცევაში, უბრალო ლაპარაკშიაც კი თავისებური სტილი — პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა, დისციპლინა, საქმიანობა — იგრძნობოდა. ლენინგრადელები, განურჩევლად ეროვნებისა, ასაკისა, პროფესიისა უფრო შემჭიდროვდნენ, უფრო დამეგობრდნენ, ერთმანეთის მიმართ უფრო მეტი ყურადღებისა და მზრუნველობის გამოჩენა იწყეს.

ლენინგრადში მოსწავლე ქართველები ომის პერიოდში უფრო მეტად აძლიერებდნენ რუსებთან, უკრაინელებთან, სომხებთან, უზბეკებთან ძველ მეგობრობას. ისინი-მათთან ერთად ცხოვრობენ, სწავლობენ, ერთად მუშაობენ სათავდაცვო სამუშაოებზე, ერთად იცავენ საყვარელ ლენინგრადს. მრავალმა ქართველმა მოსწავლემ ვადაზე ადრე ჩააბარა გამოცდა, დაიცვა დისერტაცია, რათა სამშობლოს დასაცავად ფრონტზე მოხალისედ წასულიყო.

არა ერთმა ქართველმა მეთაურმა და წითელარმიელმა გაითქვა სახელი ლენინგრადის დაცვასა და მის ბლოკადის გარღვევაში, ტიხვინთან და ვოლხოვის ფრონტზე წარმოებულ ბრძოლებში. არა ერთმა ქართველმა მფრინავმა, არტელერისტმა, მეზღვაურმა და ქვეითმა ჯარისკაცმა გაუმართა იქ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ფაშისტ არამზადებს.

წითელდროშოვან ბალტიის ფლოტში მომქმედ საზღვაო სარკინიგზო ბატარიას კაპიტანი გრიგოლ ბარბაქაძე მეთაურობს. მას კრონშტატი და ლენინგრადი საქართველოზე ნაკლებად როდი უყვარს. „აქ ბუნება უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკაცრია. ფიჭვისა და მარილის სუნი სდგას. ზღვა ბობოქარი და ... ნამდვილი საარტილერიო ბუნებაა“, — ამბობს იგი. კაპიტანმა ... სახელი გაითქვა როგორც ნიჭიერმა და გაბედულმა მეთაურმა, ფაშიზმთან შეუპოვარმა მებრძოლმა, სამშობლოსადმი სიყვარულითა და მტრისადმი სიძულვილით გამსჭვალულმა მეომარმა.

პოდპოლკოვნიკი გ. ა. ნადირაძე მონაწილეობას იღებდა ვოლხოვის ფრონტზე და ტიხვინის გამანთავისუფლებელ ბრძოლაში. მისმა ნაწილმა არა ერთი ათასი ჰიტლერელი გაჟლიტა. ნადირაძე დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

ლენინგრადის ფრონტზე სახელი გაითქვეს აგრეთვე გენერალ-მაიორ. ვ. მჟავანაძის ნაწილმა, პოდპოლკოვნიკ შ. მელქაძის ნაწილმა და სხვ.

ლენინგრადთან გამართულ ერთ-ერთ ბრძოლაში არტილერისტ კ. ჭუბაბრიამ პირდაპირი დამიზნებით 300 მეტრის მანძილზე ასობით ჰიტლერელი გაჟლიტა. უმცროსმა სერჟანტმა გვენეტაძემ ასზე მეტი გერმანელი მოსპო.

კოლმეურნე აბესაძის 14 მებრძოლი შვილიდან ორი ლენინგრადს იცავს, დანარჩენები დასავლეთის, ჩრდილოეთის და სხვა ფრონტებზე იბრძვიან ერთნაირი თავდადებით.

ლენინგრადის ფრონტის სარდლობა იუწყება, რომ ლენინის სახელოვანი ქალაქის ფრონტის მებრძოლთა და მეთაურთა შორის ქართველი ხალხის მრავალი საამაყო შვილიც იბრძვის. აი ზოგიერთი მათგანის სახელი.

ლ ო ლ უ ა ემელიანე თეიმურაზის-ძე — ნ პოლკის ტყვიამფრქვეველთა ასეულის მეთაური. მან ფრონტზე განვლო გზა ეფრეიტორიდან უმცროს ლეიტენანტამდე. მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა სადაზვერვო ოპერაციებში, რომელთა დროს მოსპო 18 ფაშისტი. დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“.

პ ა პ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ნიკო სარდიონის-ძე — ეფრეიტორი. ლენინგრადის ბლოკადის გარღვევისათვის ბრძოლების დროს ის შეიჭრა მტრის საბრძოლო წყობილებაში, მოსპო ოფიცერი და ორი გერმანელი ჯარისკაცი და ერთ-ერთი პირველთაგანი შეხვდა ვოლხოვის ფრონტის მებრძოლებს., დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

ს ე ა ტ რ ა ძ ე გიორგი ვლადიმერის-ძე — წითელარმიელი. მას მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა ჩასაფრებასა და დაზვერვაში. პირად საბრძოლო ანგარიშზე ჰყავს 9 მოკლული თეთრფინელი. დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“.

ხ ა რ კ ი გალაქტიონ მელიტონის-ძე — უფროსი ლეიტენანტი, ტანკსაწინააღმდეგო ოცეულის მეთაური. უკანასკნელ ბრძოლებში მან ტანკსაწინააღმდეგო თოფით ჩააჩუმა მტრის 3 საცეცხლე წერტი და უნარიანად ხელმძღვანელობდა თავის ქვეგანაყოფს. დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით და დაწინაურებულია ასეულის მეთაურის თანამდებობაზე.

რ უ ხ ა ძ ე გიორგი იოსების-ძე — ლეიტენანტი, ნაღმმტყორცნელთა ოცეულის მეთაური. ლენინგრადის ბლოკადის გარღვევისათვის ბრძოლებში მან თავი გამოიჩინა როგორც უნარიანმა და მამაცმა მეთაურმა. რუხაძის ოცეულმა გაბედულად მიიტანა იერიში მტერზე, მოსპო ერთი დაზგისა და ორი ხელის ტყვიამფრქვევი, წინ წაიწია 800 მეტრზე და ჩვენი ქვეგანაყოფების მისვლამდე შეინარჩუნა დაკავებული ზღუდე. ამხანაგი რუხაძე დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესხი შოთა დიმიტრის-ძე — ლეიტენანტი, ასეულის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში. ერთ-ერთ ბრძოლაში იგი თავის ასეულთან ერთად სამი დღე-ღამის განმავლობაში გარემოცვაში იმყოფებოდა, მაგრამ დაკავებული ზღუდე შეინარჩუნა და მტრის ყველა იერიში მოიგერია. დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

კურტანიძე ალექსი პავლეს-ძე—ნაღმმტყორცნელთა ასეულის მეთაურის მეკავშირე. ომის განმავლობაში მან რვა ჭრილობა მიიღო. სახელი გაითქვა ლენინგრადის ბლოკადის გარღვევისათვის ბრძოლებში. ასევე სახელი გაითქვეს. მურადაშვილმა, ჩალაკიძემ, ჩეკალდარმა, ჯიქიამ, ზაიძემ, ელერდაშვილმა, ნაზაძემ, ინაშვილმა და სხვებმა.

ამგვარად, ლენინგრადთან გამართულ ბრძოლებში, ისევე, როგორც მოსკოვთან, სტალინგრადთან, კავკასიაში წარმოებულ ბრძოლებში, ერთხელ კიდევ დამტკიცდა რუს და ქართველ ხალხთა შვილების ერთმანეთისათვის მეგობრული თავდადება და ძმური სიყვარული.

*
* *

1941 წლის აგვისტოში მტერი ლენინგრადის მისადგომებს მიადგა. 3 სექტემბერს საკდესის კორესპონდენტი ლენინგრადიდან იტყობინებოდა: „ღამ-ღამობით პროექტორთა სხივით ისერება ბნელი ცა, გაისმის საზენიტო ქვემეხთა ყრუ გრიალი, მიდი-მოდიან პატრულები, მიმოქრიან საბარგო მანქანები, რომელთა ფარნები ჩამქრალია. ძლივს ბჟუტავენ ქუჩის მოძრაობის მარეგულირებელი წითელ-მწვანე პაწია ფარნები.

მაგრამ ახლაც ლენინგრადი — მეცნიერების ქალაქი, ხელოვნების ქალაქი— სისხლ-სავსე, კულტურული ცხოვრებით ცხოვრობს.

დაძაბულად მუშაობენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები იმ პრობლემებზე, რომლებიც განამტკიცებენ სამშობლოს თავდაცვითს ძლიერებას. მიმდინარე ყოველდღიური ცხოვრება როდი წყდება...

...უმაღლეს სასწავლებლებში მეცადინეობა დაიწყო. მეცადინეობის პირველ დღეს აკადემიკოსმა მეშჩანინოვმა წაიკითხა ლექცია „ახალი რამ ენის მოძღვრების შესახებ“, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პიქსანოვმა წაიკითხა ლექცია რუსული ლიტერატურის ისტორიაზე“.

ეს სტრიქონები კარგად გადმოგვცემენ ლენინგრადის გამარჯვების რწმენით აღსავსე ბრძოლისა და შრომის ეპიურ სახეს. ამ დროიდან დაწყებული ლენინგრადი რამდენიმე თვის განმავლობაში მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. საბჭოთა ხალხები, მთელი პროგრესიული კაცობრიობა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ლენინის ქალაქის ჯერ არნახულ ბრძოლას ჰიტლერელი ყაჩაღების წინააღმდეგ. დედამიწის ყველა კუთხიდან, საბჭოთა კავშირის ყოველი რესპუბლიკიდან და ქალაქიდან ხალხი მამაც ლენინგრადელებს სიყვარულისა და გამხნევების წერილებითა და ლექსებით მიმართავდა.

ამ გამამხნევებელ ხმებში ქართველთა მეგობრული ხმაც მძლავრად ისმოდა.

1941 წლის 16 სექტემბერს თბილისში მოწყობილი ქართველი ახალგაზრდობის მიტინგი ლენინის ქალაქის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ძმური სალა-

მით მიმართავდა. „ამხანაგო ლენინგრადელებო, თქვენთან არის ჩვენი ქვეყანა. მან კარგად იცის, რომ თქვენ გაიმარჯვებთ“, — ამბობდა მიტინგის მონაწილენი.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ ვაგონსარემონტო ქარხნის მუშაკთა კოლექტივი 6 სექტემბერს მოწვეულ მიტინგზე ლენინგრადელებს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „გარწმუნებთ თქვენ, ძმებო ლენინგრადელებო, რომ მთელი ჩვენი აზრი თქვენთან არის. აღფრთოვანებულნი თქვენი მამაცობითა და გმირობით, ყოველდღიურად გავამრავლებთ ჩვენს საწარმოო წარმატებებს, ყოველმხრივ დავეხმარებით ფრონტს“.

ქართული პოეზიის მთავარ თემად იმ დროს ლენინგრადის თემა ხდება. ქართველი პოეტები სიყვარულითა და სიამაყის გრძნობით გამთბარ ლექსებს უძღვნიან გმირ ქალაქს:

„ძმანო, მოძმენო,
ჩვენ თქვენთანა ვართ,
გვესმის თქვენი ხმა,
თქვენი ძახილი...
თქვენ გმირები ხართ,
ყველა თანაბარ
და ამართული —
ერთი მახვილით...
ვერა, ვერ გასტეხს
მტერი თქვენს ძალას,
სიკვდილის კბილით დაიფლითება,
ლენინის ქალაქს,
პუშკინის ქალაქს,
გიგზავნით სალამს:
ვაშა,
დიდება!“

ასეთი გამამხნევებელი და ძმური თანაგრძნობით მიესალმა ლენინის ქალაქს ქართველი პოეტი, სტალინური პრემიის ლაურეატი გიორგი ლეონიძე.

მეორე ქართველმა პოეტმა ალ. აბაშელმა ფაშიზმთან მებრძოლ ლენინგრადს ასეთი სიტყვებით მიმართა:

„ამ შეჯახების და ჭიდილის ხმა
კავკასიონის ქედსაც მოესმა,
სალამი გიძღვნა შორმა თბილისმა,
როგორც ძმობილმა უახლოესმა“.
(„ლენინის ქალაქს“).

პოეტი ვ. გორგაძე ლენინგრადის დამცველებისადმი მიმართულ ლექსში სწერს:

„თქვენთან მხარდამხარ ამართულა კავკასიონი,
კოლხიდის ჭალა, ვრცლად გაშლილი პონტოსი წყნარი,
ტალღის ხმაურით ესალმება ნევას რიონი
და ქართულ დაშნას აელვარებს მრისხანე მტკვარი!“
(„ლენინგრადის დამცველებს“).

ქართველი პოეტები, მიესალმებიან რა გმირულ ლენინგრადს, ღრმად სწამთ მისი გამარჯვება.

ლენინგრადს პირველად არ უხდება მტერთან ბრძოლა. იგი ბრძოლებში გამოწრთობილი ქალაქია. ბრძოლებიდან ის ყოველთვის გამარჯვებული გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდიოდა. გამარჯვებული გამოვა ახლაც, რადგან მას გმირული ტრადიციები ასაზრდოებდნენ, რადგან მას მთელი სამშობლო იცავს, რადგან ეს ლენინის ქალაქია, რადგან ახლანდელ სახელოვან ბრძოლებს დიდი სტალინი ხელმძღვანელობს. ლენინგრადი ის ქალაქია,

„სად მოგონება დღემდის ცოცხლობს დიად სარდალთა:
მინინ-პოჟარსკის, კუტუზოვის, დიდი ნეველის;
სადაც სტალინმა ერთა ძმობის დროშა აღმართა,
ჟამთა ქროლაში სამუდამოდ დაუძლეველი.
თქვენ იქ აღდექით და ეკვეთეთ მტერს გააფთრებით,
თქვენი მარჯვენის მტერმა იგრძნო ურყევი ძალა,
თქვენ ხართ თაობა ღირსეული გმირ წინაპრების,
უკვდავ ლენინის და პუშკინის თქვენ იცავთ ქალაქს“.
(ვ. გორგაძე—„ლენინგრადის დამცველებს“).

ეს ქალაქი უძლეველია,

„რადგან ქვეყანა
დღეს შენთან არი,
ხალხი, სამშობლო
შეუსადარი,
რადგან შენ გიძღვის
მხედართმთავარი,
შენი ბელადი,
შენი სარდალი...“
(გ. ლეონიძე — „ლენინის ქალაქს“).

ლენინგრადის სახელი საყვარელი ბელადების ლენინისა და სტალინის სახელთანაა დაკავშირებული.

„როგორც ათასი ფოლადის პირი,
ათასი გული იწვის და ელავს,
ქალაქთა შორის — ქალაქი გმირი
მღელვარედ უსმენს საყვარელ ბელადს“.
(ი. მოსაშვილი — „ლენინი ჯავშნოსანზე“).

ლენინმა ამ ქალაქს მებრძოლი, ჩაუქრობი სული დაუტოვა:

„მან დაუტოვა ჩაუქრობი სული ამ ქალაქს,
თითონ ქალაქმაც მის სახელში ჰპოვა სიმაგრე,
ამ დიდი სულის კოცონები სივრცეებს ალავს
და ბნელად მოსულ ურდოების ჯებირებს ანგრევს.

. . . . . .

ყოველ ჭუჩაში, ქარხანაში, აქ ყოველ ქვაში
ლენინის გული, ვით ჯავშანი, არის ჩადგმული,
და ამ გულითვე შეტევაზე მიდიან მარშით
რევოლუციის და სამშობლოს შვილნი ერთგულნი.

. . . . . .

და არც მოკვდება ლენინი და მისი ქალაქი,
აღარ ჩაქრება ჩირაღდნები გამარჯვებისა,
მარად, სტალინის ვაჟკაცობით, სიბრძნის ბარაქით
იცოცხლებს ხალხი ბოლშევიკურ საბჭოებისა“.
(ი. ლისაშვილი — „ლენინი და ლენინგრადი“).

ასეთივე გამარჯვების ღრმა რწმენაა გამოთქმული გ. კაჭახიძის ლექსში „ლენინგრადი“:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დაე მხეცობდნენ, დარჩეს მგელი მგლად,
ვერ სძლევს სიბნელე მზეს და განთიადს,
ვერ გაიხდიან მონად ლენინგრადს, —
მასში ლენინის სული ანთია.

. . . . . .

მის უკვდავებას ხალხში მღერიან,
ეღერენ სიმები მრავალ-მრავალი,
ის გაიმარჯვებს, ის ძლიერია,
ვით ჩვენი საქმე და მომავალი“.

ცალკე უნდა გამოვყოთ და განსაკუთრებით შევჩერდეთ გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, ალიო მაშაშვილისა და ალექსანდრე აბაშელის ლენინგრადისადმი მიძღვნილ პოეტურ ნიმუშებზე.

ლენინის ქალაქის ეპიური ბრძოლების იშვიათი სახე მოგვცა საქართველოს სახალხო პოეტმა ორდენოსანმა გალაკტიონ ტაბიძემ:

„აი აქ, ამ ქალაქისთვის
ახლა მიდის დიდი ბრძოლა.
დიდებული ქალაქია,
მთელი ერთი ქვეყნის ტოლა.
ხუროთმოძღვართ იგი წყალთა
სარკეებზე აუგიათ,
ხიდეები გადუჭიმავთ
და გრანიტი დაუგიათ.
იცქირება იგი სახლთა
მშვენიერი განრიგებით,
იმუქრება თავის მძლავრი
ქარხნებით და ფაბრიკებით.
სდგას ქალაქი, სდგას განთქმული,
უდიდესი, ღრმა ძიებით,
სახელოსნო მოვლენების,
მბორგი რევოლუციებით.
მრავალ ათასეულ მუშის
და სწავლულის სდგას ქალაქი,
მას უმიზნებს საზარ ბრეყალებს
ფაშისტების ხროვა შმაგი“.

(„ლენინგრადი“).

გალ. ტაბიძის „ლენინგრადი“ სიუჟეტიანი და მრავალთემიანი ლექსია. მასში პოეტმა გადმოგვცა არა მარტო ლენინგრადის ლამაზი და გმირული სახე, არა მარტო ბრძოლის კონკრეტული ეპიზოდები, არამედ ქართველი ხალხის სიყვარული და თავდადებაც ლენინის ქალაქისათვის.

ასეთივე თემატიკური მრავალმხრივობითა და პოეტური ოსტატობით გამოიყოფა ალექსანდრე აბაშელის ოპტიმიზმითა და სიყვარულით გამთბარი ლექსი „ლენინის ქალაქს“:

„შენში მეტყველებს ხალხის გენია, —
ნადირთა ხროვა რას გედავება?
თვით ისტორიას დაუდგენია
შენი სიცოცხლე და უკვდავება.

. . . . . .

შენს კედლებს ხავსი არ ეკარება,
დიდი ლენინის გმოსავს ანდერძი,
რევოლუციის ხარ ელვარება
და პოეზიის შარავანდედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტს ხიბლავს ქალაქის სილამაზე:

ოცნების ფრთებით ხარ შენარხევი,
ქვათა სიმძიმე შენ არ გატყვია.
ნევის ტრტების ლურჯი არხები
მინანქარივით ზედ დაგხატვია.
თითქო არ არის ხელით ნაგები
შენი წარმტაცი მიდამოები.
იმიტომაც ხარ ხშირად ნაქები,
ვით ხელოვნების ნაწარმოები".

პოეტი დარწმუნებულია, რომ ლენინგრადის მისადგომებზე ბოლო მოეღება ჰიტლერელთა მხეცობას, ძარცვას, ბავშვთა მკვლელობას. მას ბოლოს მოუღებენ ლენინის ქალაქის მამაცი დამცველები:

„შენ კი დარჩები მორჭმით მჯდომელი,
მუდამ ნორჩი და მუდამ ახალი,
მტრებისთვის მარად მიუწვდომელი,
ნევის ნაპირის მზეთუნახავი".

არ შეგვიძლიან მთლიანად არ მოვიყვანოთ პოეტ ი. გრიშაშვილის სიყვარულის გრძნობით გამთბარი საუცხოო ლირიკული ლექსი „ლენინგრადს":

„მე შენს ქუჩებში მესმის ქართული
შეძახილები მებრძოლ ლომებთან,
სარდლის სიტყვები კლდედ ამართული
დედაქალაქის მისადგომებთან.

მე შენს შადრევნებს, ცამდე აყვანილს,
ბალღობიდანვე ლექსებში ვზრდიდი,
გამარჯვებების იყავ აკვანი
და პოეტების წალკოტი დიდი.

წიბოვ და ღვიძლო! დღეს ისევ ბრგე ხარ,
შენი ლაშქარიც ისევ მხნედ არი,
შენ ისევ ისე ამაყად დგეხარ,
როგორც პუშკინის თუჯის მხედარი".

ყველა ეს ლექსი დაიწერა 1941 წლის შემოდგომაზე, იმ დროს, როცა ლენინის ქალაქი გოლიათური სიძლიერით იგერიებდა გამხეცებული ფაშისტური ურდოების იერიშებს. ამ გააფთრებული ბრძოლების დროს ლენინგრადს ლექსები მიუძღვნეს აგრეთვე სანდრო ეულმა („გმირ ქალაქს"), მიქელ პატარიძემ („ლენინგრადი") და მრავალმა სხვა ქართველმა პოეტმა.

ლენინგრადმა სხვა ქალაქებს ტიტანური გამძლეობისა და გმირული ბრძოლის გაკვეთილი მისცა. ბლოკირებული და დაჭრილი, მაგრამ ამაყი და უტეხი, იგი დიად მაგალითად აღიმართა ისტორიაში.

განვლო ერთმა წელმა და ისტორიაში ახალ ბრწყინვალე ფურცლად ჩაიწერა სტალინგრადის ეპოპეა. სტალინგრადმა ლენინგრადული გამძლეობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა. იგი დაიჭრა, დასახიჩრდა, მაგრამ მტერს მაინც არ დანებდა.

ვოლგის ნაპირებზე გამართული ბრძოლები ადამიანს ნევასთან წარმოებულ ეპიურ ჭიდილს აგონებდნენ, სტალინგრადის სიმტკიცე — ლენინგრადის სიმტკიცეს. ეს საუცხოოდ გამოხატა ორგზის ორდენოსანმა პოეტმა ალიო მაშაშვილმა. მისი ლექსი „დგას ორ- ქალაქი—ორი ძმადნაფიცი" დაწერილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინგრადის ქუჩებში გამართულ გააფთრებული ბრძოლის დროს.

სტალინგრადის თავდადება და გმირული ბრძოლა პოეტს ლენინგრადს აგონებს:

„ის ლეწეს ტყვიებით,
მაინც არ გამტყდარა,
ჰსურთ დედას მოსწყვიტონ
და მაინც მხნედ არის.
ქარი არ ჩამდგარა,
ხალხი ზღვად ამდგარა
და ყალხზე დამდგარა
ბრინჯაოს მხედარიც.

არ შედრკე, არ შედრკე,
უმცროს ძმას უკივის.
წვიმა და ქარია,
ელვა და ზანზარი,
სტალინის დროშაა
რომ დაჰქრის შუქივით,
ტყვია ვერ განგმირავს,
ვერ დასწვავს ხანძარი“.

ორმა ქალაქმა თითქოს ერთმანეთს მტრისადმი დაუმორჩილებლობის ფიცი მისცეს, და ეს ფიცი მათ პირნათლად შეასრულეს:

„ერთმანეთს შეჰფიცეს:
დაიცვან ბოლომდი
ქვეყანა უდრეკი
და შეურიგალი,
ოცდახუთ წელიწადს
რომ სჰედეს ფოლადით
ქვეყანა, დაძრული
ოქტომბრის გრიგალით.
ჰგავს მწვავე ჭრილობას
მტარვალთა ნაბიჯით
ნევიდან ვოლგამდე
გზა სისხლით ნალაქი, —
დგას ორი ქალაქი,
ორი ძმადნაფიცი,
ლენინის ქალაქი,
სტალინის ქალაქი“.

ქართველი ხალხის, ქართველი ახალგაზრდობის, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, პოეტების ეს მისალმებები ლენინგრადელების მიმართ ნათლად გამოხატავენ იმ სიყვარულსა და მეგობრობის გრძნობებს, რომლებიც საუკუნეებით აკავშირებდნენ ერთმანეთთან ქართველ და რუს ხალხებს. მათში გამოხატულია მტერზე გამარჯვების ის ღრმა რწმენაც, რომელიც საერთოდ საბჭოთა პატრიოტების ერთ მთავარ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს.

ამ რწმენაში ისინი არ მოტყუებულან. მამაცმა ლენინგრადელებმა ღირსეულად გაამართლეს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესიული კაცობრიობის იმედები.

ჰიტლერელ ავაზაკებს ლენინგრადის „ელვისებური“ სისწრაფით [illegible] იმედი ჰქონდათ, ისინი ამის შესახებ საქვეყნოდ ტრაბახობდნენ. [illegible] ფაშისტი ყაჩაღები მალე დარწმუნდნენ, რომ ლენინგრადის „ელვისებური“ სისწრაფით აღება შეუძლებელია. ამიტომ მათ ქალაქის გარშემო მიწის სოროებში თხუნელებივთ ჩაძრომა იწყეს. ლენინის ქალაქს ფაშისტი მხეცები რკალავდნენ, მას, ვით ამირანს, ზარბაზნებისა და ტანკების ჯაჭვებით ბოჭავდნენ, მისი გმირული გულის გასატეხად და ლამაზი სახის დასასახიჩრებლად თვითმფრინავებს ყვავ-ყორნებივით უსევდნენ. ლენინგრადელების შეუპოვარი წინააღმდეგობის დასაძლევად ან მათი შიმშილით ამოსაწყვეტად მტერმა ქალაქის ბლოკირება მოახდინა. ბლოკადა 1941 წლის სექტემბრიდან 1943 წლის იანვრამდე გრძელდებოდა.

მაგრამ განა არის ქვეყნად ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ლენინგრადელების სიმამაცისა და გამძლეობის გატეხა? 240 წლის განმავლობაში ლენინგრადი არც ერთი დღით არ დამორჩილებია დამპყრობელებს და ახლა მით უმეტეს—დიდი ლენინის თავისუფალი ქალაქი ფაშისტურ უღელს არ დაიდგამდა. ლენინგრადელებმა ყველაფერი გადაიტანეს, ყველაფერს გაუძლეს—ბლოკადას, შიმშილს, დაბომბვას. ისინი იბრძოდნენ საოცარი შეუპოვრობითა და გულადობით. და აი 1943 წლის 18 იანვარს, შვიდი დღის დაძაბული ბრძოლის შედეგად, ლენინგრადისა და ვოლხოვის ჯარებმა მოწინააღმდეგის ხანგრძლივი გამაგრებული ზოლი გაარღვიეს, გაარღვიეს ლენინგრადის ბლოკადა და იწყეს ახალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მზადება.

შორს არ არის ის დრო, როცა ჰიტლერელთა ურდოები საბოლოოდ განადგურებულნი იქნებიან, ხოლო საყვარელი და საამაყო ლენინგრადის მტერთან გოლიათური ბრძოლისა და გამარჯვების ამბავი ისტორიაში ბრწყინვალე ეპოპეად შევა.

იოსებ ტატიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ტატიშვილი

(ქართული ქსილოგრაფიის ოთხმოცი წლისთავის გამო)

1863 წელი უნდა ჩაითვალოს ქართული ქსილოგრაფიის შექმნის წელიწადად.

ქსილოგრაფია[1]) არის ხელოვნება — ხეზე სურათის ამოჭრა (ამოკვეთა), კლიშეს გაკეთება სტამბური წესით დასაბეჭდად. ასეთი კლიშეები ახლა კეთდება ცინკოგრაფიული ხერხებით. თუთიაზე სურათს გადაიღებენ ფოტოგრაფიით, შემდეგ ქიმიური ხერხებით მოქმედებენ თუთიაზე, რომელზედაც შხამიანი წამლები ამოსჭამენ სურათს. ეს არის ქარხნული წარმოება. აქ მუშაობენ ჩვეულებრივი მუშები და არა ხელოვნები.

წინათ-კი, ცინკოგრაფიის შემოღებამდე, კლიშეებს აკეთებდნენ ხეზე ხელოვნები, ქსილოგრაფები. ესენი საგანგებო იარაღით ხეზე სჭრიდნენ სურათებს. ეს არ იყო უბრალო ხელოსნობა. ეს იყო ხელოვნება. ქსილოგრაფობა შეუძლია მხოლოდ ხელოვან მხატვარს. ქსილოგრაფი უწვრილესი და უწმინდესი იარაღით ხეზე სჭრის მხატვრულ სურათს, თვით მის მიერვე ან სხვა ხელოვანი მხატვრის მიერ შექმნილს.

1863 წლამდე საქართველოში და საერთოდ კავკასიაში ქსილოგრაფია არ არსებობდა. იყვნენ გრავიორები (ამომჭრელები), ოქრომჭედლები, რომლებიც ვერცხლსა და ოქროზე (და სხვა ლითონებზედაც) სჭრიდნენ სხვადასხვანაირ მორთულობას და წარწერებს. ნამდვილი გრავიორობა (ლითოგრაფიის გარდა), იმ სახისა, როგორიც ზემოთ აღვწერეთ, არ არსებობდა. რუსეთში ქსილოგრაფები იყვნენ მხოლოდ მოსკოვსა და პეტერბურგში, სამხატვრო აკადემიაში (ცნობილი ქსილოგრაფები ლემანი და მეი). ხელოვნების ეს სახე საქართველოში შეჰქმნა გრიგოლ (მეტსახელად — ფიგარო) პავლეს-ძე ტ ა ტ ი შ ვ ი ლ მ ა (1838 — 1910). იგი იყო პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი ქსილოგრაფი — არც მის წინ, არც მის შემდეგ ჩვენში ქსილოგრაფი არ ყოფილა.

გ. ტატიშვილი დაიბადა ქალ. გორში. 12 წლამდე სწავლობდა გორის სასწავლებელში. 1850 წელს ოჯახი გადმოსახლდა თბილისში. ტატიშვილი მოსწყდა სასწავლებელს — ოჯახის ხელმოკლეობის გამო. მან სწავლა ვეღარ განაგრძო და პატარა გიგა მშობლებმა შეგირდად მიაბარეს „შკაფჩიკს". „შკაფჩიკები" ერქვათ იმ ვაჭრებს, რომლებსაც თამამშევის ქარვასლის[2]) დერეფ-

---

[1]) ქსილოს ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს ხეს, გრაფოს — ვწერ: ხეზე წერა, ხეზე ხატვა.

[2]) ყოფილი ერევნის—აწ. ბერიას—მოედანზე. დაანგრიეს 1934 წ. მოედნის გასაფართოებლად.

ნებში გამართული ჰქონდათ კარადები, სადაც ეწყოთ საქონელი, უმთავრესად გალანტერეა.

ნიჭიერ, მოძრავ, ცოცხალი გონების პატარა გიგას სრულიად ეზიზღებოდა თავისი მომავალი პროფესია — ვაჭრობა. იგი ეძებდა ცხოვრების სხვა გზასა და კვალს. ამიტომ იყო, რომ მცირე ხნის განმავლობაში, რაღაც 9 — 10 წელიწადში, ტატიშვილმა ძალიან ბევრი პროფესია გამოიცვალა: იყო ცირკის აკრობატად, ძაღლების მსახვრადად (მწრთვნელად), მუსიკოსად იტალიურ ოპერაში, პიროტექნიკოსად, ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო ფერმა, ჩხერების წნული ფარდების ქარხანა. ერთხელ სცემა ქალაქის კომენდანტს და ნაცნობების რჩევით იძულებული გახდა გაქცეულიყო თბილისიდან. წავიდა ფოთში და შავ მუშად დადგა რკინიგზაზე, რომელიც მაშინ გაჰყავდათ. რაკი მხატვრობის ნიჭი ჰქონდა, მალე წასწიეს წინ და ვაგონების მღებავ-მხატვართა უფროსად დანიშნეს. ვერც ამან დააკმაყოფილა. განათლება არა ჰქონდა, ამიტომ დიდხანს ვერ ახერხებდა თავის მოწოდების გზაზე გასვლას.

თამამშვილის ქარვასლის ეზოში იმ დროს თეატრი იყო. ეს თეატრი 80-იან წლებში დაიწვა. აქ გასტროლებზე მოდიოდა იტალიური ოპერა. პატარა გიგა ქარვასლის დერეფნებიდან გაძვრა თეატრში, დაუახლოვდა იტალიელ არტისტებს, მუსიკოსებს, დეკორატორებს, მხატვრებს, ერთის სიტყვით, ხელოვნების ხალხს. იმათგან ისწავლა კორნეტ-პისტონზე დაკვრა. ერთხანად იმავე თეატრის ორკესტრში უკრავდა. ისწავლა აგრეთვე დეკორატორობა, პიროტეხნიკა, შეისწავლა იტალიური ენა. ამას მოჰყვა შეცვლა საქმიანობისა, და ასე გაგრძელდა იქამდე, სანამ ტატიშვილმა არ მიაგნო თავისი ნიჭის შესაფერ საქმეს — ქსილოგრაფობას.

ქსილოგრაფიისა იმ დროს ჩვენში დიდი საჭიროება იყო. იმ დროს გაიღვიძა ქართველებისა და საერთოდ კავკასიის ერების ეროვნულმა გრძნობამ და შეგნებამ. ამან გამოიწვია ეროვნული კულტურის აღმავლობა. ამ ერების კულტურული ცხოვრება ორი გზით წავიდა: ერთი გზა იყო ისტორიული წარსულის შესწავლა, მეორე — ბრძოლა საკუთარი ეროვნული კულტურის, ეროვნული მომავლის შექმნისათვის.

ამ ახალ მოძრაობას მოჰყვა მრავალი ისეთი რამ, რაც საქართველოში წინათ ან სულ არ არსებობდა ან არსებობდა პრიმიტიულად. გაჩნდნენ გაზეთები, ჟურნალები, ქართული სახელმძღვანელოები. დაარსდა მუდმივი ქართული თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვ. ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ ერთბაშად გადადგა წინ დიდი ნაბიჯი, თითქოს ჩქარობდნენ იმის ანაზღაურებას, რაც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დააკლდათ. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა თავისი ეპოქის მპყრობელი ი. ჭავჭავაძე. მასთან თანამშრომლობდნენ აკაკი, გოგებაშვილი, ნიკოლაძე, ვაჟა, ყაზბეგი და მრავალი სხვ. გაჩნდნენ საბავშვო მწერლები—შიო მღვიმელი, ცახელი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი, საბავშვო ჟურნალის „ჯეჯილის“ რედაქტორი, მოგვიანებით ნინო ნაკაშიძე, საბავშვო ჟურნალის „ნაკადულის“ რედაქტორი (პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი იყო „ნობათი“ — რედაქტ. ანდრია ღულაძე). დაიწყო განვითარება ქართულმა წიგნთმბეჭდაობამ, გაჩნდნენ ქართველი მესტამბეები, გამომცემლები. წიგნების გამოცემას დასჭირდა დასურათება. საჭირო იყო ქართული კლიშეების დამზადება — ქსილოგრაფია. აი ამ ხარვეზის ამოვსება ხვდა წილად ტატიშვილს.

ისად და ვისგან ისწავლა ტატიშვილმა ეს საქმე? ამაზე თითონაც ვერ იძლეოდა გადაჭრილ პასუხს: დავაკვირდი ოქროსმჭედელ-გრავიორებს, ... წიგნებში ნახატებს, ზოგი რამ გამოვკითხე იტალიელ მხატვრებს, ... წიგნებში წავიკითხე, მოვისაზრე, მივხვდი, შრომა დავდე და მოვახერხეო. ასე ამბობდა ხოლმე ტატიშვილი.

მას არ შეეძლო ვისგანმე ესწავლა ეს ხელობა, რადგან ამ ხელობის კაცი ჩვენში არ იყო, სხვაგან კი ტატიშვილი არსად წასულა, სამშობლოს არ გასცილებია. მაგრამ ეს საქმე მაინც შეითვისა. ამაში მას ხელი შეუწყო მხატვრულმა ნიჭმა, სურვილმა და დროების მოთხოვნილებამ.

დასაწყისში, რაკი საჭირო იარაღი არ მოეპოვებოდა, ტატიშვილი მუშაობდა უბრალო კალმის დანით უბრალო ფიცარზე. მისი პირველი ნამუშევარი დანით ფიცარზე იყო ცირკის აფიშა იმ წარმოდგენისა, რომელშიაც თითონ იღებდა მონაწილეობას თავის მიერვე გაწრთვნილ ძაღლთან ერთად. ეს იყო 1863 წელს. ამ აფიშას არავითარი მხატვრული ღირსება არა აქვს, იგი უხეში ნამუშევარია, მაგრამ მას ის მნიშვნელობა აქვს, რომ პირველი ქსილოგრაფიული ნამუშევარია საქართველოში და პირველი ნამუშევარი ტატიშვილისა.

ტატიშვილის მიერ დასურათებული პირველი წიგნი იყო „ყარამანიანი". ესეც დანით ნამუშევარია. მისი მხატვრული ღირსება ისეთივეა, როგორც აფიშისა.

ნამდვილი მხატვრული გრავიურების შესაქმნელად საჭირო იყო სპეციალური იარაღი. მისი შოვნა შეიძლებოდა მხოლოდ პეტერბურგს ან მოსკოვს. ტატიშვილს შეძლება არა ჰქონდა არც იქ წასასვლელად, არც იარაღის შესაძენად. და მხოლოდ დავით ერისთავმა, პიესა „სამშობლოს" ავტორმა, დიდმა პატრიოტმა და ნიჭისა და ხელოვნების დიდმა პატივისმცემელმა, ჩამოუტანა ტატიშვილს პეტერბურგიდან იარაღი—შტიხელები. ამის შემდეგ ტატიშვილმა მთლად მისცა თავი ამ ხელობას, და აქედან იწყება მისი შემოქმედებითი მუშაობა.

მისი მოღვაწეობა სამი მიმართულებით წავიდა: ერთი იყო სხვა გამომცემლებისაგან შეკვეთის აღება, მეორე — საკუთარი შემოქმედება და მესამე — გამომცემლობა.

ყველაზე ნაყოფიერი რიცხობრივად პირველი დარგი აღმოჩნდა. ტატიშვილი მუშაობდა თითქმის უკლებლივ ყველა იმ გამოცემისათვის, რომელიც გამოდიოდა კავკასიაში 45 წლის განმავლობაში, ყველა ენაზე — ქართულ, სომხურ, რუსულ, აზერბაიჯანულ, ფრანგულ ენაზე. უფრო მეტად კი მუშაობდა ქართველებისა და სომხებისათვის. მაგ., მუდმივ თანამშრომლად ითვლებოდა, ქართული საბავშვო ჟურნალების გარდა, სომხური ჟურნალების „არბიურისა "და „თარაზისა". ამაშია ტატიშვილის საერთო კავკასიური მნიშვნელობა. ტატიშვილი არ იყო მარტო ერთი ეროვნების მოღვაწე.

ამ დარგში ნამუშევარი ტატიშვილისა გაფანტულია მთელს კავკასიაში და მისი აღდგენა ეხლა ძალიან ძნელია.

ჩვენ უმთავრესად ვილაპარაკებთ ტატიშვილის მოღვაწეობაზე ქართველებისთვის, იმიტომ რომ ამ მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი ქართველებს შორის მიმდინარეობდა.

პირველი, რაც უნდა აღვნიშნოთ, არის გოგებაშვილის გამოცემათა დასურათება. ყველა მისი წიგნი, სახელმძღვანელოც და საბავშვო წიგნიც, ტატი-

შვილის დასურათებულია. ვისაც უნახავს გოგებაშვილის „დედაენა“, „ბუნების კარი“, „იავნანამ რა ჰქნა“, „თავდადებულნი ქართველნი“ და სხვ., იმისთვის ცხადია ტატიშვილის მთელი მოღვაწეობა. შესრულებისა და მხატვრული რეალიზმის მხრივ ტატიშვილის სურათები გოგებაშვილის ნაწერებს ხდიდნენ ბავშვის გონებისათვის მისაწვდომ ნაწარმოებად, უადვილებდნენ ბავშვს წაკითხულის შეგნებას, ახალისებდნენ სწავლისათვის. გოგებაშვილის მიერ შექმნილი შესანიშნავი მეთოდი ანბანის სწავლებისა „ცარიელ თეორიად“ დარჩებოდა, თუ არ იქნებოდა დასურათებული ტატიშვილის მიერ. ამას კარგად მიხვდება ის, ვისაც ესმის წიგნის დასურათების მნიშვნელობა საერთოდ და საბავშვო წიგნისა — კერძოდ.

სახელმძღვანელოები გამოსცეს, გოგებაშვილის გარდა, სხვებმაც. მაგ., არისტო ქუთათელაძემ („წყარო“), რაჟდენ ჯაჯანაშვილმა („ბავშვთა მეგობარი“), ვლ. აღნიაშვილმა („ახალი ანბანი“); ტატიშვილი აქაც ისეთივე მონაწილე იყო, როგორც გოგებაშვილის წიგნებში.

სახელმძღვანელოებს მოსდევენ საბავშვო ჟურნალები: პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი „ნობათი“, შემდეგ „ჯეჯილი“ და მერე „ნაკადული“. ამ ჟურნალებისათვის ტატიშვილი ამზადებდა არა მარტო ტექსტის საილუსტრაციო სურათების კლიშეებს, არამედ მოსართავებსაც, თავფურცლის სურათებს და სხვას. ადგენდა აგრეთვე რებუსებს და ამზადებდა ამ რებუსებისათვის კლიშეებს. ამ მხრივ ტატიშვილი ამ ჟურნალების მუდმივი თანამშრომელი იყო. რებუსებისათვის იგი იღებდა ბავშვის გონებისათვის მისაწვდომ აფორიზმებს „ვეფხისტყაოსნიდან“, „ქილილა და დამანიდან“, ხალხური ანდაზებიდან. ტატიშვილის მიერ შედგენილი რებუსები რომ შეგროვდეს, ერთი ტომი გამოვა.

სხვა გამოცემებიდან, სადაც ტატიშვილის ნამუშევარია მოთავსებული, შეგვიძლიან დავასახელოთ პროფ. მელიქიშვილის „რძე“ და „ყველი“, ვ. აბაშიძის „თეატრი“, კირიონ ეპისკოპოსის გამოცემანი და მრავალი სხვა.

ტატიშვილის უშუალო შემოქმედებიდან, უწინარეს ყოვლისა, უნდა შევჩერდეთ მხატვრულ გრაფიკაზე. ჯერ ვიტყვით მის ასომთავრულზე. თუმცა ქართულ დამწერლობას საერთოდ არა სჩვევია ასომთავრული (ეგრეთწოდებული „დიდი ასოები“), მაგრამ ხუცური წერის ძველი ქართველი კალიგრაფები წიგნის ყოველ ახალ თავს იწყებდნენ მხატვრულად შესრულებული ასომთავრულით. ტატიშვილმა ეს ჩვეულება აღადგინა და გადაიტანა მხატვრულ დამწერლობაში — შექმნა მრავალნაირი ხასიათის ასეთი ასოები. ეს ასოები ამშვენებდნენ საბავშვო გამოცემებსაც და სხვა გამოცემებსაც. ნახეთ მაშინდელი საბავშვო ჟურნალები, წერა-კითხვის საზოგადოებისა და სხვათა გამოცემები (ი. ჭავჭავაძე, აკაკი, ყაზბეგი და სხვ.) და წარმოიდგინეთ, რა გემოვნების მქონე იყო ტატიშვილი.

ტატიშვილმა შექმნა აგრეთვე თითქმის ყველა ის საოფიციო შრიფტი, — ქართული, სომხური, ნაწილობრივ რუსულიც, რომლითაც მაშინ აფიშები იბეჭდებოდნენ.

მანვე შეადგინა სასტამბო შრიფტი, რომელსაც წინათ „ტატიშვილის შრიფტს“ ეძახდნენ, ეხლა-კი „თხელი ჩონჩხი“ ჰქვიან.

მაგრამ გრაფიკის დარგში ტატიშვილის ყველაზე შესანიშნავ ნამუშევარს წარმოადგენენ მისი მონოგრამები დასითვით ქარგვისათვის. ეს მონოგრამები სამ ალბომად არის გამოცემული. მათზე ტატიშვილი წლობით მუშაობ-

და. პირველი ამათგანი გახლავთ „ქართული ანბანი". მთელი ქართული ანბანი იქ წყვილ-წყვილად არის დახატული, ერთმანეთში ჩახლართული (ნართული). ამ ასოების შედგენაზე, როგორც თითონ ამბობს ალბომის წინასიტყვაობაში, ტატიშვილს თერთმეტი წელიწადი უმუშავნია. ამისთანა რამ სხვა ენაზე არ შეგვხვედრია. ეს ალბომი ახლა უნიკუმს წარმოადგენს, მაგრამ კლიშეები დაკულია მთლად და ალბომის აღდგენა სიძნელეს არ წარმოადგენს. კლიშეები ხეზეა ამოჭრილი.

მეორე ალბომი არის „ქართული ანბანის თაიგული". ესეც დასითვით საქარგია, ქვაზე შესრულებული გრავიურა ნემსით. გამოიცა 1902 წ. იქ ქართული ასოები სხვადასხვანაირ ყვავილებშია ჩასხმული. ასეთივე ალბომი სომხური ასოებისა ტატიშვილმა შეადგინა და გამოსცა სომხურად 1889 წელს.

ყველაფერი ეს საჭირო იყო ეროვნული შეგნების გასაღვიძებლად, ასამაღლებლად, ქართულ ოჯახში, ქართულ ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველაფრის ქართულის შესატანად და დასანერგავად. რუსეთის მეფის რუსიფიკატორული პოლიტიკა ხრწნიდა ეროვნულ ცხოვრებას. ოჯახიდან იკარგებოდა ქართული ენა, ქართული კულტურა. საჭირო იყო ამ მოვლენასთან ბრძოლა ყოველივე ხერხით.

გარუსების პოლიტიკის გავლენა იყო ისიც, ქართულ ოჯახებში რომ საცვალ-თეთრეულზე ქალები რუსულ ასოებს ჰქარგავდნენ, თანაც ძალიან პრიმიტიული ხასიათისას. ტატიშვილმა ქართველ საზოგადოებას მიაწოდა ასოების მხატვრული ნიმუშები, და ქართულ ოჯახში თეთრეულზე გაჩნდა ქართული ასოები. ეს ნიშნავდა ეროვნული შეგნების განმტკიცებას. მეფის პოლიტიკა შეხვდა წინააღმდეგობას, მხატვრის მიერ შექმნილს.

ტატიშვილის მიერ დასურათებულ არაქართულ გამოცემათაგან, უკვე მოხსენებული სომხური ჟურნალების „აღბიურისა" და „თარაზის" გარდა შეგვიძლიან დავასახელოთ (ამ სტრიქონების ავტორს სხვა არ ახსოვს) ფრანგული ჟურნალი მიურიესი „Le Caucase illustré". ის გარემოება, რომ ფრანგული ჟურნალი იცემოდა საზღვარგარეთისათვის და რედაქტორმა შესაძლებლად დაინახა ასეთი გამოცემისათვის სურათების შეკვეთა მიეცა არა თავისი ქვეყნის ქსილოგრაფისთვის, სადაც ბევრი იყო ქსილოგრაფი და თანაც დიდი ხელოვანი, არამედ ადგილობრივი გრავიორის ტატიშვილისათვის, ცხადყოფს ტატიშვილის ნიჭსა და ხელოვნებას.

ტატიშვილის მოღვაწეობის შემდეგ დარგს გამომცემლობა შეადგენდა. მას გამოცემული აქვს, უკვე მოხსენებული ალბომების გარდა, საბავშვო წიგნები, რომლებსაც თითონვე ასურათებდა: 1. „ოქროს თავთავი", ბ. მირიანაშვილის თარგმანი პროზად ფრანგულიდან, ლექსი მღვიმელისა; 2. „ცვარი" მღვიმელისა; 3. „სამი ცელქი" მღვიმელისა; 4. „შალვას თავგადასავალი" ცახელისა; 5. „კვთილი ძაღლი", თარგმანი; 6. „ხუმარა სპილოები", თარგმანი; 7. „ძუნწი"; 8. „პირუტყვების ამბები", თარგმანი; 9. ორი ზღაპარი ანდერსენისა — „გედები" და „დედა".

დასასრულ შევჩერდებით ტატიშვილის კიდევ ერთ ნამუშევარზე, რომელსაც დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს და რომელიც დიდი შენაძენია ძველებური ქართული ორნამენტიკის შესწავლისათვის.

80-იან წლებში ი. ჭავჭავაძის თაოსნობით გადაწყდა „ვეფხის ტყაოსნის" გამოცემა ძვირფასად, მხატვრულად, ისე, როგორც ევროპაში სცემდნენ დი-

დი მწერლების დიდ თხზულებებს. გამოცემისათვის საჭირო თანხა გაიღო გიორგი ქართველიშვილმა. სურათების დახატვა იკისრა, უფასოდ [illegible] გამომცემლებმა გადასწყვიტეს ამ წიგნის შემკობა ქართული ჩუქურთმებით, რომლებითაც შემკულია ჩვენი ძველი მონასტრები და ეკლესიები. საჭირო იყო ამ ჩუქურთმების გადმოღება, მოგროვება, სისტემაში მოყვანა და დამუშავება ისე, რომ გამოსადეგი ყოფილიყო ამ გამოცემისათვის. ეს შეეძლო მხოლოდ ტატიშვილს და მას მიანდეს ეს საქმე. ტატიშვილმა შემოიარა ყველა ძველი შესანიშნავი მონასტერი და ეკლესია, გადმოიღო იქიდან ჩუქურთმების ნიმუშები და დაამუშავა. აქ არის ჩუქურთმები მცხეთისა, უფლისციხისა, ბეთანიისა, ქუთაისისა, გელათისა, საფარასი, კაბენისა, ახტალისა, ფიტარეთისა, სამთავისისა, ატენისა. ამ ჩუქურთმებმა დაამშვენეს აღნიშნული გამოცემა. მაგრამ შემდეგში არა ერთი სხვა გამოცემის გასამშვენიერებლადაც გამოიყენეს. ამ ჩუქურთმებით არის მორთული თბილისში ზოგიერთი შენობა. მაგ., საჯარო ბიბლიოთეკა, ქამშვეთი და სხვ.

ეს იყო დიდი შრომა, რომელსაც ჰქონდა არა მარტო შეკრების ხასიათი, არამედ შემოქმედებითიც. ეს სურათები 1900 წელს, ცალკე ალბომად გამოცემული (დაიბეჭდა 10 — 15 ცალი), გაიგზავნა პარიზის მსოფლიო გამოფენაზე, სადაც დაჯილდოვებულ იქმნენ ქების ფურცელით. თავისი ნამუშევრებისათვის ტატიშვილი დაჯილდოებული იქმნა კავკასიის ორივე გამოფენაზე ვერცხლის დიდი მედლებით.

რა შეიძინა ტატიშვილმა ამ თავისი ნახევარსაუკუნიანი შრომის შედეგად? მისი მუშაობა, სხვათა შორის, მოითხოვდა თვალების დაძაბვას, და თავისი სიცოცხლის ბოლოს მან თითქმის სავსებით დაჰკარგა მხედველობა. შემდეგ დამბლა დაეცა და გაჭირვებაში გარდაიცვალა. ქსილოგრაფიულ სამუშაოში შემკეთებლებისაგან იღებდა 65 კაპიკს კვ. დიუმში. დღეში შეეძლო დაემზადებინა 2 — 4 დიუმი. მაშასადამე, დღეში შეეძლო აეღო 1 მან. 30 კაპ. — 2 მან. 60 კაპ. თავის სამუშაო დროის დიდ ნაწილს ტატიშვილი ანდომებდა ისეთ საქმეს, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და რომელიც მას რეალურ შემოსავალს არ აძლევდა (ალბომების შედგენა, მუშაობა ჩუქურთმებზე), ადვილად წარმოიდგენთ, თუ როგორი იქნებოდა მისი მატერიალური მდგომარეობა. მისი გამოცემები შემოსავალს არ იძლეოდნენ. წიგნები სხვადასხვა პირებს მიჰქონდათ გასავრცელებლად პროვინციაში, მაგრამ ფული იქვე რჩებოდა. „ქართული თაიგულის ანბანი“ გაუსაღებელი დარჩა და ბოლოს ტატიშვილმა მთელი გამოცემა ქართველ ქალთა სკოლას შესწირა.

ტატიშვილის ნამუშევრის შესაფასებლად გავიხსენოთ გაზ. „ზარია ვოსტოკას“ სიტყვები (გარდაცვალებულ ქართველ მხატვართა 1927 წლის გამოფენის ანგარიშიდან). გაზეთი სწერდა: ტატიშვილის ნამუშევარისათვის ჩვენში ჯერჯერობით არავის უჯობნია, ჩვენი ქვეყნის გარეთ კი ეს ნამუშევარი შეგვიძლიან გვერდში ამოვუყენოთ საუკეთესო ოსტატების ნამუშევარსო.

ტატიშვილი ჯერ კიდევ ელის თავის სრულ დამფასებელს, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ საგამომცემლო საქმეში, გრაფიკაში, ქსილოგრაფიაში, მოზარდი თაობის აღზრდაში, ეროვნული კულტურის აღმავლობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. წულუკიძე — „თხზულებანი“,

სახელგამის პოლიტლიტერატურის სექტორი, 1943 წ.

ალ. წულუკიძე იყო ძველი პროფესიონალი რევოლუციონერი მარქსისტი, პუბლიცისტი, მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებული და ერთგული, მებრძოლი ბოლშევიკი. დიდ სტალინთან და ლადო კეცხოველთან ერთად ამიერ-კავკასიასა და საქართველოში იგი სათავეში ედგა მუშათა მოძრაობას და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დაუღალავად აშენებდა მარქსისტულ-ლენინურ პარტიას. ალ. წულუკიძე დიდი რევოლუციონური გაქანებით და დაუღალავი ენერგიით იბრძოდა მშრომელი ხალხის რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისა და განვითარებისათვის. იგი ლადო კეცხოველთან ერთად დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიასა და საქართველოში სათავეში ედგა ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ბრძოლის საქმეს 1890 — 1900 წლებში. მისი ერთგული და დაუღალავი მოღვაწეობა მუშათა კლასის საქმისათვის არ იყო ხანგრძლივი, მაგრამ მოკლე დროის განმავლობაშიც მან მეტად მრავალფეროვანი და ღრმა კვალი დასტოვა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. ამხ. ლ. პ. ბერია მას შემდეგნაირად ახასიათებს: „ამხ. წულუკიძე იყო იმ დროს ერთ-ერთი განათლებული მარქსისტი, ნიჭიერი პროპაგანდისტი და პუბლიცისტი, რევოლუციონური მუშათა კლასის საქმის ბოლომდე ერთგული, ამხანაგი სტალინის და ლ. კეცხოველის უახლოესი მეგობარი“.

ალ. წულუკიძის კალამს ეკუთვნის მრავალი პუბლიცისტური ნაწარმოები, რომლებშიც აღბეჭდილია საუკეთესო თეორეტიკოსი ბოლშევიკის დიდი ცოდნა და ბრწყინვალე ნიჭი. თავის შრომებში იგი განსაკუთრებული ენერგიით იცავდა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, შეუპოვრად ებრძოდა მის დამმახინჯებლებს, — მენშევიკებს, ფედერალისტებს და ყველა ჯურის ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ ოპორტუნისტებსა და ფალსიფიკატორებს.

ალ. წულუკიძის შრომებში პოპულარულად და ფართო მასებისათვის გასაგებად არის გადმოცემული მარქსიზმის მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე, მარქსიზმის ეკონომიური მოძღვრება, თანამედროვე საზოგადოებრივი კლასების დახასიათება და კლასთა ურთიერთ დამოკიდებულება, ბურჟუაზიის გარდუვალად დამხობა და პროლეტარიატის გამარჯვების აუცილებლობა.

ალ. წულუკიძის შრომა — „ოცნება და სინამდვილე“, რომელიც მიმართულია ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგის არჩილ ჯორჯაძის „პროგრამის“ წინააღმდეგ, წარმოადგენს საუკეთესო ნაშრომს, სადაც ღრმა თეორიული ანალიზის საფუძველზე გადმოცემულია მარქსისტული შეხედულება ისტორიაზე და დახასიათებულია კაპიტალისტური წარმოების განვითარების პროცესი. ალ. წულუკიძე არჩილ ჯორჯაძის ბურჟუაზიულ შეხედულებათა მარქსისტულ კრიტიკას იწყებს ისტორიაზე ჯორჯაძის შეხედულებათა კრიტიკით. წულუკიძე ამხელს ჯორჯაძის სუბიექტივიზმსა და ამბობს, რომ ეს სუბიექტივიზმი იგივე ნაროდნიკული შეხედულებაა. „ბ. არჩილ ჯორჯაძეს, — ამბობს წულუკიძე, — გონიერების ბუდეთ ადამიანთა პატარა კრებული მიუჩნევია, მაშასადამე, ხალხი და საზოგადოება ამ განძს მოკლებული უნდა იყოს. ამიტომ უკანასკნელთა სვე-ბედის ჩარხის მატარებელი პიროვნებაა, „გონიერებისდამიხედვით“ საზოგადოებრივ ცხოვრებას ის წარმართავს. ეს აზრი არ ახალია — ძველია. ქვეყნიერების მმართველი გონიერებაა, ამბობდნენ წარსული საუკუნის განმანათლებელნი. „კრიტიკულად მოაზრე ადამიანია“ ისტორიის შემქმნელი და წინამძღოლია, დღესაც იმეორებენ რუსეთში „ისტორიული წერილების“ ავტორის მოწაფეები. ამ ჯგუფის მოაზრეთა წარმოდგენით, უპირველესი კითხვაა ის, თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს ისტორია, რომელია უწმინდესი იდეალი, რომ მისდაგვარად „კრიტიკულად მოაზრე ადამიანმა“ ისტორიის

ჩარხიც ააბრუნოს. ბ. არჩილ ჯორჯაძის სიტყვით რომ ვსთქვათ, „კაცს და იმის მოქმედებას აზრი, მიზანი და ლტოლვილება უნდა ქონდეს, ცხოვრების ობიექტურ პროცესს კი ერთგვარი აზრი, მიზანი და ლტოლვილება არა აქვს“, ინტელიგენცია უნდა გადალეოდეს, „ყოველ ცხოვრების ვითომდა ობიექტიური (დამოუკიდებელი, უაზრო და უმიზნო) პროცესის მონობისაგან“ და „გონიერებისა და შეგნების გვარათ იმოქმედოს“. იგივე აზრი მე-70 წ. „ისტორიული წერილების“ ავტორმა, „აზრის ისტორიის“ შესავალში ამნაირად გამოსთქვა: „სუბიექტიური შეგნება ადამიანისაგან ისეთ მოქმედებას თხოულობს, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას ისე წარმართავს, როგორც მისი რწმენა და მიმართულება უკარნახებს. ამ მხრით მხოლოდ ადამიანი არის საზოგადოებრივ ყველა ცვლილებათა შემქმნელი, წყარო პროგრესისა და რეგრესისა ისტორიაში იმდენად, რამდენადაც ის მონაწილეობას ღებულობს ამ პროცესში. მხოლოდ ის არის სოციოლოგიისა და ისტორიის რეალური საგანი, რადგან გონიერება მხოლოდ მასში ბუდობს“. შეუდგეთ და გამოვარკვიოთ, როგორ გამოიყვანა ბ. არჩილ ჯორჯაძემ ძველთაგან ნაანდერძევი „აზრი და ლტოლვილება“? ავტორი უაზრო და უმიზნო ცხოვრებას უპირისპირებს ადამიანის აზრს, მოქმედებას, ლტოლვილებას. რას წარმოადგენს „უაზრო“ ცხოვრება და რა განწყობილებაშია მასთან „აზრიანი ადამიანი?“ (ალ. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 88 — 89).

ჯორჯაძის წინააღმდეგ კამათში წულუკიძემ დაამტკიცა, რომ ისტორიული პროცესები შემთხვევითობაზე არ არიან აგებული; ადამიანთა საზოგადოების განვითარება კანონზომიერებათა განვითარების პროცესს წარმოადგენს, სადაც ისტორია ერთგვარი, უმოძრაო და უცელელი რამ არ არის; იგი მუდმივ მოძრაობაშია და განუწყვეტლივ ცვლილებას, განახლებას და განვითარებას განიცდის. ჯორჯაძის იდეალისტურ თვალსაზრისს წულუკიძემ დაუპირისპირა მატერიალისტური მოძღვრება ისტორიაზე და დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისი საზოგადოების განვითარების საკითხზე. ამგვარად ჯორჯაძისა და სხვა ქართველ წვრილბურჟუაზიულ მოაზროვნეთა წარმომადგენლების წინააღმდეგ წულუკიძე ამტკიცებდა, რომ საზოგადოების განვითარებას განსაზღვრავენ არა ცალკეულ გამოჩენილ ისტორიულ პიროვნებათა სურვილები, არამედ საზოგადოების არსებობის მატერიალურ პირობათა განვითარება. იდეები კი არ განსაზღვრავენ ადამიანთა საზოგადოებრივ-ეკონომიურ მდგომარეობას, არამედ ადამიანთა საზოგადოებრივ-ეკონომიური მდგომარეობა განსაზღვრავს მათ იდეებს. ნაშრომით „ოცნება და სინამდვილე“ ალ. წულუკიძემ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბურჟუაზიული ნაციონალისტური პროგრამის ყველა მიმდევარი და მათი ბელადი, საფუძველი გამოაცალა და გააცამტვერა მათი „საერთო ნიადაგის“ თეორია.

ამავე მიზანს ემსახურება ალ. წულუკიძის „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“, სადაც იგი გადმოგვცემს მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას. როგორც ვიცით, 90-იან წლებიდან ამიერ-კავკასიასა და საქართველოში მარქსის „კაპიტალის“ იდეების გავრცელებას მასებში და მათ დაცვას ბურჟუაზიული რეაქციონერებისაგან აწარმოებდა „მესამე დასის“ უმცირესობა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

ალ. წულუკიძე, როგორც ამხანაგი სტალინის მოწაფე და მისი ერთგული თანამებრძოლი, იცავდა მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას და დაუღალავად ეწეოდა მის პროპაგანდას.

„პოლიტიკური ეკონომიის ნაწყვეტებში“ ალ. წულუკიძეს გადმოცემული აქვს პოლიტიკური ეკონომიის საგანი და მისი მარქსისტული ათვისების მნიშვნელობა, შრომის ორმაგი ბუნება, აბსტრაქტული შრომის კატეგორიები, ზედმეტი ღირებულების თეორია, კაპიტალიზმის კრიზისები და მათი შინაგან-წინააღმდეგობათა გამწვავება. წულუკიძეს მოჰყავს მუშათა კლასის ცხოვრებიდან მაგალითები იმ აუტანელი მდგომარეობისა, რომელშიაც კაპიტალიზმის დროს უხდებათ შრომა მუშა მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს. ალ. წულუკიძე არკვევს შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების წესს და ამბობს, რომ მუშა მამაკაცები, ქალები, ქალიშვილები და ბავშვები კაპიტალისტებისათვის წარმოადგენენ ისეთ ცოცხალ ძალას, რომელთა აუტანელი ექსპლოატაციით, ერთის მხრით, განუწყვეტლივ იზრდება ზედმეტი ღირებულება, მდიდრდებიან კაპიტალისტები, მემამულეები, ხოლო მეორეს მხრით იზრდება შიმშილი, სიღატაკე, პროსტიტუცია.

შემდეგ ალ. წულუკიძე გადადის სოფლის მეურნეობის საკითხებზე, არკვევს მიწის რენტის ფორმებს, კაპიტალიზმის განვითარებას სოფლის მეურნეობაში, გლეხობის დიფერენციაციის პროცესს და დაასკვნის, რომ კაპიტალისტური განვითარება სოფლის მეურნეობაშიც გლეხთა უმრავლესობის გაღატაკებას იწვევსო.

შრომაში „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები“ წულუკიძე ანვითარებს იმ აზრს, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა ნაციონალური „მოთხოვნანი“ ანცალკევებენ და ასუსტე-

ბენ პროლეტარიატის ძალებს, ხელს უშლიან „რუსეთის სახელმწიფოს დემოკრატიულ საფუძველზე აშენებას“. ავტონომიის, როგორც ასეთის, სახელმწიფოებრივი ფორმა ... ციელება ერთმანეთისაგან გათიშავდა და დაასუსტებდა პროლეტარიატს, ... ბოდა საქართველოს ბურჟუაზიისათვის და არა პროლეტარიატისათვის.

წულუკიძე სწერს: „რამდენადაც პროლეტარიატის ძალა დანაწილდება, იმდენად ნაკლებ შეამცირებს ის სამუშაო დღეს, ნაკლებ მოიმატებს სამუშაო ქირას, გაისუფთავებს ბინებს, თავს დააღწევს „ბატონების“ თვითნებობას. რამდენად უფრო გამოითიშება საერთო მოძრაობიდან, მით ნაკლები ფარგალი აქვს მის მოქმედებას, რაც-მის გონებრივ ვითარებას ზღუდავს, ასუსტებს. ეს სისუსტე კი მოასწავებს საკითხავი წიგნების ნაკლებ მოთხოვნილებას, ერთმანეთში საზოგადოებრივ კითხვებზე საუბრის ნაკლებ ინტერესს, ე. ი. დედა-ენა ნაკლებ განვითარებას შესძლებს“ (გვ. 260).

მეტად მნიშვნელოვანია ალ. წულუკიძის წერილები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. იგი ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში ყოფნის დროს იჩენდა ინტერესს მხატვრული ლიტერატურისადმი და კითხულობდა რეფერატებს სხვადასხვა თემაზე.

წულუკიძეს ეკუთვნის რამდენიმე კრიტიკული სტატია ქართული მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე. ასეთებია: „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „კვალ'ში“ (1898 წ.) და „მკითხველის შენიშვნები“, დაბეჭდილი 1900 წ. გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“.

მხატვრული ლიტერატურის მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის განვითარების ისტორიაში წულუკიძის აღნიშნულ ნაშრომებს საქართველოში პირველი ადგილი უჭირავთ, რადგან მანამდე ლიტერატურის ვერც ერთმა ისტორიკოსმა ვერ გვიჩვენა, თუ როგორ გამოიხატა კაპიტალიზმის განვითარება ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

გასული საუკუნის 90-იანი წლები განახლების ეტაპს წარმოადგენენ ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. კაპიტალიზმის განვითარებამ მხატვრულ ლიტერატურასაც თავისებური ხასიათი მისცა. როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებას, ისე ლიტერატურასაც დაეტყო ერთგვარი განახლება. ახალმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ წამოაყენა ახალი იდეები, მოტივები, თემები. მაგრამ ლიტერატურის კრიტიკამ ვერ შენიშნა და ვერ გამოავლინა ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების ეს მხარე. შეიქნა ერთგვარი გაუგებრობა, სამდურავი ქართულ მწერლობაზე, რომელსაც დაწვრილმანებას, დაკნინებას და უშინაარსობას სწამებდნენ. მაგრამ წულუკიძის ნაშრომებმა გააცამტვერეს მაშინდელი კრიტიკოსების აღნიშნული შეხედულებანი და მოგვცეს მხატვრული ლიტერატურის ნამდვილი მარქსისტული ანალიზი.

ალ. წულუკიძე თავის წერილებს კრიტიკის კრიტიკით იწყებს. „ამ ბოლო დროს ხშირად გაისმის სამდურავი ჩვენს მწერლებზე, — სწერს წულუკიძე, — მას დაწვრილმანებას, დაკნინებას, უშინაარსობას წამებენ. უმეტესად მე-90 წლების ბელეტრისტიკას მე-60 წლების ნაწერებს ადარებენ; მწუხარებით და გოდებით აღნიშნავენ პირველის დაქვეითებას, აღტაცებით იგონებენ მეორის დიდ-აზროვნებას, დიდ-შინაარსიანობას, მხოლოდ დასაბუთებით არავის წარმოუთქვამს ჯერ ამის შესახებ თავისი აზრი; თითქმის ყველა უცხო ქვეყნების იმავე მოვლენაზე გვითითებენ და მწერლობის საზოგადო რეაქციას გვიმტკიცებენ (რასაკვირველია უსაბუთოდ).

რაში გამოიხატება ეს რეაქცია, სინამდვილე მოწმობს იმას თუ არა? ეს კითხვები თითქოს უკვე გადაწყვეტილი იყოს, მასზე არავინ პასუხს არ იძლევა... ეს ბრალდება სინამდვილეს მოკლებულია, მას არავითარი ფაქტიური დამტკიცება თან არ სდევს, იგი მხოლოდ საგნის შეუსწავლობის მიზეზია და არა მეცნიერული კრიტიკის დასკვნა; იგი მხოლოდ თავისებური სიმპატიითა და ანტიპატიით ხელმძღვანელობს და არა ცხოვრებისა და მწერლობის შინაარსით, მათი შედარებით და აწონ-დაწონით. აბა გადაფურცლეთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, თუ დინჯ, მიუდგომელ, ცნობიერ კრიტიკას იპოვით“ (გვ. 11).

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ სხვადასხვა ხალხები ერთმანეთს დაუახლოვა. ამ დაახლოების საფუძველზე ადამიანები ეცნობიან ერთმანეთის კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებას და ზნე-ჩვეულებას. ეს ახალი ზნე-ჩვეულებანი კაპიტალიზმის განვითარებამ ჩვენშიაც შემოიტანა:

„რომ არაფერი ვთქვათ მოდურ ტანსაცმელსა და ქუდების შესახებ, — განაგრძობს წულუკიძე, — მოდური ხდებიან თეორიები, აზრები, შეხედულებანი. ასეთი მოვლენების რიგს ეკუთვნის ჩვენი აზრით მოდური პესიმიზმიც. ქართულ ლიტერატურას გადაედო ეს მოდა და პესიმისტურად განწყობილი ჩვენი კრიტიკოსების პირით იგი მკითხველებს უქადაგებს

ურწმუნოებას ცხოვრებისადმი; პესიმიზმი, რომელიც ნოყიერ ნიადაგს პოულობს ყველა თანამედროვე საზოგადოებაში, მთელი გროვა ფრიად მწვავე, მაგრამ ძნელად გასაგებ კითხვების გამო უხეშ ფორმაში გამოიხატება ჩვენში. მოვლენათა ანალიზი [illegible] კეთილ სურვილებს, რომელთაც სინამდვილეში განხორციელება არ უწერიათ და ამიტომ ცხოვრებისადმი აპატია იპყრობს კრიტიკოსებს, რომლებიც არ ჩასწვდენიან ცხოვრების აზრს და ეს აპატია ხდება ჩვენი მოზარდი თაობის, მკითხველი საზოგადოების უდიდესი მასის ხვედრი" (იქვე, გვ. 71).

შემდეგ ალ. წულუკიძე ჩამოსთვლის მწერლებს, რომლებმაც ასახეს თავიანთ ნაწარმოებებში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება და ასახელებს ეგ. ნინოშვილს, მელანიას, დ. ერისთავს, დ. კლდიაშვილს, შ. არაგვისპირელს და სხვებს.

„ხშირად თუ რომელიმე მოთხრობის დაფასება გვიჭირს, — სამართლიანად შენიშნავს ალ. წულუკიძე, — ამის მიზეზი თვით ჩვენს მიერ ცხოვრების უცოდინარობაა: ამნაირი გულგრილობა ჩვენი გულგრილი ბუნების ბრალი როდია, მას თავისი ქვეყნის შეუსწავლელობა უდევს სარჩულად, ამის მიზეზი გარემო პირობათა შეუგნებლობა გახლავთ" (გვ. 12).

სტატიაში „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში" ალ. წულუკიძე გადადის ლალიონის მოთხრობის „ფირალი დავლაძის" გარჩევაზე, რომელშიც მკაფიოდ აისახა ორი მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი ფორმაციის წარმომადგენლების ერთმანეთთან შეჯახება. ესენი არიან მოთხრობის მთავარი გმირები: ივანე დავლაძე, ფეოდალური კლასის წარმომადგენელი და ნიკო კალაძე, ახალი, ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენელი.

წულუკიძე დაასკვნის: „ივანესი და ნიკოს მორიგება შეუძლებელია, რადგან თვით ცხოვრებას გადაუმტერებია ერთი მეორისათვის. ერთია ძველი ფეოდალური დროის წარმომადგენელი, მეორე — ახალი ფულის მეურნეობის ხანის შვილი; ერთია რაინდი, მეორე — წვრილფეხა ბურჟუა, რომელიც გასხვილფეხებას, გადიდებას აპირებს. ამ ორ ტიპთა შორის მოურიგებელი ბრძოლაა გამართული" (გვ. 16).

„მკითხველის შენიშვნებში" წულუკიძე არჩევს საკითხს, თუ როგორი გამოხატულება ჰპოვა კაპიტალიზმის განვითარებამ სოფლად, როგორია ამ განვითარების ძირითადი ნიშნები და როგორ აისახა იგი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. შემდეგ წულუკიძე არჩევს დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გასაჭირს" და სწერს:

„ამ ნაწარმოების ღირსებას შეადგენს სინამდვილის... სწორი ასახვა ლიტერატურაში. დ. კლდიაშვილმა შესძლო გაჩანაგებული აზნაურის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ოსტატურად გადმოცემა, მან გვიჩვენა, რომ ამ წოდებას, რაკი მან დაჰკარგა თავისი ეკონომიური სიძლიერე, მარტო იურიდიული პრივილეგიებით არ შეუძლია გაუძლოს ულმობელი ეკონომიური ბრძოლის შემოტევას. ახალი ცხოვრება ახალ ძალას მოითხოვს მისგან. ის იარაღი, რომლითაც მისი წინაპრები იგერიებდნენ მტრებს, უნდა შეიცვალოს შრომით და ცოდნით. იგი უნდა შეუერთდეს სიცოცხლის უნარიან მშრომელ ელემენტს, რომელიც მატარებელია უკეთესი მერმისის ჩანასახისა და რომელიც ვითარდება და ირაზმება გონებრივად, მძიმე ბრძოლით გზას იკაფავს ახალი ცხოვრებისაკენ. ჩვენმა რეფორმის შემდეგდროინდელმა ცხოვრებამ შექმნა მკლავაძის (ნინოშვილი), დავლაძის (ლალიონი) და ქამუშაძის (კლდიაშვილი) ტიპები". (გვ. 74).

ალ. წულუკიძის თხზულებათა სარეცენზიო კრებულში თავმოყრილია ყველა მისი დღემდე ცნობილი და უცნობი ნაშრომი. 1927 წლის გამოცემასთან შედარებით ეს გამოცემა უფრო სრული და მთლიანია. ამ გამოცემაში შესული წულუკიძის მარქსისტული ნაშრომები იშვიათ მასალას წარმოადგენენ თანამედროვე ახალგაზრდობისათვის, — ბრწყინვალე თეორეტიკოსისა და მგზნებარე რევოლუციონერის წულუკიძის ცხოვრების შესასწავლად, — წულუკიძის, რომელიც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით დაუღალავად ებრძოდა მენშევიკებსა და ბურჟუაზიულ რეაქციონერებს ამიერ-კავკასიასა და საქართველოში.

წულუკიძის თხზულებათა ახალ გამოცემას წარმძღვარებული აქვს ამხანაგ სტალინის წერილი, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ახალ ცხოვრებაში" 1906 წლის 25 ივნისს, წულუკიძის გარდაცვალების ერთი წლისთავზე და ამხანაგ ლ. პ. ბერიას სტატია — „დიდი სტალინის სახელოვანი თანამებრძოლი". თხზულებათა კრებულში მოთავსებულია აგრეთვე „პროლეტარიატის ბრძოლაში" 1905 წ. წულუკიძის გარდაცვალების გამო დაბეჭდილი ნეკროლოგი — „ამხანაგი ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას".

დღეს, როდესაც მსოფლიოს ყველა პროგრესიული ძალა საბჭოთა კავშირთან ერთად გამოდის მსოფლიო კულტურის დასაცავად გერმანელი ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი დიდი სტალინის ხელმძღვანელობით აღსდგა თავისი თა-

ვისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად გერმანელი ფაშიზმის წინააღმდეგ, ალ. წულუკიძის ნაშრომები კვლავ ინარჩუნებენ თავიანთ საბრძოლო მომქმედ [illegible] ალ. წულუკიძე დღესაც ჩვენთან არის თავისი შრომებით და მოგვიწოდებს [illegible] ერთგულად ვიბრძოლოთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ისე, როგორც ოთხმოცდაათიან და ცხრაასიან წლებში, ალ. წულუკიძის შრომები დღესაც მასების დამრაზმავ ძალას წარმოადგენენ. ის გვასწავლის ვიყოთ დაუნდობელნი კაცობრიობის მოსისხლე მტრის, გერმანული იმპერიალისტური მტაცებლის — ფაშიზმის გაველურებული ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვ. გავაშელაშვილი.

ნ. კეცხოველი — „თოვლიან მთებში".

„საგლიტგამი", 1943 წ.

აკადემიკოს ნიკო კეცხოველის წიგნი „თოვლიან მთებში" უაღრესად საინტერესო შრომაა. იგი მკითხველს აცნობს ჩრდილოეთ კავკასიის ლამაზ ბიდამოებს, ამაყსა და თოვლით დაფარულ მყინვარებს, საქართველოს თოვლიან მთებს და გზადაგზა გადმოგვცემს დასახლებული ხალხების ყოფით თავისებურებებს. წიგნის ცენტრშია კავკასიონის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს საზღვრავს. ავტორს სადად აქვს აღწერილი კავკასიონის ამ ნაწილის ამწვანებული და ათასფერად აყვავებული ფერდობები, მოჩუხჩუხე მდინარეები, ანკარა ნაკადულები, ათასწლოვანი ხეების გაფოთლილი ულამაზესი ტყეები, განსაკუთრებული სიყვარულით არის აღწერილი წიგნში იალბუზის „სისტემაში" შემავალი ჩვენი მაღალი მთები, — ცამდე რომ აზიდულან და თავები თოვლის ჭაღარით დაუფარავთ.

ქართულად ღარიბ სამხარეთმცოდნეო ლიტერატურაში, რომელიც ღრმად გვაცნობს ჩვენს მრავალფეროვანსა და მდიდარბუნებიან მხარეს, ჩვენს იშვიათად ლამაზსა და უაღრესად კოლორიტულ მთებს, ნიკო კეცხოველის წიგნი „თოვლიან მთებში" ნამდვილი შენაძენია.

ამ პირდაპირ დანიშნულებასთან ერთად სარეცენზიო წიგნი გვაცნობს საბჭოთა ალპინიზმის თავისებურებას, მის უდიდეს მნიშვნელობასა და საქართველოს ალპინიზმის განვითარების პირველ საფეხურებს.

„თოვლიან მთებში" ძირითადად დაწერილია იმ მასალისა და შთაბეჭდილების მიხედვით, რომელიც დააგროვა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავრობნობის განყოფილების მიერ 1925 წლის ზაფხულში პროფ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მოწყობილმა ექსპედიციამ იალბუზზე და სვანეთში. ეს იყო პირველი მასობრივი საბჭოთა ექსპედიცია იალბუზზე.

საბჭოთა ხელისუფლებამდე ჩვენში ძალიან ნაკლები ყურადღება ექცეოდა ალპინიზმის ფართოდ განვითარებას. საბჭოთა ხელისუფლებამ კი პირველ დღიდანვე სერიოზულად მოჰკიდა ხელი ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს და საქართველოს კულტურულ, ეკონომიურ და სამრეწველო განვითარებასთან ერთად დიდად წასწია ის წინ. ალპინიზმისა და ტურიზმის განვითარება დაკავშირებულია ხალხის კულტურულ დონესთან. მის გარეშე შეუძლებელია ხალხმა საფუძვლიანად შეისწავლოს თავისი ქვეყანა, თავისი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები და საფუძვლიანად აითვისოს ისინი. აქედან, სავსებით გასაგებია, თუ რატომაა, რომ ალპინიზმის ნამდვილი განვითარება ჩვენში იწყება სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

და თუ ალპინიზმი ჩვენში საბჭოთა ხელისუფლებამ განავითარა ფართოდ, 1925 წლის ექსპედიცია უნდა ჩაითვალოს ამ განვითარების პირველ თვალსაჩინო მოვლენად.

ამ ექსპედიციამ ფართო ხასიათი მიიღო. მისმა მონაწილეებმა გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით გზადაგზა გააფართოეს თავიანთი ამოცანები და გაცილებით მეტი გააკეთეს, ვიდრე ამას წინასწარ ფიქრობდნენ. ეს იყო არა უბრალო და ჩვეულებრივი ექსპედიცია იალბუზზე და სვანეთში, ე. ი. არა უბრალო ასვლა იალბუზზე, არამედ იალბუზის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე კალთების, ამ კალთებზე დასახლებულ ხალხთა ყოფა-ცხოვრების თავისებურების შესწავლა, რასაკვირველია, თვალის ერთი გადავლებით, მაგრამ მაინც შესწავლა.

„თოვლიან მთების" ავტორს თანაბარი სიყვარულითა და სითბოთი აქვს აღწერილი ჩრდილოეთ-კავკასიისა და საქართველოს ის კუთხეები, რომლებიც გაიარა ექსპედიციამ. გრძნობთ, რომ წიგნი დაწერილია სწორედ საბჭოთა ალპინისტის, საბჭოთა მეცნიერის მიერ, რომელიც ყველაფერს ახალი თვალით ხედავს, ყველაფერში თავისებურს აჩენს.

„თოვლიან მთებში“ სხვა ღირსებასთან ერთად ამ ღირსებითაც არის აღსანიშნავი და მას შემეცნებით მნიშვნელობასთან ერთად, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. ეს ბრძოლა ეს შრომა მეტად საჭირო და საინტერესოა ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

1925 წლის ექსპედიცია თბილისიდან პიატიგორსკისაკენ გაემგზავრა, მან გაიარა ჩრდილოეთ-კავკასიის ულამაზესი ადგილები, ცნობილი აგარაკები, ნაკლებ პოპულარული ააგარაკო ადგილები, უაბარდო-ბალყარეთის ველები და მთები, კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეზე მდებარე მყინვარები, შემდეგ ჩვენი მყინვარები და ბოლოს მთა-თუშეთით კახეთის ზზიურ ველებისაკენ დაეშვა.

ამ ფართო წრეში მოხვდა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი და ყველაზე ლამაზი ადგილები, მთები და მყინვარები: იალბუზი, შხელდის მყინვარი, უშბა, ლეხზირის მყინვარი, ენგურის ხეობა სათავეში, ვენახიანი სვანეთი, მთა-თუშეთი და სხვ.

აკადემიკოს ნიკო კეცხოველის „თოვლიან მთებში“, ვიმეორებთ, ყველა ეს მიდამოები და მყინვარები შესაძლებლობის ფარგლებში დაწვრილებით არის აღწერილი. იქ აღწერილია ალპინისტთა საინტერესო და „ხიფათებით“ აღსავსე თავგადასავალი. ეს თავგადასავალი ისე დაწვრილებით არის აღწერილი, რომ მკითხველი ზოგად ხასიათის მოვლენებთან და ჩვეულებთან ერთად მთასვლის ტექნიკურ მხარეებსაც ეცნობა.

წიგნის საერთო ღირსებას ზრდის სადა და ნახევრად მხატვრული თხრობა, დახვეწილი სასაუბრო ენა. მის უმთავრეს ნაკლად მიგვაჩნია კორექტურული შეცდომები.

საბლიტგამს წიგნი კარგად გამოუცია. ჩასმულია მუყაოს ყდაში. ყდა, თავსართები და ბოლოსართები, რომლებიც შესრულებულია მხატვარ ბელეცკაიას მიერ, კარგად გადმოგვცემენ წიგნის კოლორიტს.

რ. ბ.

თ. ლომოური — პეტრე ბაგრატიონი.

სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივ. გამოცემა. 1943 წ.

პეტრე ბაგრატიონი ეკუთვნოდა იმ სახელოვან ადამიანთა წყებას, რომელნიც წარსულში თავისი გამჭრიახობით, დაუდგრომელი მოქმედებით, პირადი თავგანწირვის მაგალითებით აწრთობდნენ რუსეთის არმიას, სჭედდნენ ამ არმიის უკეთილშობილეს საბრძოლო ტრადიციებს. სამხედრო გამჭრიახობა და უსაზღვრო სიმამაცე მის გულში შეერთებული იყო სამშობლოს მგზნებარე სიყვარულთან. მთელი ცხოვრება და ბრძოლა ბაგრატიონისა არის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩვენი ხალხის გმირული წარსულისა.

აი სად არის სათავე იმ დიდი სიყვარულისა, რომლითაც მუდამ ახსენებდენ პეტრე ბაგრატიონის სახელს როგორც წარსულში, ისე დღეს. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის მოწიწება და სიყვარული, რომლითაც გამსჭვალული იყო პეტრესადმი სახელგანთქმული პოეტი და პარტიზანი დენის დავიდოვი. მათი მეგობრობა აშენებული იყო იმ უმტკიცეს დუღაბზე, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ეწოდება. ამ სიყვარულის შუქით გარემოსილია პეტრე ბაგრატიონის სახელი დღესაც, სამამულო ომის დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა, დიდი სტალინის მეთაურობით, ჩვენი მშობლიური მიწაწყლიდან აძევებს გერმანელ დამპყრობელთა ველურ ურდოებს. ამ ბრძოლაში ჩვენ გვამხნევებს და გვაფრთოვანებს ღვაწლი ჩვენი დიდი წინაპრებისა, რომელნიც უყოყმანოდ სწირავდნენ სიცოცხლეს სამშობლოს საკეთილდღეოდ. საბჭოთა ხალხის სამამულო ომის მონაწილეებისათვის, ჩვენი მამაცი მებრძოლებისა და მეთაურებისათვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის საამაყოა სახელი შენგრაბენის და ბოროდინოს გმირისა, რომელიც დაიღუპა ჩვენი დიდი დედა-ქალაქის მოსკოვის დაცვისათვის ბრძოლაში.

ბუნებრივია, რომ ყოველი წიგნი, რომლის მიზანი იქნება გააშუქოს ბაგრატიონის ცხოვრება და ბრძოლა—უდიდეს ინტერესს იწვევს ფართო მკითხველთა წრეში. ამავე ინტერესით იღებს ხელში მკითხველი თ. ლომოურის წიგნს — „პეტრე ბაგრატიონი“, რომელიც ახლახან გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

ამ წიგნს, ცხადია, არა აქვს მეცნიერული გამოკვლევის პრეტენზია, ეს კომპილაციაა, მაგრამ შედგენილი მეტად ზერელედ. ეს წიგნი ბაგრატიონის მდიდარი და ცოცხალი, წარმტაცი ეპიზოდებით სავსე ბიოგრაფია კი არ არის, არამედ მშრალი ქრონიკა ევროპის სა-

ერთაშორისო ვითარებისა და ომების მიმდინარეობისა 1782 წლიდან 1812 წლამდე. დახვავებულია აუარებელი ფაქტები, ზერელედ მიყრილი ერთი-მეორეზე და მთელ [illegible] არ არის გამოკვეთილი, ნათლად მოხაზული პიროვნება პეტრე ბაგრატიონ[illegible] [illegible]რადღების გარეშე დაუტოვებია ბაგრატიონის ბიოგრაფიის სწორედ ყველაზე უფრო საინტერესო მომენტები. აი, მაგალითად, ცნობილია შესანიშნავი ეპიზოდი ბაგრატიონის ცხოვრებისა. მთიულებთან ბრძოლის დროს ბაგრატიონი მძიმედ დასჭრეს. ის გონწასული ეგდო ბრძოლის ველზე მკვდართა შორის, ასეთ მდგომარეობაში იპოვნეს იგი მთიულებმა და მაშინვე იცნეს. მისი სიმამაცე და თავგანწირულება იმდენად ცნობილი იყო, რომ თვით მტრებმაც კი, მთიულებმა, აიყვანეს ის. შეუხვიეს ჭრილობები და ფრთხილად მოიყვანეს რუსების ბანაკში; როცა რუსთა სარდლობამ მთიულებს ფულადი ჯილდო შესთავაზა — მათ უარი განუცხადეს, იმის ნიშნად, რომ მათ ანგარების გამო კი არ გადაარჩინეს გმირი დაღუპვისაგან, არამედ წინაპართა ტრადიციის მიხედვით პატივი სცეს მხოლოდ მის სიმამაცეს. ეს ფაქტი თავისთავად ახასიათებს პეტრე ბაგრატიონის ვაჟკაცურ სახეს, მის სიმამაცეს, რომელსაც მოწინააღმდეგეც კი პატივს სცემდა. წიგნის ავტორს ეს ეპიზოდი არც კი მოუხსენებია — ის კმაყოფილდება მხოლოდ არაფრის მთქმელი ფრაზით: „1783, 1784, 1785, 1786, 1790 და 1791 წლების განმავლობაში მისი პოლკი იბრძვის კავკასიაში მთიულებისა და თურქების წინააღმდეგ“ (გვ. 9).

ასევე უფერულად, ზერელედ აქვს გადმოცემული ავტორს ბაგრატიონის უკანასკნელი დღეები. საერთოდ ავტორს ხშირად ავიწყდება, რომ ის სწერს ბაგრატიონის ბიოგრაფიას და არა მსოფლიო ისტორიის მოვლენების კონსპექტს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. ასე, მაგ., ავტორი არ გვაცნობს ბაგრატიონის სამხედრო კარიერას. ეს კი — მთავარია სარდლის ცხოვრებაში. ბაგრატიონის ყოველი წინწაწევა სამხედრო იერარქიის კიბეზე დაკავშირებულია ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვებასთან. როდის და რის გამო მიიღო ბაგრატიონმა კაპიტანის, შემდეგ სეკუნდ-მაიორის ხარისხი, — ამას მწერალი არც იხსენიებს, თუმცა ამის შესახებ წყაროები არსებობს. რა შემთხვევის გამო მისცეს გენერალ-ლეიტენანტობა, რა პირადი თავგანწირვის მაგალითი უჩვენა მან პრეისიშ ეილაუს ბრძოლაში — ამაზე პასუხს თქვენ წიგნში ვერ იპოვით. სამაგიეროდ წიგნში ვრცლად მოთხრობილია პოლონეთის პირველი გაყოფის შესახებ, ავსტრიისა და ინგლისის სამეურნეო პოლიტიკის შესახებ და სხვ.

ზერელობის კვალი ეტყობა წიგნის სტილსაც. ავტორი სწერს: ბაგრატიონი „1794 წ. სოფიის კარაბინერთა პოლკში დივიზიის მეთაურად“ გადაიყვანესო. სჩანს დივიზიას და დივიზიონს ვერ არჩევს ერთიმეორისაგან. ავტორი სწერს ხან — „კომანდირი“ (გვ. 14), ხან „მეთაური“; სწერს ხან—„ფლანგი“, ხან „ფრთა“, ხან—„ფინეთი“, ხან „ფინლიანდია“, „მოსკვა—მდინარე“ და სხვ.

თ. ლომოურის წიგნში ბაგრატიონის სახე ძლიერ მკრთალად სჩანს. ეს არის მეტად ზერელე კომპილიაცია, შედგენილი ნაჩქარევად; შედარებით კარგად აქვს ავტორს გამორკვეული პეტრე ბაგრატიონის გენეალოგია. საერთოდ კი ეს წიგნი ახალგაზრდა მკითხველს ნათელ წარმოდგენას ბაგრატიონის პიროვნებაზე ვერ მისცემს.

გ. ნატროშვილი.

საქ. სახ. საქ. სახელმწიფ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
ი. გრიშაშვილი — აცრემლებული თვალი (ლექსი)	3
გ. ქუჩიშვილი — ცხრანი (ლექსი)	4
გ. კაჭახიძე — ტყეში (ლექსი)	5
იასამანი — სლავური სონეტები	6
გრ. ჩიქოვანი — დაბრუნება (მოთხრობა)	8
ნ. დოლიძე — გაფრინდი, შავო მერცხალო! (მოთხრობა)	33
ს. თავაძე — კავკასიონის კარებთან (გაგრძელება)	37
ა. ბელიაშვილი — თავგადასავალი ბესიკი გაბაშვილისა (გაგრძელება)	74
ბ. ჩხეიძე — ლიახვის პირას (გაგრძელება)	90
ჰანს გაბე — ათასნი დაეცემიან (გაგრძელება)	110
ვანო შადური — ლენინგრადი და ქართული კულტურა (სტატია)	123
ი. ტატიშვილი — გრიგოლ ტატიშვილი	155

ბიბლიოგრაფია

ვ. გავაშელაშვილი — ალ. წულუკიძე — „თხზულებანი“	161
რ. გ. — ნ. კეკელიძე — „თოვლიან მთებში“	165
გ. ნატროშვილი — თ. ლომოური — პეტრე ბაგრატიონი	166

ფასი 4 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ